

პროვის სამართალი

ჟურნალში გამოქვეყნებულია 2004 წლის ნოემბერ-დეკემბრისა და 2005 წლის გადაწყვეტილებები

სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1106-1308-04

18 ნოემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი,
თ. კობახიძე

სარჩელის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ვაზაგაშვილი 2002წ. 1 ოქტომბრიდან ვადიანი ხელშეკრულებით მუშაობდა მოპასუხე საწარმოში სამაცივრო-საკომპრესორო სააქტროს მემანქანედ. 2003წ. 1 მაისიდან, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შკკ-ის 31-ე მუხლის თანახმად სამუშაო საათებში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ნაცვლად, ეძინა. ხელშეკრულება გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით. 2003წ. 27 მაისს მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური. 2003წ. 4 აგვისტოს №9 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა სამუშაოდან არასაპატიო მიზეზით სამსახურში სისტემატურად გამოუცხადებლობის გამო.

2003წ. 26 აგვისტოს ე. ვაზაგაშვილმა სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის გადახდევინება ერთი თვის საშუალო ხელფასის – 250 ლარის – ოდენობით, ასევე, იძულებითი მოცდენისათვის, შკკ-ის 89-ე მუხლის შესაბამისად, მინიმალური ხელფასის 3 თვიანი ანაზღაურება 60 ლარის ოდენობით. სარჩელის საფუძვლად მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხე საწარმოში სისტემატურად ირღვეოდა მუშაკთა შრომითი უფლებები, რის გამოც გადაწყვიტა პროფკავშირული ორგანიზაციის ჩამოყალიბება. აღნიშნულის გამო, ადმინისტრაციამ დაიწყო მისი დევნა. დაცვის სამსახურმა გაითამაშა ინსცენირება და თითქოს აღმოაჩინეს, რომ სამუშაო საათებში მას პულტთან ეძინა, 28 მაისიდან კი არ დაუშვეს სამუშაოზე. 2003წ. 8 აგვისტოს ფოსტით მიიღო სასტიკი საყვედურის გამოცხადებისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებები. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული ბრძანებები გამოცემულია არა იმ თარიღებში, როგორც ამ დოკუმენტებშია მითითებული – 2003წ. 27 მაისსა და 4 აგვისტოს. სასტიკი საყვედურის გამოცხადების გამო არ ჩამორთმევა შკკ-ის 136-ე მუხლით გათვალისწინებული წერილობითი ახსნა-განმარტება. ასევე, ადმინისტრაციამ დისციპლინური სასჯელი გამოიყენა 2 თვისა და 12 დღის შემდეგ. ამასთან, სასჯელის გამოცხადების შესახებ არ ჩამორთმევა ხელწერილი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე სამუშაოდან გათავისუფლებულ იქნა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2003წ. 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ე. ვაზაგაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 2003წ. 27 მაისს, ღამის 00.30 წუთზე, დაცვის განყოფილების ცვლის უფროსის მიერ ნახშირორჟანგისა და მაღალი წნევის სააქტროს დათვალიერებისას გამოვლინდა დარღვევა, კერძოდ, მემანქანე ე. ვაზაგაშვილს ეძინა, რაც წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევას. აღნიშნულის გამო, ადმინისტრაციის ბრძანებით გამოეცხადა სასტიკი საყვედური. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, 28, 29, 30 მაისს, იენისსა და ივლისში მოსარჩელე საერთოდ არ ცხადდებოდა სამსახურში, აღნიშნული სასამართლომ მიიჩნია კონტრაქტის პირობების დარღვევად. სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ გამოიყენა შკკ-ის მე-16, 30-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და 34-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. სააპელაციო პალატის 2004წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელეს 2003წ. 27 მაისს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, რაც მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა და ბრძანება ძალაშია. სასამართლომ ასევე დადასტურებულად ცნო, რომ მოსარჩელე

არასაპატიო მიზეზით აცდენდა სამუშაოს. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას ადმინისტრაცია არ აძლევდა საშუალებას, სამსახურში გამოცხადებულიყო, რადგან მოსარჩელემ აღნიშნული გარემოება ვერ დაადასტურა. ამდენად, პალატამ, შკკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის გამოყენებით მიიჩნია რომ მოსარჩელის დათხოვნა კანონიერია. სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ევაზაგაშვილმა. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 70-ე-78-ე და 140-ე-153-ე მუხლები, არ მოიწვია მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ იგი არ დაუშვეს სამუშაოზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელე დათხოვნილ იქნა სამუშაოდან არასაპატიო მიზეზით სისტემატურად სამსახურში გამოუცხადებლობის გამო. სამუშაოდან დათხოვნამდე მის მიმართ გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება. ასევე დადგენილია, რომ ადმინისტრაციის მხრიდან დაცული იყო შკკ-ის მოთხოვნები, კერძოდ, შკკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი, რომლის თანახმად, შრომის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ადმინისტრაციის ინიციატივით, თუ მუშაკი არასაპატიო მიზეზით გააცდენს სამუშაოს და თუ მის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

საკასაციო პალატა თვლის, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა სასამართლოსათვის. კასატორი არ მიუთითებს ისეთ მტკიცებულებებზე, რაც გამორიცხავდა დადგენილ გარემოებებს. საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადმინისტრაცია მოსარჩელეს დევნიდა და არ უშვებდა სამუშაოზე.

სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმალ მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რადგან მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ის გარემოებები, რაზედაც ამყარებდა თავის მოთხოვნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანლა სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ე. ვაზაგაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 28 ივნისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საწარმოო ტრავმა; სარჩო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-582-861-04

22 ნოემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),

მ. ცისკაძე,

ქ. გაბელაია

დავის საგანი: მარჩენალის დაკარგვის გამო სარჩოს მიღება.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ყურბანოვის მეუღლე ე. ყურბანოვი მუშაობდა მარნეულში, შპს „სეტში“ ელექტრომონტიორად. იგი 2003წ. 23 მარტს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა. ი. ყურბანოვი 2003წ. სექტემბერში სარჩელი აღძრა შპს „სეტის“ მიმართ და მოითხოვა შრომითი მოვალეობის შესრულებისას, მუშაკის გარდაცვალების გამო, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 38000 ლარის ოდენობით.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2003წ. 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ყურბანოვას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის გარდაცვალების შედეგად ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი მთლიანად დაკმაყოფილდა: შპს „სეტის“ დაეკისრა ი. ყურბანოვას სასარგებლოდ 18000 ლარის გადახდა. მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – შპს „სეტის“ დაეკისრა ი. ყურბანოვას სასარგებლოდ მორალური ზიანის 2000 ლარის გადახდა.

შპს „სეტის“ წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „სეტის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა მოცემულ საქმეზე მარნეულის რაიონული სასამართლოს 2003წ. 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების მე-3, მე-4 პუნქტები შპს „სეტისათვის“ ი. ყურბანოვას სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2000 ლარის დაკისრების შესახებ და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ი. ყურბანოვას სარჩელი შპს „სეტის“ მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადგენილია ე. ყურბანოვის გარდაცვალების მიზეზი და მოპასუხე ორგანიზაციის ბრალეულობა მომხდარში. საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 პუნქტის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ დამქირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის შემთხვევაში. იმავე ბრძანებულების მე-4 პუნქტში კი მითითებულია, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. საქმეში წარმოდგენილია შპს „სეტის“ მიერ შედგენილი სპეციალური კომისიის გამოძიების აქტი, რომელიც ადასტურებს ე. ყურბანოვის გარდაცვალების ფაქტს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მაგრამ მომხდარში მთლიანად ბრალი ედება დაღუპულს, ვინაიდან მან დაარღვია უსაფრთხოების ტექნიკის წესები. ამავე აქტში მითითებულია, რომ ოპერატიულ მორიგეს გათიშული ჰქონდა დენი საკონსერვო ქარხნის ფიდერზე ე. ყურბანოვის სამუშაოზე გასვლის წინ, სადაც უნდა ჩაეტარებინა სარემონტო სამუშაოები, მაგრამ საქმეში არსებული მასალებით კი დასტურდება, რომ უბედური შემთხვევის დროს სადენებში დენი იყო დაშვებული.

საქმეში წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, ე. ყურბანოვის გვამზე აღინიშნებოდა ელექტრონიშნის სახით მტეგნის არეში დაზიანება, რომელიც განვითარებულია სიცოცხლის დროს სიკვდილის დადგომამდე უახლეს პერიოდში ელექტროდენის მოქმედების შედეგად. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა დაადასტურა, რომ ე. ყურბანოვს არ აღინიშნებოდა სიმაღლიდან ჩამოვარდნის კვალი. პალატამ მიუთითა, რომ ე. ყურბანოვის მიერ გაუფრთხილებელი ბრალეული ქმედების მიუხედავად მომხდარში ბრალი მიუძღვის შპს „სეტსაც“, რამეთუ მას უნდა უზრუნველყო მუშაობის უსაფრთხოება, არ გამორთო სარემონტო უბანზე ელექტროდენი, რის შედეგად მუშაკი გარდაიცვალა.

ზემოხსენებული ბრძანებულების 39-ე პუნქტში მითითებულია, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა

ერთჯერადი დახმარება გარდაცვლილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით, ხოლო მე-8 პუნქტის თანახმად კი შერეული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება ზიანის ანაზღაურებისას დამატებით ხარჯებსა და ერთჯერად დახმარებაზე. ზემოხსენებული ნორმების საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ შპს „სეტს“ სწორად დაეკისრა ი. ყურბანოვას სასარგებლოდ გარდაცვლილი ე. ყურბანოვის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების გადახდა 18000 ლარის ოდენობით. მორალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ასეთი შემთხვევისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება, ამიტომ ამ ნაწილში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელს უარი ეთქვა.

შპს „სეტის“ წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ე. ყურბანოვის გარდაცვალების მიზეზი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით არ იქნა დადგენილი. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მუშაკის გარდაცვალების გამო დაღუპულის ოჯახს მიეცეს ერთჯერადი დახმარება, ამისათვის საკმარისია დაღუპვა მოხდეს შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და გარდაცვალების მიზეზს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. საქმეში არ მოიპოვება იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ საწარმოს ბრალი მიუძღვის ე. ყურბანოვის გარდაცვალებაში.

ი. ყურბანოვას ადვოკატმა ი. ჰუსეინოვმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2004წ. 5 ოქტომბერს წარმოადგინა შემხვედრი საკასაციო საჩივარი, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით წარმოადგენს შესაგებელს, რადგან მოპასუხე ორგანიზაციის მოთხოვნა უსაფუძვლოდაა მიჩნეული და მოსარჩელე ითხოვს სააპელაციო პალატის 2004წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ე. ყურბანოვი მუშაობდა მარნეულში, შპს „სეტში“ ელექტრომონტიორად იგი გარდაიცვალა 2003წ. 23 მარტს შრომითი მოვალეობის შესრულებისას. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს ის შესახებ, რომ საქმეში არ მოიპოვება იმის უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება საწარმოს ბრალი ე. ყურბანოვის გარდაცვალებაში. სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მიუთითა, რომ ე. ყურბანოვის მხრიდან გაუფრთხილებლობის მიუხედავად, მომხდარში ბრალი მიუძღვის შპს „სეტსს“, რადგან ვერ უზრუნველყო მუშაობის უსაფრთხოება, არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და არ გამორთო ელექტროდენი სარემონტო უბანზე, რის შედეგად მუშაკი გარდაიცვალა. საქმეში წარმოდგენილია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის ექსპერტის 2003წ. 23 მარტის დასკვნა, რომელიც შედგენილ იქნა გვამის გარეგანი დათვალიერების შედეგად (გვამის შინაგან გამოკვლევაზე ჭირისუფალმა კატეგორიული უარი განაცხადა) ამ დასკვნაში მითითებულია, რომ ე. ყურბანოვს გვამზე აღენიშნებოდა დაზიანება ელექტრონიშების სახით ორივე მტევნის არეში. აღნიშნული დაზიანებები განვითარებულია სიცოცხლის დროს სიკვდილის დადგომამდე უახლეს პერიოდში ელექტროდენის მოქმედების შედეგად. აღნიშნული დაადასტურა ასევე ექსპერტმა სასამართლოს 2003წ. 2 ოქტომბრის სხდომაზეც.

სსკ-ის 407-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხე ორგანიზაციას ასეთი დასაბუთებული და დამატებითი საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორედ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 პუნქტი; ამ ნორმის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების

მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ დამქირავეებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის შემთხვევაში. აწ გარდაცვლილი ე. ყურბანოვის მეუღლე ი. ყურბანოვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს იმავე ბრძანებულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ გარდაცვალების მიზეზი განდა ორგანიზაციაში მიღებული ტრავმა ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ე.ყურბანოვის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა როგორც მოპასუხე ორგანიზაციის ბრალი (რადგან უბედური შემხვევის დროს სადენში დენი იყო გაშვებული), ისე ე.ყურბანოვის მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა, ამიტომ სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა იმავე ბრძანებულების მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად, შერეული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება ზიანის ანაზღაურებისას დამატებით ხარჯებსა და ერთჯერად დახმარებაზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული ბრძანებულების 39-ე პუნქტის საფუძველზე დადგენილი ოჯახის სასარგებლოდ სწორად დაეკისრა მოპასუხე ორგანიზაციას ერთჯერადი დახმარება გარდაცვლილის 10წ. სამსახურებრივი სარგოს ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „სეტის“ წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

დაეკისროს შპს „სეტს“ სახელმწიფო ბაჟის სახით ქ.თბილისის მთაწმინდა-კრწანისის არასაგადასახადო შემოსულობების №507121303 (საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი – 220101107, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 3114, დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე) ანგარიშზე 800 ლარის ჩარიცხვა. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1013-1264-04

24 ნოემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

მ. წიქაძე,

ლ. გოჩელაშვილი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2004წ. 18 მარტს გ. სონღულაშვილმა სს „თელასის“ წინააღმდეგ სარჩელით მიმართა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს.

მოსარჩელემ მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

იგი 1996 წლიდან მუშაობდა სააქციო საზოგადოება „თელასში“ აღმოსავლეთის რეგიონის დირექტორად. იყო პროფკავშირის წევრი. საწარმოს ადმინისტრაციამ 2004წ. 3 თებერვალს №3კ-27 ბრძანებით იგი გაათავისუფლა სამუშაოდან, რის შესახებაც მისთვის ცნობილი გახდა 2004წ. 15 მარტს.

მას მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციამ დაითხოვა უკანონოდ, კერძოდ, დარღვეულია შკკ-ის 37-ე მუხლი.

მოსარჩელეს ასევე უკანონოდ მიაჩნია ადმინისტრაციის მიერ 2003წ. 30 ოქტომბერს გამოცემული კ-823 ბრძანებაც.

მისი განთავისუფლების საფუძველად ბრძანებაში მითითებულია რეორგანიზაციაზე, რაც ადმინისტრაციას ავალდებულებს იმავე თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში შესთავაზოს მუშაკს სხვა სამსახური, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მოხდა. მისი განთავისუფლების შესახებ არ არსებობს პროფკავშირების თანხმობა, იგი არ დასწრებია პროფკავშირის კომიტეტის სხდომას. მას გააჩნდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე დათხოვნილ იქნა სამუშაოდან საწარმოს რეორგანიზაციის გამო. ის სამსახური, სადაც იგი აღრე მუშაობდა, და არსებობს – ლიკვიდირებულია.

ქ.თბილისის დიდებუ-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004წ. 28 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 30 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ.სონლულაშვილის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ გ.სონლულაშვილი 2002წ. 25 თებერვლიდან მუშაობდა სს „თელასის“ აღმოსავლეთ რეგიონის მენეჯერად.

2003წ. 30 ოქტომბერს სს „თელასის“ გენერალურმა დირექტორმა გამოსცა ბძრანება №კ-823, რომლის შესაბამისადაც, 2003წ. 1 ნოემბრიდან დაიწყო საწარმოს რეორგანიზაცია (სტრუქტურული ცვლილებები და მუშაკთა რიცხოვნობის და შტატების შემცირება), გარდა რეგიონალურ ბიზნესცენტრებისა.

2003წ. 10 ნოემბერს გ.სონლულაშვილს წერილობით ეცნობა საწარმოში დაწყებული რეორგანიზაციისა და მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ.

2003წ. 10 ნოემბერს დასაქმების სახელმწიფო სამსახურს ეცნობა გასათავისუფლებელ მუშაკთა შესახებ. მათ შორის მითითებული იყო გ.სონლულაშვილზეც.

2003წ. 31 დეკემბრის ბრძანებით რეორგანიზაციის დაწყებული პროცესი გაგრძელდა სს „თელასის“ ბიზნეს ცენტრებშიც.

2004წ. 30 იანვარს №1 სხდომის ოქმით საწარმოს პროფკავშირმა ადმინისტრაციას მისცა თანხმობა გ.სონლულაშვილის განთავისუფლებაზე.

სს „თელასის“ გენერალური დირექტორის 2004წ. 2 თებერვლის №კ-27 ბრძანებით გ.სონლულაშვილი 2004წ. 3 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შკკ-ის 340-ე მუხლის პირველი ნაწილის ა“ პუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საწარმოში გაუქმდა გაყიდვების დეპარტამენტის ოთხივე რეგიონი, მათ შორის, აღმოსავლეთ რეგიონი და რეგიონის მენეჯერის თანამდებობაც არ არსებობს.

საპელაციო სასამართლომ ზემოთ მითითებული გარემოებების საფუძველზე მიუთითა, რომ არ არსებობდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

2004წ. 2 სექტემბერს გ.სონლულაშვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება შემდეგი საფუძველით:

კასატორს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი 2004წ. 30 იანვრის თარიღით შედგენილი პროფკავშირების სხდომის ოქმი ყალბია, პროფკავშირების სხდომა არ ჩატარებულა და იგი ასეთ

სხდომას არ დასწრებია, ამასთან, სხდომის ოქმში განთავისუფლების საფუძველად მითითებულია დარღვევა და რეორგანიზაცია.

კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სასამართლოს არ მიუთითებია კანონზე, რომლის საფუძველზეც მიიღო გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის ფარგლებში გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტებანი და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს დადგენილად აქვს მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომ სს „თელასის“ ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიების შედეგად გაუქმდა გაყიდვების დეპარტამენტის ოთხივე რეგიონი, მათ შორის, აღმოსავლეთ რეგიონი და ამ რეგიონის მენეჯერის თანამდებობაც არ არსებობს, ანუ ის სამსახური, სადაც მუშაობდა კასატორი, გაუქმდა.

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ ფაქტობრივად საშტატო ერთეული არ შემცირებულა და რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რადგან სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია კანონზე, რომლის საფუძველზეც მიიღო განჩინება, არ წარმოადგენს არც დამატებით და არც დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, ამიტომ იგი ვერ განდება საქმეზე მიღებული განჩინების გაუქმების საფუძველი. კასატორს სასამართლოში არ წარუდგენია და საქმეშიც არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საშტატო ერთეული, რომელზეც კასატორი მუშაობდა, არ შემცირებულა. ასევე არასწორია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა კანონზე, რომელიც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების მიღებას. სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში მიუთითა სსკ-ის 37-ე მუხლის პირველ ნაწილზე, შკკ-ის 42² მუხლის პირველ და ამავე მუხლის მე-2 ნაწილებზე, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტზე და მიღებულ განჩინებასაც კანონის მითითებული ნორმების მოთხოვნა დაუდო სამართლებრივ საფუძველად.

საკასაციო სასამართლოს ასევე დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის მოსაზრება საქმეში წარმოდგენილი პროფკავშირების კომიტეტის სხდომის ოქმის სიყალბის შესახებ. მართლოდენ კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ ეს ოქმი ყალბია, არ წარმოადგენს ოქმის ყალბად მიჩნევის საფუძველს.

მართალია, აღნიშნულ ოქმში მითითებულია, რომ პროფკომიტეტის წევრებს გაეცნო ადმინისტრაციის სამსახურებრივი წერილები თანამშრომელთა გათავისუფლებაზე პროფკავშირის თანხმობის მიცემის შესახებ და ოქმში აღნიშნულია, რომ ამ წერილებს თან ახლდა სათანადო დოკუმენტაცია თითოეული თანამშრომლის მიერ დარღვევასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ პროფკავშირის კომიტეტმა ადმინისტრაციას გ.სონლულაშვილის საშუაოდან განთავისუფლებაზე თანხმობა მისცა რაიმე დარღვევის გამო, ვინაიდან ამის თაობაზე არაფერია აღნიშნული ოქმის დადგენილებით ნაწილში. ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციამ გ.სონლულაშვილის საშუაოდან განთავისუფლების შესახებ პროფკომიტეტის თანხმობა მოითხოვა რაიმე დარღვევის გამო, პირიქით საქმეში მოიპოვება 2003წ. 15 დეკემბრის თარიღით შედგენილი სამსახურებრივი წერილი გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარისადმი, რომელშიც მითითებულია, რომ გ.სონლულაშვილი რეორგანიზაციის შედეგად საშუალო ადგილის გარეშე რჩება და ადმინისტრაცია, შკკ-ის 37-ე მუხლის საფუძველზე, ითხოვს თანხმობას მისი განთავისუფლების შესახებ.

ამრიგად, დადგენილია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციამ გ.სონლულაშვილი საშუაოდან დაითხოვა რეორგანიზაციის შედეგად შტატის შემცირების გამო და მისი განთავისუფლება სათანადო წესის დაცვით წინასწარ შეთანხმებული იყო პროფკომიტეტთან და მიღებული იყო კანონით გათვალისწინებული ზომები სხვა საშუაოთი მისი დასაქმების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გ.სონღულაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 30 ივლისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-845-1093-04

26 ნოემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

მ. წიქვაძე,

თ. კობახიძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

იანა სამხარაძემ 2003წ. 24 ნოემბერს სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში მოპასუხე საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი „სერმას“ მიმართ, ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელე მიუთითებდა, მას და მოპასუხეს შორის 2003წ. 1 ივლისიდან 2003წ. 31 დეკემბრამდე გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება 6 თვით, რომლის შესაბამისად, მოსარჩელე დანიშნულ იქნა უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე, მთელი ხელშეკრულების განმავლობაში მისთვის უნდა გადაეხადათ 4173 აშშ დოლარი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას 2003წ. სექტემბერში განუცხადეს გათავისუფლების თაობაზე და აღარ უნდა გამოცხადებულიყო სამუშაოზე, მაგრამ მისთვის არ ჩაუბარებიათ ბრძანება გათავისუფლების შესახებ. ამასთან, „საქართველოს შკკ-ის“ 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების 8,2 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, იგი გაათავისუფლეს არასწორად, რადგან მოპასუხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის არასაკმარის კვალიფიკაციას.

მოსარჩელემ მოითხოვა მისი გათავისუფლების შესახებ საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტის ცენტრ „სერმას“ გენერალური დირექტორის 2003წ. 1 აგვისტოს ბრძანების №000\025 ბათილად ცნობა, ზემოთ მითითებული ცენტრის უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე აღდგენა და მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის განაცდურის სახით 3823 აშშ დოლარისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის 500 აშშ დოლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მსოფლიო ბანკს და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებულია მემორანდუმი საქართველოში ათეულობით საწარმოთა რესტრუქტურისა და შესაბამისად, მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების საწარმოთა ხელმძღვანელთა სტანდარტ-მოთხოვნებით გადამზადებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა კვების მრეწველობის საწარმოთა რესტრუქტურის მრავალპროფილიან პროექტზე მუშაობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2001წ. 30 სექტემბერს გამოცხადდა ტენდერი, სადაც 2002წ. აგვისტოს გამარჯვებულ კომპანიად დასახელდა ამერიკული ორგანიზაცია (ი-სი-ჯი), რომელმაც „სერმასთან“ კონტრაქტი გააფორმა 2002წ. 30 ოქტომბერს. კვლევა წარიმართა ბაქტერიოფაგის (ვირუსი) ფორმატით. დასახული სამუშაოების წარმართვის მიზნით, დირექტორ ნ. ადვიშვილთან 2002წ. ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება. საქართველოს მხრიდან პროექტის კოორდინატორად დანიშნა „სერმას“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ა. მელიქიძე, ხოლო მოსარჩელე მხარე მიწვეულ იქნა სპეციალისტად უფროსი კონსულტანტის სტატუსით, რომელთანაც გაფორმდა 6

თვიანი შრომითი ხელშეკრულება 2003წ. 1 ივლისიდან 2003წ. 30 დეკემბრამდე. მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულება ერთი თვის შემდეგ შეწყდა, რომლის საფუძველს წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მითითებულ ვადაში გაწეული მუშაობის ანალიზი. ბრძანებას მოსარჩელე გაეცნო, მაგრამ უარი განაცხადა მის ჩაბარებაზე. მოსარჩელემ მიიღო ივლისის ხელფასი, მაგრამ აგვისტოსა და შემდეგი თვეების არ მიუღია, რადგან მას არ წარმოუდგენია შესაბამისი დროის ფურცელი. კონსულტანტის თანამდებობის შტატი, რომელზედაც მოსარჩელე ითხოვს აღდგენას, „სერმა-ში“ აღარ არსებობს, რადგან კონსულტანტების მუშაობის პროცესი ამოიწურა. მოსარჩელის მოთხოვნა არის ხანდაზმული და უსაფუძვლო.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004წ. 9 მარტის გადაწყვეტილებით ი. სამხარაძის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ი. სამხარაძემ გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოში სააპელაციო წესით და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და მისი სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2004წ. 21 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შორის დავის წარმოშობის საფუძველი გახდა მათ შორის 2003წ. 1 ივლისიდან 2003წ. 31 დეკემბრამდე დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა 2003წ. 1 აგვისტოდან „სერმას“ ადმინისტრაციის ინიციატივით.

საქმის მასალებით დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგე მხარე – საწარმოთა რესტრუქტურისა და მენეჯმენტისა და დახმარების ცენტრი შეიქმნა მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობათა შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ათეულობით საწარმოთა რესტრუქტურისა და შესაბამისი მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების საწარმოთა ხელმძღვანელთა სტანდარტ-მოთხოვნებით გადამზადებაზე. საქმის მასალებით, ასევე, დადგენილია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აპელანტი ზემოთ მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა ერთ-ერთ პროექტზე, სადაც კვლევა მიმდინარეობდა ბაქტერიოგაფის (ვირუსის) ფორმატით.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების 4.1 პუნქტის მიხედვით დასტურდება, რომ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გაწეული მუშაობისათვის მისი ანაზღაურება მოხდებოდა დროებრივი წესით 4173 აშშ დოლარის ოდენობით. ამავე ხელშეკრულების 4.5 პუნქტის მიხედვით კი აპელანტისათვის ხელფასის გადახდა დადგენილი იყო არა უგვიანეს 30 დღისა იმ დღიდან, როდესაც კოორდინატორს შეესებოდა დროის ფურცელი წარედგინებოდა და იგი ადმინისტრაციის მიერ დამტკიცდებოდა.

საქმის მასალებით, კერძოდ, მოწმე ა. მელიქიძის ჩვენებით დასტურდება, რომ დროის ფურცელი, რომლის საფუძველზე ხდებოდა აპელანტის შრომის ანაზღაურება, ვერ წარედგინებოდა მას, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს (კოორდინატორს), იმდენ ეგზემპლარად, რამდენსაც თვით კონსულტანტი (აპელანტი) მოისურვებდა, ხოლო შემდეგ კოორდინატორი წარუდგენდა აღმასრულებელ დირექტორს დასამტკიცებლად.

ასეთ შემთხვევაში სააპელაციო პალატა არ იზიარებს აპელანტის იმ მოსაზრებას, რომ, როგორც წესი, დროის ფურცელი იბეჭდებოდა ერთ ეგზემპლარად და ამიტომ მან ვერ შეძლო სასამართლოში წარმოედგინა 2003წ. აგვისტოს დროის ფურცლის მეორე ეგზემპლარი აღნიშნული დროისათვის „სერმაში“ მისი მუშაობის ფაქტის დასადასტურებლად.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტს „სერმაში“ 2003წ. აგვისტოში არ უმუშავია და, შესაბამისად, არ იზიარებს მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად უნდა გაეზიარებინა აპელანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ფაგოთერაპიის ცენტრის დირექტორის, ვ. ბერიძის, 2004წ. 14 და 24 იანვრის წერილობითი სახით, რადგან, მიიჩნევა, რომ, სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

რამდენადაც ვერ დასტურდება 2003წ. აგვისტოში „სერმაში“ აპელანტის მუშაობის ფაქტი, სააპელაციო პალატა სარწმუნოდ მიიჩნევს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას 2003წ. 1 აგვისტოდან აპელანტის გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტმა მისი გათავისუფლების შესახებ უკვე იცოდა 2003წ. 2 სექტემბრისთვის ანუ, სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, მისი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყება აპელანტისათვის მოთხოვნის

წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება ის დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტმა მისი უფლების დარღვევის შესახებ იცოდა 2003წ. სექტემბრის დასაწყისისათვის, ხოლო მან სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს საქართველოს შკკ-ის 204-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით, შესაბამისად, მისი მოთხოვნა არის ხანდაზმული.

სააპელაციო პალატის დასკვნით, აპელანტის მოთხოვნა რომც არ იყოს ხანდაზმული, იგი უსაფუძვლოა შემდეგ გარემოებათა გამო:

მხარეთა შორის დადებული კონტრაქტის (ხელშეკრულების) 1.1 პუნქტის მიხედვით, აპელანტს ევალებოდა „საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტისა“ და ადმინისტრაციის შიდა წესების შესაბამისად, ადმინისტრაციისა და ამ უკანასკნელის მიერ დაქირავებული უცხოური საკონსულტაციო ფირმის, აგრეთვე, ჯგუფის ხელმძღვანელის მითითებების მიხედვით, საწარმოთა შერჩევაში მონაწილეობა, სალიცენზიური შესწავლისა და საკონსულტაციო სამუშაოს გაწევა შერჩეულ საწარმოში და სხვა.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ აპელანტს 2003 წელს ივლისის დროის ფურცელში ბოლო დღეებში ჩატარებული სამუშაო არ ჩაუთვალეს შესრულებულად. აღნიშნული გარემოება აპელანტის მიერ არ ყოფილა გასაჩივრებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ. კასატორი მიუთითებს, რომ კასატორის ადვოკატის 2003წ. 27 ოქტომბრის წერილის პასუხად 2003წ. 30 ოქტომბერს წარედგინა ი. სამხარაძის ადვოკატს მოპასუხის მიერ გამოცემული ბრძანება. შკკ-ის 204-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, დათხოვნის საქმეთა გამო რაიონულ სასამართლოში სარჩელით მიმართვის ვადა დათხოვნის ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვე. სარჩელი კი სასამართლოში წარედგინა იქნა 2003წ. 24 ნოემბერს, ანუ ეს ვადა მთლიანად იქნა დაცული მოსარჩელის მიერ. კანონმდებელმა სასამართლოსათვის მიმართვის ვადად განსაზღვრა ერთი თვე იმ მომენტიდან, როდესაც განთავისუფლებულ პირს ჩაბარდება დათხოვნის ბრძანება. სასამართლომ კი კანონის სრული უგულებელყოფით ამ ვადის ათვლის მომენტად მიიჩნია ის დღე, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა განთავისუფლების შესახებ. ამასთან, სასამართლომ არ მიუთითა კონკრეტულ თარიღზე, როდესაც ი. სამხარაძისათვის გახდა ცნობილი მისი განთავისუფლების შესახებ. ის, რომ ი. სამხარაძეს ტელეფონით შეატყობინა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ა. მელქაძემ 2003წ. 2 სექტემბერს, ამას კასატორი არ უარყოფს, მაგრამ მას არ განუმარტეს გათავისუფლების მიზეზები და ურჩიეს მიზეზების გასარკვევად დაკავშირებოდა უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის ხელმძღვანელს, რომელთან შეხვედრაც ი. სამხარაძემ ვერანაირად მოახერხა ისევე და ისევე მოწინააღმდეგის მიზეზით.

კასატორის მითითებით, სასამართლომ აბსოლუტურად არასწორად, კანონისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების უგულებელყოფით დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები.

კასატორი მოითხოვს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს შკკ-ის 204-ე მუხლის თანახმად, მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლოსთვის მიმართვის ერთთვიანი ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც მუშაკს ჩაბარდება ბრძანება მისი განთავისუფლების შესახებ და მისთვის ცნობილი გახდება, რომელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე გაათავისუფლეს სამსახურიდან. ერთთვიანი ვადის ათვლა იმ დღიდან, როდესაც პირმა გაიგო, რომ გათავისუფლდა სამუშაოდან, ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით აშკარაა, რომ პირმა განთავისუფლების შესახებ ბრძანების ჩაბარებამდე გაცილებით ადრე გაიგო გათავისუფლების ფაქტისა და საფუძვლების შესახებ და გარკვეული მოსაზრებით, მისივე ბრალით, არ ჰქონდა მიღებული ბრძანება. სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ

მოსარჩელემ გათავისუფლების შესახებ უკვე იცოდა 2003წ. 2 სექტემბრისათვის, თუმცა სააპელაციო პალატა არ მიუთითებს და არ არის დადგენილი, რომ მოსარჩელემ იცოდა განთავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. როდესაც პირმა არ იცის განთავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, შესაბამისად, შეუძლებელია, მან სარჩელი შეიტანოს სასამართლოში და მიუთითოს მისი მოთხოვნის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე არის დაუსაბუთებელი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მუშაკის პროფესიონალიზმის დონე არ შეესაბამებოდა ადმინისტრაციისათვის საჭირო მუშაობას. სააპელაციო პალატის აღნიშნული დასკვნა ეფუძნება მხოლოდ მოპასუხის მოსაზრებას, რომ მოსარჩელემ ვერ შეასრულა ხელშეკრულების პირობები. კონკრეტულად, რაში გამოიხატა მუშაკის დაკავებული თანამდებობისადმი შეუსაბამობა, გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004წ. 21 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1272-1393-04

30 ნოემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჯანიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თბილისის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციის მიმართ პროფესიონალური დაავადებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელის განმარტებით, იგი მოპასუხე ორგანიზაციაში მუშაობდა 1970 წლიდან მემანქანის თანაშემწედ, 1975 წლიდან 1985წ. 15 აგვისტომდე, საერთო დაავადებით პენსიაში გასვლამდე კი მემანქანედ. 1975 წელს საავადმყოფოს სტაციონარში სამი თვის მკურნალობის შემდეგ მას დაუდგინდა წელ-გავის ქრონიკული რადიკულიტი. 1985 წლამდე ვ.ჯანიძე მუშაობას აგრძელებდა, თუმცა უშედეგო მკურნალობის შემდეგ შრომის მეორე ჯგუფის ინვალიდის სტატუსით სამუშაოდან გათავისუფლდა, ლეულობდა სათანადო პენსიას და აგრძელებდა მკურნალობას. მოსარჩელემ მოითხოვა 1985წ. 15 აგვისტოდან, პროფესიული შრომის უნარის 80%-ით დაკარგვის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 1984-85 წლებში მისი წლიური ხელფასი შეადგენდა 4314 მანეთს, ხოლო სოცუზრუნველყოფიდან ყოველთვიურად ლეულობდა პენსიას 120 მანეთის ოდენობით. ვ.ჯანიძემ მოითხოვა 1985 წლიდან სარჩელის შეტანამდე მისაღებ ხელფასსა და პენსიას შორის არსებული სხვაობა – 44296,3 ლარი, ასევე, მკურნალობისა და კვების ხარჯები – 68296,3 ლარი. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ვ. ჯანიძის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან იგი ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობას ლეულობდა.

ქობილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 1999წ. 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ვ.ჯანიძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000წ. 17 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დაადგინა, რომ მოსარჩელე ვ. ჯანიძე 1970 წლიდან 1985წ. აგვისტომდე მუშაობდა სალოკომოტივო დეპოში მემანქანედ. მას საერთო დაავადებით დაუდგინდა მეორე ჯგუფის ინვალიდობა და გავიდა პენსიაზე. ამავე დროს იგი სალოკომოტივო დეპოდან სათანადო ზიანის ანაზღაურებას ლეზულობდა. ვ.ჯანიძე 1997წ. 24 მარტიდან 11 აპრილამდე და 1998წ. 11 მაისიდან 14 მაისამდე იმყოფებოდა პროფდაავადებათა ინსტიტუტში, სადაც დაუდგინდა წელის მალეების დეფორმირებული სპონდილოართროზი და წელ-გავის ქრონიკული რადიკულიტი. ამ დიაგნოზით ინსტიტუტმა ცნო ვ.ჯანიძის პროფდაავადება 1985 წლიდან შრომის უნარის 80%-ით დაკარგვით. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 51-ე და 53-ე პუნქტებით და დაადგინა, რომ ვ. ჯანიძეს შრომის უნარი დაკარგული აქვს 80%-ით, მაგრამ ზიანი მას არ უნდა აუნაზღაურდეს 1985 წლიდან, რადგან პროფდაავადების შესახებ ვ.ჯანიძემ მოპასუხეს და სასამართლოს მიმართა 13 წლის შემდეგ, ზიანის ანაზღაურება კი წარმოებს მოპასუხისთვის დასკვნის წარდგენის დღიდან. მოსარჩელემ მოპასუხე ორგანიზაციას 1985 წლიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ მიმართა 1998წ. ივლისში და მოითხოვა დამატებითი ხარჯების ანაზღაურება. პალატამ მიუთითა ზიანის ანაზღაურების წესის 25-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, დამატებითი ხარჯების ასანაზღაურებელი თანხის სიდიდე განისაზღვრება შესაბამისი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ანგარიშებისა და დოკუმენტების საფუძველზე, რაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოსათვის წარდგენილი არ ყოფილა. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ჯანიძისათვის 1985 წლიდან პროფესიონალური დაავადებით გამოწვეული ზიანისა და დამატებითი ხარჯების ანაზღაურების იურიდიული საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინება ვ. ჯანიძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ, მართალია, კასატორი 1985 წლიდან მეორე ჯგუფის ინვალიდია, მაგრამ ოფიციალურად შრომის უნარის დაკარგვის პროცენტი 1998 წლამდე მას განსაზღვრული არ ჰქონდა, აღნიშნულის განხორციელების შემდეგ კი ვ.ჯანიძემ მიმართა სასამართლოს, შესაბამისად, მას ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა არ გაუშვია. კასატორის განმარტებით, 1985 წლიდან მის მიერ შრომის უნარის 80%-ით დაკარგვა დადასტურებულია ექსპერტის დასკვნით და პროფდაავადებათა ინსტიტუტის დიაგნოზით, ამდენად, ზიანის ანაზღაურება სწორედ ამ დროიდან უნდა მომხდარიყო. საოლქო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სკ-ის 408-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 411-ე მუხლით, და შკკ-ის 155-ე მუხლით, რომელთა საფუძველზე მოპასუხისათვის პროფდაავადებით გამოწვეული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურება უნდა დაეკისრებინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. ჯანიძემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონი არ დარღვეულა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და კასატორს სადავოდ არ მიუჩნევია შემდეგი გარემოებები: ვ. ჯანიძე 1970 წლიდან 1985წ. აგვისტომდე მუშაობდა სალოკომოტივო დეპოში მემანქანედ. 1985წ. აგვისტოში მას საერთო დაავადებით დაუდგინდა მეორე ჯგუფის ინვალიდობა, გავიდა პენსიაზე და სალოკომოტივო დეპოდან სათანადო ზიანის ანაზღაურებას ლეზულობდა. ვ.ჯანიძე 1997წ. 24 მარტიდან 11 აპრილამდე და 1998წ. 11 მაისიდან 14 მაისამდე იმყოფებოდა პროფდაავადებათა ინსტიტუტში, სადაც დაუდგინდა წელის მალეების დეფორმირებული ოსტეოქონდროზი და წელ-გავის ქრონიკული რადიკულიტი. ამ დიაგნოზით შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ვ.ჯანიძე ცნო 1985 წლიდან 80%-ით შრომის

უნარის დაკარგულად. ამ საფუძვლით 1985წ. სექტემბრიდან 1998წ. მისამდე ზიანის ანაზღაურების შესახებ ვ.ჯანდიემ მოპასუხეს მიმართა 1998წ. ივლისში.

საქართველოს პრეზიდენტის 1999წ. 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის 63-ე პუნქტით, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესების ამოქმედების გამო, ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ამ წესების ნორმები. ამავე ნორმატიული აქტის 51-ე პუნქტით, თუ განცხადება ზიანის ანაზღაურების შესახებ დამქირავებელთან შეტანილია შრომისუნარის ხარისხის დაკარგვიდან ან მარჩენალის გარდაცვალებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ზიანის ანაზღაურება ხდება განცხადების შეტანის დღიდან. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულმა განცხადება ვალდებულ პირთან შეიტანა 1998წ. ივლისში, რა დროიდანაც გაიცემა სათანადო ანაზღაურება.

რაც შეეხება დამატებით ხარჯებს, მისი ანაზღაურება ზიანის ანაზღაურების წესის 53-ე პუნქტით ხდება იმ დროს, როდესაც განსაზღვრულია მათი საჭიროება. მოცემულ შემთხვევაში მხარეს სათანადო მტკიცებულებებით არ დაუდასტურებია დამატებითი ხარჯების საჭიროება, რაც, სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, მის მოვალეობას წარმოადგენდა. აღნიშნული კი მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000წ. 17 მარტის გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელი.

პენსია

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-711-1351-04

7 დეკემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: პენსიის უზრუნველსაყოფად პენსიონერ ვ.ფოლადაშვილის კუთვნილების დადგენა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2001 წლის 22 იანვარს ს/ს „ნაძალადემა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ს/ს „რკინაბეტონის“ მიმართ და აღნიშნა, რომ მოპასუხეს გადაეცა 8 პენსიონერის პირადი საქმე, რადგან ორს – ვ.ფოლადაშვილსა და თ.ლომიძეს – სასამართლო დავა ჰქონდათ. დავის დასრულების შემდეგ ს/ს „რკინაბეტონმა“ მიიღო თ.ლომიძის საბუთები, მაგრამ უარი განაცხადა ვ.ფოლადაშვილის საბუთების მიღებაზე. ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ს/ს „ნაძალადევის“ სარჩელი და 1999 წლის 10 ივნისის საერთო კრებამდე არსებული ს/ს „ნაძალადეგზე“ რიცხული 37 პენსიონერი, საწარმოო ნიშნის მიხედვით, გაიყო შემდეგი პროპორციით: ს/ს „ნაძალადეგს“ მიეკუთვნა 20 პენსიონერი, ს/ს „რკინაბეტონს“ – 10 პენსიონერი, ხოლო შპს „დავით ბილდერს“ – 7 პენსიონერი. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. აღნიშნულის საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ვ.ფოლადაშვილის პენსიის გადახდის უზრუნველყოფა.

მოპასუხე ს/ს „რკინაბეტონმა“ სარჩელი არ ცნო. მესამე პირმა ვ.ფოლადაშვილმა განმარტა, რომ მას ზარალს უნაზღაურებდა ს/ს „ნაძალადევი“. მან ტრავმა მიიღო №4 სამშენებლო კომბინატში, რომლის მემკვიდრეც არის ს/ს „ნაძალადევი“. ვ.ფოლადაშვილმა მოითხოვა სარჩელზე უარის თქმა.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ს/ს „ნაძალადევის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილება ს/ს „ნაძალადევის“ დირექტორმა ნ. გრიგოლიამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 23 დეკემბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ს/ს „ნაძალადევის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ფოლადაშვილი მუშაობდა სმკ-4-ის მსხვილბლოკიანი ბინათმშენებლობის ქარხანაში „სტროპასჩიკად“. 1999 წლის 14 თებერვალს, საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, მან შრომის უნარი 80%-ით დაკარგა. აღნიშნულის საფუძველზე ვ.ფოლადაშვილი სმკ-4-დან, რომლის უფლებამონაცვლე ს/ს „ნაძალადევი“ იყო, იღებდა ყოველთვიურ სარჩოს 100 ლარის ოდენობით. 1999 წლის 4 აგვისტოს შემდგარ ს/ს „ნაძალადევის“ საერთო კრებაზე დადგინდა, რომ საზოგადოება ნატურით სამ იურიდიულ პირად გაიყოფოდა, ხოლო საწარმოო ტრავმირებულ პენსიონერთა გადანაწილების საკითხი გადაწყდებოდა კომპეტენტური კონსულტაციის მიღების შემდეგ, საწარმოო ნიშნისა და კანონმდებლობის ფარგლებში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ვ. ფოლადაშვილის სარჩელი სარჩოს 160 ლარამდე გაზრდის შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო იმავე სასამართლოს 2000 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ს/ს „ნაძალადევის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და 1999 წლის 10 ივნისის საერთო კრებამდე არსებული ს/ს „ნაძალადევი“ რიცხული 37 პენსიონერი, საწარმოო ნიშნის მიხედვით, გაიყო შემდეგი პროპორციით: ს/ს „ნაძალადევი“ მიეკუთვნა 17 პენსიონერი, ს/ს „რკინაბეტონს“ – 10 პენსიონერი, ხოლო შპს „დავით ბილდერს“ – 7 პენსიონერი. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2000 წლის 26 აპრილის წერილით ს/ს „ნაძალადევი“ ს/ს „რკინაბეტონს“ გაუგზავნა რვა პენსიონერის პირადი საქმე და შეატყობინა, რომ დარჩენილი ორი პენსიონერის – ვ.ფოლადაშვილისა და თ.ლომიძის საქმეები გადაეცემოდა მათთან სასამართლოს პროცესის დამთავრების შემდეგ. შემდგომში კი მოპასუხეს თ.ლომიძის საქმეც გაუგზავნა. 2000 წლის 27 სექტემბერს ს/ს „რკინაბეტონსმა“ მოითხოვა ს/ს „ნაძალადევისაგან“ მეათე პენსიონერის საქმის ერთი კვირის ვადაში გადაგზავნა, რაც, სასამართლო დავის მიმდინარეობის გამო, დროულად ვერ შესრულდა. შემდგომში კი მოპასუხემ ვ. ფოლადაშვილის სარჩოთი უზრუნველყოფაზე უარი განაცხადა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანი იყო, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ს/ს „რკინაბეტონს“ ს/ს „ნაძალადევის“ ათი პენსიონერი სარჩოთი უნდა უზრუნველყო. აღნიშნული იმ გარემოებამ განაპირობა, რომ პენსიონერებმა ტრავმა ს/ს „რკინაბეტონის“ კუთვნილებაში გადასულ საწარმოში მიიღეს. სააპელაციო პალატის მითითებით, დადგენილია, რომ ათი პენსიონერიდან დღეისათვის ს/ს „რკინაბეტონსში“ ირიცხება მხოლოდ ცხრა მათგანი. უდავოა, რომ ვ.ფოლადაშვილმა ტრავმა მიიღო მსხვილბლოკიანი ბინათმშენებლობის ქარხანაში, რომელიც დღეისათვის ს/ს „რკინაბეტონის“ შემადგენლობაში შედის.

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება ს/ს „რკინაბეტონის“ დირექტორმა გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორის განმარტებით, პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და განჩინების სამოტივაციო ნაწილში არ მიუთითა სამართლებრივ ნორმებზე, რომელთაც ეს განჩინება ეფუძნება. კასატორმა მიუთითა პალატის მიერ დადგენილ იმ გარემოებაზე, რომ ვ.ფოლადაშვილმა ტრავმა მიიღო სმკ-4-ში მუშაობისას, რისთვისაც ეს ორგანიზაცია მას უხდიდა ყოველთვიურ სარჩოს. კასატორის აზრით, მართალია, 1999 წლის 4 აგვისტოს კრების ოქმით ს/ს „ნაძალადევი“ გამოეყო ორი დამოუკიდებელი იურიდიული პირი და ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ პენსიონერთა გადანაწილება შემდეგში მოხდებოდა საწარმოო ნიშნისა და კანონმდებლობის ფარგლებში, თუმცა აღნიშნული შეთანხმება ვ. ფოლადაშვილისათვის სავალდებულო არ იყო, ვინაიდან მის მიმართ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ს/ს „ნაძალადევის“ მიმართ. ა. კასატორის განმარტებით, 2000 წლის 14 მარტის სასამართლო გადაწყვეტილებით ს/ს „რკინაბეტონს“ დაევალა ათი პენსიონერის პენსიით უზრუნველყოფა, მაგრამ,

კასატორის აზრით, გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომ მათ რიცხვში ვ.ფოლადაშვილიც შედიოდა. მხარის განმარტებით, აღნიშნული მინიშნებული ვერც იქნებოდა, რადგან ვ.ფოლადაშვილი საპენსიო უზრუნველყოფას ითხოვდა ს/ს „ნაძალადევისაგან“ და ამ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის უკვე გამოტანილი იყო 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება ს/ს „ნაძალადევის“ მიმართ ვ.ფოლადაშვილის პენსიით უზრუნველყოფის შესახებ. სააპელაციო პალატამ ზემოთ მითითებული გარემოებანი სწორად დაადგინა, მაგრამ არ მისცა სამართლებრივი შეფასება იმ ფაქტს, რომ კრედიტორი ვ.ფოლადიშვილი ს/ს „ნაძალადევის“ ვალის ს/ს „რკინაბეტონისათვის“ გადაკისრების წინააღმდეგია. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ს/ს „რკინაბეტონსა“ და ს/ს „ნაძალადევის“ შორის მიიღწეოდა შეთანხმება ს/ს „რკინაბეტონის“ მიერ ვ.ფოლადაშვილის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე გადაკისრება ნამდვილი არ იქნებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საკასაციო პრეტენზიას წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტობრივი გარემოების არასწორად დადგენა, კერძოდ, პალატის გადაწყვეტილებაში მითითებულია, თითქოს მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის, რომ ვ.ფოლადაშვილმა საწარმოო ტრავმა მიიღო დღეისათვის ს/ს „რკინაბეტონის“ კუთვნილ მსხვილბლოკიანი ბინათმშენებლობის ქარხანაში. აღნიშნულ მოსაზრებას კასატორი არ დაეთანხმა და განმარტა, რომ რკინაბეტონის ქარხანა იურიდიული პირი არასოდეს ყოფილა, არამედ შედიოდა სმკ-4-ის შემადგენლობაში, რომლის უფლებამონაცვლე ს/ს „ნაძალადევი“ გახდა. გაყოფის მომენტიდან დღემდე კი ეს ტერიტორია შპს „დავით ბილდერის“ საკუთრებაში იმყოფება. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ს/ს „ნაძალადევის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონის დარღვევას არა აქვს ადგილი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი: ვ. ფოლადაშვილი მუშაობდა სმკ-4-ის მსხვილბლოკიანი ბინათმშენებლობის ქარხანაში „სტროპასჩიკად“, რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ს/ს „ნაძალადევი“. 1999 წლის 14 თებერვალს, საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, მან შრომის უნარი 80%-ით დაკარგა, რის გამოც ვ.ფოლადაშვილი სმკ-4-დან იღებდა ყოველთვიურ სარჩოს. 1999 წლის 4 აგვისტოს შემდგარ ს/ს „ნაძალადევის“ აქციონერთა საერთო კრებაზე დადგინდა, რომ საზოგადოება ნატურით სამ იურიდიულ პირად გაიყოფოდა, ხოლო საწარმოო ტრავმირებულ პენსიონერთა გადანაწილების საკითხი გადაწყდებოდა კომპეტენტური კონსულტაციის მიღების შემდეგ საწარმოო ნიშნისა და კანონმდებლობის ფარგლებში. ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ვ. ფოლადაშვილის სარჩელი სს „ნაძალადევის“ მიმართ სარჩოს 160 ლარამდე გაზრდის შესახებ დაკმაყოფილდა. იმავე სასამართლოს 2000 წლის 14 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ს/ს „ნაძალადევის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და 1999 წლის 10 ივნისის საერთო კრებამდე არსებული ს/ს „ნაძალადევი“ რიცხული 37 პენსიონერი, საწარმოო ნიშნის მიხედვით, გაიყო შემდეგი სახით: ს/ს „ნაძალადევი“ მიეკუთვნა 17 პენსიონერი, ს/ს „რკინაბეტონს“ – 10 პენსიონერი, ხოლო შპს „დავით ბილდერს“ – 7 პენსიონერი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ასეთი პრეტენზია საკასაციო საჩივრით წარმოდგენილი არ არის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებებს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 317-ე პირველი ნაწილით ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო

გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. მოცემულ შემთხვევაში ს/ს „რკინაბეტონს“ ვალდებულება წარმოეშვა კანონიერ ძალაში შესული 2000 წლის 14 მარტის სასამართლო გადაწყვეტილებით. ამდენად, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს პენსიონერ ვფოლადაშვილისათვის დადგენილი თანხის გაცემა.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ვალის გადაკისრებას, ვინაიდან 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით ს/ს „ნაძალადევს“ დაეკისრა ვფოლადაშვილის პენსიით უზრუნველყოფა. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი, რომლის ძალითაც თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე.

მოცემულ შემთხვევაში მოვალის ვინაობა განისაზღვრა 2000 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების შემდეგ გამოტანილი ქობილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 14 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც ს/ს „ნაძალადევზე“ რიცხული 37 პენსიონერი გაიყო საწარმოო ნიშნით და ს/ს „ნაძალადევს“ მიეკუთვნა 17 პენსიონერი, ხოლო ს/ს „რკინაბეტონს“ – 10 პენსიონერი. პენსიონერთა ამ წესით გაყოფა დადასტურებულია თვით კასატორის მიერ. სს „რკინაბეტონის“ დირექტორის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მიცემული განმარტებით, იგი აღიარებს, რომ ქარხნის პენსიონერები წაიყვანა და რომ ვ. ფოლადაშვილი ქარხანაში მუშაობდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების მიმართ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ 2000 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომ მათთვის მიკუთვნებულ პენსიონერთა რიცხვში ვფოლადაშვილიც შედიოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაწყვეტილებით დადგინდა პენსიონერთა მხოლოდ საწარმოო ნიშნით რაოდენობრივად მიკუთვნების წესი, რითაც უნდა ეხელმძღვანელათ კონკრეტული პენსიონერების გადანაწილების დროს.

დაუსაბუთებელია კასატორის არგუმენტი, რომ, ვინაიდან სმკ-4 ტერიტორია გაყოფის დღიდან შედის შპს „დავით ბილდერის“ საკუთრებაში, ვფოლადაშვილის მიკუთვნებაც ამ იურიდიულ პირზე მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში პენსიონერთა განაწილების წესი განსაზღვრულია საწარმოო და არა ტერიტორიული ნიშნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევის გარეშეა მიღებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და დაადგინა:

ს/ს „რკინაბეტონის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა; კრების ოქმის ბათილობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-876-1103-04

10 დეკემბერი, 2004 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. კობახიძე

სარჩელის საგანი: წარმომადგენელთა კრების დადგენილების ნაწილობრივ გაუქმება და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე აღდგენა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ა. აბრამიშვილმა სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხე კოოპერატივის თავმჯდომარის თანამდებობაზე აღდგენა. მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით დამატებით მოითხოვა საჩხერის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის 2003 წლის 23 სექტემბრის წარმომადგენელთა კრების ოქმის (დადგენილების) იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც ის გათავისუფლებულ იქნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან უნდობლობის გამო.

მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელე თანამდებობიდან დაითხოვეს კანონის შესაბამისად.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. აბრამიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა წარმომადგენელთა კრების 2003 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვა რაიკოოპერატივის სარევიზიო კომისიის 2002 წლის 27 ნოემბრის №1 ოქმი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ა. აბრამიშვილის არჩევის შესახებ და ა. აბრამიშვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან უნდობლობის მოტივით. მოსარჩელე აღდგენილ იქნა კოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხე კოოპერატივი რეგისტრირებულია 1997 წლის 4 დეკემბერს. 2002 წლის 27 ნოემბერს კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების მიერ არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია ა. აბრამიშვილის, მ. მეცხვარიშვილისა და ა. ენუქიძის შემადგენლობით. იმავე დღეს სარევიზიო კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ა. აბრამიშვილი. ეს გადაწყვეტილება რეგისტრირებულ იქნა სამეწარმეო რეესტრში 2003 წლის 11 თებერვალს. „ცეკავშირის“ გამგეობის 2003 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით საჩხერის სამომხმარებლო კოოპერატივის სარევიზიო კომისიის მუშაობა წლის დასაწყისიდან შეფასდა არადაკმაყოფილებლად და საჩხერის რაიკოოპერატივს დაევალა წარმომადგენელთა კრების მოწვევა გამოვლენილი დარღვევების განხილვისა და სარეორგანიზაციო, საკადრო ცვლილებების განხილვისათვის. ამ დადგენილებას საფუძველად დაედო 2003 წლის 1 ივნისის აქტი საჩხერის რაიკოოპერატივის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და ადგილობრივი სარევიზიო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესწავლის, აგრეთვე, გაყიდული ობიექტების კანონიერების დადგენის შესახებ. კოოპერატივის გამგეობამ 2003 წლის 12 სექტემბერს დაადგინა კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების ჩატარება 2003 წლის 23 სექტემბრისათვის შემდეგი დღის წესრიგით: 1. ახალი წესდების დამტკიცება, 2. ცეკავშირის გამგეობის 2003 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით მიმდინარე წლის 6 თვის ჩატარებული შემოწმების შედეგები, საკადრო და სარეორგანიზაციო საკითხების განხილვის შესახებ. ამ კრების ჩატარების თარიღი წარმომადგენლებს ეცნობათ 7 დღით ადრე. 2003 წლის 23 აპრილს წარმომადგენელთა კრებას ესწრებოდა 54 წარმომადგენელი და კრება, წესდების 6.2.5 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებაუნარიანი იყო. კრების №1 ოქმის თანახმად, დამტკიცდა დღის წესრიგი იმ სახით, როგორც ეს წინასწარ იყო განცხადებული. მე-2 საკითხის განხილვის შემდეგ, სარევიზიო კომისიის მუშაობა შეფასდა არადაკმაყოფილებლად, რის შემდეგაც კომისიის წევრებმა – ენუქიძემ და მეცხვარიშვილმა განცხადებით მიმართეს კრებას და მოითხოვეს უფლებამოსილების მოხსნა. მოსარჩელის სარევიზიო კომისიის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ შეტანილა და არც კენჭისყრისათვის მოუშვა დებიტით. კრებამ ძალადაკარგულად ჩათვა რაიკოოპერატივის სარევიზიო კომისიის 2002 წლის 27 ნოემბრის №1 ოქმი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აბრამიშვილის არჩევის შესახებ და, უნდობლობის მოტივით იგი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულით დაირღვა „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი, წესდების 6.4.2 მუხლი, სარევიზიო კომისიის დებულება და შრომის კანონთა კოდექსის 135¹-ე მუხლი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები და დადგინდა, რომ ა. აბრამიშვილის გათავისუფლება მოხდა, როგორც სამომხმარებლო კოოპერატივის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ისე სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მოქმედი წესების დარღვევით, კერძოდ, „სამომხმარებლო კოოპერაციის“ კანონის მე-5 მუხლის I პუნქტის, მე-10 მუხლის მე-11 პუნქტის, წესდების 6.4.3 პუნქტისა და სარევიზიო კომისიის დებულების მე-4 პუნქტის თანახმად სასამართლომ მიიჩნია, რომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებით აღჭურვილია მხოლოდ სარევიზიო კომისია, ხოლო წარმომადგენელთა კრებას, წესდების 6.2.2 პუნქტების საფუძველზე, შეუძლია აღნიშნული უფლებით ისარგებლოს მხოლოდ წესდების მოთხოვნათა დარღვევისას.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე კოოპერატივის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ დაირღვა წესდების პირველი, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-15 მუხლების მოთხოვნები, რაც გამოიხატა იმაში, რომ ა. აბრამიშვილმა გამგეობიდან გამოითხოვა დოკუმენტები მაშინ, როცა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი კოოპერატივში არსებულ ყველა დოკუმენტზე. ასევე, ა. აბრამიშვილი კოოპერატივის გამგეობას უჩიოდა პროკურატურასა და ცეკავშირში. სააპელაციო პალატამ აღნიშნული გარემოებები არ მიიჩნია წესდების მოთხოვნათა დარღვევად, რადგან ჩათვალა, რომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, მართალია, უფლებამოსილია, შეამოწმოს კოოპერატივის ყველა საჭირო დოკუმენტი, მაგრამ აღნიშნული არ უკრძალავს მას, გამგეობისაგან გამოითხოვოს. რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ უფლებამოსილებით სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე აღჭურვილია როგორც შესაბამისი დებულებით, ისე – მოქმედი კანონმდებლობით. სააპელაციო პალატამ ასევე დადგინდა, რომ კრების დღის წესრიგში არ ყოფილა შეტანილი მოსარჩელის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც მოპასუხის წარმომადგენელმაც დაადასტურა. აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება ნიშნავს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ სარევიზიო კომისიის 27.11 2002 წლის №1 ოქმის ძალადაკარგულად ცნობას. სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან ასეთი საფუძველით სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილების წარმომადგენელთა კრების მიერ ძალადაკარგულად გამოცხადებას არ ითვალისწინებს არც წესდება, არც კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ და არც სარევიზიო კომისიის დებულება. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია და 2004 წლის 25 მაისის განჩინებით მოპასუხეს უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სამართლებრივ საფუძველად სასამართლომ გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 63.8 მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები. წარმომადგენელთა კრებამ სარევიზიო კომისიის მუშაობა შეაფასა არადაკმაყოფილებლად, ორმა წევრმა პირადი განცხადების საფუძველზე მოიხსნა უფლებამოსილება, ე.ი. ფაქტობრივად სარევიზიო კომისია აღარ არსებობდა. იმ წევრებმა, რომლებმაც აირჩიეს მოსარჩელე თავმჯდომარედ, აღარ არიან სარევიზიო კომისიის წევრები. აქედან გამომდინარე, კასატორის აზრით, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ მოსარჩელის არჩევის შესახებ 2002 წლის 27 ნოემბრის სარევიზიო კომისიის სხდომის ოქმმა დაკარგა ძალა. აღნიშნულის გამო წარმომადგენელთა კრება იძულებული გახდა, მისთვის მოეხსნა უფლებამოსილება. კასატორის აზრით, მოსარჩელეს უფლებამოსილება მოეხსნა კანონიერად. წარმომადგენელთა კრებას ჰქონდა უფლება, წესდების 6.1 მუხლის „ტ“ პუნქტის საფუძველზე, დაეყენებინა ა. აბრამიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის განჩინებით დადგინდა, რომ ა. აბრამიშვილის გათავისუფლება მოხდა როგორც სამომხმარებლო კოოპერატივის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ისე – სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მოქმედი წესების

დარღვევით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა სასამართლოსათვის. კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული და დამატებითი საკასაციო პრეტენზია. კასატორი არ მიუთითებს რაიმე ისეთ გარემოებასა და მტკიცებულებაზე, რაც სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა განხილული და რაც გამორიცხავდა დადგენილ გარემოებებს.

დადგენილია, რომ 2002 წლის 27 ნოემბერს საჩხერის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის სარევიზიო კომისიამ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ა. აბრამიშვილი. ამავე კოოპერატივის 2003 წლის 23 სექტემბრის წარმომადგენელთა კრებამ ძალადაკარგულად ჩათვალა სარევიზიო კომისიის 2002 წლის 27 ნოემბრის სხდომის ოქმი, რომლითაც თავმჯდომარედ არჩეული იყო მოსარჩელე. აღნიშნული ოქმის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველად, კასატორი მიუთითებს 2003 წლის 23 სექტემბრის წარმომადგენელთა კრებაზე სარევიზიო კომისიის წევრების მიერ უფლებამოსილების მოხსნას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის არჩევიდან ერთი წლის შემდეგ, ამავე კომისიის წევრების მიერ ნებაყოფლობით უფლებამოსილების მოხსნა არ ნიშნავს, რომ უფლებამოსილება მოეხსნა ა. აბრამიშვილსაც. ასევე აღნიშნული გარემოება არ მიუთითებს იმაზე, რომ 2002 წლის 27 ნოემბერს ა. აბრამიშვილი კანონის მოთხოვნათა დარღვევით არჩულ იქნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. ორი წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნა ავტომატურად ვერ გამოიწვევდა ა. აბრამიშვილის უფლებამოსილების მოხსნას. ამასთან, თავად კასატორი ვერ მიუთითებს იმ სამართლებრივ საფუძველზე, რომლითაც ძალა დაკარგა 2002 წლის 27 ნოემბრის სარევიზიო კომისიის სხდომის ოქმი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად სრულად და ობიექტურად განიხილა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც გამოიჭანა სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელე დათხოვნილ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საჩხერის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენლის – დ. ცუცქირიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 25 მაისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საწარმოო ტრავმა; სარჩო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1287-1418-04

21 დეკემბერი, 2004 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),

მ. ცისკაძე (მომხსენებელი),

ქ. გაბელაია

დავის საგანი: მარჩენალის დაღუპვის გამო სარჩოს დაკისრება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ა. კვინიკაძის მეუღლე მ. ბედნოვი მუშაობდა რკინიგზის ხაშურის ელექტრომომარაგების მე-3 უბანში ელექტრომონტიორად. მან 1958 წელს სამუშაოს შესრულებისას მიიღო საწარმოო ტრამვა, სახირობის შედეგად დაკარგა ორივე ხელი და პირველი ჯგუფის ინვალიდი გახდა. მ.ბედნოვს საწარმო უხდოდა სარჩოს. მ. ბედნოვი გარდაიცვალა 1989 წელს. ა. კვინიკაძემ 2003 წლის მაისში სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ და მოითხოვა მარჩენალის დაღუპვის გამო სარჩოს დაკისრება მოპასუხე ორგანიზაციისათვის. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მეუღლე გარდაიცვალა წარმოებაში მიღებული ტრამვისაგან, მას მარჩენალის დაკარგვის გამო მოპასუხისაგან ეკუთვნის 1995 წლიდან სარჩო ელექტრომონტიორის საშუალო ხელფასის 239 ლარის ოდენობით.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ა. კვინიკაძის სარჩელი უსაფუძვლობის გამო. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულშია იმით, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა მ. ბედნოვის გარდაცვალების მიზეზის კავშირი საწარმოო ტრამვასთან საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 35-ე პუნქტის შესაბამისად.

ა. კვინიკაძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა.კვინიკაძის სააპელაციო საჩივარი; უცვლელი დარჩა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელის მეუღლე მ. ბედნოვა 1958 წლის აგვისტოში საწარმოო ტრამვის შედეგად დაკარგა პროფესიული შრომის უნარი 100%-ით და დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა ნ.ბედნოვი გარდაიცვალა 1989 წლის 31 ივლისს და მისი გარდაცვალების მიზეზია ათეროსკლეროზი – კარდიოსკლეროზი, გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა.

მოცემულ საქმეზე დანიშნული ექსპერტიზის დასკვნით სავარაუდოა, რომ ნ.ბედნოვის გარდაცვალება დაკავშირებულია 1958 წელს საწარმოო ტრამვით მიყენებულ სხეულის დაზიანებასთან, სააპელაციო პალატის მიერ დანიშნულმა ექსპერტიზამ მასალები უკან დააბრუნა ექსპერტიზის ჩაუტარებლად იმ მოტივით, რომ გვამის გამოკვლევის გარეშე სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებელია, ამის გარეშე კი ექსპერტიზას არ შეუძლია მსჯელობა მის კავშირზე 1958 წელს მიღებულ საწარმოო ტრამვასთან. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ექსპერტიზის სავარაუდო დასკვნა არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმის დასადგენად, რომ მ.ბედნოვის გარდაცვალების მიზეზი გახდა 31 წლის უკან მიღებული ტრამვა.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-4 თავი, რომელიც განსაზღვრავს მარჩენალის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების წესსა და პირობებს; ამ თავის შესაბამისად მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანი ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვალების მიზეზი გახდა ორგანიზაციაში მიღებული ტრამვა.

ა. კვინიკაძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის განჩინებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. მისი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია იმით, რომ მოპასუხე ორგანიზაცია მის მეუღლეს საწარმოო ტრამვის გამო პენსიას უხდოდა ხელფასის 100%-ის ოდენობით; კასატორი მეორე ჯგუფის ინვალიდია და იგი იმყოფებოდა მეუღლის კმაყოფაზე. 1989 წელს მისი მეუღლე გარდაიცვალა საწარმო ტრამვით გამოწვეული მიზეზით. ექსპერტიზის დასკვნაში გარდაცვალების მიზეზი მითითებულია ათეროსკლეროზი; ათეროსკლეროზი კი გამოწვეულია ხანგრძლივი ფსიქოემოციური დატვირთვებით და არარაციონალური კვებით, რაც მ.ბედნოვას ტრამვის მიღებიდან 31 წელი აწუხებდა, ყოველივე ამან გამოიწვია მისი გარდაცვალება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ა.კვინიკაძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. ბედნოვი გარდაიცვალა 1989 წლის 31 ივლისს; მისი გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა ათეროსკლეროზი, კარდიოსკლეროზი,

გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. მბედნოვის გარდაცვალების მიზეზი დაკავშირებული იყო თუ არა 1958 წელს მიყენებულ საწარმოო ტრამვასთან, ამ საკითხის დასადგენად რაიონულმა სასამართლომ დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა. საქმეში მოცემულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის 2003 წლის 2 დეკემბრის №352 ცნობა. მასში მითითებულია, რომ მ. ბედნოვის ამბულატორიული ავადმყოფობის ბარათის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის სამედიცინო საქმის არარსებობის გამო მის მიერ მიღებულ საწარმოო ტრამვასა და გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით არ შეიძლება კატეგორიული მსჯელობა. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გამოძინარე იქიდან, რომ ათეროსკლეროზის ძირითადი გამომწვევი მიზეზია ხანგრძლივი ფსიქოემოციური დატვირთვები და ასევე არარაციონალური კვება, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში განპირობებულია მოქალაქის თვითმომსახურების მესამე ხარისხის მოშლით (თვითმომსახურების შეუძლებლობა და სრული დამოკიდებულება სხვა პირთა დახმარებაზე), დეპარტამენტმა სავარაუდოდ მიიჩნია, რომ მბედნოვის გარდაცვალება დაკავშირებულია მის მიერ საწარმოო ტრამვით მიყენებულ სხეულის დაზიანებასთან. სააპელაციო პალატამ ექსპერტიზის ზემოაღნიშნული სავარაუდო დასკვნა არ მიიჩნია იმის საკმარის მტკიცებულებად, რომ მბედნოვის გარდაცვალების მიზეზი გახდა 31 წლის წინათ მიღებული ტრამვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო პალატა თვლის, რომ აკვინიკაძეს მისი მეუღლის გარდაცვალების მიზეზსა და 1959 წელს მიღებულ საწარმოო ტრამვას შორის კავშირის დადასტურების შესახებ დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების IV თავი აწესრიგებს მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის ანაზღაურების წესს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვალების მიზეზი გახდა ორგანიზაციაში მიღებული ტრამვა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა ზემოაღნიშნული ბრძანებულება და მიუთითა, რომ მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანი ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვალების მიზეზი გახდა ორგანიზაციაში მიღებული ტრამვა. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება კი მოსარჩელის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამ ნორმის მოთხოვნაა, რომ თითოეულმა მხარემ დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატას მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. კვინიკაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 სექტემბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
თ. კობახიძე (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

თ. კუბლაშვილი მუშაობდა სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ ფილიალის „ქუთაისის ელექტროკავშირის“ №6 ატეესში მოლარე ოპერატორად.

2003 წლის 16 იანვარს თინა კუბლაშვილი საწარმოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან.

თ. კუბლაშვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ და ფილიალ „ქუთაისის ელექტროკავშირის“ მიმართ სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

მოსარჩელემ მოთხოვნის საფუძველად მიუთითა, რომ სამუშაოს სტაჟის და კვალიფიკაციის გათვალისწინებით მას გააჩნდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თ. კუბლაშვილმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩვრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 18 ივლისის განჩინებით გასაჩვირებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი კვლავ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა თ. კუბლაშვილის სააპელაციო საჩვიარი და გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საკასაციო საჩვირით თ. კუბლაშვილი ითხოვს სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმებას, იმ საფუძველით, რომ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამუშაოზე დარჩენის მისი უპირატესი უფლება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩვირის საფუძველებს და თვლის, რომ სააპელაციო პალატის განჩინება დატოვებული უნდა იქნეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თ. კუბლაშვილი მუშაობდა სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ ფილიალის „ქუთაისის ელექტროკავშირის“ №6 ატეესში მოლარე ოპერატორად.

თ. კუბლაშვილის სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველი გახდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც გაუქმდა მის მიერ დაკავებული მოლარე ოპერატორის საშტატო ერთეული.

რეორგანიზაციის შედეგად არ გაუქმებულა ანგარიშსწორების ჯგუფში მომუშავე მოლარე ოპერატორთა საშტატო ერთეულები.

საფუძველს მოკლებულია კასატორის მტკიცება, რომ მას გააჩნდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება, რადგან დარჩენილი მოლარე ოპერატორები მუშაობენ საწარმოს სხვა სტრუქტურულ ერთეულში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად არსებობდა თინა კუბლაშვილის სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

თ. კუბლაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ას-1052-1279-04

27 დეკემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. კობახიძე

სარჩელის საგანი – იძულებითი მოცდენის, კომპენსაციისა და მე-13 ხელფასის ანაზღაურება

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

მ.მარაქველიძემ, მ.ნავროზაშვილმა, მ.წიწრიაშვილმა, ლ.ჯოხაძემ და სხვებმა, სულ 250-მა აქციონერმა აღძრა სარჩელი სს „მაუდის“ და ა.პატარკაციშვილის მიმართ. სარჩელში აღნიშნულია შემდეგი:

1998 წლის 10 ივნისს საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და სს „ლოგოვაზს“ შორის დაიდო ხელშეკრულება აქციათა პაკეტის 10 000 აშშ დოლარად ყიდვა-გაყიდვის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების დადების საფუძველი იყო ის გარემოება, რომ წინასწარ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, 1998 წლის 20 თებერვლის ქონების მართვის სამინისტროს განკარგულების შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებულ იქნა სს „ლოგოვაზის“ მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა, რომლის მიხედვით, მყიდველმა იკისრა ვალდებულება, 5 წლის განმავლობაში საწარმოში დაებანდებინა 6 მილიონი ლარის ინვესტიციას, ასევე, ჯერ „ლოგოვაზმა“ და შემდგომში ა. პატარკაციშვილმა იკისრეს ვალდებულება, რომ საწარმოში წლების მიხედვით დასაქმდებოდა: 1998 წელს – 400; 1999 წელს – 870; 2000 წელს – 970 მუშაკი.

2001 წელს დასაქმდებოდა 1030 თანამშრომელი, თანამშრომელთა ამ რაოდენობაში იგულისხმებიან მუშა-მოსამსახურეები და არა ადმინისტრაციის მუშაკები, სულ 2002 წლის ბოლოსათვის ადმინისტრაციული აპარატის ჩათვლით უნდა დასაქმებულიყო 2220 თანამშრომელი. აღნიშნული ვალდებულება მოპასუხემ არ შეასრულა, პირიქით, მუშა-მოსამსახურეები გაუშვეს უხელფასო შვებულებაში განუსაზღვრელი ვადით და ისინი 1998 წლიდან დღემდე იმყოფებიან უხელფასო შვებულებაში.

სს „ლოგოვაზმა“ სახელმწიფოსაგან „მაუდის“ ხმის უფლების მქონე 2.231.331 ჩვეულებრივ აქციაში (ნომინალური ღირებულება – 1, აქცია – 1 ლარი) მხოლოდ 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადაიხადა (ნაცვლად 2.231.331 ლარისა), აგრეთვე, ხელშეკრულების 3.18 პუნქტის მიხედვით, აქციონერებს მოსპობილი აქვთ დივიდენდების მიღების უფლება, თანამოპასუხემ მოპასუხის ხელშეწყობითა და დაუდევრობით სხვადასხვა საკრედიტო-საფინანსო მანიპულაციების მეშვეობით თავი აარიდა ნაკისრი 6 მილიონი ლარის ინვესტიციას.

აღნიშნულ გარემოებათა შესახებ მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა 2003 წლის ივნისში ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 25.06.2003 წ. №01/02-05/57 პასუხისა და თვის დასაწყისში „მაუდის“ ადმინისტრაციისაგან კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე მიღებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ასლისა და სხვა დოკუმენტაციების გაცნობის შემდეგ.

მიუხედავად მყიდველის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისა, ქონების მართვის სამინისტრომ არ გამოიყენა ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული საჯარო სანქცია და მან არ დააყენა საკითხი გარიგების ცალმხრივად მოშლის შესახებ. საინვესტიციო პროგრამის – ბიზნეს-გეგმის განუხორციელებლობის გამო ვერ მიიღეს შემოსავლები, რაც გამოწვეული იყო მათი უხელფასო შვებულებაში უკანონოდ გაშვებით.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ ა.პატარაკაციშვილმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, არ იქნა შენარჩუნებული „მაუდში“ დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა და პროფილი.

სს „მაუდმა“ 1994 წლის საფინანსო სამეურნეო საქმიანობიდან მიიღო მოგება 289,5 მილიონი კუპონი, ანუ 289,880 ლარი, რომლის 60% – 120000 ლარი პრემიის სახით გადაეცა მუშა-მოსამსახურეებს დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით. აღნიშნული ვალდებულება დღემდე არ არის შესრულებული მაუდის ხელმძღვანელობის მიერ, რის გამოც დღემდე ადგებათ მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატება, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით, ისე მოსარჩელების იძულებით, უკანონოდ უხელფასო შვებულებაში გაშვებით. აღნიშნული ქმედებებით დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ: ს.კ-ის 316-ე, 317-ი ნაწ., 325-ე, 349-ე, 350-ე, 361-ე, 394-ის I ნაწ., 397-ე, მე-400, 411-ე და საქართველოს შრომის სკ-ის 74-ე მუხლის მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს:

1. დაეკისროს სს „მაუდს“ მოსარჩელეთა სასარგებლოდ იძულებითი მოცდენის ანაზღაურება 1 526 374 ლარის ოდენობით საქართველოს შრომის სკ-ის 207-ე მუხლის თანახმად;
2. დაეკისროს ფიზიკურ პირს, ა.პატარაკაციშვილს, მოსარჩელეთა სასარგებლოდ კომპენსაციის სახით 613 075 ლარის გადახდა;
3. დაეკისროს სს „მაუდს“ მოსარჩელეთა სასარგებლოდ ე.წ. მე-13 ხელფასის პრემიის გადახდა 128000 ლარის ოდენობით საქართველოს ს.კ-ის 316-ე, 317-ე მუხლის პირველი ნაწილის, 397-ე, 400, 411-ე მუხლების შესაბამისად;

მოსარჩელებმა დამატებით შემოიტანეს დაზუსტებული სარჩელი, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

სასამართლოს მიერ სს „მაუდიდან“ გამოთხოვილი საბუღალტრო-საკადრო დოკუმენტაციის მონაცემების საფუძველზე მოსარჩელეთა მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა სს „მაუდზე“ დასაკისრებელი თანხის თითოეულ მოსარჩელზე განაწილებული სქემა.

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 53.4 პუნქტის მეორე აბზაცის მიხედვით, დომინანტი აქციონერის, ფიზიკური პირის – ა.პატარაკაციშვილის მიერ გასაცემი კომპენსაციის თანხის დაანგარიშებისას, მოსარჩელეთა წარმომადგენლის განმარტებით, გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები: ვინაიდან თავისი არსით კომპენსაცია გულისხმობს გარკვეული მატერიალური ზიანის თანხობრივ ნაცვალგებას, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოსარჩელეთა მატერიალურ ზიანთან მიუღებელი შემოსავლის სახით, რაც საინვესტიციო ხელშეკრულების სავალდებულო პირობების განსაზღვრისას მთავარ და ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება პირობადადებულ გარიგებას და არა თავისუფალ სამეწარმეო საქმიანობას პირდაპირი გაგებით. აქედან გამომდინარე, როდესაც სარჩელში საუბარია მიუღებელ დივიდენდებზე, იგი გაგებულ უნდა იქნეს მიუღებელი შემოსავლის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაანგარიშების კრიტერიუმიდან. იძულებითი მოცდენისა და პრემიის თანხების ოდენობა დაზუსტებულ სარჩელში მოცემულია ცალ-ცალკე თითოეულ მოსარჩელეზე, რომლის ჯამში, მოსარჩელეთა განმარტებით, იძულებითი მოცდენის ნაწილში შეადგენს 1.831.620 ლარს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შესაგებელში აღნიშნეს შემდეგი: მოსარჩელეთა განცხადებით, მოპასუხე ა.პატარაკაციშვილმა სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო მანიპულაციების მეშვეობით თავი აარიდა ნაკისრი 6000000 ლარის ინვესტიციას, რაც, მათი აზრით, წარმოადგენს სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობას, რამდენადაც ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6000000 ლარისა, მყიდველის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციამ საინვესტიციო პერიოდის დამთავრებისათვის შეადგინა 7000000 ლარამდე, რაც ღვინდება სს

„საწარმოო გაერთიანება მაუდის“ საბუღალტრო დოკუმენტაციით. მოსარჩელები დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში მიუთითებენ, რომ მყიდველის მიერ ზემოთ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა დასტურდება კონტროლის პალატის 2001 წლის 19 ოქტომბრის შემოწმების აქტით, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც ჯერ კიდევ აქტის შედგენის დროს, 2001 წლის 19 ოქტომბერს, კონტროლის პალატამ დაადასტურა, რომ 2001 წლის 15 ოქტომბრისათვის მყიდველის მიერ დამატებით შემოტანილი ინვესტიციების თანხამ შეადგინა 5756459 ლარი, რის შემდეგაც დღემდე მიმდინარეობს საწარმოს ინვესტირება, ხოლო რაც შეეხება სს „მაუდის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებს – საზოგადოება არსებულ დავალიანებებს ეტაპობრივად ფარავს.

„მაუდისათვის“ ძირითადი პროფილის შენარჩუნებისა და თანამშრომელთა რაოდენობის 1000 ერთეულამდე გაზრდის საკითხზე არსებული ობიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ 2001 წლის 10 აგვისტოს მოპასუხეებმა თხოვნით მიმართეს ქონების მართვის სამინისტროს, რათა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1000 ერთეულამდე თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა შეცვლილიყო 500 ერთეულით, რაც დაკმაყოფილებული არ ყოფილა.

მოპასუხეთა აზრით, ამ შემთხვევაში მოსარჩელები ვერ ასაბუთებენ, თუ რატომ ითვლება საზოგადოების მიერ საწარმოო აუცილებლობისათვის გაწეული მივლინებებისა და საზღვარგარეთ გახსნილი წარმომადგენლობების ხარჯები არამიზნობრივად.

ასევე გაურკვეველია მოსარჩელების პოზიცია, თუ რაში გამოიხატება აპატარკაციის განზრახვა, გამოეყენებინა თავისი დომინანტური მდგომარეობა სს „მაუდის“ ინტერესების საზიანოდ, გაურკვეველობას ქმნის ის ფაქტიც, რომ მოსარჩელები ჯერ კიდევ 1996 წლის 1 სექტემბერს საწარმოს იმჟამინდელ პრეზიდენტს – ომარ თეთრაშვილსა და სს „მაუდის“ შორის დადებული სესხის ხელშეკრულების (წლიური 6%-იანი სარგებლით) დადებასა და შესრულებას აკავშირებენ იმ ფაქტთან, რომ 1998 წლის 24 ივლისს აპატარკაციის მიხედვით გახდა სს „მაუდის“ აქციათა მფლობელი და ამგვარად ზიანი მიაყენა „მაუდს“.

მოსარჩელეთა ერთ-ერთ პრეტენზიას წარმოადგენს უხელფასო შვებულებაში მყოფი თანამშრომლებისათვის იძულებითი მოცდენის ანაზღაურება საერთო თანხით – 1,526,374 ლარის.

სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილშიც მოსარჩელები არასწორად აღნიშნავენ, რომ დადგენილი მინიმალური შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 120 ლარით, რამდენადაც დღეისათვის მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულების შესაბამისად, ხელფასის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 20 ლარით, ხოლო მითითებულ თარიღამდე მინიმალური ხელფასის ოდენობა განისაზღვრებოდა 1,5 ლარით. გარდა ამისა, შრომის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ, მიმართონ შრომის დავის კომისიას სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლების დარღვევის შესახებ. იგივე ვადა გამოიყენება სასამართლოში მიმართვის დროსაც. მოცემულ შემთხვევაში, გაუშვეს რა უხელფასოდ შვებულებაში, ჯერ კიდევ 1997 წელს, ანუ საწარმოს აქციების ყიდვა-გაყიდვამდე, მოსარჩელებმა იმ თავითვე იცოდნენ, რომ დაირღვა მათი უფლება იძულებით მოცდენის ანაზღაურებაზე. უხელფასო შვებულებაში გაშვების მომენტიდან სამი თვის განმავლობაში ისინი უფლებამოსილი იყვნენ, მიემართათ შრომის დავის კომისიის ან სასამართლოსათვის, რაც არ გაუკეთებიათ და რითაც გაუშვეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

მოპასუხეები ყურადღებას ამახვილებენ მოსარჩელეთა მოთხოვნაზე, დაეკისროს ფიზიკურ პირს, აპატარკაციის მიხედვით, მოსარჩელეთა სასარგებლოდ დივიდენდის სახით კომპენსაციის გადახდა. მოთხოვნის ამ ნაწილში აპატარკაციის მიხედვით არასათანადო მოპასუხეა, რადგანაც აქციონერს კანონით არ ეკისრება დივიდენდის გაცემის ვალდებულება. აქციონერის ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს, განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციების მისაღებად, აპატარკაციის მიხედვით დადგენილი ვალდებულება, საპრივატიზაციო პერიოდში განხორციელებინა 600000 ლარის ინვესტიცია საწარმოში, რაც მან შეასრულა და ამით აქციონერის ვალდებულება საწარმოს წინაშე ამ ნაწილში ამოიწურა.

მეწარმეთა შესახებ კანონის 54.6-ე ქვეპუნქტის თანახმად, საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას წმინდა მოგების გამოყენების შესახებ. ამავე კანონის 57.1 მუხლის თანახმად, საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წლის მოგება დარჩეს საწარმოში. კანონის ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, აქციონერს დივიდენდზე უფლება წარმოეშება, თუ: სამეურნეო შედეგების მიხედვით, საწარმოს დარჩა მოგება; საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება

დივიდენდის გაცემის შესახებ. ამდენად, ამ შემთხვევაში არ არსებობს დივიდენდზე მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძველი წმინდა მოგების არარსებობის გამო.

მოსარჩელეთა მოთხოვნა 1994 წლის საფინანსო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების 60%-ის პრემიის სახით მუშა-მოსამსახურეებზე 128 000 ლარის განაწილების შესახებ ხანდაზმულია და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე მითითება არ წარმოადგენს მოცემულ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტილად ჩათვლის საფუძველს.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სს „მაულის“ აქციონერთა სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი გარემოებების გამო:

1) საქართველოს პრეზიდენტის 1998წ. 20 თებერვლის №43 განკარგულების შესაბამისად ჩატარებული კონკურსის საფუძველზე საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და კონკურსში გამარჯვებულ (დახურული ტიპის) სს „ლოგოვაზს“ შორის 1998 წ. 10 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება სს „მაულის“ აქციათა პაკეტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. სს „მაულის“ აქციათა პაკეტის (94,98%. 2.231.335 აქცია) გაყიდვა განხორციელდა 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, საკონკურსო პირობებად განისაზღვრა ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, სს „მაულის“ ძირითადი პროფილის შენარჩუნება და ტექნოლოგიური ციკლის შეკვრის მიზნით, მისი შემდგომი გაფართოება, 1998-2002 წლების განმავლობაში საწარმოს ტექნოლოგიური გადაიარაღებისა და საბრუნავი საშუალებების შესავსებად არანაკლებ 6 მილიონი ლარით ინვესტირება ყოველ წლიურად თანაბარი პროპორციით, რაც საწარმოს რეაბილიტაციისათვის გადაუღებელ ღონისძიებებთან ერთად უნდა მოხმარებოდა საბიუჯეტო ვალდებულებების გადახდას, იქ დასაქმებულ მუშა-აქციონერთა სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და გაზრდას 1000 ერთეულამდე;

2) სს „ლოგოვაზის“ დირექტორთა საბჭოს 1998 წ. 19 ივნისის სხდომის ოქმის დადგენილებით სს „მაულის“ აქციათა პაკეტი შეისყიდა ა.პატარაკაციშვილმა და მანვე ივალდებულა სს „ლოგოვაზის“ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება, გამომდინარე ქონების მართვის სამინისტროსა და სს „ლოგოვაზს“ შორის 1998 წ. 10 ივნისის დადებული ხელშეკრულებიდან.

3. სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით, პრივატიზების შესახებ დებულების მე-7 პუნქტის შესაბამისად, კომერციულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება;

კონკურსში მონაწილეობა მიიღო რა სს „ლოგოვაზმა“, ამით მან ივალდებულა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კომერციული კონკურსის პირობების უპირობო შესრულება. კონკურსის შესახებ განცხადების „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე განცხადების „ბ“ ქვეპუნქტით მყიდველს (სს „ლოგოვაზი“) წარმოდგენილი აქვს წინადადებები ბიზნეს – გეგმის სახით, რაც ასევე აუცილებელი პირობაა კონკურსში გამარჯვებისათვის. საქმეში წარმოდგენილ ბიზნეს – გეგმაში, რომელიც დამოწმებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბეჭდით, საუბარია სს „მაულის“ საწარმოო პერსონალის რაოდენობაზე, რაც აუცილებელია დასახულ საწარმოო სიმძლავრეებზე გასასვლელად, კერძოდ, 1997 წლის IV კვარტალში და 1998 წელს – 400 კაცი, 1999 წ. 870, 2000 წ. 970, 2001 წელს – 1050 და 2002 წელს – 1100 კაცი, ხოლო ადმინისტრაციის პერსონალის რაოდენობა გათვალისწინებული იყო შესაბამისად – 76, 98, 108, 117 და 120 თანამშრომელი. იქვე მოცემულია ხელფასის რეალური ზრდის შესახებ: 1998 წ. – 40%, 1999 წ. 35%, 2000 წ. 25% 2001 წ. 15%, 2002 წ. 5% და პრემია ერთი თვის ხელფასის ოდენობით. მოსარჩელებმა სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით მოითხოვეს თვეში მინიმალური ხელფასი 120 ლარის ოდენობით. მმარაქველიმემ, მნავროზაშვილმა და ლ.ჯოხაძემ თვითოეულმა 8760 ლარი, მ.წიწრიაშვილმა – 7320 ლარი და ა.შ. სულ – 250-მა აქციონერმა;

4. წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, სს „ლოგოვაზსა“ და ქონების მართვის სამინისტროს შორის დადებულ ხელშეკრულებაში მყიდველმა გასცა გარანტია, რომ საინვესტიციო პერიოდის დასრულების თარიღამდე იგი შეინარჩუნებდა „მაულის“ ძირითად პროფილს, შეინარჩუნებდა, ასევე, „მაუდში“ დასაქმებულთა რაოდენობას და გარიგების დასრულებიდან ხუთი წლის განმავლობაში მათ რაოდენობას გაზრდიდა 1000 ერთეულამდე, ამასთან, იზრუნებდა მაუდის ბალანსზე რიცხვული სოციალურ კულტურული ობიექტების ფუნქციონალურ დატვირთვაზე. მოპასუხეებმა რომ არ შეასრულეს ხელშეკრულებითა და ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული პირობები, ნათლად ჩანს საქართველოს კონტროლის პალატის 2001 წლის 19 ოქტომბრის აქტიდან.

5. სს „მაულის“ ადმინისტრაციამ ნაცვლად წარმოების მუშაკთა შენარჩუნებისა, 1998 წლის ხელშეკრულების დადების შემდეგ მოსარჩელები გაუშვა უხელფასო შვებულებაში. 250 მუშა –

აქციონერიდან 41-ს დააწერინა განცხადება საპუშოლადან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ სს „მაულის“ ადმინისტრაციამ არც უხელფასო შვებულებაში გაშვებისა და არც საპუშოლადან განთავისუფლების ბრძანებები მისცა მოსარჩელებს, რის გამოც მათივე შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანებები კოლეგიის განჩინებით იქნა გამოთხოვილი.

უხელფასო შვებულებაში გაშვების ბრძანებებიდან (და არც უხელფასო შვებულების ვადის გაგრძელების ბრძანებებიდან) არ ჩანს, თუ კონკრეტულად ვინ გაუშვეს უხელფასო შვებულებაში. ბრძანებებში ჩამოთვლილი არიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც წარმოებაში საპუშოლ დატოვა ადმინისტრაციამ, რითაც ბუნდოვანი გახდა ბრძანებები და ხელოვნურად შეუქმნა მოსარჩელებს დაბრკოლება, დაეცვათ კონსტიტუციით გარანტირებული შრომითი უფლებები;

6. მოსარჩელეთა უხელფასო შვებულებაში გაშვებასთან დაკავშირებული ბრძანებები არ შეესაბამებინა საქართველოს შკკ-ის 74-ე მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლი (უხელფასო შვებულება) უხელფასო შვებულებაში მუშა-მოსამსახურეთა გაშვებას საერთოდ არ ითვალისწინებს ადმინისტრაციის ინიციატივით. ამ მუხლით მოკლევადიანი უხელფასო შვებულებაში გასვლა გათვალისწინებულია მხოლოდ მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით ოჯახური პირობებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო საწარმოს ხელმძღვანელის ნებართვით. ეს მუხლი არც უხელფასო შვებულების გაგრძელებას ითვალისწინებს. სს „მაულის“ მიერ კი უხელფასო შვებულებაში მუშაკთა გაშვების ვადა გრძელდება დღემდე. მაგ: საქმეში წარმოდგენილია 2003 წ. 1 სექტემბრის ბრძანება, სადაც აღნიშნულია, რომ უხელფასო შვებულებაში გაშვების შესახებ 2002 წ. 26 დეკემბრისა და 2003 წ. 2 ივლისის №44 ბრძანებებით გათვალისწინებული პერიოდი გაგრძელდეს 2003 წლის 1 სექტემბრიდან, თუ როდემდე ბრძანებაში მითითებული არ არის. სს „მაულის“ ადმინისტრაციამ გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ მოსარჩელები უხელფასო შვებულებაში კანონის უხეში დარღვევით არიან გაშვებული, 2003 წლის 19 ივნისის ბრძანებით უხელფასო შვებულებაში გაშვებულ მუშაკებს 2003 წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში დაურიგდათ ოც-ოცი ლარი, (აღნიშნულს ადმინისტრაცია შეცდომით შემწეობად მოიხსენიებს), რაც ადმინისტრაციის მხრიდან მოსარჩელეთა მოცდენის გამო დავალიანების არსებობის აღიარებას ნიშნავს.

სსკ-ის 131-ე მუხლის შესაბამისად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას;

7. სს „მაულის“ აქციონერთა იძულებითი მოცდენის გამო შრომის ანაზღაურების მოთხოვნა ემყარება შკკ-ის 89-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას. აღნიშნულ მუხლში აღნიშნულია, რომ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის იძულებით მოცდენის დროს, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, მუშაკს შრომის ანაზღაურება მიეცემა დადგენილი მინიმალური ოდენობის ფარგლებში. იმავე კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უშუალოდ სასამართლო შრომის დავას განიხილავს, თუ მოსარჩელები ისეთ საწარმოში მუშაობენ, სადაც შრომის დავის კომისიას არ ირჩევენ;

8. მოპასუხე სს „მაულის“ მხარის განმარტება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა შკკ-ის 204-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულია, არ არის სწორი, რამდენადაც, ჯერ ერთი, სს „მაუდში“, როგორც მთავარ სხდომაზე გამოიჩინა, არ ფუნქციონირებს შრომის დავის კომისია და, გარდა ამისა, მოსარჩელეთა უკანონო მოცდენა ადმინისტრაციის ბრალით 1998 წლიდან უწყვეტად გრძელდება დღემდე. 2003 წ. ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში კი მოსარჩელებისათვის ოც-ოცი ლარის დარიგებით (სარჩელი აღძრულია 2003 წ. ივლისში) აღიარებულ იქნა რა იძულებითი მოცდენით გამოწვეული დავალიანების არსებობა, სსკ-ის 137-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დინება;

9. კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ფიზიკური პირი ა.პატარკაციშვილისადმი, მეწარმეთა შესახებ კანონის 53.4 მუხლის შესაბამისად, 613.075 ლარის კომპენსაციის სახით გადახდევინების შესახებ არ არის დასაბუთებული. მოსარჩელებმა ვერ წარმოადგინეს საკომპენსაციო თანხის გაანგარიშება და ვერ დაასაბუთეს, თუ რაში გამოიყენა ა.პატარკაციშვილმა, როგორც დომინანტმა აქციონერმა, თავისი მდგომარეობა სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. აღნიშნულის გამო სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს;

10. მოსარჩელეთა მოთხოვნა პრემიის სახით 128.000 ლარის გადახდევინების შესახებ კოლეგიამ მიიჩნია ხანდაზმულად. გარდა ამისა, სს „მაულის“ 1995 წ. 15 სექტემბრის №244

ბრძანება პრემიის განაწილების შესახებ გაუქმებულია „მაუდის“ გენერალური დირექტორის 1997 წ. 29 აპრილის №24 ბრძანებით.

11. მოსარჩელებს სახელმწიფო ბაჟის გადახდა სსკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად, გადადებული აქვთ გადაწყვეტილების გამოტანამდე. კოლეგიამ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ბაჟი 5000 ლარის ოდენობით სსკ-ის 38-ე, 39-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად უნდა დაეკისროს სს „მაუდს“;

აღნიშნულიდან გამომდინარე, საოლქო სასამართლოს კოლეგიამ 2004 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით სს „მაუდის“ აქციონერთა – მ.მარაქველიძის, მ.ნავროზაშვილისა და სხვათა (250 აქციონერი) სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ:

სს „მაუდს“ მოსარჩელე აქციონერთა სასარგებლოდ დაეკისრა 1.831.620 ლარის, ასევე სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდა;

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

სს „მაუდის“ წარმომადგენლები მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას სს „მაუდისათვის“ თანხის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შემდეგი საფუძვლებით:

1. სასამართლოს მინიმალური ხელფასის ოდენობის დადგენისას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანებულებით და არა ბიზნეს-გეგმით, რომელიც არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, ასევე უნდა გამოეყენებინა შკკ-ის 76-ე მუხლი;

2. გადაწყვეტილება ბიზნეს-გეგმის შეფასების ნაწილში ბუნდოვანია და სამართლებრივად დაუსაბუთებელი;

3. სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა ბიზნეს-გეგმა მავალდებულებელ დოკუმენტად, იგი არ წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, „ლოგოვაზის“ ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე შემოიფარგლებოდა 1998 წლის 10 ივნისის ხელშეკრულებით და შესრულებულია სრულად. ბიზნეს-გეგმა არ შეიძლება, გამხდარიყო სს „მაუდს“ და მუშა-მოსამსახურეთა შორის არსებული შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი დოკუმენტი, კონკურსში მონაწილე მხარე იყო სს „ლოგოვაზი“ და არა – სს „მაუდი“. სს „მაუდის“ აქციები „ლოგოვაზმა“ შეიძინა 1998 წლის 10 ივნისს და 1997 წელს მას არ გააჩნდა შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება ხელფასის საშუალო ოდენობის დადგენის შესახებ. ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს პროექტს და ემყარება ვარაუდებს, მასზე არ არის უფლებამოსილი პირების ხელმოწერა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლო გასცდა დავის საგანს და შეიჭრა ადმინისტრაციული სამართლის კომპეტენციაში, როცა ჩათვალა, რომ მოპასუხეთა მიერ დაირღვა პრივატიზების ხელშეკრულება მუშაკთა დასაქმების ნაწილში.

4. მოსარჩელეთა მხრიდან არ დასმულა ადმინისტრაციის ბრძანებების კანონიერების შემოწმების საკითხი, სასამართლო კი გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და იმსჯელა ბრძანებების კანონიერებაზე;

6. სასამართლო კოლეგიამ არასწორად და არასრულად დაადგინა ხანდაზმულობასთან დაკავშირებული გარემოებები. არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი, მათ იძულებითი მოცდენის ნაწილში დავალიანების არსებობას არ უღიარებიათ, სასამართლოს დასკვნები აღიარებასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგოა. კასატორის მოსაზრებით, მოთხოვნა ხანდაზმულია. ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება და შეწყვეტა არ დასტურდება.

სს „მაუდის“ აქციონერთა წარმომადგენლები მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას კომპესაციისა და მე-13 ხელფასის გადახდევინებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას შემდეგი საფუძვლებით:

კასატორების მოსაზრებით, კომპესაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, როდესაც ისინი სარჩელში მიუთითებდნენ მიუღებელ დივიდენდებზე, ეს გაგებულ უნდა იქნეს მიუღებელი შემოსავლის (მიყენებული ზიანის გამო) დაანგარიშების კრიტერიუმად.

რაც შეეხება გადაწყვეტილებას პრემიის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში, კასატორები თვლიან, რომ მათი მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული. მოსარჩელების მიერ არაერთხელ

გასაჩივრდა 1997 წლის ტეტუნაშვილის მიერ თვითნებურად დაწერილი ბრძანების გაუქმების მოთხოვნით და ამ საკითხის განხილვა დღემდე მიმდინარეობს „მაუდის“ დირექციის, სამეთვალყურეო საბჭოს და სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებში. ამასთან, ც.ტეტუნაშვილმა თავისი ბრძანებით აღიარა საწარმოს ვალი მუშაკების წინაშე სკ-ის 137-ე და 138-ე მუხლების თანახმად.

კასტორებს მიაჩნიათ, რომ საქმე გვაქვს ჯილდოს საჯაროდ დაპირების საოფერტო მდგომარეობასთან და სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სკ-ის 755-ე მუხლი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ სს „მაუდის“ წარმომადგენელთა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სს „მაუდის“ აქციონერთა საკასაციო საჩივარს კი უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, იძულებითი მოცდენის გამო, მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია. სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. მოცემული დაგა შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციასთან აწესრიგებს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი შკკ-ის I მუხლი. ამ კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) მხარეები არიან საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია და მუშაკი, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები და სს „მაუდის“ ადმინისტრაცია. საოლქო სასამართლოს კოლეგიამ კი მოცემული შრომითი დავის განხილვისას, იძულებითი მოცდენის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო 1998 წლის 10 ივნისს საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და „ლოგოვაზს“ შორის გაფორმებული აქციათა პაკეტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ე.ი. გამოიყენა სულ სხვა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება. სასამართლომ დაადგინა, რომ მყიდველმა დაარღვია ბიზნეს-გეგმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ხოლო იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დააკისრა სს „მაუდს“, რომელიც არ ყოფილა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მხარე, ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტი ვერ გახდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რადგან ეს ხელშეკრულება არ აწესრიგებს მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შრომით ურთიერთობებს. ამასთან, სასამართლომ დაადგინა ადმინისტრაციული გარიგების შეუსრულებლობა აქციათა პაკეტის მყიდველის მხრიდან, რითაც გასცდა დავის განხილვის ფარგლებს.

სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული „აღიარება“ ეს არის მხარის ახსნა-განმარტების სახესხვაობა-მტკიცებულება. ამავე მუხლის 132-ე მუხლით განსაზღვრულია აღიარების, როგორც მტკიცებულების ფორმა. ასეთი აღიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე – წერილობითი ფორმით საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. მოცემულ შემთხვევაში, არც საქმის წინასწარი მომზადების და არც ამ საქმის განხილვის დროს მოპასუხეს არ დაუდასტურებია დავალიანების არსებობა, შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 131-ე მუხლი.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ სს „მაუდის“ ადმინისტრაციამ იმ მოტივით, რომ ადრინდელი შრომის არსებითი პირობების შენარჩუნება შეუძლებელი იყო, კერძოდ, ადმინისტრაცია ვერ ასაქმებდა ამ რაოდენობის მუშაკებს, 1997 წელს, მოსარჩელები გაუშვა უხელფასო შვებულებაში განუსაზღვრელი ვადით. 250 მოსარჩელიდან 41-მა დაწერა განცხადება საშუაოდან გათავისუფლების შესახებ.

მოსარჩელებმა, იძულებითი მოცდენის გამო, დავალიანების გადახდის მოთხოვნით სარჩელი აღძრეს 2003 წლის ივლისში. მოთხოვნის საფუძვლად მოსარჩელები მიუთითებდნენ აქციათა პაკეტის მყიდველის მხრიდან ბიზნეს-გეგმითა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მუშაკთა დასაქმების და მათი რაოდენობის გაზრდის შესახებ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ის ადგენს უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის, ანუ სს „ლოგოვაზისათვის“, რომლის უფლებამონაცვლეა ა. პატარაკაციშვილი და ქონების მართვის სამინისტროსათვის, რომლის უფლებამონაცვლეა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სადავო ხელშეკრულება ითვალისწინებდა გამყიდველისაგან წერილობითი გაფრთხილების მიღებას, დაჯარიმებას. ვალდებულების განმეორებითი დარღვევის გამოვლენა განიხილებოდა ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად. ამდენად აღნიშნული ხელშეკრულება მუშაკებსა და ადმინისტრაციას შორის შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტი არ არის, შესაბამისად ეს ხელშეკრულება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობები ორმხრივი რთული ურთიერთობებია, რომლებიც წარმოიშობიან შრომის სამართლის სუბიექტებს შორის შრომის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციის პირობებში. შრომის თავისუფლება გულისხმობს შრომის სამართალურთიერთობის სუბიექტების ნების გამოვლენას, მიმართულს შრომის სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. შრომის სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობიან იურიდიული მნიშვნელობის აქტის საფუძველზე. იურიდიული აქტი არის მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის ორმხრივი შეთანხმება ანუ შრომის ხელშეკრულება. შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის შეთანხმება მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შრომის არსებით პირობებზე (შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლი). შრომის ხელშეკრულების ძირითად პირობას წარმოადგენს სამუშაო ადგილისა და შრომითი ფუნქციის განსაზღვრა, ამიტომ არსებითი პირობების შეცვლა საჭიროებს მხარეთა ხელახლა შეთანხმებას. შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მუშისა თუ მოსამსახურის თანხმობით. თუ ადრინდელი შრომის არსებითი პირობები არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს, ხოლო მუშაკი თანახმა არ არის გააგრძელოს მუშაობა ახალ პირობებში, მაშინ შრომის ხელშეკრულება შეწყდება (შკკ-ის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი). შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა წარმოადგენს მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის დადებულ შრომის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული შეთანხმების გაუქმებას.

შკკ-ის 74-ე მუხლით გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეებისათვის ოჯახური პირობებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო მოკლევადიანი უხელფასო შვებულების მიცემა. განუსაზღვრელი ვადით უხელფასო შვებულებაში მუშაკების გაშვებას შკკ არ ითვალისწინებს. საწარმოს მოცდენა ნიშნავს სამუშაოს დროებით შეჩერებას მუშაკის ბრალით ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. შრომის ადრინდელი პირობების, მუშაკთა რაოდენობის შენარჩუნების შეუძლებლობა შკკ-ის 42¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს და არა უხელფასო შვებულებაში გაშვების საფუძველს. ადმინისტრაციამ საწარმოში შექმნილი ვითარების გამო, იმ საფუძველზე, რომ ვერ ასაქმებდა მუშაკებს, სამუშაოდან გათავისუფლების ნაცვლად მოსარჩელები გაუშვა უხელფასო შვებულებაში შრომის სათანადო პირობების აღდგენამდე. ადმინისტრაციის ბრძანებებით ფაქტობრივად შეიცვალა შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი პირობები (შრომის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა, მუშაკის მიერ გარკვეული სამუშაოს შესრულება და შესაბამისი ანაზღაურება, შკკ-ის მე-16 მუხლი). შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომის დავის კომისიას სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ. ამავე კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, იმ საწარმოს მუშისა და მოსამსახურის განცხადებით, სადაც შრომის დავის კომისიას არ ირჩევენ, დავას განიხილავს უშუალოდ სასამართლო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელებებისათვის ცნობილი იყო მათი უფლებების დარღვევის შესახებ უხელფასო შვებულებაში გაშვების მომენტიდან და თუ ისინი არ ეთანხმებოდნენ ადმინისტრაციის ბრძანებას, უფლებამოსილი იყვნენ, მიემართათ სასამართლოსათვის 3 თვის ვადაში, რაც არ გაუკეთებიათ. მოსარჩელებს, ასევე, შკკ-ის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება ჰქონდათ, შეეწყვიტათ შრომის ხელშეკრულება, რაც არ მოითხოვეს. აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები დაეთანხმნენ ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულ პირობას, კერძოდ, ანაზღაურების გარეშე დარჩებოდნენ საწარმოს მუშაკებად და საწარმოში შრომის სათანადო პირობების აღდგენის შემთხვევაში შეუდგებოდნენ მუშაობას, ე.ი. მუშაკები საწარმოში შრომის პირობების აღდგენამდე არ შეასრულებდნენ რაიმე სამუშაოს და, შესაბამისად, არც ანაზღაურებას მიიღებდნენ. აღნიშნული შეთანხმება მოსარჩელებს კანონით დადგენილ ვადაში არ გაუსაჩივრებიათ. საკასაციო პალატა იზიარებს სს „მაუდის“ წარმომადგენლების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 2003 წელს მოსარჩელებისათვის შემწეობის გაცემა არ წარმოადგენს ვალის აღიარებას. ვალის აღიარება არის დამოუკიდებელი ხელშეკრულება და დახმარების გაცემით რაიმე სხვა დავალიანების არსებობა ადმინისტრაციას არ უღიარებია და არც გადახდის ვალდებულება უკისრია. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ იძულებითი მოცდენის ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძველლოა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ხანდაზმულია მოსარჩელეთა მოთხოვნა პრემიის განაწილების შესახებ. დადგენილია, რომ მოსარჩელებმა 1994 წლის საფინანსო სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების პრემიის სახით გადახდაზე სარჩელი აღძრეს 2003 წლის ივლისში. ამასთან, პრემიის განაწილების შესახებ 1995 წლის 15 სექტემბრის ბრძანება გაუქმებულია

სს „მაუდის“ გენერალური დირექტორის 1997 წლის 29 აპრილის №24 ბრძანებით. საქმის მასალებით ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები არ დასტურდება, შესაბამისად, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.4 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია.

საოლქო სასამართლოს კოლეგიის მიერ დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელებმა ვერ დაადასტურეს დომინანტი აქციონერის, ა.პატარკაციშვილის, მიერ თავისი მდგომარეობის განზრახ გამოყენება სააქციო საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. დადგენილი გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სავალდებულოა სასამართლოსათვის, ვინაიდან აქციონერების საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ და დამატებით საკასაციო პრეტენზიას. კასატორები ვერ მიუთითებენ საქმეში არსებულ რაიმე ისეთ მტკიცებულებაზე, რომლითაც დადასტურდებოდა მოპასუხე ა.პატარკაციშვილის მიერ თავისი მდგომარეობის განზრახ გამოყენება საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებლს. საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან მოსარჩელებმა ვერ დაამტკიცეს ა.პატარკაციშვილის მიერ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, მათი მოთხოვნა კომპენსაციის გადახდის შესახებ, მართებულად არ იქნა დაკმაყოფილებული.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

სააქციო საზოგადოება „მაუდის“ წარმომადგენელთა საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე საზოგადოების აქციონერებს უარი ეთქვას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისა და მოსარჩელეთა სასარგებლოდ 1 831 620 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

სააქციო საზოგადოება „მაუდის“ აქციონერებს უარი ეთქვას იძულებით გაცდენილი დროისათვის შრომის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე;

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1263-1403-04 30 დეკემბერი, 2004 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),

მ. წიქვაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 18 თებერვალს გ. ჩხაიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ენერგოტრანსის“ მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და 16 თვის მიუღებელი ხელფასისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2002 წლის სექტემბერში დაინიშნა შპს „ენერგოტრანსის“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ. მისი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 860 ლარს. 2004 წლის თებერვალში მიიღო შეტყობინება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. გ. ჩხაიძის განმარტებით, იგი შპს „ენერგოტრანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული იყო განუსაზღვრელი ვადით.

მოპასუხე შპს „ენერგოტრანსის“ წარმომადგენელმა – გ. თითბერიძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გ. ჩხაიძე გათავისუფლდა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო. რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, მოპასუხემ აღნიშნა, რომ საწარმოს არ დაუწვია ფუნქციონირება, იმყოფება თვითდაფინანსებაზე. მოცდენის შემთხვევაში არ იღებს შემოსავლებს და, შესაბამისად, არ გააჩნია ვალდებულება, მოცდენის შემთხვევაში აუნაზღაუროს მუშაკს ხელფასი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხემ მოითხოვა სარჩელზე უარის თქმა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გ. ჩხაიძეს სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი უსაფუძვლოდ გამო, შპს „ენერგოტრანსის“ გ. ჩხაიძის სასარგებლოდ დაეკისრა 8 თვის მიუღებელი ხელფასის – 6800 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ და მოითხოვეს მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ენერგოტრანსის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გ. ჩხაიძის – დაკმაყოფილდა. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა, გ. ჩხაიძის სასარგებლოდ მიუღებელი ხელფასის 6800 ლარის შპს „ენერგოტრანსის“ გადასახდელად დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. ჩხაიძის სარჩელი 16 თვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჩხაიძე მუშაობდა შპს „ენერგოტრანსის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ 2002 წლის 16 სექტემბრიდან და მისი ხელფასის ოდენობა 2002 წლის 16 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შეადგენდა თვეში 850 ლარს. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად კი დამქირავებელი, ანუ შპს „ენერგოტრანსის“ კისრულობდა ვალდებულებას, რომ მისთვის ყოველთვიურად გადაეხადა ხელფასი 850 ლარის ოდენობით. გ.ჩხაიძე მუშაობდა ამ საწარმოში 16 თვის განმავლობაში და გათავისუფლებულ იქნა 2004 წლის 17 იანვრის №2 ბრძანებით, კონტრაქტის ვადის გასვლის გამო, შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ის შესაბამისად.

შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დადგენილი წესითა და პირობებით. თუ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ჩათვლის მიზანშეწონილად, შეიძლება გამოიყენოს სატარიფო სისტემა, სატარიფო სისტემით ანაზღაურების პირობები განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით).

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა განმარტებით დადგენილია, რომ დღიდან სამუშაოზე დანიშნისა, გათავისუფლებამდე 16 თვის განმავლობაში, ადმინისტრაციას გ. ჩხაისათვის ხელფასი არ გადაუხდია, რითაც დაარღვია როგორც ზემოაღნიშნული ნორმა, ასევე, მხარეთა შორის დადებული შრომითი კონტრაქტის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლითაც დამქირავებელს გ. ჩხაიძისათვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა ხელფასი თვეში 850 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის (მოპასუხის) მოსაზრება და განმარტა, რომ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად ვერ გამოდგება მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ, რადგან საწარმო არ ფუნქციონირებდა 2003 წლის 5 მაისის მდგომარეობით, რაც გ. ჩხაიძის მიერ საგადასახადო ინსპექციისადმი გაგზავნილი წერილით ირკვევა, ამიტომ შპს „ენერგოტრანსის“ გათავისუფლებულ მუშაკს არ უნდა აუნაზღაუროს მისი კუთვნილი ხელფასი, მით უმეტეს, რომ საწარმო არ არის ლიკვიდირებული და დღესაც

ფუნქციონირებს. ასევე ვერ გამოდგება სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად შპს „ენერგოტრანსის“ წარმომადგენლის – გ. თითბერიძის განმარტება იმის თაობაზე, რომ, რადგან გ. ჩხაიძე შეთავსებით მუშაობდა ელექტროსისტემის სხვა საწარმოში და შეთავსება დაუშვებელი იყო, ამიტომ მას არ უნდა აუნაზღაურდეს სახელფასო დავალიანება.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის კადრების აღმასრულებელმა დირექტორმა ი. დუ პლესმა 2004 წლის 5 აპრილის №03\791 შპს „ენერგოტრანსის“ წარმომადგენლის – გ. თითბერიძის სახელზე მიწერილ წერილში მას განუმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში დასაშვებია შეთავსებით მუშაობა სხვა საწარმოში, თუ კი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა შპს „ენერგოტრანსის“ წარმომადგენლის – გ. თითბერიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ჩხაიძე სისტემატურად აცდენდა სამუშაოებს და 2003 წლის 1 სექტემბრიდან საერთოდ აღარ უმუშავია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შპს „ენერგოტრანსის“ წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ, თუ გ. ჩხაიძე აცდენდა სამუშაოს და არ ცხადდებოდა სამუშაოზე, ადმინისტრაციას მის მიმართ გატარებული ჰქონდა დისციპლინური ღონისძიება და სასჯელი ჰქონდა დადებული. ასევე არ გაუხდია სადავოდ ადმინისტრაციას გ. ჩხაიძის სხვა საწარმოში შეთავსებით მუშაობა, თუ კი ასეთს ადგილი ჰქონდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თუ გ. ჩხაიძე აცდენდა სამუშაოს, არ ასრულებდა თავის მოვალეობას და 2003 წლის 1 სექტემბრიდან აღარ ცხადდებოდა სამუშაოზე, ადმინისტრაცია ვალდებული იყო, რომ მის მიმართ გამოეყენებინა დისციპლინური სასჯელის ზომა ან გაეთავისუფლებინა სამუშაოდან. აღნიშნულის თაობაზე მტკიცებულება კი აპელანტმა – შპს „ენერგოტრანსის“ წარმომადგენელმა გ. თითბერიძემ სასამართლოს ვერ წარუდგინა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ენერგოტრანსის“ წარმომადგენელმა გ. თითბერიძემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, გადაწყვეტილება არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სრულყოფილ და ობიექტურ გამოკვლევას, რითაც დაირღვა ამავე კოდექსის 105-ე მუხლის ნორმები.

გ. თითბერიძემ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ უგულებელყო ის გარემოება, რომ შპს „ენერგოტრანსი“ არ ფუნქციონირებდა 2003 წლის 1 ნოემბრამდე და არ გააჩნდა დაფინანსების არანაირი წყარო და არც ერთ თანამშრომელზე, მათ შორის, არც გ. ჩხაიძეზე, არ ღარიცხულა ხელფასი. ფინანსების უქონლობაზე მეტყველებს საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობის, ეკონომიკისა და ენერგეტიკისა სამინისტროების სახელზე 2004 წლის 7 მაისს გაგზავნილი №22-01\20 წერილი.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, თვით მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი წერილი ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის სახელზე, რომლის თანახმად, საზოგადოება დღიდან დაარსებისა არ ფუნქციონირებდა.

კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 2004 წლის 5 აპრილის №05\791, 2004 წლის 4 მარტის №04\506, საწარმოთა მართვის სააგენტოს 2004 წლის 13 აპრილის 322-01-1140\63 წერილები, საიდანაც ირკვევა, რომ გ. ჩხაიძე მუშაობს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში. იგი მუშაობდა აღნიშნულ უწყებაში ჯერ იმედიანობისა და უსაფრთხოების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 1999 წლის 15 ივნისს გ. ჩხაიძე დაინიშნა სს „ელექტროგადაცემაში“ ახლად შექმნილი საქართველოს თურქეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ქსელების დირექციის „საქთურქაზქსელის“ დირექტორად. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დღისათვის გ. ჩხაიძე კვლავ ირიცხებოდა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სატაბელო ფურცელში, მუშაობდა, ირიცხებოდა და ეძლეოდა ხელფასი.

კასატორმა აღნიშნა, რომ 2003 წლის 1 სექტემბრამდე გ. ჩხაიძე პერიოდულად ცხადდებოდა საზოგადოებაში, რომელიც თანახმად საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი გ. ჩხაიძის მიერ ხელმოწერილი წერილის მიხედვით, დღიდან დაარსებისა 2003 წლის 5 მაისის მდგომარეობით არ

ფუნქციონირებდა. 2003 წლის 1 სექტემბრიდან საერთოდ აღარ გამოცხადებულა. სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გ. ჩხაიძეს არ გააჩნია მტკიცებულება, რომ რაიმე სახის სამუშაო აქვს შესრულებული საზოგადოებაში. ის აღნიშნული არ არის შემთხვევითი, რადგან სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას იგი მუშაობდა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში, სადაც სისტემის თითოეულ თანამშრომელს ეკრძალება შეთავსებითი მუშაობა (იხ. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კადრების აღმასრულებელი დირექტორის 2004 წლის 17 მარტის №03\614 წერილი). ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული იმავე თანამდებობის პირს 2003 წლის 13 ოქტომბრის 02\04-04-1283 წერილშიც, რომელიც დაიგზავნა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის დაქვემდებარებულ სტრუქტურებში. მითითებულ წერილში აღნიშნულია, რომ დასახელებულ სისტემაში მომუშავე პირებს ეკრძალებათ სხვა ორგანიზაციებში დასაქმება და მუშაობა, აგრეთვე, სამსახურების უფროსებს უნდა ეწარმოებინათ ყოველდღიური დასწრების სატაბელო ჟურნალი. აღნიშნულ გარემოებაზე, კერძოდ, აღრიცხვის გამკაცრების შემდეგ გ. ჩხაიძე ვერ შეძლებდა შპს „ენერგოსისტემაში“ რაიმე სამუშაოს შესრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. თითბერიძემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ.ჩხაიძის სარჩელზე უარის თქმა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ იგი უსაფუძვლოა შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე, რადგან სასამართლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებანი შეაფასა და ისე დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ის გარემოება, რომ საწარმო არ ფუნქციონირებდა 2003 წლის 1 ნოემბრამდე და არ გააჩნდა ფინანსური სახსრები, გ. ჩხაიძეზე გაცემა ხელფასი, არ შეიძლება სარჩელზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. უდავოა, რომ შრომითი კონტრაქტი ნამდვილია. აღნიშნულმა კონტრაქტმა მხარეებს წარმოუშვათ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები. საქმეში წარმოდგენილი საბუთიც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დირექტორის მოადგილე სამუშაოს ასრულებდა.

ხელშეკრულების მე-2 პუნქტით დამქირავებელს, გ. ჩხაიძისათვის, მის მიერ დირექტორის მოადგილის მოვალეობის შესრულებისთვის უნდა გადაეხადა ხელფასი – ყოველთვიურად 850 ლარი. უდავოა, რომ ხელშეკრულებიდან სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის საფუძველზე არც ერთი მხარე არ გასულა. სახელშეკრულებო ვადის გასვლის შემდეგ კი შპს-ს დირექტორის მოადგილემ (შემსრულებელმა) შესასრულებელი სამუშაოსათვის მოითხოვა ფულადი (სახელფასო) დავალიანების ანაზღაურება. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების სათანადო შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია დადასტურებულად მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მ. ჩხაიძეს არ შეუსრულებია შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის I ნაწილზე, 105-ე მუხლის II ნაწილზე და მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა და დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება. პალატა თვლის, რომ მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ის უტყუარი მტკიცებულებანი, რომლებიც დადასტურებდნენ შპს-ს დირექტორის მოადგილის მიერ შრომითი კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. ხელშეკრულებით „შემსრულებელს“ (გ. ჩხაიძის) უფლება ჰქონდა, არანორმირებული სამუშაო დღის რეჟიმით ემუშავა, აგრეთვე, არ ეკრძალებოდა საქმიანობა სხვა წარმოებაში (იხ. ხელშეკრულება). აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ვერ გახდება სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „ენერგოტრანსის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა

განჩინება

№ ას-1316-1445-04

6 იანვარი, 2005 წ.

ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),

მ. ცისკაძე (მომხსენებელი),

ქ. გაბელაია

დავის საგანი – სამუშაოზე აღდგენა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ი. კობახიძე-ნადირაძე 1980 წლიდან მუშაობდა სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ სამტრედიის ფილიალში მეელსმენედ. ამ საწარმოში რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირების გამო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეუბნის შესაბამისად 2003 წლის 16 იანვრის ბრძანების საფუძველზე იგი დათხოვილ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ი. კობახიძე-ნადირაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ სამტრედიის ფილიალის მიმართ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ი. კობახიძე-ნადირაძის სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ სამტრედიის ფილიალის უფროსის 2003 წლის 16 იანვრის № 12/ოკ ბრძანება და ი. კობახიძე-ნადირაძე აღდგენილ იქნა ამავე ფილიალში მეელსმენის თანამდებობაზე.

სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ ფილიალი სს „სამტრედიის ელექტროკავშირმა“ სააპელაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 24 ივლისის განჩინებით სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ ფილიალი სს „სამტრედიის ელექტროკავშირის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე რაიონულ სასამართლოს.

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ი. კობახიძე-ნადირაძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა სს „სამტრედიის ელექტროკავშირის“ უფროსის 2003 წლის 16 იანვრის ბრძანება № 12/ოკ. მოსარჩელე ი. კობახიძე-ნადირაძე აღდგენილ იქნა სს „სამტრედიის ელექტროკავშირის“ მეელსმენის თანამდებობაზე. იძულებით გაცდენილი დროის საშუალო ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელეს ეთქვა უარის უსაფუძვლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულა იმით, რომ ი.კობახიძე-ნადირაძე სარგებლობდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლებით და შესაბამისად იგი განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის დაცვით. რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან მას მიღებული აქვს საბოლოო ანგარიში და ოთხი თვის გასასვლელი დახმარება, საშუალო ხელფასის ოდენობით.

სს „საქართველოს ელექტროკავშირმა“ სააპელაციო საჩივარი შეიტანა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ი. კობახიძე-ნადირაძის სარჩელს სს „სამტრედიის ელექტროკავშირის“ უფროსის 2003 წლის 16 იანვრის №12/ოკ ბრძანების გაუქმებისა და სს „სამტრედიის ელექტროკავშირში“ მეელსმენის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ეთქვა უარი.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ემყარება შემდეგ მოტივებს:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ი.კობახიძე-ნადირაძე სამუშაოზე დარჩენილ მუშაკებთან შედარებით უპირატესი უფლებით სარგებლობდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავ კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ი.კობახიძე-ნადირაძემ ვერ დაადასტურა, რომ სამუშაოზე დარჩენილ მუშაკებთან შედარებით მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევა. სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი მასალები იმის შესახებ, რომ ი.კობახიძე-ნადირაძეს სხვადასხვა პერიოდში გამოცხადებული აქვს საყვედური, მკაცრი საყვედური და პირობით იქნა დატოვებული სამუშაოზე. სააპელაციო პალატამ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. კობახიძე-ნადირაძემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია; სააპელაციო პალატამ ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ჩათვალა, რომ მოსარჩელეს სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობისას გამოცხადებული აქვს საყვედური და მკაცრი საყვედური, არ იმსჯელა იმაზე, რომ ეს დისციპლინური სასჯელები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოხსნილი და გაქარწყლებულია; სააპელაციო პალატამ ყოველგვარი კანონიერი საფუძველის გარეშე არ გაიზიარა რაიონული სასამართლოების მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები და დაეყრდნო მოპასუხის უსაფუძვლო პრეტენზიებს; სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხე ორგანიზაციაში შტატების შემცირების შედეგად სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების გამო პირვანდელ სამუშაოზე დატოვებულ იქნენ ისეთი მუშაკები, რომლებსაც მოსარჩელეზე ნაკლები კვალიფიკაცია და შრომის კვალიფიკაცია აქვთ; მოსარჩელეს აქვს აღნიშნულ საწარმოში მუშაობის 23 წლის სტაჟი, აქვს გავლილი კვალიფიკაციის ასამღლებელი კურსები, კმაყოფაზე ჰყავს ოჯახის ხუთი წევრი, ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში, რაც არ გაითვალისწინა სააპელაციო პალატამ მოცემული დავის განხილვისას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სს „სამტრედიის ელექტროკავშირის“ უფროსის 2003 წლის 16 იანვრის №12/ოკ ბრძანებით ი. ნადირაძე-კობახიძე განთავისუფლდა საკომუტატორო სადგურის მეელსმენის თანამდებობიდან შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე რეორგანიზაციის შედეგად შტატის შემცირების გამო 2003 წლის 16 იანვრიდან. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ი. ნადირაძე-კობახიძის საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხე ორგანიზაციაში შტატების შემცირების შედეგად სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლების გამო პირვანდელ სამუშაოზე დატოვებულ იქნენ ისეთი მუშაკები, რომლებსაც მოსარჩელეზე ნაკლები კვალიფიკაცია და შრომის კვალიფიკაცია აქვთ; სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ი. ნადირაძე-კობახიძეს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას გამოცხადებული აქვს საყვედური

და მკაცრი საყვედური, იგი პირობით იქნა დატოვებული სამუშაოზე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ სამუშაოზე დარჩენილ მუშაკებთან (დ. გეგუჩაძე, გ. ჩხაიძე, ი. ფარცვანია, ვ. თევზაძე) შედარებით მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგადასმელ სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არ წარმოუდგენია ასეთი დასაბუთებული და დამატებითი საკასაციო პრეტენზია. სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამ ნორმის თანახმად მუშაკთა რიცხვის ან შტატის შემცირების სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშაკებს, რომლებიც უფრო მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიან. ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სწორად მიიჩნია, რომ ი. ნადირაძე-კობახიძე არ სარგებლობდა სამუშაოზე დარჩენილ მუშაკებთან შედარებით უპირატესი უფლებით.

ამდენად, სააპელაციო პალატას მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი. კობახიძე-ნადირაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1409-1528-04

18 იანვარი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),

მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ე. მოყვანიძემ 2004 წლის 5 აპრილს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის ფილიალის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხე ორგანიზაციაში მოლარის თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის სახით მოპასუხეზე 80 ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2004 წლის 12 მარტის №011-კ ბრძანების საფუძველზე მოპასუხე ორგანიზაციის მმართველის მიერ იგი 2004 წლის 15 მარტიდან ბანკის სისტემის რეორგანიზაციის, შტატებისა და დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის შემცირების გამო, შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განთავისუფლდა მოლარის თანამდებობიდან. მოსარჩელემ სამუშაოდან დათხოვნა მიიჩნია უკანონოდ, იგი 1975 წლიდან მუშაობს საბანკო

სისტემაში, შტატების შემცირებისას ბანკის ადმინისტრაციას მისთვის უნდა მიენიჭებინა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლება, ვინაიდან არის არა მარტო კვალიფიციური მუშაკი, არამედ მარტოხელა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სტრატეგიული განვითარების პროგრამის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბანკის სისტემის რეორგანიზაციისა და დასაქმებულ მუშაკთა შემცირების თაობაზე. ამ მიზნით შეიქმნა კომისია, რომელმაც სამუშაოზე დატოვა უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე პირები.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ე. მოყვანიძის სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის რეგიონალური ფილიალის მმართველის 2004 წლის 12 მარტის №011-კ ბრძანება და ე. მოყვანიძე აღდგენილ იქნა ამავე ბანკში ფიზიკური პირების მომსახურების სექტორის მოლარის თანამდებობაზე. სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის რეგიონალურ ფილიალს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 80 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის რეგიონალურმა ფილიალმა და მოითხოვა მისი გაუქმება, სარჩელზე უარის თქმა. აპელანტმა აღნიშნა, რომ ე. მოყვანიძე მუშაობდა ბანკში ფიზიკური პირების მომსახურების სექტორის მოლარედ. მისი მოვალეობა იყო პენსიების გაცემა, რომელიც გადატანილ იქნა სხვა პროფილის ბანკში. სასამართლომ მოსარჩელე აღადგინა იმ თანამდებობაზე, რომელიც ფაქტობრივად აღარ არსებობს და ბანკს არა აქვს შესაძლებლობა მისცეს მას სხვა სამუშაო ადგილი.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანით გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ე. მოყვანიძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის ფილიალის მმართველის 2004 წლის 12 მარტის №011-კ ბრძანება, ე. მოყვანიძეს უარი ეთქვა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის ფილიალის საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის მოლარედ სამუშაოზე აღდგენაზე, სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ე. მოყვანიძე სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის ფილიალის ფიზიკური პირების მომსახურების მოლარის მოვალეობისაგან გათავისუფლებულ იქნა 2004 წლის 12 მარტის №011-კ ბრძანებით 15 მარტიდან სისტემის რეორგანიზაციის, შტატების და დასაქმებულ მუშაკთა შემცირების ღონისძიებათა შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის 2004 წლის 3 იანვრის დადგენილების საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, სისტემაში რეორგანიზაცია, შტატებისა და მუშაკთა რიცხოვნობის შემცირება უნდა განხორციელებულიყო 2004 წლის 5 მარტიდან, მაგრამ აპელანტს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარება 2004 წლის 12 მარტამდე. პირიქით, აპელანტის მიერ წარმოდგენილი №276 ცნობის მიხედვით, სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის ფილიალში ფიზიკური პირების მომსახურების სექტორში 2004 წლის 15 მარტიდან (№011-კ ბრძანებით კი ე. მოყვანიძეს შრომის კონტრაქტი 15 მარტიდან შეუწყდა) აღარ არსებობდა მოლარის შტატი. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რეორგანიზაციამდე (შტატების შემცირებამდე) მუშაკის დათხოვნა ამ საფუძველით კანონსაწინააღმდეგოა. ე. მოყვანიძის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გაუქმების მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია მისი სამუშაოზე აღდგენა, ვინაიდან ამჟამად სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის ფილიალში საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის მოლარის თანამდებობა აღარ არსებობს. არარსებულ თანამდებობაზე პირის აღდგენა კი შეუძლებელია შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე. სასამართლომ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 207-ე მუხლით და გასაჩივრებული გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ე. მოყვანიძემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სამუშაოზე აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 42¹-ე მუხლი, რითაც დაარღვია მისი, როგორც განთავისუფლებული მუშაკის შრომის უფლებების უზრუნველყოფის გარანტიები. ასევე, არ იქნა გათვალისწინებული შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები, სადაც აღნიშნულია სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება. არ იქნა გათვალისწინებული საქმეზე მტკიცებულების სახით წარდგენილი ქ.ქუთაისის გამარჯვების მართვის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2004 წლის 7 მაისს გაცემული №2142 ცნობა, რომლის თანახმად დადგენილია, რომ კასატორის ოჯახი შედგება ერთი სულისაგან და ოჯახში არ არის დამოუკიდებელი შემოსავლის სხვა პირი. სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 17 ივლისის №ას-88-788-03 გადაწყვეტილების მითითება არამართებულია, რადგან ამ გადაწყვეტილებაში საუბარია თიანეთის რაიკოოპერატივის ფილიალის აგრარული ბაზრის ლიკვიდაციაზე.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ იმის გათვალისწინებით, რომ სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ქუთაისის ფილიალში საზოგადოების მომსახურების სექტორის მოლარის თანამდებობა აღარ არსებობდა, სასამართლო კასატორის თანამდებობაზე აღდგენის საფუძვლად ვერ გამოიყენებდა შრომის კანონთა კოდექსის 42¹ მუხლს. აღნიშნული მუხლის თანახმად, მუშები და მოსამსახურეები შეიძლება გათავისუფლდნენ საწარმოდან, დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან მათი საქმიანობის შეწყვეტის, მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების გამო. გამონთავისუფლებული მუშაკების შრომის უფლება გარანტირებულია სხვა სამუშაოს მიცემით იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, წინანდელი პროფესიის სპეციალობის, კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოს მიცემით სხვა საწარმო დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ხოლო ასეთის უქონლობისას - სხვა სამუშაოს მიცემით პირადი სურვილის და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით; აგრეთვე, ახალი პროფესიის შესწავლის შესაძლებლობის მიცემით შესაბამისი სამუშაოთი დაკმაყოფილებასთან ერთად. აღნიშნული ნორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ საწარმოში, დაწესებულებაში თუ ორგანიზაციაში არსებობს სხვა სამუშაო, რომელიც შეიძლება მიეცეს გამონთავისუფლებულ მუშაკს. ასეთი მტკიცებულება კი მხარის მიერ წარმოდგენილი არ არის.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის თანახმად, კანონიერი საფუძვლის გარეშე დათხოვნის ან სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანის დროს მუშა ან მოსამსახურე წინანდელ სამუშაოზე უნდა აღადგინოს შრომის დავის განმხილველმა ორგანომ. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ უკანონოდ დათხოვნილი მუშაკის აღდგენა ხდება წინანდელ სამუშაოზე. ვინაიდან საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის მოლარის თანამდებობა მოპასუხე ორგანიზაციაში აღარ არსებობს, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მოახდინოს აღნიშნული ნორმის რეალიზაცია ე. მოყვანიძის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან მიმართებაში. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საფუძვლით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. მოყვანიძისათვის წინანდელ თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე უარის თქმის შესახებ გამოდინარეობს მითითებული ნორმის მოთხოვნიდან.

პალატა მიიჩნევს, რომ ე. მოყვანიძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ე. მოყვანიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-889-1118-04

28 იანვარი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,

თ. კობახიძე

დავის საგანი – სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

მ. ჭუმბურიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომელშიც მიუთითებდა, რომ 2001 წლის 17 დეკემბერს აღსრულებულ იქნა 2001 წლის 9 აგვისტოს სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ და გაუფორმეს ექვსთვიანი შრომითი ხელშეკრულება. 2003 წლის 16 ივნისს კვლავ გაუგრძელეს შრომითი კონტრაქტი 6 თვით 2004 წლის 15 იანვრამდე, ხოლო 2004 წლის 16 იანვრიდან დაითხოვეს სამუშაოდან ისე, რომ წინასწარ არ გაუფრთხილებიათ. მოსარჩელე ითხოვდა სამუშაოზე აღდგენას, განაცდურის ანაზღაურებასა და 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის დეკემბრამდე იძულებითი განაცდურის სახით 3200 ლარის გადახდას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი: სს „საქართველოს ბანკს“ დააკისრა 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის დეკემბრამდე იძულებითი განაცდურის სახით 3200 ლარის გადახდა, ხოლო სამუშაოზე აღდგენისა და შემდგომ იძულებით განაცდურის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

მ. ჭუმბურიძემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სამუშაოზე აღდგენისა და შემდგომი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში. აპელანტი მიუთითებდა, რომ მოპასუხეს უფლება არ ჰქონდა, ცალმხრივად შეეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ არის მარტოხელა დედა და ჰყავს 8 წლის შვილი.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2004 წლის ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს 14 წლამდე ასაკის ბავშვების მარტოხელა დედებისათვის განსაკუთრებულ შეღავათს სამუშაოდან დათხოვნისას, მაგრამ აპელანტის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი კანონით დადგენილი ფორმის წერილობითი მტკიცებულება, რომ იგი მარტოხელა დედაა (მოწინააღმდეგე მხარემ კი განმარტა, რომ მას ჰყავს მეუღლე).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ შრომითი კონტრაქტი იყო ფორმალური ხასიათის და იძულებით დადებული. პალატა მიუთითებს, რომ მხარეთა შორის ორჯერ დაიდო შრომითი ხელშეკრულება (კონტრაქტი), მაგრამ არც ერთხელ მ. ჭუმბურიძეს ეს ხელშეკრულებები სადავოდ არ გაუხდია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 82-ე მუხლი კი მას ამის უფლებას აძლევდა.

პალატის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა საქართველოს შკკ-ის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადის გასვლა. სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწარმოს წინასწარ უნდა გაეფრთხილებინა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას, კონტრაქტის ვადის გასვლის გამ, კანონი წინასწარ გაფრთხილებას არ ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ჭუმბურიძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხის მიერ მასთან დადებული ვადიანი შრომის ხელშეკრულება უკანონო იყო, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, იგი სამუშაოზე უვადოდ უნდა აღდგენილიყო. ამასთანავე მ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს ბანკის“ ადმინისტრაცია არღვევს შრომის კანონთა კოდექსის მე-17 მუხლს, რომლის თანახმადაც, დაუსაბუთებელი უარი სამუშაოზე მიღებაზე აკრძალულია. იგი ასევე თვლის, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 380-382-ე მუხლების მოთხოვნები, არ მიიღო რა მისგან მარტოხელობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი. ამის გათვალისწინებით კასატორმა მოითხოვა საოლქო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ არ შეიძლება კასატორსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის დადებული შრომის კონტრაქტი ჩაითვალოს იძულებით დადებულად და, შესაბამისად, უკანონოდ. მხარეთა შორის ორჯერ დაიღო შრომითი ხელშეკრულება, მაგრამ არც ერთხელ მ. ჭუმბურიძეს ეს ხელშეკრულებები სადავოდ არ გაუხდია. წარმოდგენილ ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ვადიან შრომით ურთიერთობაზე.

საოლქო სასამართლომ სწორად მიუთითა საქართველოს შკკ-ის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა. ამდენად, უსაფუძვლოა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწარმოს წინასწარ უნდა გაეფრთხილებინა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას, კონტრაქტის ვადის გასვლის გამო, კანონი წინასწარ გაფრთხილებას არ ითვალისწინებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორის მარტოხელობის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 380-382-ე მუხლების მოთხოვნები, არ მიიღო რა მისგან მარტოხელობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ახალი მტკიცებულებები.

პალატა ასევე განმარტავს, რომ კასატორის მიერ მითითებული საბუთებით არ დასტურდება, რომ იგი მარტოხელა დედაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ჭუმბურიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 4 ივნისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1417-1549-04

7 თებერვალი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),

მ. წიქვაძე

დავის საგანი: ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 29 აპრილს გ. მირესაშვილმა სარჩელი აღძრა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის თბილისის სალოკომოტივო დეპოს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელის განცხადებით, იგი ცხოვრობს მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვეში და მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალის თბილისის სალოკომოტივო დეპოში მეხუთე თანრიგის ზეინკლად. სამუშაოზე იგი სოფ. ძეგვიდან დადიოდა, რისთვისაც ორგანიზაციის მიერ მიცემული ჰქონდა თბილისიდან-ძეგვეში და ძეგვიდან-თბილისში უფასო სამგზავრო ბილეთი.

გ. მირესაშვილის განცხადებით, 2002 წლის 25 თებერვალს ერთ-ერთი მგზავრობის დროს გარედან ნასროლი ქვის თავში მოხვედრის შედეგად მიიღო დაზიანება და დაკარგა შრომის უნარი. 2002 წლის 9 ოქტომბერს იგი გათავისუფლდა სამუშაოდან, რის შემდეგ მიმართა მოპასუხე ორგანიზაციის ხელმძღვანელობას და მოითხოვა, რომ მიეცათ მიმართვა სამედიცინო – სოციალური ექსპერტიზის კომისიაზე შესამოწმებლად, რათა გაერკვია, თუ რამდენი პროცენტით დაკარგა შრომისუნარიანობა 2002 წლის 25 თებერვალს მომხდარი შემთხვევის დროს. აღნიშნულზე მას უარი ეთქვა იმის გამო, რომ რაიონული სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ მას საერთო დაავადებით პენსია ჰქონდა დანიშნული.

მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხე მხარემ მხედველობაში არ მიიღო მისი ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერი, ასევე არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესით“ მეორე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, სამუშაოზე და სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას, დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხე მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება ყოველთვიური სარჩოს სახით.

2004 წლის 12 ივლისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. მირესაშვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მირესაშვილმა, რითაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება.

2004 წლის 19 ოქტომბრის თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატა სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ.მირესაშვილი მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ თბილისის სალოკომოტივო დეპოში ზეინკლად. 2002 წლის 9

ოქტომბერს კი იგი გათავისუფლდა სამსახურიდან, როგორც საერთო დაავადების შედეგად დაინვალიდებული პირი.

საოლქო სასამართლომ საქმის მასალებით დაადგინა, რომ გამირესაშვილმა განცხადებით მიმართა შპს „საქართველოს რკინიგზას“ და ითხოვა უბედური შემთხვევის შესახებ „ტ-1-ის“ ფორმის აქტის შედგენა იმ მოტივით, რომ 2002 წლის 25 თებერვალს სამსახურის შემდეგ საგარეუბნო მატარებლით მგზავრობისას თავში მოხვდა გარედან ნასროლი ქვა, რაზეც უარი მიიღო.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სასამართლომ სწორედ უთხრა უარი სარჩელის დაკმაყოფილებას, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, გამირესაშვილის მიერ გასაჩივრებული არ ყოფილა მოპასუხის უარი „ტ-1“ აქტის გაფორმების თაობაზე.

მოწინააღმდეგე მხარის მიერ აქტი „უბედური შემთხვევის შესახებ“-„ტ-1“ გ. მირესაშვილზე შედგენილი არ ყოფილა, რის გამოც ვერ დადგინდა მისი პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხიც.

კანონის თანახმად, უბედური შემთხვევის გამოკვლევა ხდება საწარმოში შექმნილი კომისიის მიერ, რის შემდეგ ფორმდება აქტი „ტ-1“, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ასევე აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რადგან მას შემთხვევა მოუხდა თბილისიდან სოფ. ძეგვში სალოკომოტივო დეპოს ხელმძღვანელობის მიერ გამოყოფილი რკინიგზის საგარეუბნო მატარებლით, ჰქონდა უფასო პირადული ბილეთი, ამიტომ მოწინააღმდეგე მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს ზიანი, რადგან საქმის მასალებით არ დგინდება, რომ აპელანტი მგზავრობდა რკინიგზის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტით, არამედ ეს იყო ჩვეულებრივი საგარეუბნო მატარებელი.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-2 მუხლის თანახმად კი დამჭირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამჭირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

საოლქო სასამართლოს 2004 წლის 19 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით 2004 წლის 2 დეკემბერს გაასაჩივრა გ. მირესაშვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, მისი სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“. მე-2 მუხლს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივრის საფუძველს და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესით“ მე-2 მუხლი ადგენს, რომ დამჭირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამჭირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე.

სარჩელში მითითებულია, რომ გამირესაშვილმა ტრავმა მიიღო 2002 წლის 25 თებერვალს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, საგარეუბნო მატარებლით მგზავრობის დროს. მან სასამართლოს წარუდგინა საბუთი, რომელიც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას, როგორც რკინიგზის თანამშრომელს, უფასო მგზავრობისთვის თბილისსა და ძეგვს შორის ეძლევა უფასო მგზავრობის ბილეთი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ გულისხმობს, რომ გამირესაშვილს დამჭირავებელმა გამოუყო ტრანსპორტი, რადგან ეს უკანასკნელი საერთო სამგზავრო მატარებელია. პალატა არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიიჩნია, რომ დამჭირავებელმა მუშაკს აღნიშნული ფორმით (უფასო საგარეუბნო ბილეთი თბილისსა და ძეგვს შორის) გამოუყო

სატრანსპორტო საშუალება. პალატა განმარტავს, რომ „დამქირავებლის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტი“ შეიძლება იყოს ინდივიდუალური (მაგ. მსუბუქი ავტომობილი), კოლექტიური (მუშა-მოსამსახურეთათვის სპეციალურად გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალება) ან საერთო (საზოგადოებრივი) სარგებლობისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება. განსახილველ შემთხვევაში მატარებლით მგზავრობისათვის საგარეუბნო უფასო ბილეთის გაცემა მუშაკზე, ადასტურებს მუშაკის სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „წესების“ მე-2 მუხლი, რამაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ სარჩელში მითითებული გარემოებების შესაბამისად, დამატებით უნდა გამოიკვლიოს წარდგენილი მტკიცებულებანი, შეამოწმოს სარჩელის დასაბუთებულობა და ისე მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გ. მირესაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-20-392-05

24 მარტი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ზ. ოქრუაძემ სარჩელით მიმართა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და განმარტა, რომ მუშაობდა მოპასუხე სააქციო საზოგადოება „თელასის“ ბიზნეს ცენტრი „ისანი-I-ის“ იგივე „ავლაბრის“ მენეჯერად. 2004 წლის 6 თებერვალს ჩაბარებული ბრძანებით მისთვის ცნობილი გახდა სს „თელასის“ მიერ მის მიმართ 2004 წლის 16 იანვარს სასტიკი საყვედურის გამოცხადების და შემდგომ კი 2004 წლის 2 თებერვლის ბრძანებით სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. მოსარჩელის განმარტებით 2004 წლის 16 იანვარს ბრძანება №კ-13 სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ უკანონოა, მასში მითითებული არ არის დისციპლინური სახდელის გამოყენების მოტივები, მისთვის არც ახსნა-განმარტება და არც ხელწერილი არ ჩამოურთმევიათ. შემდგომში ეს ბრძანება იქნა გამოყენებული სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლად და 2004 წლის 2 თებერვლის №კ-27 ბრძანებით იგი 2004 წლის 3 თებერვლიდან გაათავისუფლეს სს „თელასის“ ბიზნეს-ცენტრი „ისანი-1-ის“ მენეჯერის თანამდებობიდან. ადმინისტრაციას მისი სამუშაოდან განთავისუფლების კანონიერი საფუძველი არ გააჩნდა, ვინაიდან დისციპლინა და შრომის ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები არასოდეს დაურღვევია, ზ. ოქრუაძემ მოთხოვა

სააქციო საზოგადოება „თელასის“ 2004 წლის 16 იანვრის №კ-13 და 2004 წლის 2 თებერვლის №კ-27 ბრძანებების ბათილად ცნობა, განთავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ზ. ოქრუაძემ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

ზ. ოქრუაძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა სს „თელასის“ 2004 წლის 16 იანვრის ბრძანება №კ-13 სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ და 2004 წლის 2 თებერვლის ბრძანება №კ-27 ზ. ოქრუაძის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

ზ. ოქრუაძე აღდგენილ იქნა სამსახურში სს „თელასში“ განთავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

სს „თელასს“ დაევალა აუნაზღაუროს ზ. ოქრუაძეს სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის გამო იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „თელასში“ ბიზნეს ცენტრის მენეჯერის უფლება-მოვალეობები არც შრომითი ხელშეკრულებით, არც შინაგანაწესით და არც სხვა რომელიმე დოკუმენტით განსაზღვრული არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლოს აზრით, ისეთ ვითარებაში როცა გაურკვეველია კონკრეტულად რა სამსახურებრივი გადაცდომა ჩაიდინა ზ. ოქრუაძემ, სს „თელასის“ 2004 წლის 16 იანვრის №კ-13 ბრძანებით სასტიკი საყვედურის გამოცხადება სრულ შეუსაბამობაშია შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნასთან გადაცდომისა და სასჯელის ურთიერთშეფარდების თაობაზე. ადმინისტრაციას იმ შემთხვევაში აქვს შრომითი კონტრაქტის შეწყვეტის უფლება, მუშაკს მიღებული ჰქონდა დისციპლინური სასჯელი და ამის შემდგომ მან კვლავ დაარღვია შრომის დისციპლინა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „თელასის“ 2004 წლის 16 იანვრის №კ-13 ბრძანების გამოცემის შემდეგ ზ. ოქრუაძეს შრომის დისციპლინა არ დაურღვევია. ამდენად, ზ. ოქრუაძის სამუშაოდან განთავისუფლებისას სს „თელასმა“ არ დაიცვა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნა.

სააქციო საზოგადოება „თელასმა“ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზ. ოქრუაძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით.

ზ. ოქრუაძის მხრიდან მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების ფაქტი გამოვლენილ და დადგენილ იქნა არა ენერგოზედამხედველობის სამსახურის მიერ კონკრეტულ ობიექტებზე შედგენილი აქტებით, არამედ თელასის ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ აქტების შესწავლის შედეგად ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე. სწორედ ზ. ოქრუაძის უშუალო სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა აბონენტთა მომსახურების ცენტრის საქმიანობაზე კონტროლი. იგი იყო პასუხისმგებელი და მას ევალებოდა ბიზნეს-ცენტრის შედეგებზე პასუხისმგებლობა. მის ფუნქციებში შედიოდა ელექტროენერჯის რეალიზაცია და შესაბამისი თანხების მიღებაზე კონტროლი, ელექტრო ენერჯის დანაკარგების აღმოფხვრა, არგადამხდელი მომხმარებლების ქსელიდან გათიშვა, ქვითრების დროული დარიგება, მასზე დაქვემდებარებულ მუშაკთა საქმიანობის სწორი კოორდინაცია და მათივე პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

ზ. ოქრუაძეს მოეთხოვა თითოეულ დარღვეულ ფაქტზე ახსნა-განმარტების დაწერა როგორც სასტიკი საყვედურის გამოცხადებამდე, ასევე, დათხოვნის ბრძანების გამოცემამდე, რაზეც მან თავი შეიკავა და ეს დადასტურებულია საქმეში არსებული ოქმით. ამდენად, სააქციო საზოგადოება „თელასის“ მიერ შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა დარღვეული არ ყოფილა.

ზ. ოქრუაძის მიმართ სასტიკი საყვედურის შეფარდების შემდეგ თელასის ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოკვლეული მასალები მართალია ეყრდნობა დარღვევებს, რომელიც მოიცავს სასტიკი საყვედურის გამოცხადებამდე პერიოდს, მაგრამ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიციას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოსარჩელე ზ. ოქრუაძე განუსაზღვრელი ვადით მუშაობდა სს „თელასში“ აბონენტთა მომსახურების ბიზნეს ცენტრი „ავლაბარის“, იგივე „ისანი-1-ის“ მენეჯერად.

სს „თელასის“ 2004 წლის 16 იანვრის №კ-13 ბრძანებას, რომლითაც ზ. ოქრუაძეს შრომის კანონთა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის საფუძველზე გამოეცხადა სასტიკი საყვედური საფუძველად დაედო სს „თელასის“ ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის 2004 წლის 15 იანვრის დასკვნა „ავლაბარის“ ბიზნეს-ცენტრში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით. დასკვნის თანახმად, სს „თელასის“ ენერგოზედამხედველობის“ სამსახურის მიერ 2003 წლის 1,10,22 ოქტომბერს და 3 ნოემბერს „ავლაბარის“ „ბიზნესცენტრის“ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებში – შპს „იოტაში“, 91-ე საშუალო სკოლაში, შპს „გრიმაში“ და შპს „გურულ ოდაში“ ადგილი ჰქონდა ელექტროენერჯის დატაცებას. სს „თელასის“ ენერგოზედამხედველობის სამსახურმა 2003 წლის 1 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე პერიოდის შემოწმების აქტები, ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურს რეაგირებისათვის მხოლოდ 2004 წლის 13 იანვარს ანუ 2-3 თვის შემდეგ გადაუგზავნა. სს „თელასის“ 2004 წლის 2 თებერვლის №კ-27 ბრძანებას, რომლითაც ზ. ოქრუაძე საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად 2004 წლის 3 თებერვილიდან განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, საფუძველად დაედო სს „თელასის“ ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის 2004 წლის 17 იანვრის დასკვნა №4, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2003 წლის 23 დეკემბერს და 12 იანვარს ელენერჯის დატაცებისა და მრიცხველის გაჩერების ფაქტი გამოვლინდა შესაბამისად შპს „დუქან დოლაბაურში“ და თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს პურის სა ცხოვში.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 15 იანვარს, როდესაც სს „თელასის“ ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის მიერ შედგა დასკვნა 2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოვლენილ დარღვევებზე მითითებულ სამსახურს უკვე ჰქონდა 2003 წლის 23 დეკემბერს და 2004 წლის 12 იანვარს ჩატარებული შემოწმების აქტები, თუმცა მათზე რეაგირება არ მოუხდენია და აღნიშნულზე მხოლოდ 2003 წლის 17 იანვარს, ანუ მას შემდეგ იმსჯელა, რაც ზ. ოქრუაძეს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის შემდეგ მოტივაციას: სასტიკი საყვედურის გამოცხადებისას სააქციო საზოგადოება „თელასის“ ადმინისტრაციას, არ დაურღვევია შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები და ერთი თვის ვადის ათვლა უნდა დაიწყო არა სს „თელასის“ ენერგოზედამხედველობის სამსახურის მიერ მითითებული აქტების შედგენის, არამედ ეკონომიური უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესაბამისი დასკვნის შედგენის შემდეგ.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციის ადმინისტრაცია დისციპლინურ სასჯელს იყენებს გადაცდომის გამოვლენის დღიდან, მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩათვლელად, ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დადებულ იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნული მუხლის შინაარსი ცალსახად მიუთითებს, რომ ადმინისტრაციის მიერ დისციპლინური სასჯელის გამოყენება უკავშირდება დისციპლინური გადაცდომის გამოვლენას, მისი ჩადენის ფაქტს და ადმინისტრაცია შეზღუდულია დროში მოახდინოს რეაგირება ამ დარღვევაზე. მან სასჯელი უნდა გამოიყენოს გადაცდომის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში. დისციპლინური სასჯელის გამოყენების დროში შეზღუდული შესაძლებლობა იმითაცაა განპირობებული, რომ დისციპლინური სასჯელი გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას. კანონმდებელი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ადმინისტრაციამ დისციპლინური სასჯელის სპეციფიკიდან გამომდინარე გადაცდომის ჩადენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა უნდა უზრუნველყოს იმ პროცედურების ჩატარება, რაც დისციპლინური სასჯელის გამოყენებას უკავშირდება.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ ის ფაქტი, რომ ზ. ოქრუაძის განთავისუფლების საფუძვლად მითითებული დარღვევები არ არის ჩადენილი დისციპლინური სასჯელის გამოყენების შემდეგ არ ეწინააღმდეგება შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შინაარსს და სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ეს ნორმა.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია ვადაძღვე მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტა მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ან შრომის შინაგანაწესის სისტემატური შეუსრულებლობის ან მის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო, თუ მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება. მითითებული მუხლის შინაარსი ნათლად მიუთითებს, რომ ადმინისტრაცია მუშაკის მიმართ მხოლოდ მაშინ იყენებს უკიდურეს ზომას სამუშაოდან დათხოვნას, როცა მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, რომელსაც პრევენციული მნიშვნელობა აქვს, მუშაკმა კვლავ არ შეასრულა შრომის ხელშეკრულება ან შინაგანაწესი და ამ დარღვევას სისტემატური ხასიათი აქვს.

განსახილველ შემთხვევაში ზ. ოქრუაძის მიერ ადმინისტრაციის მიერ მისთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შემდეგ, შრომის ხელშეკრულების ან შინაგანაწესის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კანონიერი საფუძვლის გარეშე დათხოვნის ან სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანის დროს მუშა და მოსამსახურე წინანდელ სამუშაოზე უნდა აღადგინოს შრომის დავის განმხილველმა ორგანომ, ამავე კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშაკს ან მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან. გამომდინარე აღნიშნულიდან, საკასაციო პალატას სწორად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ზ. ოქრუაძე შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნათა დარღვევითაა განთავისუფლებული თანამდებობიდან და შესაბამისად მისი მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ კანონიერია.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, ვინაიდან სს „თელასში“ ბიზნეს ცენტრის მენეჯერის უფლება-მოვალეობები არც შრომითი ხელშეკრულებებით, არც შინაგანაწესით და არც სხვა რაიმე დოკუმენტით განსაზღვრული არ ყოფილა. ზ. ოქრუაძეს დისციპლინური სასჯელი მითითებულ დარღვევებზე არ უნდა დაკისრებოდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მსჯელობა საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ზ. ოქრუაძემ დაადასტურა სასამართლო სხდომაზე, რომ იგი ახორციელებდა ბიზნეს ცენტრის საერთო ხელმძღვანელობას და მითითებულ დარღვევებზე რეაგირება შედიოდა მის კომპეტენციაში, რაც შეასრულა კიდევ, როცა მიმართა სააქციო საზოგადოება „თელასის“ შესაბამის სამსახურს რამდენიმე ობიექტის შემოწმების მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. განსახილველ შემთხვევაში კასატორის მიერ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ასეთი პრეტენზია წამოყენებული არ არის. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ მასში მითითებულ კანონის დარღვევას არა აქვს ადგილი. განსახილველ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევები არ დასტურდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი სამართლებრივად დაუსაბუთებელი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სააქციო საზოგადოება „თელასის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-211-533-05

24 მარტი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემაღვენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),

მ. ცისკაძე (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ე. მელნიკოვა მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზის ცენტრალურ-კლინიკური საავადმყოფოს საგზაო პოლიკლინიკაში“ ექიმ-ნევროპათოლოგის თანამდებობაზე. იგი 2002 წლის 2 იანვარს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შპს „საქართველოს რკინიგზის ცენტრალურ-კლინიკური საავადმყოფოს საგზაო პოლიკლინიკის“ დირექტორის ბრძანებით სახელმწიფო სასურთიფიკაციო გამოცდის ჩაუბარებლობის გამო. მან თავისი სამუშაოდან დათხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ, რადგან სასურთიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2002 წლის 23 აპრილს. მას სამუშაოდან დათხოვნის ბრძანება არ ჩაბარებია.

ე. მელნიკოვამ 2002 წლის 27 მაისს სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის ცენტრალურ-კლინიკური საავადმყოფოს საგზაო პოლიკლინიკის“ მიმართ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. მელნიკოვას სარჩელი სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ე. მელნიკოვამ სააპელაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა მოცემულ საქმეზე ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ე. მელნიკოვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომის დავის კომისიას სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან შრომის სამართალი კერძო სამართლის სისტემის ნაწილია, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებები: სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი და მიუთითა, რომ ე. მელნიკოვამ სააპელაციო პალატის სხდომაზე განმარტა, მას 2002 წლის 17 იანვრიდან სამსახურში არ უვლია და არც ხელფასი მიუღია, ხოლო გათავისუფლების თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა 2002 წლის იანვრის ბოლოს. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ე. მელნიკოვას ბრძანება სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ არ ჩაბარებია; მაგრამ იქვე მიუთითა, რომ ბრძანების ჩაბარებას კანონმდებელი ფორმალურ მნიშვნელობას ანიჭებს; ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად ბრძანების ჩაბარების მომენტი მხოლოდ მაშინაა გასათვალისწინებელი, როცა მუშაკი ბრძანების ჩაბარებისას იგებს თავისი დათხოვნის შესახებ. ამიტომ სასამართლომ შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დინება

ათვალი არა მოსარჩელისათვის ბრძანების ჩაბარების დროიდან, არამედ იმ დღიდან, როცა მუშაკისათვის ცნობილი გახდა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. პალატამ მიუთითა, რომ 2002 წლის იანვრის ბოლოსთვის აპელანტისათვის ცნობილი იყო სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, მან კი სასამართლოს სარჩელით მიმართა 2002 წლის 27 მაისს, ე.ი. უფლების დარღვევიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ.

ე. მელნიკოვამ საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის საქმის დაბრუნება იმავე პალატისათვის.

მისი საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალია, რომ ე. მელნიკოვამ დაარღვია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. პოლიკლინიკის ადმინისტრაციამ მელნიკოვას განთავისუფლების შესახებ ბრძანება დაწერა 2002 წლის 2 იანვარს. აღნიშნული ბრძანების შესახებ არაფერი იცოდა კასატორმა და იგი კვლავ განაგრძობდა მუშაობას. 2002 წლის იანვარში მან მიიღო 107 პაციენტი. ინტენსიურად უწევდა კონსულტაციებს თავის ავადმყოფებს. მელნიკოვამ შემთხვევით გაიგო, რომ პოლიკლინიკის დირექტორმა ი. ცუცქირიძემ სამუშაოდან გაანთავისუფლა იგი.

კასატორმა მოპასუხე ორგანიზაციის დირექტორს ცუცქირიძეს მოსთხოვა სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანება და საფუძველი თუ რატომ გაათავისუფლეს იგი სამსახურიდან. ცუცქირიძემ მელნიკოვას განთავისუფლების ბრძანება არ გადასცა. ე. მელნიკოვა იძულებული გახდა თავისი უფლებების დასაცავად მიემართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის დავის კომისიისათვის. შრომის დავის კომისიამ განიხილა მელნიკოვას განცხადება. 2002 წლის 5 აპრილს მელნიკოვამ მიიღო პასუხი, სადაც მითითებული იყო, რომ მას მიემართა სასამართლოსათვის. ამის შემდეგ მან ერთი თვის ვადაში გაასაჩივრა სასამართლოში თავისი უფლებების დარღვევის გამო. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლი, რადგან კასატორს სამუშაოდან დათხოვნის ბრძანება ჯერ კიდევ არ ჩაბარებია.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ე. მელნიკოვა 2002 წლის 2 იანვარს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შპს „საქართველოს რკინიგზის ცენტრალურ-კლინიკური საავადმყოფოს საგზაო სამედიცინო სამსახურის უფროსის პოლიკლინიკის“ დირექტორის ბრძანებით სახელმწიფო სასურთიფიკაციო გამოცდის ჩაუბარებლობის გამო. მან თავისი სამუშაოდან დათხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ, რადგან სასურთიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2002 წლის 23 აპრილს. მას სამუშაოდან დათხოვნის ბრძანება არ ჩაბარებია. ე. მელნიკოვამ 2002 წლის 27 მაისს სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზის ცენტრალურ-კლინიკური საავადმყოფოს საგზაო პოლიკლინიკის“ მიმართ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალია, რომ ე. მელნიკოვას ბრძანება სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ არ ჩაბარებია; მაგრამ იქვე მიუთითა, რომ ბრძანების ჩაბარებას კანონმდებელი ფორმალურ მნიშვნელობას ანიჭებს; ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად ბრძანების ჩაბარების მომენტი მხოლოდ მაშინაა გასათვალისწინებელი, როცა მუშაკი ბრძანების ჩაბარებისას იგებს თავისი დათხოვნის შესახებ. ამიტომ სასამართლომ შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დინება ათვალი არა მოსარჩელისათვის ბრძანების ჩაბარების დროიდან, არამედ იმ დღიდან, როცა მუშაკისათვის ცნობილი გახდა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. პალატამ მიუთითა, რომ 2002 წლის იანვრის ბოლოსთვის აპელანტისათვის ცნობილი იყო სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, მან კი სასამართლოს სარჩელით მიმართა 2002 წლის 27 მაისს, ე.ი. უფლების დარღვევიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამ ნორმის თანახმად მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომის დავის კომისიას სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონმდებელი მუშაკისათვის სამუშაოდან დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დროის განსაზღვრას არ ანიჭებს ფორმალურ მნიშვნელობას, რადგან

სამუშაოდან დათხოვნის ბრძანების შინაარსის გაცნობის გარეშე მუშაკი მოკლებულია შესაძლებლობას, სრულყოფილად გაეცნოს სამუშაოდან დათხოვნის საფუძველს და შემდგომ სამართლებრივად დაასაბუთოს ასეთი ბრძანების უკანონობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ე. მელნიკოვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-61-413-04

29 მარტი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**
შემადგენლობა: მ. ახალაძე (თავმჯდომარე),

მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი – სამუშაოზე აღდგენა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ზ. გამყრელიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მიმართ სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნით. თავის სასარჩელო მოთხოვნას მხარე ამყარებს იმ გარემოებებს, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მე-4 ქვესადგურის გამგის თანამდებობაზე. 2003 წლის 24 სექტემბერს იგი გამოიძახეს სამსახურში. დირექტორთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ მან მოსთხოვა, დაეწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. მოსარჩელემ იმავე დღესვე დაწერა განცხადება, რის საფუძველზეც გამოიცა ბრძანება №42 ზ. გამყრელიძის №4 ქვესადგურის გამგის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე. მოსარჩელე უთითებს, რომ დირექტორმა მოტყუებით დააწერინა მას განცხადება იმ დღეს, როცა მძიმედ ავად იყო, ჰქონდა მწვავე სტენოკარდიული შეტევა და ბრძანებაც იმავე დღეს გაფორმდა, რითაც დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის „დ“ პუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ზ. გამყრელიძე აღდგენილ იქნა თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მე-4 ქვესადგურის გამგის თანამდებობაზე იმ საფუძველით, რომ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია შვებულების ან დროებით შრომისუუნარობის დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა. გადაწყვეტილება ასევე ემყარება ადმინისტრაციის მხრივ შრომის კანონთა კოდექსის 33-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევას, რომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა მუშაკის ინიციატივით შეიძლება მხოლოდ ამ მუხლში მითითებული საფუძველებით არ მომხდარა. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ

დარღვეულია შრომის კონტრაქტის მე-10 მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ განთავისუფლების შესახებ მუშაკს უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან შრომითი ხელშეკრულების ვადამდე მოშლა მოხდა მუშაკის და არა ადმინისტრაციის ინიციატივით. ამასთან, აპელანტის აზრით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა შრომის კანონთა კოდექსის 33-ე მუხლი, რადგან იგი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაციის ნება არ ემთხვევა მუშაკის ნებას.

სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. გამყრელიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი სამუშაოზე აღდგენის საფუძველი.

სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. გამყრელიძემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ სასამართლოს მიერ დარღვეულია შრომის კანონთა კოდექსის 33-ე მუხლი, 34-ე მუხლის I და II ნაწილის მოთხოვნები. ამასთან, კასატორის აზრით, სასამართლომ არ გაარკვია ზ. გამყრელიძის მიერ განცხადების დაწერის მიზეზი და არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ განცხადების დაწერის დროს ზ. გამყრელიძე იმყოფებოდა შვებულებაში. არასწორად იქნა განმარტებული შრომის კანონთა კოდექსის 33-ე მუხლი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძველები, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ზ. გამყრელიძესა და თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორ დავით გველესიანს შორის 2003 წლის 15 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე ზ. გამყრელიძე მუშაობდა თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მე-4 ქვესადგურის გამგის თანამდებობაზე. ხელშეკრულება დადებული იყო 2003 წლის 15 იანვრამდე. ვადის დამთავრებამდე, 2003 წლის 24 სექტემბერს, მან თხოვნით მიმართა მოპასუხეს დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე, რასაც დაეთანხმა დამქირავებელი და 2003 წლის 24 სექტემბრის №42 ბრძანებით გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კასატორი არ უთითებს, თუ რაში გამოიხატება სააპელაციო სასამართლოს მიერ შრომის კანონთა კოდექსის 33-ე მუხლის დარღვევა. აღნიშნულ მუხლში საუბარია მუშაკის ან მოსამსახურის ინიციატივით ვადიანი შრომის ხელშეკრულების თაობაზე, რასაც რეალურად ჰქონდა ადგილი განსახილველი დავის დროს, მაგრამ მითითებული ნორმის დარღვევის ფაქტი არ ღვინდება საქმის მასალებით და არც კასატორი მიუთითებს რაიმეს აღნიშნულის თაობაზე.

რაც შეეხება კასატორის მიერ მითითებულ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს, ეს ნორმები არ ვრცელდება მოცემულ შემთხვევაზე. აღნიშნული მუხლი შეეხება შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას ადმინისტრაციის ინიციატივით. სადავო არ არის ის გარემოება, რომ ზ. გამყრელიძე სამსახურიდან გაათავისუფლეს პირადი განცხადების საფუძველზე და არა ადმინისტრაციის ინიციატივით, ამიტომ სასამართლო აღნიშნულ ნორმას ვერ გამოიყენებდა და მითუმეტეს ვერ დაარღვევდა მას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლომ არ განუმარტავს შრომის კანონთა კოდექსის 33-ე მუხლი. გადაწყვეტილებაში საუბარია აღნიშნული საფუძველების არსებობის შემთხვევაში განთავისუფლების ვადებზე.

შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კანონიერი საფუძველის გარეშე დათხოვნის ან სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანის დროს მუშა ან მოსამსახურე წინანდელ სამუშაოზე უნდა აღადგინოს შრომის დავის განმხილველმა ორგანომ. მოცემულ შემთხვევაში ზ. გამყრელიძის მტკიცების ტვირთს შეადგენს იმის დადასტურება, რომ იგი თანამდებობიდან განთავისუფლებულია კანონიერი საფუძველის გარეშე. აღნიშნული გარემოება არ ღვინდება საქმის მასალებით, ამიტომ მისი მოთხოვნა არ შეიძლება დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ზ. გამყრელიძის წარმომადგენლის, ნათელა ჩერქეზიას, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-359-642-04

13 აპრილი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: მიუღებელი სარჩოს თანხის დაბრუნება და ყოველთვიური სარჩოს გადახდა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2002 წლის 20 თებერვალს აღექვი ჯერენაშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ფონიჭალა-3-ის“ მიმართ მიუღებელი და ყოველთვიური სარჩოს გადახდის თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1985 წლის ნოემბრიდან მუშაობდა შპს „ფონიჭალა-3-ში“ ზეთის ფილტრების მტვირთავად. 1989 წლის აპრილში მას შრომითი მოვალეობის შესრულებისას შტამპის ქვეშ მოუყვა თითები, რის გამოც 1989 წლის აგვისტოში სამედიცინო შრომითმა კომისიამ დაუდგინა მე-2 ჯგუფის ინვალიდობა და შრომის უნარის 25%-ით დაკარგვა უვადოდ.

1989 წლის 3 მაისის საწარმოში მომხდარი შემთხვევის აქტით, უბედური შემთხვევის მიზეზი იყო ადმინისტრაციის მხრიდან სუსტი საწარმოო დისციპლინა ანუ ა.ჯერენაშვილს მიადგა ზიანი დამქირავებლის – ადმინისტრაციის ბრალით შრომის დაცვის წესების უგულებელყოფით, რის გამოც საწარმომ ა.ჯერენაშვილს დაუნიშნა სარჩო ყოველთვიურად 94 მანეთის ოდენობით. აღნიშნულ თანხას მოსარჩელე იღებდა რამდენიმე თვის განმავლობაში, 1990 წლიდან კი საწარმომ მას შეუწყვიტა სარჩოს გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მიუღებელი სარჩოს თანხის დაბრუნება და ყოველთვიური სარჩოს გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო სათანადო მოპასუხე, რადგან მიაჩნია, რომ არ არის უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა-3-ის“ სამართალმემკვიდრე.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა-3-ს“ ა.ჯერენაშვილის სასარგებლოდ ერთდროულად დაეკისრა 375,36 ლარისა და 2003 წლის 21 თებერვლიდან ყოველთვიურად 31,28 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა-3-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 13 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ა.ჯერენაშვილი მუშაობდა უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა-3-ში“ ზეთის ფილტრების მტვირტავად, რომელსაც შრომითი მოვალეობის შესრულებისას შტამპის ქვეშ მოუყვა თითები და 1999 წლის აგვისტოში, შრომითი კომისიის დასკვნით, ა.ჯერენაშვილი ცნობილ იქნა მე-2 ჯგუფის ინვალიდად შრომის უნარის 25%-ით დაკარგვით უვადოდ. საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის მიზეზია ადმინისტრაციის მხრიდან სუსტი საწარმოო დისციპლინა ანუ ა.ჯერენაშვილმა ტრავმა მიიღო საწარმოს ბრალით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საწარმომ ცნო მისი ბრალეულობა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და ა.ჯერენაშვილს დაუნიშნა სარჩო ყოველთვიურად 94 მანეთის ოდენობით, რასაც იღებდა რამდენიმე თვის განმავლობაში, 1990 წლიდან კი საწარმომ მას შეუწყვიტა სარჩოს მიცემა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სწორად დააკისრა შპს „ფონიჭალა-3-ს“ ა.ჯერენაშვილის სასარგებლოდ 375,36 ლარისა და ყოველთვიურად 31,28 ლარის გადახდა, რადგან სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2002 წლის 17 აპრილის ცნობით დადგენილია, რომ 1991 წელს 377 მანეთის, კუპონისა და ლარის ინფლაციის გათვალისწინებით, 2002 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგენს 125 ლარსა და 11 თეთრს, ხოლო მისი 25% – 31 ლარსა და 28 თეთრს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დანიშნული სარჩოს ოდენობა სადავოდ არ გაუხდია მოწინააღმდეგე მხარეს და საპირისპიროს დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ გაუშვა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული კატეგორიის საქმეებზე ხანდაზმულობის ვადა მოწესრიგებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 51-ე მუხლით, რომლის თანახმად, „თუ განცხადება ზიანის ანაზღაურების შესახებ დაქირავებულთან შეტანილია შრომის უნარის ხარისხის დაკარგვიდან ან მარჩენალის დაკარგვიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ზიანის ანაზღაურება ხდება განცხადების შეტანის დღიდან. განცხადების შეტანის დღედ კი ითვლება მისი ორგანიზაციაში მიღების დღე ანუ მოცემული წესების ამგვარ მოთხოვნებზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საწარმოს არ მიუძღვის ბრალი ა.ჯერენაშვილისათვის ზიანის მიყენებაში, რადგან საქმეში წარმოდგენილი საწარმოო ტრავმის შესახებ 1989 წლის 11 აპრილის აქტით დადგენილია, რომ უბედური შემთხვევის მიზეზია სუსტი საწარმოო დისციპლინა ადმინისტრაციისა და არა მუშაკის მხრიდან.

პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა აპელანტის მტკიცება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის უბედური შემთხვევა მოუხდა სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალაში“, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა 1993 წლის 15 თებერვალს ისე, რომ არ დარჩენია სამართალმემკვიდრეები, ხოლო შპს „ფონიჭალა-3“ დამოუკიდებელი კერძო სამართლებრივი სუბიექტია, რომელიც არ არის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალას“ სამართალმემკვიდრე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის 1993 წლის 25 თებერვლის განკარგულებით, დაემყოფილდა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თხოვნა და რეგისტრირებულ იქნა სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალის“ კოოპერირება-1-ის“, კოოპერირება-2-ის“, ზეთის ფილტრების, სატვიფროსა და სათამაშოების უბნების ბაზაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო „ფონიჭალა-3“, მდებარე თბილისში, რუსთაველის გზატკეცილის №22-ში, რითაც დასტურდება რომ სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა“ ლიკვიდირებული არ ყოფილა, იგი რეორგანიზებულ იქნა და ერთიანად დაფუძნდა საწარმო „ფონიჭალა-3“.

თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 1 აგვისტოს დადგენილებით კი დაფუძნდა და რეგისტრირებულ იქნა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შპს „ფონიჭალა-3“, რომელიც არის საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა-3-ის“ სამართალმემკვიდრე და განთავსებულია იმავე მისამართზე – თბილისი, რუსთაველის გზატკეცილი №22.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ 2003 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით, საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მატერიალური და პროცესუალური ნორმების დაცვით სწორად დააკისრა უსინათლოთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა-3-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ ერთდროულად 375,36 ლარისა და 2003 წლის 21 თებერვლიდან ყოველთვიურად 31,28 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ფონიჭალა-3-ის“ დირექტორმა ა. ნაზარიანმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორმა განმარტა, რომ ა.ჯერენაშვილი მუშაობდა თბილისის სასწავლო წამოწყება „ფონიჭალაში“ სათამაშოების უბანზე მტვირთავად. მას 1986 წლის 15 აგვისტოს მოუხდა უბედური შემთხვევა, კერძოდ, სამუშაოს დროს, ნ.სეთურთან საუბრისას, კარი, რომელზეც მას ხელი ჰქონდა დადებული, ორპირი ქარის გამო, დაიხურა და მას მარცხენა ხელის მეორე თითი მოჰყვა კარში. 1989 წლის 28 აპრილს ა.ჯერენაშვილმა ტვიფრში დაიზიანა მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითის ფრჩხილები. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა აქტი და თანამშრომლებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტებები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ა.ჯერენაშვილი თვითნებურად დაჯდა წნეხზე, სადაც მოუხდა უბედური შემთხვევა. მოსარჩელეს აკრძალული ჰქონდა აღნიშნულ წნეხთან მისვლა და მუშაობა, ვინაიდან იგი იყო უსინათლო. ამდენად, არც ერთი შემთხვევა არ იყო გამოწვეული საწარმოს ბრალით და შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლის შესაბამისად, საწარმოს არ უნდა დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

საკასაციო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სარჩელი ხანდაზმულია, რადგან ა.ჯერენაშვილმა გაუშვა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე და სამოქალაქო კოდექსის 75-ე მუხლით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა იერარქიით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი აქტი, ამასთან, აღნიშნული აქტი სადავო ურთიერთობების დროს არ არსებობდა.

კასატორმა აღნიშნა, რომ მოსარჩელეს უბედური შემთხვევა მოუხდა სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალაში“, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა ჯერ კიდევ 1993 წლის 15 თებერვალს ისე, რომ არ დარჩენია სამართალმემკვიდრეები. შპს „ფონიჭალა“ კი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეწარმეო საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულ იქნა 1993 წლის 25 თებერვალს კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ, ხოლო 1996 წელს ხელახალ რეგისტრაციაში გატარდა კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. ამდენად, კასატორი, თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სასწავლო-საწარმოო წამოწყება „ფონიჭალა“ რეორგანიზებულ იქნა შპს „ფონიჭალა-3“-ად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ა.ჯერენაშვილის სარჩელზე უარის თქმა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ იგი უსაფუძვლოა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის II ნაწილით, საოლქო სასამართლოს პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. პალატა თვლის, რომ შპს „ფონიჭალა-3-ის“ საკასაციო პრეტენზია დაუსაბუთებელია, რადგან კასატორი არ მიუთითებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას სასამართლომ რომელი საპროცესო ნორმა დაარღვია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ თითოეული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას მიუთითა იმ მტკიცებულებებზე, რომლებითაც საქმის ფაქტობრივი გარემოებანი დაადგინა, კერძოდ, ბრალეულობის საკითხის განხილვისას, რასაც ითვალისწინებს „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 მუხლი, სასამართლომ მიუთითა 1989 წლის 11 აპრილის უბედური შემთხვევის აქტზე, რომლის საფუძველზეც საწარმო ა.ჯერენაშვილს 1990 წლამდე უხდიდა სარჩოს. ამასთან, პალატა მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილია, რომ საწარმო დაზარალებულს უხდიდა, საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, სარჩოს, სარჩელის ოდენობის გადაანგარიშების ან მიუღებელი თანხის დაკისრების თაობაზე სარჩელების განხილვისას სასამართლო აღარ იკვლევს უბედური შემთხვევით გამოწვეული ზიანის დადგომის ბრალეულობის

საკითხს. ბრალეულობის თაობაზე, როგორც წესი, მითითებულია საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტში. აქტში მითითებული არასწორი მონაცემები კი ორივე მხარეს (საწარმოს, დაზარალებულს) შეუძლია სადავო გახადოს სასარჩელო წესით. განსახილველ შემთხვევაში საწარმოს 1989 წლის 3 მაისის აქტი სასარჩელო წესით სადავო არ გაუხდია. ამდენად, საკასაციო პრეტენზია ამ ნაწილში დაუსაბუთებელია.

პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას საწარმოს უფლებამონაცვლების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნული გარემოების დადგენისას მიუთითა შესაბამის, კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებებზე, კერძოდ, თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის 1993 წლის 25 თებერვლის განკარგულებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ უსინათლოთა საზოგადოება დარეგისტრირდა როგორც სასწავლო საწარმო წამოწყება „ფონიჭალა-3“. ასევე, თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 1 აგვისტოს დადგენილებაზე. კასატორი, მისი საკასაციო პრეტენზია დასაბუთებული რომ იყოს, უნდა მიუთითებდეს საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც მის მოსაზრებას (რომ იგი არ არის იმ საწარმოს უფლებამონაცვლე, სადაც ა. ჯერენაშვილმა მიიღო სხეულის დაზიანება) სარწმუნოს განდიდა. ამდენად, საკასაციო პრეტენზია ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია.

რაც შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხს, პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნულ მოთხოვნებზე (მიუღებელი სარჩოს ანაზღაურება) ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები, ოღონდ არა იმ თვალსაზრისით, რასაც კასატორი მიუთითებს, არამედ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით, რომლითაც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან წამოშობილ მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა 3 წელია. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს არ დაუკისრებია სარჩოს გადახდა 1990 წლიდან, როგორც ამას მოსარჩელე მოითხოვდა.

ამდენად, საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „ფონიჭალა-3-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაემაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 13 ნოემბრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლები გაეგზავნოს მხარეებს.

სამუშაოზე აღდგენა

განჩინება

№ას-247-577-05

19 აპრილი, 2005 წ. ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ახალაძე,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი – სამუშაოზე აღდგენა

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ლ. გოგიჩაიშვილი 1996 წლიდან მუშაობდა სს „ბორჯომის რაისაავადმყოფოს“ დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში. საავადმყოფოს დირექტორის 2004 წლის 30 მარტის №8 ბრძანებით შეიქმნა დირექტორის მოადგილის საშტატო ერთეული სანიტარული ზედამხედველობის

დარგში და ამავე ბრძანების მე-2 პარაგრაფის თანახმად, ლ. გოგიჩაიშვილი გადაყვანილ იქნა ამ სამშაბტო ერთეულზე. ლ. გოგიჩაიშვილმა მისი ამ სამუშაოზე გადაყვანა მიიჩნია კანონის დარღვევად, კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფად, რადგან, მისი აზრით, აღნიშნული საკითხი გადაწყდა მასთან შეთანხმების გარეშე და არსებითად შეიცვალა შრომის პირობებიც.

ლ. გოგიჩაიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სს „ბორჯომის რაისაავადმყოფოს“ დირექტორის 2004 წლის 30 მარტის №8 ბრძანების მეორე პარაგრაფის გაუქმება და მისი აღდგენა სამკურნალო დარგში დირექტორის მოადგილედ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოხდა მოსარჩელის თანამდებობრივი გადანაცვლება, რითაც არ დარღვეულა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მოთხოვნები და არც ლ. გოგიჩაიშვილის შრომის პირობები შეცვლილა, ხოლო მითითებული ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, დასაშვებია მუშაკთან შეთანხმების გარეშე იმავე დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში გადანაცვლება, თუკი არ იცვლება მისი შრომის პირობები. მოპასუხის აზრით, მოხდა მოსარჩელის გადანაცვლება იგივე თანამდებობაზე იგივე ხელფასით.

ბორჯომის რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ლ. გოგიჩაიშვილის სარჩელი უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოხდა ლ. გოგიჩაიშვილის გადანაცვლება ერთი თანამდებობიდან მეორეზე, რისთვისაც კანონმდებლობა მუშაკისაგან თანხმობის მიღებას არ ითვალისწინებს. ამასთან, ლ. გოგიჩაიშვილის შრომით ხელშეკრულებას სს „ბორჯომის რაისაავადმყოფოსთან“ გაუვიდა ვადა, რის გამოც შეუძლებლად მიიჩნია მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ლ. გოგიჩაიშვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა მითითებული გადაწყვეტილება და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ მისი გადაყვანა მოხდა არარსებულ თანამდებობაზე, ვინაიდან 2004 წლის 30 მარტის მდგომარეობით რაისაავადმყოფოს არ გააჩნდა შინაგანაწესი. ადმინისტრაციას უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა მისთვის იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული, სხვა სამუშაოზე გადაყვანა კი საჭიროებდა მის წერილობით თანხმობას. ამასთან, მას არ ჰქონდა აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისთვის საჭირო სერტიფიკატი.

სააპელაციო სასამართლომ 2005 წლის 18 იანვრის განჩინებით ლ. გოგიჩაიშვილის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. უცვლელად დარჩა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. გოგიჩაიშვილის გადაყვანით დირექტორის მოადგილედ სანიტარული ზედამხედველობის დარგში მისი შრომის პირობები არ შეცვლილა. ამასთან, გასულია ლ. გოგიჩაიშვილთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რის გამოც შეუძლებელია მისი სამსახურში აღდგენა.

მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ლ. გოგიჩაიშვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ მოხდა მისი გადაყვანა არარსებულ თანამდებობაზე. ამასთან, საზოგადოების ადმინისტრაციას უფლება არ ჰქონდა, მოეთხოვა მისთვის იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა. იგი განიცდიდა სამსახურებრივ დევნას, სანიტარული ზედამხედველობა არ წარმოადგენს საექიმო საქმიანობას და მას არ გააჩნდა სათანადო სერტიფიკატი ამ თანამდებობაზე სამუშაოდ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებანი იმის თაობაზე, რომ ლ. გოგიჩაიშვილი მუშაობდა სს „ბორჯომის რაისაავადმყოფოს“ დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში. ამასთან, მას შეთავსებული ჰქონდა ნარკოლოგიური კაბინეტის გამგის თანამდებობა. საზოგადოების დირექტორის 2004 წლის 30 მარტის №8 ბრძანებით შეიქმნა სანიტარული ზედამხედველობის დარგში დირექტორის მოადგილის სამშაბტო ერთეული, რომელზეც დაინიშნა ლ. გოგიჩაიშვილი იგივე ხელფასის შენარჩუნებით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ ლ. გოგიჩაიშვილს გააჩნია სახელმწიფო სერტიფიკატი ნარკოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის ორგანიზაციაში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სს „ბორჯომის რაისაავადმყოფოს“ დირექტორი არ იყო უფლებამოსილი, ლ. გოგიჩაიშვილი გადაეყვანა, თუნდაც გადაენაცვლებინა, სხვა თანამდებობაზე, რადგან სს „ბორჯომის რაისაავადმყოფოს“ და ლ. გოგიჩაიშვილს შორის დადებული შრომითი კონტრაქტის თანახმად, ლ. გოგიჩაიშვილი დაინიშნა საავადმყოფოს დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში, ხოლო ხელშეკრულების მე-11 პუნქტის თანახმად, დამქირავებელს უფლება არ ჰქონდა, მოეთხოვა „დაქირავებულისათვის“ იმ სამუშაოს შესრულება, რაც გათვალისწინებული არ იყო კონტრაქტით. იგივე დებულება მოცემულია შრომის კანონთა კოდექსის 25-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის საფუძველზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშაკს ან მოსამსახურეს იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც გათვალისწინებული არ არის შრომითი ხელშეკრულებით. ლ. გოგიჩაიშვილის სანიტარული ზედამხედველობის დარგში მოადგილედ მუშაობა არ იყო გათვალისწინებული მითითებული კონტრაქტით, ამის გამო პალატა მიიჩნევს, რომ ლ. გოგიჩაიშვილის დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სანიტარული ზედამხედველობის დარგში მოხდა მითითებული კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ლ. გოგიჩაიშვილსა და სს „ბორჯომის რაისაავადმყოფოს“ შორის შრომითი კონტრაქტი მოქმედებდა 2004 წლის 1 ივნისამდე. ამავე თანამდებობაზე იგი დაინიშნა საკონტრაქტო ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე. დღეისათვის ეს ვადა უკვე ამოწურულია, რაც შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. დღეისათვის ლ. გოგიჩაიშვილს არავითარ შრომით ურთიერთობაში არ იმყოფება საავადმყოფოსთან. იგი არ ასრულებს დირექტორის მოადგილის ფუნქციასაც სანიტარული ზედამხედველობის დარგში. ამიტომ მისი დაბრუნება ძველ თანამდებობაზე შეუძლებელია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ლ. გოგიჩაიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 იანვრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-357-707-05

19 აპრილი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ახალაძე

დავის საგანი: სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებების გაუქმება, განაცდურისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ზ. ნატროშვილმა, მ. ლაბაძემ, ლ. დეენოზაშვილმა, ნ. ქავთარაძემ, ჟ. კოკოევამ, ჯ. გაბრაშვილმა, ნ. ჩაჩუამ, ნ. ქინქლაძემ, ი. ნაცვლიშვილმა და ლ. სააკოვამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე სს „ტელენეტის“ მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების გაუქმების, განაცდურის ანაზღაურებისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების

თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 31 ოქტომბერს სს „ტელენეტის“ ხელმძღვანელობამ მოსარჩელებს წაუყენა ულტიმატუმი და მოითხოვა, დღის ბოლომდე მუშაკებს თავისი ნებით დაეწერათ განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ამ შემთხვევაში ისინი მიიღებდნენ 6 თვის კომპენსაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში გათავისუფლებოდნენ ორი თვის შემდეგ, მაგრამ მიიღებდნენ მხოლოდ ორი თვის კომპენსაციას. მოსარჩელების მითითებით, მოპასუხე საზოგადოების ხელმძღვანელობამ ისინი მიზანმიმართულად შეიყვანა შეცდომაში, რადგან სს „ტელენეტის“ ადმინისტრაციასა და პროფკომიტეტს შორის გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულების 4.6 პუნქტის თანახმად, შტატებისა და სამუშაო ადგილის ლიკვიდაციის მიზეზით გათავისუფლებულ მუშაკებზე, მათი სოციალური დაცვის მიზნით, უნდა გაცემულიყო ერთდროული ფულადი კომპენსაცია 2000-3000 ლარის ოდენობით. ისინი კი გაათავისუფლეს ამ მუხლის გაუთვალისწინებლად. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ზ. ნატროშვილის, ნ. ჩაჩუას, ჯ. გაბრაშვილის, მ. ლაბაძის, ი. ნაცვლიშვილის, ლ. დევნოზაშვილის, ნ. ქავთარაძის, ლ. სააკოვას გათავისუფლების შესახებ 2003 წლის 31 ოქტომბრის №27\03, №28\03, 2003 წლის 30 ოქტომბრის №26\03, 2003 წლის 25\03 და 2003 წლის 24 ოქტომბრის №23\03 ბრძანებების გაუქმება, მოპასუხისათვის განაცდურის სახით საშუალო თვიური ხელფასის ოდენობით ანაზღაურება 2003 წლის 1 ნოემბრიდან და იმ თანამდებობის პირებისათვის, რომელთაც ბრალი მიუძღვის მუშაკების სამსახურიდან უკანონო დათხოვნაში, მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება სამი თვის ხელფასის ოდენობით. 2004 წლის 13 მაისს მოსარჩელებმა შეცვალეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს: ნარიანა ჩაჩუას, ჯ. გაბრაშვილის, მ. ლაბაძის, ი. ნაცვლიშვილის, ლ. დევნოზაშვილის, ჟ. კოკოევას, ნ. ქინქლაძეს, ნ. ქავთარაძის, ლ. სააკოვას გათავისუფლების შესახებ 2003 წლის 31 ოქტომბრის №27\03, №28\03, 2003 წლის 30 ოქტომბრის №26\03, 2003 წლის 25\03 და 2003 წლის 24 ოქტომბრის №23\03 ბრძანებების გაუქმება და მოსარჩელეთა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად, გათავისუფლება, აგრეთვე, მოითხოვეს 2002 წლის 15 იანვრის კოლექტიური ხელშეკრულების 4.6 პუნქტის თანახმად, მოპასუხისათვის მოსარჩელებისათვის მათი სოციალური დაცვის მიზნით, ერთდროული ფულადი კომპენსაციის დაკისრება შემდეგი ოდენობით: უკვე გაცემული 5 თვის კომპენსაციის გათვალისწინებით, მუშა პერსონალს – 2000 ლარი, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს – 3000 ლარი. მოპასუხეს დაკისრებოდა მოსარჩელეთა სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნისთვის მატერიალური პასუხისმგებლობა სამი თვის ხელფასის ოდენობით.

მოპასუხე სს „ტელენეტმა“ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სარჩელი არის ხანდაზმული. მუშაკები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ საკუთარი და არა სს „ტელენეტის“ ინიციატივით, შესაბამისი განცხადებების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში მოტყუებით ან იძულებით არ გათავისუფლებულან. აღნიშნული გარემოება ვერ დადასტურდა როგორც მოსარჩელეთა მიერ, ისე შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს დასკვნით.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი მისი ხანდაზმულობის მოტივით არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 10 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა შრომითი კონტრაქტების საფუძველზე შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო, მათ შორის დავის წარმოშობის საფუძველი გახდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ აპელანტების გათავისუფლების შესახებ გამოცემული ბრძანებები. საქმის მასალებით დასტურდება და მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულება აპელანტებთან დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით. აპელანტების გათავისუფლებისა და მოწინააღმდეგე მხარესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი გახდა მათი პირადი განცხადებები შრომის კანონთა კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა, აპელანტების მოსაზრება, რომ გათავისუფლების შესახებ განცხადებების დაწერისას მათი ნების გამოვლენა არ იყო ნამდვილი, განცხადებები დააწერინეს მოტყუებითა და იძულებით. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის მიხედვით, მათ დარღვეული უფლებების შესახებ შეეძლოთ სასამართლოსთვის მიემართათ სამი თვის ვადაში, ხოლო არასწორად დათხოვნის შემთხვევაში ერთი თვის ვადაში დათხოვნის ბრძანების ჩაბარებიდან. სააპელაციო პალატის მითითებით, ის ფაქტი, რომ

აპელანტების მიერ გათავისუფლების შესახებ განცხადებები დაწერილია 2003 წლის 24-31 ოქტომბერს, ხოლო მათი სასარჩელო მოთხოვნა ამ განცხადებების საფუძველზე გათავისუფლების შესახებ ბრძანებების გაუქმების თაობაზე სასამართლოში შეტანილია 2004 წლის 1 აპრილს, ადასტურებს იმ გარემოებას რომ მათ თავიანთი დარღვეული უფლებების შესახებ სასამართლოს მიმართეს ზემოთ მითითებული ნორმის დარღვევით – 5 თვის შემდეგ, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია. სარჩელზე დართულ დოკუმენტებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ მათ გათავისუფლების შესახებ ბრძანებები არ ჩაბარებიათ. სასამართლოს განმარტებით, კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს, ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა სს „ტელენეტი“, მესაკუთრე იყო სახელმწიფო, ხოლო 2002 წლის ივნისიდან მესაკუთრე შეიცვალა და სს „ინფოკომის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის 90%-ის მფლობელი გახდა შპს „ცენტრინვესტი“, ხოლო 10%-ის მფლობელი გახდნენ თვით მოსარჩელები. პალატამ მიუთითა „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეექვსე პუნქტზე და აღნიშნა, საქმის მასალების მიხედვით, მესაკუთრის შეცვლის შემდეგ 2002 წლის ივლისიდან ერთი წლის განმავლობაში კოლექტიური ხელშეკრულებით მხარეებს შორის მოლაპარაკება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების ან მოქმედი ცვლილებების შეტანის თაობაზე არ განხორციელებულა. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ 2003 წლის ივნისის შემდეგ 2000 წლის 15 იანვრის კოლექტიური ხელშეკრულება ზემოთ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ძალადაკარგული იყო და მასზე დაყრდნობით კომპენსაციის სახით 2000 ან 3000 ლარის მოთხოვნის საფუძველი აპელანტებისათვის არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინება მოსარჩელებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით. კასატორთა განმარტებით, პალატამ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლი და სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულად ჩათვალა. მხარის აზრით, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 81-ე, 85-ე, 84-ე და 89-ე მუხლებით, რომელთა თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იქნებოდა ერთი წელი. კასატორებმა არ გაიზიარეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ და მიუთითეს, რომ 2003 წლის 12 მარტს, კონტროლის პალატის მიერ შედგა „სს ინფოკომის“ პრივატიზების კანონიერების შესახებ თემატური შემოწმების აქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო კომისიის 2002 წლის 28 ივნისის №45 სხდომის ოქმით კომერციულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ცენტრინვესტი“. აღნიშნული ოქმი დამტკიცდა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2002 წლის 1 ივლისის ბრძანებით. ამავე აქტით 2002 წლის 3 ივლისს ქონების მართვის სამინისტრომ და შპს „ცენტრინვესტმა“ შეიძინა სს „ინფოკომისა“ და არა შპს „ინფოკომის“ აქციები. შპს „ინფოკომი“ სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა 2003 წლის 28 იანვრიდან, ხოლო სს „ინფოკომი“ – სს „ტელენეტი“ 2003 წლის 15 ოქტომბერს და არა 2002 წლის 3 ივლისს, რაც დასტურდება კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 ოქტომბრის №06/5-32 დადგენილებით. სს „ინფოკომის“ პრივატიზების კანონიერების შესახებ თემატური შემოწმების აქტში, ასევე აღნიშნულია, რომ შემოწმების დროისთვის 2003 წლის 12 მარტის მდგომარეობით, შპს „ცენტრინვესტზე“ არ არის გაცემული შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და დარღვეულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მოთხოვნა. შესაბამისი ცვლილებები არ იყო განხორციელებული არც აქციონერთა რეესტრშიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51-ე მუხლის მიხედვით. მოპასუხემ წარმოადგინა აქციათა რეესტრის მდგომარეობა 2004 წლის 14 ივნისისათვის. 2003 წლის 12 მარტის მდგომარეობით აქციათა რეესტრში შპს „ცენტრინვესტი“, როგორც აქციათა 90%-ის მესაკუთრე, რეგისტრირებული არ იყო. ამდენად, 2003 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მეექვსე პუნქტით გათვალისწინებული ვადა არ იყო გასული, კოლექტიური ხელშეკრულება იყო ძალაში, რომლის 4.6 პუნქტის შესაბამისად, შტატების ან სამუშაო ადგილის ლიკვიდაციის გამო განთავისუფლებულ მუშაკებს ეკუთვნით ერთდროული ფულადი კომპენსაცია 2000 – 3000 ლარის ოდენობით. კასატორთა აზრით, სწორედ ზემოხსენებულის გამო აირჩია საწარმოს ხელმძღვანელობამ მათი იძულების გზა და, მოტყუებითი გარიგების დადების მიზნით, მისცა მხოლოდ მცირე თანხა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ჩვენი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამართლის ნორმები.

საოლქო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა შრომითი კონტრაქტების საფუძველზე. შრომითი ხელშეკრულება კასატორებთან დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით. კასატორების გათავისუფლებისა და მოწინააღმდეგე მხარესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი განდა მათი პირადი განცხადებები ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. განცხადებები გათავისუფლების შესახებ დაწერილია 2003 წლის 24-31 ოქტომბერს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა, ამ განცხადებების საფუძველზე გათავისუფლების შესახებ ბრძანებების გაუქმების თაობაზე, სასამართლოში შეტანილია 2004 წლის 1 აპრილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილით, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორს ამ სახის პრეტენზია არ წარმოუდგენია, რის გამოც საკასაციო პალატა ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს დადგენილად, ხოლო სამართლებრივ შეფასებას კანონშესაბამისად მიიჩნევს, კერძოდ:

შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუშებსა და მოსამსახურეებს დათხოვნის საქმეთა გამო შრომის დავის გადასაწყვეტად შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს ერთი თვის ვადაში. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ კასატორებმა სასამართლოს მიმართეს აღნიშნული ვადის დარღვევით 5 თვის შემდეგ, რის გამოც საოლქო სასამართლომ სავსებით სწორად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულად. აღნიშნულთან დაკავშირებით უსაფუძვლოა კასატორების მითითება განცხადებების მოტყუებითა და იძულებით დაწერის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 81-ე და 85-ე მუხლებზე დაყრდნობით, ვინაიდან იძულების ან მოტყუების ფაქტი რაიმე მტკიცებულებით დადასტურებული არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი იმ გარემოებების მტკიცების ტვირთი, რასაც ემყარება სასარჩელო მოთხოვნა, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს.

ასევე უსაფუძვლოა კასატორების მოსაზრება 2000 წლის 15 იანვრის კოლექტიური ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, ვინაიდან დასახელებული ხელშეკრულების 4.6 პუნქტის შესაბამისად, სამუშაოდან გათავისუფლებულ მუშაკებს ერთდროული ფულადი კომპენსაცია ეკუთვნით იმ შემთხვევაში, თუკი ისინი სამუშაოდან გათავისუფლდნენ შტატების შემცირების ან სამუშაო ადგილის ლიკვიდაციის გამო. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კასატორთა სამუშაოდან გათავისუფლებას საფუძვლად უდევს მათივე განცხადებები. ამდენად, კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების შემთხვევაშიც ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გაცემის საფუძველი არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევის გარეშეა მიღებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ნატროშვილის, მ. ლაბაძის, ლ. დევნოზაშვილის, ნ. ქავთარაძის, ს. ნაცვლიშვილის, ჟ. კოკოევას, ჯ. გაბრაშვილის, ნ. ჩაჩუას, ნ. ქინქლაძისა და ლ. სააკოვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 10 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „მ“ პუნქტით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-25-389-05

21 აპრილი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: შესრულებული სამუშაოს სრული ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2002 წლის 19 ნოემბერს – სს მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკის“ ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის ექიმ-რეანიმატოლოგებისა და ექთნებმა – თ.გურეშიძემ, დ.ჩხიკვაძემ, თ.ირემაშვილმა, ლ.მოხევიშვილმა, თ.იმერლიშვილმა, მ.ფორცხალავამ, ნ.დოლონაძემ, მ.ჩიკვაიძემ, გ.გვიმრაძემ, ს.ჟორჯიკაშვილმა, ს.ჩუგუაშვილმა, ლ.ალბორავამ, ნ.ტაბატაძემ, ნ.უჯარაშვილმა, მ.სინუაშვილმა, ლ.მუქერამ, ნ.ალანია, ხ.მამუჩაიშვილმა, დ.ბერაძემ, ე.დიდებაშვილმა, ზ.ზაველურმა, რ.ზაკალაშვილმა, ნ.გვიშიანმა, ლ.მაჩაიძემ, ლ.შალვაშვილმა, ც.კეკელაშვილმა, მ.ხორგუაშვილმა და ც.მეშველაშვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ამავე საავადმყოფოს გენერალური დირექტორის – ი.სასანიასა და მესამე პირის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ შესრულებული სამუშაოს სრული მოცულობით ანაზღაურების, შრომის მაგნე და მძიმე პირობებში მუშაობის, ღამის საათებისა და უქმე (სადღესასწაულო) დღეებში მუშაობისათვის კანონით დადგენილი წესით ანაზღაურების, სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო თანხების გადახდისა და დირექტორატისათვის გარკვეულ ქმედებათა აკრძალვის თაობაზე. მოსარჩელების განმარტებით, ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, იქ მოთავსებულ ავადმყოფებს ესაჭიროებათ მუდმივი მონიტორინგი და დღე-ღამის განმავლობაში მკურნალობის ზედმიწევნით ზუსტი მართვა მდგომარეობის მიხედვით, რაც გაცილებით მეტ დატვირთვასა და პასუხისმგებლობას გულისხმობს, ამას ისიც ემატება, რომ ძირითადი სამუშაო სრულდება ღამის საათებში, როდესაც რეანიმაციულ ავადმყოფთა მიღების ინტენსივობა გაცილებით მეტია და მორიგეობა დაწესებულია ძილის უფლების გარეშე. ამასთან, მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ექიმებსა და ექთნებს უწევთ მორიგეობა უქმე და სადღესასწაულო დღეებში, ამასთან, თითოეული მათგანი დიდი ალბათობის წინაშე დგას, რომ თვითონაც დაავადდეს, ვინაიდან ხშირი კონტაქტი აქვთ შერეულ ინფექციებსა და მძიმე ავადმყოფებთან. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა კი არ ითვალისწინებს კანონით დადგენილ შეღავათებს და სათანადოდ არ ანაზღაურებს მათ შრომას.

მოსარჩელებმა მიუთითეს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-80 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს განსაკუთრებულ და მაგნე პირობებში შრომის გადიდებულ ანაზღაურებას, ხოლო მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 23 იანვრის №34 დადგენილებით შრომის მაგნე და მძიმე პირობებში მუშაობისათვის გათვალისწინებულია დანამატი 15%-ის ოდენობით, რასაც საავადმყოფოს ადმინისტრაცია არ ასრულებს.

სასარჩელო განცხადების ავტორებმა აღნიშნეს, რომ 2001 წლის 1 აგვისტოდან ექიმ-რეანიმატოლოგისა და მედლების საათობრივი ანაზღაურება გაიზარდა, თუმცა მოსარჩელებს სხვაობა არ მიუღიათ. ამასთან, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია და კერძო სადაზღვევო კომპანიები აფინანსებენ მძიმე დავადებებს, შესაბამისად, მათი განაწილება შესრულებული სამუშაოს მიხედვით უნდა ხდებოდეს ყველა იმ ექიმზე, რომლებიც მონაწილეობდნენ განკურნებაში, მაგრამ, მოსარჩელების განმარტებით, ასე არ ხდება და ექიმ-რეანიმატოლოგებსა და მედლებს დაზღვევის თანხები არ მიუღიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს სს „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსაგან 2001 წლის 1 აგვისტოდან ყოველ ნამუშევარ საათზე სხვაობის – 10 თეთრის ანაზღაურება; შრომის მავნე და მძიმე პირობებში მუშაობისათვის ყოველ საათზე – 45 თეთრის 15% დანამატისა და ღამის საათებში მუშაობისათვის ნამუშევარ საათზე 40% დანამატის ანაზღაურება; დამატებით ანაზღაურებადი შვებულების მიცემა, ასევე სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული თანხების ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელეთა მორიგეობის პერიოდში, მძიმე ავადმყოფთა მკურნალობის დაფინანსებისთვის გამოიყო.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მასზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელების წარმომადგენელმა – გ. გვათუამ და მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭრობის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ სს „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსა“ და მუშაკების სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია ვადიანი შრომითი კონტრაქტებიდან, რომლებიც მხარეთა მიერ პერიოდულად გრძელდება. ამასთან, მხარეთა ურთიერთობა ასევე რეგულირდება შრომითი შინაგანაწესით, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოების დაფინანსების წყაროები, ხოლო შრომითი კონტრაქტისა და შინაგანაწესის პირობები არავის გაუსაჩივრებია და იგი დღესაც ძალაშია.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში მესამე პირად ჩართული შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით დადგენილია, რომ დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავდა შრომის მძიმე და მავნე, აგრეთვე, განსაკუთრებით მძიმე და მავნე პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის კანონთა კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მოთხოვნის საფუძველი არ მოიპოვება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლოა მსჯელობა განსაკუთრებულ პირობებში შრომის ანაზღაურების 15% მომატების თაობაზეც.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოთხოვნა დასვენების დღეებში მუშაობის ფულადი კომპენსაციის ნაწილში, ვინაიდან, შრომის კანონთა კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დასვენების დღეს მუშაობა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს სამაგიერო დასვენების დროის მიცემით ან ფულადი სახით ორმაგად ანუ კომპენსაცია დასვენების დღისათვის დაკავშირებულია მხარეთა შეთანხმებასთან. საზოგადოების შრომის შინაგანაწესის 4.10 პუნქტის შესაბამისად კი დასვენების დღეს მუშაობა ანაზღაურდება სამაგიერო დასვენების დღით. ამავე კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, შრომის ანაზღაურება ღამით მუშაობისათვის უნდა იყოს იმ თანხებზე მეტი, ვიდრე საათობრივი სამუშაოს ანაზღაურებისათვის ხელშეკრულებითაა დადგენილი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კანონის აღნიშნული დათქმა შეეხება მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებს. რაც შეეხება სს „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს, იგი მიეკუთვნება კერძო სამართლის იურიდიულ პირს და სამეწარმეო სუბიექტს, რომელიც მოწოდებულია მოგებაზე. სადავოდ არავის არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის გაფორმებულია ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, რაც ადასტურებს იმას, რომ მხარეები ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ. სასარჩელო მოთხოვნები, რომლებსაც მოსარჩელები აყენებენ, მათთან დადებულ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული და, შესაბამისად,

უსაფუძვლოა მათი პრეტენზია. მუშაკები დათანხმდნენ დამქირავებლის მიერ შეთავაზებულ მხოლოდ იმ პირობებს, რომელიც გათვალისწინებულია შრომითი კონტრაქტით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტთა მოთხოვნა შრომის კანონთა კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე, მავნე და მძიმე პირობებში მუშაობისათვის 15%-იანი დანამატის მიცემის თაობაზე უსაფუძვლოა, რადგან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ არ არის შემუშავებული დებულება, რომელიც განსაზღვრავდა იმ განყოფილებათა სიას, რომელიც მიეკუთვნება მძიმე სამუშაოებს. სასამართლო კი უფლებამოსილი არ არის, თვითონ განსაზღვროს მიეკუთვნება თუ არა რეანიმაცია და ინტენსიური თერაპია შრომის მძიმე და მავნე პირობებს და აღნიშნული სასამართლოს კომპეტენციის სფეროს სცილდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის შესაბამისად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ხელშეკრულებათა შინაარსი, მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მათ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო რესპუბლიკის ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის ექიმ-რეანიმატოლოგებისა და ექთნების წარმომადგენელმა – გ. გვათუამ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არსწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, კერძოდ, სს „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო რესპუბლიკა“ წარმომადგენს არა კერძო სამართლის სუბიექტს, არამედ იგი არის სახელმწიფო დაწესებულება, რადგან მისი აქციების 100%-ის მფლობელი სახელმწიფოა.

საკასაციო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო იყო ტენდენციური და არ გაითვალისწინა მისი მოთხოვნა იმ თანხების სწორი განაწილების შესახებ, რომლებიც რამდენიმე წელია საავადმყოფოს ერიცხება სადაზღვევო კომპანიებიდან. ამ თანხების 40% შეადგენს ძირითადი მედპერსონალის ანაზღაურებას, მაგრამ ერიცხებათ მხოლოდ დღის მორიგეებს, რაც უკანონოა.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატას უნდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა ღამის მორიგეობაზე ხელფასის 40%-იანი დანამატის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ, რადგან ეს გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის 88-ე მუხლით.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაენო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული. ამასთან, ამავე კოდექსის 393-ე მუხლით, გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეთა მოთხოვნა – შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება შრომის მავნე და მძიმე პირობებში, ღამის საათებსა და უქმე დღეებში მუშაობისათვის – ეფუძნება შრომის კანონთა კოდექსის 80-ე, 87-ე და 88-ე მუხლებს. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული ნორმებით დაცული უფლებები ეხება მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკებს. აღნიშნული მოსაზრება არასწორად განმარტავს კანონს, კერძოდ, მითითებული კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილი აწესრიგებს საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან (მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის), ხელს უწყობს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის, შრომის სამართლიანი ანაზღაურების მისი უსაფრთხოების და ჯანსაღი პირობების, არასრულწლოვანთა და ქალთა შრომის პირობების განსაზღვრის თვისებურეთა გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმა უშუალოდ მიუთითებს, რომ შრომის კანონთა კოდექსი, მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ვრცელდება ყველა საწარმო, დაწესებულებათა და ორგანიზაციაში დასაქმებულ პირებზე. აქედან გამომდინარე, სააქციო საზოგადოებაში დასაქმებული მუშაკის შრომითი უფლებებზე მიუხედავად იმისა, ვის საკუთრებას წარმოადგენს აქციები, ვრცელდება შრომის კანონთა კოდექსის ნორმები ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

შრომის კანონთა კოდექსის მითითებული ნორმა ასევე განსაზღვრავს იმ პრინციპებს, რასაც ეფუძნება აღნიშნული ნორმატიული აქტი. კოდექსის პირველი მუხლი მიუთითებს შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპზე. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარეობს ამავე კოდექსის 87-ე, 88-ე მუხლებით დადგენილი შრომის ანაზღაურების წესი. განსახილველ შემთხვევაში შრომითი კონტრაქტით უშუალოდ გათვალისწინებული არ არის უქმე დღეებში და ღამის საათებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია, რაც არასწორია. ჯერ ერთი, შრომით კონტრაქტ(ებ)ში (3.8 მუხლი) მითითებულია, რომ მუშაკს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით; მეორე, შრომის კონტრაქტში აღნიშნული მითითებაც რომ არ იყოს, შრომის კანონთა კოდექსის ის ნორმები, რომლებიც იცავენ მუშაკის უსაფრთხოებას, შრომის ანაზღაურებას და სხვა უფლებებს, დავის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს და ამ ნორმებით დადგენილი წესის შესაბამისად უნდა გადაწყდეს დავა.

პალატა ასევე არ იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას შრომის მავნე და მძიმე პირობების გამო 15% დანამატის ანაზღაურებაზე უარისთქმის საფუძველს – სამინისტროს მიერ შემუშავებული არ არის დებულება (ნორმატიული აქტი), რომელიც განსაზღვრავდა მძიმე სამუშაოებს. პალატა თვლის, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს აღნიშნული საფუძველით უარი უთხრას მოთხოვნას (სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის I ნაწილი). ამასთან, ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის 1998 წლის 27 აპრილის №95 ბრძნების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე 1992 წლამდე მოქმედი ნორმატიული აქტები (საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი) შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სფეროში, ჩაითვალია ვადაგაგრძელებულად და მათი მოქმედების ვადა განისაზღვრა შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებამდე. ამდენად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მითითებული ნორმატიული აქტით და ისე გადაეწყვიტა სარჩელის დასაბუთებულობა ამ ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ დამატებით უნდა შეისწავლოს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და სასამართლომ დაადგინოს ფაქტობრივი თვალსაზრისით, რამდენად დასაბუთებულია მოთხოვნა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკის“ ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის ექიმ-რეანიმატოლოგებისა და ექთნების – თ.გურეშიძის, დ.ჩხიკვაძის, თ.ირემაშვილის, ლ.მოხევიშვილის, თ.იმერლიშვილის, მ.ფირცხალავას, ნ.დოლონაძის, მ.ჩიკვაძის, გ.გვიმრაძის, ს.ჟორჯიკაშვილის, ს.ჩუგუაშვილის, ლ.ალბორავას, ნ.ტაბატაძის, ნ.უჯარაშვილის, მ.სინუაშვილის, ლ.მუქერას, ნ.ალანას, ხ.მამუჩაიშვილის, დ.ბერაძის, ე.დიდებაშვილის, ზ.ზაველურის, რ.ზაკალაშვილის, ნ.გვიშიანის, ლ.მაჩაიძის, ლ.შალვაშვილის, ც.კეკელაშვილის, მ.ხორგუაშვილისა და ც.მეშველაშვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 29 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
განჩინების ასლები გაეგზავნოს მხარეებს.

საწარმოო ტრავმა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),
ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),
მ. ცისკაძე

დავის საგანი – საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2003 წლის 30 დეკემბერს ზ. კარიაულმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიმართ საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2002 წლის 13 ნოემბრიდან მუშაობდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ დუშეთის სამმართველოს (ფილიალის) დირექტორად. 2002 წლის 19 დეკემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოუხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის გამოც დასახინრდა და დაკარგა შრომის უნარის 60%. ზ.კარიაულმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება 1051 ლარისა და სარჩო ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6369 ლარისა და 74 თეთრისა და ზ.კარიაულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად 300 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრა ორივე მხარემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ.კარიაულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ დაეკისრა მიყენებული მატერიალური ზიანის 2249 ლარისა და 74 თეთრის ანაზღაურება, ხოლო მანქანის აღდგენის ღირებულებისა და ყოველთვიური სარჩოს დაკისრების ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ ზ.კარიაულმა, როგორც ფილიალის დირექტორმა, 2002 წლის 19 დეკემბერს გადაწყვიტა ჩასულიყო „ჟინვალჰესში“, გაცნობოდა და დაერეგულირებინა 110კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზ „ჟინვალზე“ ახლად დამონტაჟებული განტვირთვის ავტომატის მოქმედების საკითხი, რომელიც აფერხებდა ელექტროენერჯის სტაბილურ მიწოდებას მის მომხმარებელზე და, აქედან გამომდინარე, გააძნელებდა მომხმარებლისაგან ფულის ამოღებას. ასევე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზ.კარიაული იმყოფებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად და უკან დაბრუნებისას მოხდა ავარია, რასაც ადასტურებს 2003 წლის 15 იანვარს სვესკ-ის ტექნიკურ დარღვევათა გამოვლენისა და კონტროლის უფროს თ.ბოდუკიასა და მთავარი სპეციალისტის მიერ შედგენილი წინასწარი მოკვლევისა და წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ აქტები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ზ.კარიაული არ იმყოფებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, ვინაიდან არც ერთი ზემომითითებული აქტი, კანონმდებლობის შესაბამისად, მათ არ გაუსაჩივრებიათ და სადავოდ არ გაუხდიათ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ზ.კარიაულს ზიანი მიაღდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მეორე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია აუნაზღაუროს ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დამდგარი ზიანი. მოცემულ შემთხვევაში ზიანი შედგება მკურნალობისა და ოპერაციისათვის გაწეული ხარჯისაგან, კერძოდ, 1965 ლარისა და 74 თეთრის, 254 ლარისაგან, სულ 2349 ლარისა და 74 თეთრისაგან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ავტომობილის აღდგენაზე დახარჯული თანხა მოსარჩელეს არ უნდა დაეკისროს, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დადგენილია, რომ თანხები გაღებულია სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიერ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ.კარიაულის სარჩელს მოპასუხიასათვის ყოველთვიური სარჩოს დაკისრების ნაწილში უნდა ეთქვას უარი, ვინაიდან ზემოთითთებული ბრძნებულების მესამე მუხლის თანახმად, ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანის ანაზღაურება ევალება იმ დამქირავებელს, რომლის ბრალეული მოქმედებით მოხდა ზიანის დადგომა. მოცემულ შემთხვევაში კი საწარმოს ბრალი საქმეში გამოვლენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც ზ.კარიაულმა, ასევე, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალური დირექტორის მ/შ – თორნიკე გოგიჩაიშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორ ზ.კარიაულის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. ზ.კარიაულმა აღნიშნა, რომ 2003 წლის 15 იანვარს შედგენილი წინასწარი მოკვლევის აქტით, შრომის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის დასკვნით, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ 2003 წლის 30 იანვრის №1 აქტით, საგზაო-სატრანსპორტო პოლიციის მოკვლეული მასალებითა და საქმეზე მიცემული განმარტებებით ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი იმის შესახებ, რომ „ჟინვალქესში“ იგი გაემზავრა გაერთიანების დირექციის დავალებით. დავალების შესრულების შემდეგ, უკან დაბრუნების დროს, ზ.კარიაულს მოუხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ამდენად, კასატორი თვლის, რომ სწორედ მოწინააღმდეგე მხარის დავალებით მოქმედება და, შესაბამისად, მოპასუხის ბრალეული მოქმედებით მოუვიდა საწარმოო ტრავმა.

ზ.კარიაულის განმარტებით, სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა მის სააპელაციო საჩივარზე. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად მიუთითა ადმინისტრაციის ბრალეულობის არარსებობის შესახებ და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, გამოიყენა არა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-11, 24-ე, 25-ე და 33-ე მუხლები, არამედ ამავე ბრძანებულების მესამე მუხლი. ზ.კარიაულის აზრით, სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, 393-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, რის გამოც გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სარჩელის უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ზ.კარიაულის სასარგებლოდ დაეკისროს ერთჯერადი გადასახდელი თანხა 3600 ლარი, 2002 წლის დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე ყოველთვიური 300 ლარის გადახდა აღსრულებამდე და შემდეგ – მანქანის გარემონტების ხარჯის 1100 ლარის გადახდა.

სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა 2003 წლის 15 იანვარს შედგენილი წინასწარი მოკვლევის აქტს, ვინაიდან მასში მითითებულია, რომ „ზ.კარიაულმა გადაწყვიტა აუცილებლად ჩასულიყო „ჟინვალქესში“. კასატორმა მიუთითა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება თვითნებური გადაწყვეტილება კი არა, არამედ ზემდგომის დავალებაა, თანაც ოფიციალურად დოკუმენტალურად გაფორმებული.

საკასაციო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ზ.კარიაულმა თვითნებურად გადაწყვიტა წასვლა „ჟინვალქესში“, გამორთვა მძღოლს ფილიალის კუთვნილი ავტომანქანა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, ვინაიდან კომპანიის კუთვნილი ავტომანქანის მართვის უფლება თანამშრომელს (თუნდაც დირექტორს) ეძლევა საგზურის ფურცლის საფუძველზე, რაც ასევე არ ყოფილა გაცემული. საკასაციო საჩივრის ავტორი თვლის, რომ საქმეში არ არის არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ზ.კარიაულის მიერ ტრავმის მიღების ფაქტს შრომითი მოვალეობის შესრულების დროს. თ.გოგიჩაიშვილმა განმარტა, რომ ენერგოკომპანიის დავალებაზე სავალდებულო წესით უნდა არსებობდეს გენერალური დირექტორის მიერ ხელმოწერილი ბრძანება მივლინების შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

კასატორმა მიუთითა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ დაეკისრა კომპანიას ზ.კარიაულის მკურნალობისათვის გაწეული ხარჯების გადახდა 2249 ლარისა და 74 თეთრის ოდენობით, როდესაც საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს ავარია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ მოსვლია. ამდენად, კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს არ

უნდა გამოეყენებინა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, აგრეთვე, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 412-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიისათვის“ მატერიალური ზიანის – 2249 ლარისა და 74 თეთრის ანაზღაურების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ზ.კარიაულის სარჩელზე უარის თქმა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივრების საფუძველზე, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმოდ დასაბუთებული.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება და სარჩოს დანიშვნა. პალატა მიუთითებს, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულებაა. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. კერძოდ, თუ არსებობს ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის. ამასთან, სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი. ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს. ამის შესაბამისად, განაწილდება მტკიცების ტვირთი დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დავის გადაწყვეტისას მიუთითა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლზე და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში სარჩელი დააკმაყოფილა, ხოლო მე-3 მუხლის საფუძველზე სარჩელს სარჩოს დანიშვნის ნაწილში უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მითითებული ნორმა ბრალის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს სარჩოს დანიშვნის წესს. პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესების“ მე-2 და მე-3 მუხლები. პალატა მიუთითებს, რომ მე-2 მუხლი ადგენს ზოგადად სამოქალაქო პასუხისმგებლობას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, ხოლო მე-3 მუხლი ითვალისწინებს ამ პასუხისმგებლობისათვის ბრალის დადგენის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნორმატიული აქტი ზიანის ანაზღაურებისათვის (სარჩო, მკურნალობის ხარჯები და სხვა) ითვალისწინებს ბრალის არსებობას, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, ურთიერთსაწინააღმდეგოა.

პალატა იზიარებს კასატორ ზ. კარიაულის მოსაზრებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დაადგინა. საქმის მასალებში წარმოდგენილია მომხდარი უბედური შემთხვევის აქტი, სამსახურებრივი მოკვლევის მასალები და სხვ. ამასთან, მტკიცების ტვირთი ზიანის მიმყენებელს აკისრია და მან უნდა ამტკიცოს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდგინა, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სრულყოფილად უნდა ემსჯელა და ისე მიეღო გადაწყვეტილება. პალატამ საერთოდ არ იმსჯელა ავტომანქანის შეკეთებისათვის გაღებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დასაბუთებულობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სასამართლოს. ხელახლა განხილვისას სასამართლომ

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უნდა შეაფასოს (ამასთან, გასათვალისწინებელია რომ ზიანის დადგომა მომეტებული საფრთხის წყაროსთანაა დაკავშირებული) საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. პალატა თვლის, რომ მითითებული ნორმა სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-129-452-05

27 აპრილი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2003 წლის 14 აგვისტოს მ. ჭვინაშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „საქმშენინდუსტრიას“ და მისი ფილიალის – ხის დამამუშავებელი კომბინატის მიმართ საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1989 წლის 17 მარტს, მოპასუხე ორგანიზაციაში მუშაობისას, მიიღო საწარმოო ტრავმა, რის შედეგადაც დაუდგინდა ინვალიდობის მე-3 ჯგუფი 60% შრომის უნარის დაქვეითებით. მოსარჩელის განმარტებით, 1992 წლამდე მოპასუხე უხდიდა 215 მანეთს, ხოლო 1992 წლიდან საერთოდ არ მიუღია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა 1992 წლის იანვრიდან ყოველთვიურად მოპასუხისათვის 98 ლარისა და თანხის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის – 42835 ლარის დაკისრება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სს „საქმშენინდუსტრიას“ მ. ჭვინაშვილის სასარგებლოდ დაეკისრა სამი წლის მიუღებელი სარგო 3528 ლარის ოდენობით და ყოველთვიურად 98 ლარი.

მოცემული დავა არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და ბოლოს, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „საქმშენინდუსტრიის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება შეიცვალა ჭვინაშვილის სასარგებლოდ 2003 წლის 14 აგვისტოდან მიუღებელი სარჩოს 3528 ლარისა და ყოველთვიურად 98 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი და სს „საქმშენინდუსტრიას“ მ. ჭვინაშვილის სასარგებლოდ დაეკისრა 2003 წლის 15 აგვისტოდან

2004 წლის 15 იანვრამდე მიუღებელი სარჩოს თანხა 300 ლარის ოდენობით, ხოლო 2004 წლის 15 იანვრიდან ყოველთვიურად 60 ლარი. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ მიხელ ჭვინაშვილმა სს „საქმშენინდუსტრიაში“ (მის ფილიალში) მუშაობისას, 1989 წლის 11 მარტს მიიღო საწარმოო ტრავმა, რის შედეგადაც დაუდგინდა ინვალიდობის მე-3 ჯგუფი 60% შრომის უნარის დაქვეითებით. 1992 წლამდე მოსარჩელე იღებდა 215 მანეთს, ხოლო 1992 წლიდან აღარ მიუღია. პალატამ ასევე მიიჩნია დადგენილად, რომ უბედური შემთხვევის დადგომისას არსებობდა მხარეთა შერეული ბრალი, კერძოდ, დაზარალებულის გაუფრთხილებლობა და უსაფრთხოების წესების არასაკმარისი შესწავლა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ჭვინაშვილის წარმომადგენელ გ. ჭვინაშვილს 2003 წლის 14 აგვისტომდე, სარჩელის შეტანამდე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დამქირავებლისათვის განცხადებით არ მიუმართავს. მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ საწარმოში არსებობს ღურგალთა ბრიგადირის ან მისი მომიჯნავე თანამდებობა.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესების 51-ე პუნქტის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ჭვინაშვილს არ მიუმართავს დამქირავებლისათვის, მან სარჩო უნდა მიიღოს სასამართლოში სარჩელის შეტანის დღიდან, 2003 წლის 14 აგვისტოდან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული მითითებული ბრძანებულების მე-11 მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნები, ვინაიდან მხარეთა მიერ არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, საიდანაც დადასტურდებოდა, რომ ორგანიზაციაში განხორციელდება მის ბალანსზე არსებული ქონების 10 პროცენტზე მეტი ინვესტიცია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, შერეული ბრალის არსებობის გამო, მოპასუხეს უნდა დაეკისროს თვეში 60 ლარი, ხოლო გადახდა უნდა დაიწყოს სარჩელის შეტანის დღიდან – 2003 წლის 15 აგვისტოდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა სს „საქმშენინდუსტრიაში“.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობს დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულის სარჩო განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობიდან. მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობა იქნება 60 ლარი, ვინაიდან შერეული ბრალი არსებობს, კასატორი თვლის, რომ სარჩო 18 ლარის ოდენობით უნდა განისაზღვროს.

შეგებებული სარჩელის ავტორი მ.ჭვინაშვილი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, იგი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 51-ე მუხლი, რადგან დადგენილია, რომ საწარმო სარჩოს უხდიდა დაზარალებულს, ხოლო 1992 წლიდან გადახდაც შეწყდა. ამდენად, არასწორია ზიანის ანაზღაურების დანიშვნა 2003 წლის 15 აგვისტოდან.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

განსახილველი დავის საგანია შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმის შედეგად ზიანის ანაზღაურება. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომის მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესები“ ადგენენ საწარმოში დასაქმებულ მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლებსა

და წესს. აღნიშნული ნორმატიული აქტის მე-11 მუხლი ადგენს დელიქტის შემთხვევაში სარჩოს დანიშნის, ხოლო მე-12 მუხლი ითვალისწინებს უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების წესს.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ჭვინიშვილმა 1989 წლის 11 მარტს მიიღო საწარმოო ტრავმა, შრომის უნარი დაკარგა 60%-ით, რის გამოც მას დაენიშნა სარჩო თვეში 215 მანეთის ოდენობით, რაც 1992 წლიდან აღარ მიუღია.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები გამოირიცხავენ მითითებული ნორმატიული აქტის 51-ე მუხლის გამოყენებას, რადგან იგი ადგენს სარჩოს დასანიშნად საწარმოში შეტანილი განცხადების განხილვის წესს, კერძოდ, განცხადება ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიტანება დამქირავებელთან, ხოლო თუ განცხადება დამქირავებელთან შეტანილია შრომისუნარიანობის ხარისხის დაკარგვიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ზიანის ანაზღაურება ხდება განცხადების შეტანის დღიდან, ე.ი. სარჩოს დანიშნაზე მოთხოვნის უფლების განხორციელება დაზარალებულს შეუძლია ტრავმის მიღებიდან 3 წლის გასვლის შემდეგაც, მაგრამ იგი ვერ მოითხოვს სარჩოს დანიშნამდე გასული პერიოდის ანაზღაურებას. პალატა მიუთითებს, რომ ეს მუხლი არ შეიძლება გავრცელდეს უკვე დანიშნული სარჩოს მიუღებლობის შემთხვევაზე, აქ ვრცელდება ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის 12-ე მუხლი და სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი. პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა სარჩო უკვე დანიშნულია, მაგრამ საწარმოში შეიცვალა ვითარება (გაიზარდა ან შემცირდა ხელფასი, შეიცვალა ფულის ერთეული და სხვ.) მე-12 მუხლი ადგენს ცვლილების შემთხვევაში დადგენილი ყოველდღიური სარჩოს გადაანგარიშების წესს, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადებს. ამდენად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამართლებრივი ნორმა. სასამართლო მოცემული დავის განხილვისას უნდა გამოეყენებინა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-12 მუხლი და სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილი.

პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არ დაასაბუთა (არ მიუთითა საქმის მასალებში არსებულ შესაბამის მტკიცებულებებზე), თუ როგორ განსაზღვრა სარჩოს ოდენობად 60 ლარი.

აქედან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების დამატებით გამოკვლევის შედეგად დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება ყოველთვიური სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლები გაეგზავნოს მხარეებს.

სამუშაოზე აღდგენა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-378-683-05

3 მაისი, 2005 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

მ. ახალაძე (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

კ. ტეფნაძემ სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენელ ლიმიტედის“ მიმართ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა განუსაზღვრელი ვადით და 2003 წლის 2 დეკემბრიდან თვეში 367 ლარის და 36 თეთრის მოპასუხისათვის დაკისრება; მოსარჩელის განმარტებით, მან 2003 წლის 2 დეკემბერს მოპასუხე მხარესთან დადო შრომითი ხელშეკრულება ერთი თვის ვადით. ხელშეკრულების თანახმად, მას უნდა დაეწყო მუშაობა მძიმე ტექნიკის მძღოლ-ასესორად. ანაზღაურება შეადგენდა ფიქსირებული განაკვეთით საათში 2,24 ლარს, ხოლო მინიმალური სამუშაო დრო დღეში – 7 სამუშაო საათს, კვირაში კი 41 საათს. მიუხედავად ხელშეკრულების ძალაში შესვლისა, მას არ მიეცა შესაძლებლობა, შედგომოდა ვალდებულების შესრულებას და არც შრომის ხელშეკრულება ყოფილა შეწყვეტილი;

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით კ. ტეფნაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა კ. ტეფნაძემ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან კ. ტეფნაძე სამუშაოზე მიღებული არ იყო კანონით დადგენილი წესით, მასზე ვერ გავრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი წესი ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების შესახებ, რადგან შრომითი ურთიერთობა არც დაწყებულა;

კ. ტეფნაძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით; სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ანაზღაურებული უნდა იქნეს მხოლოდ რეალურად შესრულებული სამუშაო, მაშინ როცა ხელშეკრულების არცერთი პუნქტი არ მიუთითებს აღნიშნულზე; კ.ტეფნაძემ შრომის ხელშეკრულების დადების შემდეგ გაიარა მოსამზადებელი კურსები და უსაფრთხოების წესების კურსები. ვინაიდან კ.ტეფნაძემ გაიარა შრომის დაცვის წესების ტრენინგი, შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, ითვლება, რომ იგი შეუდგა თავისი მოვალეობების შესრულებას; სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომ კ. ტეფნაძესა და კომპანია „სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნეიშენალ ლიმიტედს“ შორის გაფორმებულ იქნა შრომითი ხელშეკრულება ერთი თვის ვადით, მაგრამ ტეფნაძის სამუშაოზე მიღების შესახებ ადმინისტრაციის მიერ ბრძანება დაშვებული არ ყოფილა, ის არც ფაქტიურად შედგომია მუშაობას; ხელშეკრულების პირობების თანახმად, კ.ტეფნაძეს ანაზღაურება უნდა მიეღო გამომუშავებული საათების მიხედვით, მას დამჭირავებლის დაკვეთით არანაირი სამუშაო არ შეუსრულებია.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არა აქვს წამოყენებული.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ, ვინაიდან მან გაიარა შრომის დაცვის წესების ტრენინგი, ითვლება, რომ იგი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას; მხარეებს შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება ერთი თვის ვადით; ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები; მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტას, ისევე როგორც ამოქმედებას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მხარეთა შორის ხელშეკრულების ფორმალურად გაფორმების გარდა ფაქტობრივი ურთიერთობა არ დაწყებულა;

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ, ვინაიდან კ.ტეფნაძე სამუშაოზე მიღებული არ იყო კანონით დადგენილი წესით, მასზე ვერ გავრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი წესი ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების შესახებ, რადგან შრომითი ურთიერთობა არც დაწყებულია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და გაიზიარა მისი მოტივაცია მას უნდა მიეღო განჩინება და არა გადაწყვეტილება, მაგრამ აღნიშნულ საპროცესო დარღვევას არ გამოუწვევია არასწორი გადაწყვეტილების მიღება, რასაც საქმეზე არ შეიძლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოჰყვეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევები არ დასტურდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი სამართლებრივად დაუსაბუთებელი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

კ. ტეფნაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-377-684-05

5 მაისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. გოჩელაშვილი,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 25 თებერვალს თ. გოცირიძემ სარჩელით მიმართა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს. სარჩელში აღნიშნულია, რომ 2004 წლის 14 იანვარს სს „თელასის“ ადმინისტრაციამ უკანონოდ მისცა საყვედური, ხოლო 2004 წლის 2 თებერვალს გაათავისუფლა სამსახურიდან.

მოსარჩელის განცხადებით, ადმინისტრაციამ დაარღვია კანონმდებლობა, გამოსცა საერთო ბრძანება №1, რომლითაც იუწყებოდა, რომ იწყებოდა რეორგანიზაცია და შტატების შემცირება. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ სს „თელასის“ გაერთიანებულმა პროფკავშირის პრეზიდიუმმა თანხმობა მისცა ადმინისტრაციის უკანონო მოთხოვნას.

მოსარჩელე ითხოვს დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებას. ამასთან, დათხოვნის დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას და მოპასუხეზე წარმომადგენლის ხარჯების დაკისრებას 500 ლარის ოდენობით.

დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელემ ითხოვა №კ-11 და №კ-27 ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, ფულადი კომპენსაციების ანაზღაურება და მოპასუხისათვის წარმომადგენლის ხარჯების დაკისრება 500 ლარის ოდენობით.

ქთბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი სს „თელასის“ 2004 წლის 14 იანვრის №11 და 2004 წლის 2 თებერვლის №კ-27 ბრძანებები. თ. გოცირიძე აღდგენილ იქნა „ახალი ოქროს უბნის“ ბიზნესის ცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე, აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური, სარჩელს წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „თელასმა“ და მოითხოვა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა თ. გოცირიძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ თ. გოცირიძე სს „თელასში“ მუშაობდა 1995 წლიდან 2004 წლის 2 თებერვლამდე. სს „თელასის“ 2004 წლის 2 თებერვლის №კ-27 ბრძანების თანახმად, თ. გოცირიძე 3 თებერვლიდან განთავისუფლდა „ოქროს უბნის“ მენეჯერის თანამდებობიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდადი მიიჩნია, რომ 2004 წლის 14 იანვარს თ. გოცირიძეს შრომის კანონთა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, გამოეცხადა საყვედური. ასევე 2004 წლის 14 იანვარს სს „თელასის“ კომისიის №1 ოქმის შესაბამისად, თ. გოცირიძეს მიეცა საყვედური. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა თ. გოცირიძის განცხადება იმის შესახებ, რომ თ. გოცირიძეს საყვედური გამოეცხადეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს ერთი და იმავე დარღვევების გამო, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თ. გოცირიძისათვის საყვედურის გამოცხადებას დაედო სხვა საფუძველი, ხოლო განთავისუფლებას კი 2004 წლის 12 იანვრისა და 20 იანვრის №5 დასკვნა სამსახურებრივი უპასუხისმგებლობის თაობაზე. მისი დათხოვნის თაობაზე იმსჯელა როგორც პროფკავშირის პრეზიდიუმმა, ასევე, შრომის დავის კომისიამ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. გოცირიძე სამსახურიდან განთავისუფლდა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. გოცირიძემ და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, რომლითაც დაკმაყოფილდა მისი სარჩელი.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ მას არ ჩაბარდა არც კომისიის და არც გაერთიანებული პროფკავშირების პრეზიდიუმის სხდომის ოქმები. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება მისთვის განთავისუფლების შესახებ ბრძანების ჩაბარების შესახებ. ასევე არ დასტურდება, რომ მას გაცდენილი ჰქონდა 10 დღიანი შეცილების ვადა შრომის კანონთა კოდექსის მე-200 მუხლის თანახმად. კასატორი უთითებს შემდეგზე: უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონკრეტული აბონენტების მიმართ შედგენილი აქტები სადავო არ გამხდარა. მის მიერ დაყენებული იყო შესაბამისი პრეტენზია კონკრეტული აბონენტების ნომრების შესახებ, რომელთა მრიცხველებზე თვეების მანძილზე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობა უცვლელად იყო აღრიცხული. აქედან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციის ბრალდება 77% ჩართული

აბონენტების თაობაზე არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და ამ საკითხს იგი თავიდანვე ხდიდა სადავოდ.

კასატორი ასევე უთითებს, რომ საწარმოს ადმინისტრაციამ მას საყვედური გამოუცხადა იმ დარღვევებზე, რომლებიც გამოვლენილ იქნა 2003 წლის 22 ოქტომბერს ანუ ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ. საოლქო სასამართლომ არ იმსჯელა ამ ფაქტის შესახებ. ასევე სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მას მეორე საყვედური ჰქონდა გამოცხადებული კომისიის ოქმით.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მას საყვედური გამოუცხადეს და გაათავისუფლეს ერთი და იმავე დარღვევის გამო, რადგან 2004 წლის 20 იანვრის №5 დასკვნა შესრულებულია 2004 წლის 12 იანვარს 29 დეკემბერს გათიშული აბონენტების შემოწმების მასალების საფუძველზე. კასატორი აღნიშნავს, რომ №5 დასკვნას აღნიშნული მასალები უღვევს საფუძველად, რომლის თანახმად, იგი მიცემულ იქნა დისციპლინურ პასუხისმგებაში.

კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი, რომლის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ადმინისტრაციის მხრიდან დასაშვებია მხოლოდ მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების ან შრომის შინაგანაწესის სისტემატური შეუსრულებლობისათვის, რაც არ მომხდარა. ასევე სასამართლომ არ გამოიყენა ამავე კანონის 135-ე და 136-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, საკასაციო პალატა დადგენილად თვლის, რომ სს „თელასის“ 2004 წლის 2 თებერვლის №კ-27 ბრძანების თანახმად, თ. გოცირიძე 3 თებერვლიდან გაათავისუფლდა „ოქროს უბნის“ მენეჯერის თანამდებობიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია, ვადაძვე მლითხოვოს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტა მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ან შრომის შინაგანაწესის სისტემატური შეუსრულებლობის, ან მის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო, თუ მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

კონკრეტულ შემთხვევაში თ.გოცირიძე სამუშაოდან გაათავისუფლდა შრომის ხელშეკრულებისა (კონტრაქტის) და შრომის შინაგანაწესის სისტემატური შეუსრულებლობისათვის, კერძოდ, 2004 წლის 14 იანვარს №კ-11 ბრძანებით თ. გოცირიძეს გამოუცხადა საყვედური საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად. 2004 წლის 12 იანვრის სამსახურეობრივი წერილით დგინდება, რომ „ოქროს უბნის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრში გათიშვების კონტროლის განყოფილების მიერ 2004 წლის 9 იანვარს შემოწმდა აბონენტთა მომსახურების ცენტრის მიერ 29 დეკემბერს გათიშული აბონენტები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სააბონენტო სექტორში დავალიანების გამო გასათიში მომხმარებლების სიიდან ქსელში ჩართული იყო 77%, გათიშული იყო მხოლოდ 23%. კომერციულ სექტორში დავალიანების გამო გასათიში მომხმარებლების სიიდან ქსელში ჩართული იყო მომხმარებლების 35%, გათიშული იყო 65%.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 2004 წლის 13 იანვარს კასატორს ჩამოერთვა ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც მან აღნიშნა, რომ მას გადასცეს გათიშვების კონტროლის განყოფილების მიერ 2004 წლის 9 და 12 იანვარს გადამოწმებული 24, 25 და 29 დეკემბერს გათიშული აბონენტთა სიები. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ამ მრიცხველებზე კარადების გამაგრება, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტროენერგიას თვითნებურად ჩართავენ.

ამ საკითხზე იმსჯელა სს „თელასის“ კომისიამ და 2004 წლის 14 იანვარს №1 ოქმით გადაწყვიტა, თ. გოცირიძეს მიეცეს საყვედური. ოქმში მითითებულია, აუდიტის შემოწმების

შედეგად გამოვლინდა, რომ აბონენტების 77%-ს, დავალიანების გამო შეწყვეტილი ელექტროენერგია მაინც მიეწოდებოდათ. ასევე კომისიამ დაადგინა, რომ მრიცხველების კარადები არ იყო ღია და არც დაზიანებული.

კასატორმა დისციპლინური სასჯელი გაასაჩივრა სს „თელასის“ შრომის დავის კომისიაში, რომელმაც (სხდომის ოქმი №001) 2004 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით უარი უთხრა მისთვის საყვედურის მოხსნის შესახებ დაუსაბუთებლობის გამო.

„ოქროს უბნის“ ბიზნესცენტრში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის 2004 წლის 20 იანვრის №5 დასკვნით მითითებულ იქნა „ოქროს უბნის“ ბიზნესცენტრის ტექნიკოსებისა და მენეჯერ თ.გოცირიძის დარღვევებზე, კერძოდ, ამ დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2004 წლის 13 იანვარს სს „თელასის“ ენერგოზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევების გამომწვევი მიზეზებისა და შესაბამისი რეაგირებისათვის მოკვლევის მიზნით, ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურს გადმოეგზავნა 2003 წლის 22 ოქტომბრიდან „ოქროს უბნის“ ბიზნესცენტრში ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით შედგენილი 2003 წლის 22 ოქტომბრის №006951, 2003 წლის 18 დეკემბრის №006692, 2004 წლის 12 იანვრის №015411 აქტები. 2003 წლის 22 ოქტომბრის №006951 აქტი შედგენილ იქნა ქ. თბილისში, ცაიშის ქ.№3-ში მდებარე სს „თბილრეკლამის“ მიმართ (აბონენტის №6-3220) და გაირკვა, რომ მრიცხველის ზედა ხუფის ტყვიის ბრჯენი გაყალბებულ იქნა. 2003 წლის 18 დეკემბრის №006692 აქტი შედგენილ იქნა ქვალონის ქ. №3-ში მდებარე შპს „დავითის“ მიმართ (აბონენტის №86-4302) და გაირკვა, რომ ობიექტზე მრიცხველი არ მუშაობდა, მრიცხველებზე გაწეული იყო ზღუდარი და არ აღირიცხებოდა მოხმარებული ელექტროენერგია. 2004 წლის 12 იანვრის №015411 აქტი შედგენილ იქნა „მანათას“ მთაზე მდებარე სამხედრო ნაწილი №71223-ის მიმართ (მოსახლეობა, აბონენტის №606-115) და გაირკვა, რომ დაზიანებულია „ა“ ფაზის დენის ტრანსფორმატორი, რის გამოც არ აღირიცხებოდა მოხმარებული ელექტროენერგიის მესამედი.

თ.გოცირიძეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, რომლის შემდეგ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 2004 წლის 20 იანვრის სს „თელასის“ კომისიის მიერ (ოქმი №3). კომისიის ოქმში აღნიშნულია, რომ მრავალ დარღვევებთან ერთად გამოვლინდა შპს „დავითის“ მრიცხველზე ბრჯენის გაყალბება. ელექტროენერგიის დანაკარგები იყო საგრძნობლად დიდი. ოქმში ასევე მითითებულია, რომ აბონენტი „მანათას“ იხმარდა ელექტროენერგიას, რაც არ აღირიცხებოდა. დარღვევის მქონე ობიექტებზე არ იყო შედგენილი აქტები.

2004 წლის 30 იანვრის სს „თელასის“ გაერთიანებული პროფკავშირის პრეზიდიუმის სხდომის №1 ოქმით მიეცა თანხმობა თ. გოცირიძის გათავისუფლებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ 2004 წლის 12 იანვრის სამსახურებრივი წერილით და 2004 წლის 20 იანვრის №5 დასკვნით გამოვლენილი დარღვევები მიუთითებენ აბონენტების მიერ ელექტროენერგიის უკანონო მოხმარებაზე.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ან შრომის შინაგანაწესის სისტემატური შეუსრულებლობის გამო, თუ მის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, მუშაკის თანამდებობიდან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სამი აუცილებელი პირობის არსებობის შემთხვევაში: მუშაკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ბრალეული შეუსრულებლობა; ნაკისრი ვალდებულებების სისტემატური შეუსრულებლობა და თუ ადრე მის მიმართ გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

საკასაციო პალატა დადასტურებულად თვლის იმ ფაქტს, რომ თ. გოცირიძე მუშაობდა „ოქროს უბნის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრის უფროსის (მენეჯერის) თანამდებობაზე, რომელსაც სხვა მოვალეობებთან ერთად ასევე ევალებოდა ელექტროენერგიის გათიშვაზე კონტროლი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლომ უნდა დაადგინოს თ. გოცირიძის ბრალის სიმძიმე და ხარისხი, კერძოდ, სასამართლომ უნდა შეაფასოს თ. გოცირიძის მიერ შედგენილი 2003 წლის 24 სექტემბრისა და 2003 წლის 29 სექტემბრის შემორანდუმები. კომერციული დანაკარგების და „ოქროს უბნის“ ბ/ც-ის მდგომარეობის შესახებ. სასამართლომ

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. გოცირიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლები გაეგზავნოს მხარეებს.

ხელფასის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-184-519-05

10 მაისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემაღვენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2004 წლის 8 აპრილს ა. წვეროშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „სინარულს“ მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1983 წლის 26 ივნისიდან მუშაობდა სამშობიარო სახლში ექიმ-ანესთეზიოლოგად. 2003 წლის 27 აგვისტოს იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ისე, რომ არ გადაუხადეს სახელფასო დავალიანება 1996 წლიდან, რაც შეადგენდა 5690 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო.

თელავის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „სინარულს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5690 ლარისა და 95 თეთრის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „სინარულს“ დირექტორმა ავთანდილ ყაზბარაშვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ შპს „სინარულს“ და ა. წვეროშვილს შორის არსებობდა შრომითი კონტრაქტი, რომლის თანახმად, ა.წვეროშვილს შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებლად უნდა მიეღო თვეში 200 ლარი. კონტრაქტის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაცია ვალდებულია იღებდა, დაქირავებული პირისათვის აენაზღაურებინა შრომის საფასური.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ორგანიზაციამ ა.წვეროშვილს ვერ აუნაზღაურა შრომის საფასური, რასაც თავად ორგანიზაცია ადასტურებს, მოპასუხემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სადაზღვევო ფონდსა და ორგანიზაციას შორის არსებული ურთიერთშედეგების აქტი, სადაც დაფიქსირებულია ორგანიზაციის მიმართ არსებული ფონდის დავალიანება 2004 წლისათვის, მათ შორის ხელფასის სახით. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულით აპელანტმა ორგანიზაციამ

უფლება დაიტოვა, ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე, მოსთხოვოს დავალიანების შესრულება ფონდს და მის მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობა მოვალის მიერ ვალდებულების არსებობის აღიარების გამო. ამ დავალიანებაში შედის წვეროშვილის სახელფასო დავალიანებაც და მის მიმართ ასევე ვერ გავრცელდება ხანდაზმულობის ვადა, რადგან მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, თუკი ა.წვეროშვილი ვერ მიიღებს ხელფასს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, აპელანტი ორგანიზაცია უსაფუძვლოდ გამდიდრდება, რადგან ფონდის მიერ აღიარებული ფულად ვალდებულებებში შედის ა.წვეროშვილის მიმართ გასასტუმრებელი სახელფასო დავალიანებაც.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება შორმის კანონთა კოდექსის გამოყენების შესახებ, რადგან 2003 წლის 27 აგვისტოდან ა.წვეროშვილი ორგანიზაციასთან შრომით ურთიერთობებში აღარ იმყოფება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს ფულადი ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს. ვალდებულების არსებობა აღიარებულია და აღიარების გამო, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „სინარული“ დირექტორმა ავთანდილ ყამბარაშვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მისი არგუმენტი სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ, კერძოდ, ა.წვეროშვილის მიმართ ასანაზღაურებელ თანხებს შორის არის წვევტილი პერიოდი, მაგრამ ამ პერიოდში მოსარჩელეს ხელფასის გადაუხდელობა სადავოდ არ გაუხდია. კასატორი თვლის, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე და 214-ე მუხლები, რომლებიც ადგენენ ფულად მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადებს. პერიოდულ გადასახადებზე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დადგენილია ასევე სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველია.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, თუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიიჩნია შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლი (რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა), ხოლო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე – სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე პალატა თვლის, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა შრომის კანონთა კოდექსის 96-ე და სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლები, რადგან შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლი ადგენს ანგარიშსწორების ვადებს მუშაკის დათხოვნისას. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საწარმოს მიმართ მუშაკის ფულადი მოთხოვნა მიუღებელი ხელფასის სახით. პალატა მიუთითებს, რომ შრომის კანონთა კოდექსი ამომწურავად არეგულირებს შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნების დაკმაყოფილების წესს, კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლი, მართალია ადგენს, რომ მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას საწარმოსაგან,

ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს, მაგრამ ფულადი მოთხოვნების საკითხზე შრომის დავისას გამოიყენება ამავე კოდექსის 214¹-ე მუხლი, რომლის თანახმად, ფულადი მოთხოვნების საკითხებზე შრომის დავის განხილვისას, გარდა მოთხოვნისა იმის შესახებ, რომ გადაუხადონ მუშაკს საშუალო ხელფასი იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის ან ხელფასის სხვაობა დაბალხელფასიანი სამუშაოს შერულების დროისათვის (ამ კოდექსის 207-ე და 214-ე მუხლები) ორგანოს, რომელიც განიხილავს დავას, უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გადაუხადოს მუშაკს თანხა, რომელიც მას ერგება, მხოლოდ არა უმეტეს ერთი წლისათვის, ხოლო დათხოვნისას გამოყენებული შვებულებისათვის ფულადი კომპენსაციის საკითხებზე – არა უმეტეს ორი სამუშაო წლისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მოცემულ საქმეზე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად არასწორად მიიჩნია შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლი და „შესაბამისად, არ დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ დავის ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად გადასაწყვეტად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით, თუ 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, საქმე განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს. პალატა თვლის, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს მოსარჩელის რა ოდენობის ფულადი მოთხოვნა გააჩნია შპს-ს მიმართ, სამუშაოდან დათხოვნამდე არა უმეტეს ერთი წლისათვის.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და დაადგინა :

შპს „სიხარულის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შესაბამის პალატას.

საწარმოო ტრავმა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-158-481-05

11 მაისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),
მ. ცისკაძე (მომხსენებელი),
ლ. გოჩელაშვილი

დავის საგანი: პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

მ. გურბანოვი 1981 წლიდან 20 წლის განმავლობაში მუშაობდა სს „მადნეულში“ სამთო-სატრანსპორტო საამქროში მძიმეტონიანი სატვირთო მანქანის „ბელაზის“ მძღოლად.

მ. გურბანოვმა საწარმოში მუშაობის დროს, სამუშაოს შესრულების პროცესში, მიიღო ვიბრაციული დაავადება, მეორე სტადია – ზოგადი ვიბრაცია. შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის 2001 წლის 28 ივნისის №167 დასკვნით მას დაუდგინდა ინვალიდობის მესამე ჯგუფი, პროფესიული დაავადებით და განესაზღვრა პროფესიული

შრომის უნარის დაკარგვა 60%-ით, უკადოდ. მან 2001 წლის ივლისში მიმართა სააქციო საზოგადოება „მადნეულს“ პროფესიული დაავადებიდან გამომდინარე, პენსიის დანიშვნის თაობაზე, მაგრამ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მ.გურბანოვმა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე სს „მადნეულის“ მიმართ და მან მოპასუხისაგან მოითხოვა, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებიდან გამომდინარე, 2001 წლის ივლისიდან 2002 წლის თებერვლის ჩათვლით, ბოლო სამი თვის ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული ხელფასიდან 60%-ის გათვალისწინებით, სარჩოს სახით – 214 ლარის და მიუღებელი ხელფასის 1714 ლარის, გადახდევინება.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; დაევალა სს „მადნეულს“ გადაუხადოს მ. გურბანოვს 2001 წლის ივლისიდან თებერვლის ჩათვლით ერთდროულად მისაღები თანხა 1714 ლარი და 56 თეთრი და 2002 წლის მარტიდან სარჩოს სახით ყოველთვიურად 214 ლარი და 32 თეთრი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „მადნეულმა“.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სს „მადნეულის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „მადნეულმა“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 23 მაისის განჩინებით, მოცემულ საქმეზე გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 11 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 13 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სს „მადნეულის“ სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ბოლნისის რაიონული სასამართლო 2002 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სს ნ.მახვილასის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2003 წლის 26 დეკემბრის დასკვნაში მითითებულია, რომ მ.გურბანოვი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა სს „მადნეულში“ სამთო ტრანსპორტის საამქროში ავტომანქანა „ბელაზის“ მძღოლად, იგი განიცდიდა ისეთი მავნე ფაქტორების ზემოქმედებას, როგორცაა ხმაური, ვიბრაცია და მტვერი.

მითითებული დასკვნის თანახმად, „ბელაზის“ ტიპის მანქანათა მძღოლებს ხანგრძლივი სტაჟის შემდეგ უვითარდებათ ნევროტიული და სისხლძარღვთა ცვლილებები, აგრეთვე ლოკომოტორული აპარატის დაზიანება, რაც განიხილება როგორც ზოგადი ვიბრაციული დაავადება. ამ დასკვნაში აღნიშნულია, რომ მ.გურბანოვი დაავადებული არის ზოგადი ვიბრაციული დაავადებით, რაც გამოწვეულია ავადმყოფის პროფესიული საქმიანობით. ვიბრაცია, რომელიც მოქმედებს „ბელაზის“ ტიპის ტრანსპორტის მძღოლებზე მიეკუთვნება პირველი კატეგორიის ზოგად ვიბრაციას – სატრანსპორტო ვიბრაციას, რომელსაც ადგილი აქვს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას კეთილმოუწყობელ მთავორიან გზებზე, სამრეწველო მოედნებზე. ძველ გაცვეთილ მანქანებში ვიბრაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე გარემონტებულ და ახლებში, მძღოლის სავარძელზე ვიბრაციის დონე კი ჩვეულებრივ აღემატება დასაშვებ ნორმებს, როგორც დატვირთულ ასევე მეტად დაუტვირთავ ტრანსპორტში.

ბოლნისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის რაიონულმა ინსპექციამ ვერ შეძლო ვიბრაციის ზემოქმედების ხარისხის დადგენა შესაბამისი აპარატურის უქონლობის გამო. აღნიშნული მონაცემები არ გააჩნია არც გარემოს დაცვის ინსტიტუტს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხე ორგანიზაციამ დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 143-ე, და 144 და 146-ე მუხლების მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ სს „მადნეულის“ ადმინისტრაციის მხრიდან შრომის პირობების დარღვევად მიიჩნია ისიც, რომ მოსარჩელე მუშაობდა – ნორმა საათებზე ზევით, ზეგანაკვეთურად, რაც დასტურდება 2000 წლის მაისში, ივნისში, ივლისში, სექტემბერში, გაცემული საგზურებიდან.

სს „მადნეულში“ როგორც ჯანმრთელობისათვის მავნე პირობების მქონე საწარმოში შრომის დაცვის პირობებს რომ არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და არ ტარდებოდა ამ მიმართებით პროფილაქტიკური სამუშაოები, დასტურდება ასევე ს/ს ნ.მახვილადის სახელობის შრომის ჰიგიენის და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ ამ საწარმოში ჩატარებული შემოწმების თაობაზე დასკვნით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტმა ვერ წარმოადგინა როგორც რაიონულ სასამართლოში, ასევე, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას მტკიცებულებანი იმის შესახებ, რომ მ.გურბანოვს როგორც მავნე ობიექტზე მომუშავეს მძიმე სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, უქმნიდნენ მუშაობისათვის საჭირო პირობებს, რათა არ განვითარებოდა პროფესიული დაავადება.

სააპელაციო პალატამ ვერ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მტკიცების ტვირთი იმის თაობაზე, ირღვეოდა თუ არა ადმინისტრაციის მხრიდან შრომის დაცვის პირობები, შრომის და დასვენების რეჟიმი და ავტომობილი „ბელაზი“ იმყოფებოდა თუ არა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მ.გურბანოვის მუშაობის 20 წლის განმავლობაში, ეკისრება მხოლოდ მოსარჩელე მ.გურბანოვს. სასამართლომ ჩათვალა, რომ არა მარტო მ.გურბანოვმა უნდა დაამტკიცოს, რომ პროფესიული ზოგადი ვიბრაციული დაავადება მიიღო ადმინისტრაციის მხრიდან საწარმოში შრომის პირობების დარღვევის გამო, არამედ მოპასუხე სს „მადნეულზე“ უნდა გაიყოს მტკიცების ტვირთი, მან უნდა უარყოს და გააქარწყლოს მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები, რაც ვერ განახორციელა.

მ.გურბანოვის პროფესიული დაავადება – ზოგადი ვიბრაციული დაავადება ადმინისტრაციის ბრალით რომ განვითარდა, სამედიცინო დასკვნის გარდა სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ასევე საქმეში მოწმედ დაკითხული საექსპერტო კომისიის წევრის სპეციალისტი ვ.როყვას ჩვენებით; მან განმარტა, რომ მ.გურბანოვს რომელიც იყო ავტომანქანა „ბელაზის“ მძღოლი, განუვითარდა პროფესიული დაავადება იმის გამო, რომ იგი მართავდა მოძველებულ, მწყობრიდან გამოსულ ავტომანქანას, დღეში – აკეთებდა 80 რეისს, მოძრაობა უხდებოდა მოუპირკეთებელ, კეთილმოწყობებულ გზებზე; საწარმოს არ ჰქონდა ვიბრაციის გამზომი და არ ახორციელებდა შემოწმებას. აღნიშნული დაადასტურა ასევე ექიმმა სპეციალისტმა – მ. გურბანოვის მკურნალმა ექიმმა – ლ. თოდუამ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ.გურბანოვს სს „მადნეულში“ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი მიადგა დამქირავებლის ბრალეულობით, რადგან ამ ავადმყოფობის განვითარებას ხელი შეუწყო ადმინისტრაციის მხრიდან შრომის კანონმდებლობის და შრომის დაცვის წესების მოთხოვნათა უგულვებლყოფამ და არასათანადო შესრულებამ, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №48 ბრძანებულების პირველი თავის მესამე პუნქტის თანახმად, ამ უკანასკნელს ზიანი უნდა აუნაზღაუროს დამქირავებელმა, სს „მადნეულმა“, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა.

საქციო საზოგადოება „მადნეულის“ გენერალურმა დირექტორმა საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის განჩინებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა, მისი საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

მოცემული დავა ერთხელ უკვე განიხილა საკასაციო სასამართლომ და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევით, ამ მტკიცებულებებზე მითითებით უნდა დაადგინოს და მივიდეს დასკვნამდე, დაარღვია თუ არა მოპასუხე შრომის დაცვის წესები, მიუძღვის თუ არა მას ბრალი მოპასუხის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებაში.

აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ზემდგომი სასამართლოს მითითება. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ს/ს ნ.მახვილადის სახელობის შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის დასკვნის საფუძველზე. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ექსპერტიზის დასკვნა კასატორის მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემთხვევაშიც კი უშვებს ზოგადვიბრაციული დაავადების წარმოშობას, კერძოდ, მითითებულია, რომ შრომის პირობების დარღვევის გარეშეც კი გურბანოვს შეიძლებოდა განვითარებოდა ზოგადვიბრაციული დაავადება. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს უხდებოდა ნორმა საათებზე მეტის მუშაობა, რადგან შრომის ინსპექციამ ვერ დაადგინა, თუ რამდენ საათს მუშაობდა ზეგანაკვეთურად მოსარჩელე, ხოლო ავტოფარეხიდან გასვლისა და შემოსვლის აღრიცხვა არ ასახავს მოსარჩელის მიერ ზეგანაკვეთური მუშაობის ფაქტს.

სასამართლოს მიერ მითითებული არცერთი საქსპერტო დასკვნით არ არის დადგენილი სს „მადნეულის“ მიერ მოსარჩელე გურბანოვის მიმართ შრომის პირობების, შრომის დაცვის წესებისა და ნორმების მოთხოვნების დარღვევის ფაქტი. ამასთანავე არანაირი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი საწარმოში ავტო-ტექნიკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობისა და გაუძარტაობის, ბელაზის ტიპის ავტოტრანსპორტზე ვიბრაციის ზღვრული ნორმის გადაშეცდების და სხვა შრომის პირობების დარღვევის შესახებ, რასაც ვარაუდის დონეზე ეყრდნობა სააპელაციო სასამართლო განჩინების გამოტანისას.

სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტ სპეციალისტების ვროყვას და ლ.თოდუას ჩვენებები, სინამდვილეს არ შეეფერება; აღნიშნული პირები სასამართლოზე გამოძახებული იყვნენ არა როგორც მოწმეები, არამედ როგორც სპეციალისტები, ექსპერტიზის დასკვნაზე განმარტების მისაცემად. ამიტომ მათი განმარტებები არ შეიძლება გაცდენოდა ექსპერტიზის დასკვნის ფარგლებს. მითუმეტეს, მათი მხრიდან არ გამოთქმულა მტკიცება განჩინებაში მითითებულ არც ერთ გარემოებაზე, საწარმოში შრომითი ნორმებისა და წესების დარღვევის თაობაზე, რამეთუ ექსპერტიზას აღნიშნულ საკითხზე არანაირი კვლევითი საშუალებები არ ჩაუტარებია და ფაქტიურად ამ ნაწილში დასკვნა არ გაუცია.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ თავად მოპასუხემ სს „მადნეულმა“ უნდა უარყოს და გააქარწყლოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საწარმოს ბრალეულობის თაობაზე.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ს.ს. „მადნეულის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 13 დეკემბრის განჩინება შემდეგი გარემოებების გამო:

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების პირველი პუნქტის თანახმად ეს წესი აწესრიგებს ასევე მუშაკის შრომითი მოვალეობის შესრულებისას პროფესიული დაავადებით ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს. იმავე ბრძანებულების მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ითვლება დამქირავებლის ბრალეულობით, თუ იგი მოხდა მისგან შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესების, ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა უგულებელყოფით ან არასათანადო შესრულებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მ.გურბანოვს სს „მადნეულში“ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი მიადგა დამქირავებლის ბრალეულობით, რადგან ამ ავადმყოფობის განვითარებას ხელი შეუწყო ადმინისტრაციის მხრიდან შრომის კანონმდებლობის და შრომის დაცვის წესების მოთხოვნათა უგულებელყოფამ და არასათანადო შესრულებამ; რის გამოც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №48 ბრძანებულების პირველი თავის მესამე პუნქტის თანახმად, ამ უკანასკნელს ზიანი უნდა აუნაზღაუროს დამქირავებელმა სს „მადნეულმა“, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა. სააპელაციო სასამართლოს ასეთ მოსაზრებას საფუძველად დაედო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სს ნ.მანვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2003 წლის 26 დეკემბრის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ მ.გურბანოვი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა სს „მადნეულში“ სამთო ტრანსპორტის სამქროში ბულდოზერის მძღოლად, იგი განიცდიდა ისეთი მავნე ფაქტორების ზემოქმედებას, როგორცაა ხმაური, ვიბრაცია და მტვერი.

ამ დასკვნაში აღნიშნულია, რომ მ.გურბანოვი დაავადებულია ვიბრაციული დაავადების II ხარისხით, რაც განაპირობა ზოგადი ვიბრაციის ხანგრძლივმა მოქმედებამ.

საქმეში მოცემულია ბოლნისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის რაიონული ინსპექციის უფროსის 2001 წლის 26 ივნისის დასკვნა იმის შესახებ, რომ მ. გურბანოვი მუშაობს მძიმე წონის „ბელაზზე“, მას უხდებოდა მადნის გადაზიდვა კარიერიდან კომბინატში; მას მუშაობის დროს კონტრაქტი ჰქონდა ისეთ მავნე ფაქტორებთან, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე, კერძოდ, ვიბრაცია, ხმაური და კარიერზე „ბელაზით“ მოძრაობის დროს მტვერი.

აპარატურის უქონლობის გამო მათ მიერ ვერ მოხერხდა მათი ხარისხის დადგენა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან მოპასუხე ორგანიზაციას არ გააჩნია ვიბრაციის ზემოქმედების ხარისხის დამდგენი შესაბამისი აპარატურა, ამიტომ მათ მიერ ვერ მოხერხდებოდა შემოწმებული მოსარჩელის ავტომანქანაზე ვიბრაციის დონე ჩვეულებრივ აღემატებოდა თუ არა დასაშვებ ნორმებს. საქმის მასალებში აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება კასატორს არ წარმოუდგენია. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ორგანიზაციამ დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამე ნაწილი. ამ ნორმის თანახმად, ადმინისტრაცია ვალდებულია საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოს ისეთი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღკვეთენ მუშებისა და მოსამსახურეების პროფესიული დაავადების წარმოშობას.

სააპელაციო სასამართლომ სს „მადნეულის“ ადმინისტრაციის მხრიდან შრომის პირობების დარღვევად მიიჩნია ისიც, რომ მოსარჩელე მუშაობდა – ნორმა საათებზე ზევით, ზეგანაკვეთურად რაც დასტურდება 2000 წლის მაისში, ივნისში, ივლისში, სექტემბერში, გაცემული საგზურებიდან.

საქმეში მოცემულია სპეციალისტი ვროყვას განმარტება, რომელმაც აღნიშნა, რომ იგი მონაწილეობდა ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაში, თვითონ დაათვალიერა გზები, რომელიც კეთილმოუწყობელი იყო, ეს კი ამ დაავადების ძირითადი გამომწვევი მიზეზია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს ასეთი დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და სს „მადნეულის“ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს „მადნეულის“ წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 13 დეკემბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მუშაობის უფლების აღდგენა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-227-560-04

27 მაისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატა**

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მუშაობის უფლების აღდგენა, ხელფასის გადახდა.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ო. რუხაძემ სარჩელი აღძრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე სს „საქტრანსპროექტის“ მიმართ მუშაობის უფლების აღდგენისა და ხელფასის გადახდის

შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი 1956 წლიდან მუშაობს სს „საქტრანსპროექტში“ გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსის თანამდებობაზე. 1998 წლიდან სს „საქტრანსპროექტის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა „თბილკომბანკთან“ არსებული საფინანსო ჯგუფი, რის შემდეგ მოხდა მისი უკანონოდ გათავისუფლება სამსახურიდან. პირველად 1999 წლის 11 მარტს და მეორედ 1999 წლის 2 თებერვალს, სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი ორჯერ აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე.

ადმინისტრაციამ ამჟამად დაიწყო ადმინისტრაციული შენობის გაქირავება-გასხვისება, მანქანა-იარაღების გაყიდვა-განადგურება, მათ შორის, ნადგურდება მოსარჩელის განკარგულებაში არსებული გეოფიზიკური და გეოლოგიური ლაბორატორია. მას, როგორც გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსს, არ აქვს არც სამუშაო ოთახი, არც გეოფიზიკური აპარატურა და არც სამუშაო მაგიდა.

მოსარჩელემ მოითხოვა: მოპასუხემ აღუდგინოს მუშაობის უფლება, გამოუყოს 2 ოთახი ფიზიკურ და ქიმიურ-გეოლოგიური ლაბორატორიისათვის, დაუბრუნოს გეოფიზიკური და გეოლოგიური საკვლევი აპარატურა, რადგან, ადმინისტრაციის ინიციატივით არის უკანონო უხელფასო შვებულებაში, მოპასუხემ გადაუხადოს მისი მინიმალური ხელფასი 2004 წლის 1 იანვრიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ ხელფასის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი დააზუსტა და მოითხოვა, მოპასუხეს მისთვის გადაეხადა ყოველთვიურად 100 ლარი 2004 წლის 1 იანვრიდან.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე უხელფასო შვებულებაში გაშვებულია შრომის კანონთა კოდექსის 74-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით და მას უნდა აუნაზღაურდეს მინიმალური ხელფასი იძულებითი მოცდენისათვის თვეში 20 ლარის ოდენობით.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით ო.რუხაძის სარჩელი დაკმაყოფილდა. ო.რუხაძე დაბრუნებულ იქნა სს „საქტრანსპროექტში“ გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსის თანამდებობაზე. სს „საქტრანსპროექტში“ გამოეყო სამუშაო ერთი ოთახი და დაუბრუნდა საქმიანობისათვის გეოფიზიკური ლაბორატორიის სრული კომპლექტი. სს „საქტრანსპროექტს“ დაეკისრა გადასახდელად ო. რუხაძის სასარგებლოდ 2004 წლის 1 იანვრიდან ოთხი თვის იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი თვეში 100 ლარის ოდენობით, სულ – 400 ლარი. სს „საქტრანსპროექტს“ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით 10 ლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს „საქტრანსპროექტის“ წარმომადგენელმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

სააპელაციო საჩივარი დამყარებული იყო შემდეგ გარემოებებზე: სასამართლო გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და ბუნდოვანია იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ დაადგინა ო. რუხაძის დაბრუნება „საქტრანსპროექტში“ გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსის თანამდებობაზე; მოსარჩელეს არც სარჩელში და არც საქმის განხილვის პროცესში არ დაუყენებია უხელფასო შვებულებაში გაშვების შესახებ ბრძანების გაუქმების მოთხოვნა. არასწორია სასამართლოს მიერ მოსარჩელის უხელფასო შვებულებაში გაშვების დროს მოპასუხისათვის მთლიანი ხელფასის გადახდის დავალდებულება; სასამართლომ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი. არასწორია სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის ერთი ოთახის გამოყოფა შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, როცა ამ მუხლში არაფერია ნათქვამი მუშაკისათვის თითო ოთახის გამოყოფის ვალდებულების შესახებ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „საქტრანსპროექტის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ო. რუხაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სს „საქტრანსპროექტს“ ო. რუხაძის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი მოცდენისათვის შრომის ანაზღაურების სახით 2004 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 დეკემბრამდე 11 თვის – 220 ლარის, ხოლო 2004 წლის 1 დეკემბრიდან უხელფასო შვებულებიდან დაბრუნებამდე, ყოველთვიურად 20 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ ო. რუხაძე იმყოფება უხელფასო შვებულებაში.

პალატის განმარტებით, საქმის მასალებით დადგენილია, აგრეთვე, რომ მხარეთა შორის დავის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ აპელანტმა მოწინააღმდეგე მხარეს 2004 წლის 1 იანვრიდან შეუწყვიტა ყოველთვიურად 20 ლარის გადახდა, რომელსაც აპელანტი ო. რუხაძეს უხდიდა ყოველთვიურად იძულებით მოცდენის დროისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანების შესაბამისად, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, რომლითაც საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის იძულებითი მოცდენის დროს, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, მუშაკს შრომის ანაზღაურება მიეცემა დადგენილი მინიმალური ოდენობის ფარგლებში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორად განისაზღვრა იძულებითი მოცდენის დროისთვის ხელფასის ოდენობა ყოველთვიურად 100 ლარით, მაშინ როცა ზემოთხსენებული ნორმიდან გამომდინარე, იგი უნდა განსაზღვრულიყო 20 ლარით. შესაბამისად, აპელანტის მოთხოვნა მისი გაუქმების მოთხოვნით ჩათვალა საფუძველანად.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მისი უხელფასო შვებულებაში გაშვების შესახებ ბრძანების გაუქმება არ მოუთხოვია. აქედან გამომდინარე, მისი უხელფასო შვებულებაში ყოფნის შესახებ ბრძანება დღესაც ძალაშია. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მუშაკისათვის შრომის ანაზღაურების წესს, ხელფასის სახით, შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ამ მუხლზე დაყრდნობით ო. რუხაძის იძულებით მოცდენისათვის შრომის ანაზღაურება 100 ლარით არ უნდა განსაზღვრულიყო, რადგან, ო. რუხაძის უხელფასო შვებულებაში ყოფნის დროს ვერ იარსებებდა მის მიერ შესრულებული სამუშაო და შესაბამისად ვერ განისაზღვრებოდა მისი ხარისხიც.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მართალია, შრომის კანონმდებლობა კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლი ავალდებულებს ადმინისტრაციას შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოების შესასრულებლად მუშაკს შეუქმნას სათანადო პირობები, მაგრამ მუშაკისათვის სათანადო შრომის პირობების შექმნა არ გულისხმობს მისთვის ცალკე ოთახის გამოყოფას, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ითხოვს მოსარჩელე ო. რუხაძე.

რაიონული სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელეს აუნაზღაურდა ოთხ თვეზე 400 ლარი, ყოველ თვიურად 100 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ მოითხოვა მისი ხელფასის ანაზღაურება სააპელაციო საჩივრის განხილვის დღემდე.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ო. რუხაძის მოთხოვნა საფუძველიანია, რამდენადაც იგი დღემდე იმყოფება უხელფასო შვებულებაში და მას იძულებით მოცდენილი დროისათვის უნდა აუნაზღაურდეს 2004 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 დეკემბრამდე 11 თვის 11X20+220 ლარი, ხოლო 2004 წლის 1 დეკემბრიდან უხელფასო შვებულებიდან დაბრუნებამდე ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ო. რუხაძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა შკკ-ის 75-ე მუხლის III ნაწილი, რომლის მიხედვითაც მუშაკის ანაზღაურება ხდება შრომის ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით. აქედან გამომდინარე, მოპასუხის მითითება იმ ფაქტზე, რომ ო. რუხაძის უხელფასო შვებულებაში გაშვების შესახებ ბრძანება არ არის გასაჩივრებული, უსაფუძვლოა, რადგან მოპასუხე თავად აღიარებს აღნიშნული ბრძანების უკანონობას.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „საქტრანსპროექტს“ მის სასარგებლოდ დაეკისრა 5 თვის ხელფასის, თვეში 100 ლარის გადახდა, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში და უკვე აღსრულებულია. ე.ი. 2004 წლის 1 მაისიდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე გადასახდელი თანხა თვეში 100 ლარი მოპასუხის მიერ უკვე ანაზღაურებულია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მხარეს მიაკუთვნა ის, რაც არ უთხოვია, შესაბამისად, დაარღვია კანონი, გამოიტანა დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, უკანონოა სააპელაციო პალატის მოტივაცია, რომ შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, მუშაკისათვის სათანადო შრომის პირობების შექმნა არ გულისხმობს მუშაკისათვის ცალკე ოთახის გამოყოფას. ამ მუხლის თანახმად, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს შრომის სათანადო პირობებით.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ო. რუხადის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მის მიერ გასაჩივრებული იყო ადმინისტრაციის ბრძანება უხელფასო შვებულებაში გაშვების შესახებ. სარჩელში ასეთი მოთხოვნის შესახებ მითითებული არ არის, ხოლო სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის მიხედვით მოსამართლის შეკითხვაზე ითხოვს თუ არა მოსარჩელე იმ ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც ის უხელფასო შვებულებაში გაუშვეს, ო. რუხადე პასუხობს, რომ ბრძანების ბათილად ცნობას არ ითხოვს.

შესაბამისად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ო. რუხადის მოთხოვნები განხილულ უნდა იქნეს უხელფასო შვებულების მოქმედების პირობების გათვალისწინებით.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად მინიმალური ხელფასი არის სოციალურ-ეკონომიკური ნორმატივი, შრომის ანაზღაურების დასაშვები მინიმალური ღონე, რომლის ოდენობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

შრომის კანონთა კოდექსის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის იძულებითი მოცდენის დროს, რაც მუშაკის ბრალით არ არის გამოწვეული, მუშაკს შრომის ანაზღაურება მიეცემა დადგენილი მინიმალური ოდენობის ფარგლებში.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, ვინაიდან მხარეთა შორის დავის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ აპელანტმა მოწინააღმდეგე მხარეს 2004 წლის 1 იანვრიდან შეუწყვიტა ყოველთვიურად 20 ლარის გადახდა, რომელსაც აპელანტი ო. რუხადეს უხდიდა ყოველთვიურად იძულებითი მოცდენის დროისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის №351 ბრძანების შესაბამისად მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელისათვის ყოველთვიურად 20 ლარის გადახდა.

დავის ამგვარი გადაწყვეტის მიმართ მოპასუხეს პრეტენზია არ გამოუთქვამს და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

ვინაიდან მოსარჩელე იმყოფება უხელფასო შვებულებაში და შესაბამისად შრომის ხელშეკრულების პირობების შესრულება ორივე მხრიდან შეჩერებულია, შრომითი ხელშეკრულების გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად მუშაკისათვის სათანადო პირობების შექმნაც უძიზნო და უსაფუძვლო ხდება.

აღნიშნულის გამო საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ო. რუხადის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა**
შემაღვენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

სარჩელის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ნ.ბარბაქაძემ და ლ.ჯაგაშვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „რუსთავის ნარკოლოგიური დისპანსერის“ მიმართ, სარჩელის თანახმად, მოსარჩელები 1999 წლიდან მუშაობენ შპს „რუსთავის ნარკოლოგიურ დისპანსერში“ ქიმიკოს-ტოქსიკოლოგებად. 2004 წლის 26 ივლისს საზოგადოების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ზ.ოხანაშვილმა მიიღო ბრძანება მოსარჩელების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. გათავისუფლების საფუძველად მიუთითა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონი და შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2004 წლის 13 ივლისის №2/31-861 წერილი. მოსარჩელებმა 2001 წელს მიმართეს სტანდარტიზაციის ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტს, რომ ეცნობებინათ იყო თუ არა დანიშნული ქიმიკოს-ტოქსიკოლოგებისათვის გამოცდები და როდის. გამოცდა არ ჩატარებულა, ხოლო მოპასუხემ მოსარჩელები გაათავისუფლა იმ საფუძველით, რომ მათ არ ჩაუბარებიათ სასერტიფიკაციო გამოცდა. ამასთან, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელებს არ აცნობა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელებმა ასევე აღნიშნეს, რომ 1997 წლიდან არ მიუღიათ ყოველთვიური ხელფასები. აღნიშნული საფუძველებით, მოსარჩელებმა მოითხოვეს სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

მოპასუხე საზოგადოების წარმომადგენელმა სარჩელი სახელფასო დავალიანების ნაწილში ცნო, ხოლო დანარჩენ ნაწილში არ ცნო იმ საფუძველით, რომ მოსარჩელებს არ გააჩნიათ სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატი. რაც შეეხება მუშაკთა წინასწარ გაფრთხილებას მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, მოცემულ შემთხვევაში ასეთის საჭიროებას კანონმდებლობა არ ცნობს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 20-21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსარჩელები აღდგენილ იქნენ სამუშაოზე და აუნაზღაურდათ იძულებითი განაცდური 2004 წლის 27 ივლისიდან ყოველთვიური ხელფასის ოდენობით. მოპასუხეს ასევე დაეკისრა ნ.ბარბაქაძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანება 1166 ლარი და 90 თეთრი, ხოლო ჯაგაშვილის სასარგებლოდ – 1498 ლარი და 3 თეთრი.

ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „რუსთავის ნარკოლოგიური დისპანსერის“ დირექტორმა. სააპელაციო პალატის 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელების სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებს აღნიშნულ ნაწილში უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა შკკ-ის 42² მუხლი, რადგან აღნიშნული ნორმა გამოიყენება საწარმოს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო მუშაკების გათავისუფლებისას. მხოლოდ ჩამოთვლილ შემთხვევებში ავალდებულებს კანონი მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე ერთი თვით ადრე მუშაკის გაფრთხილებას. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელები გაათავისუფლეს შკკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. გათავისუფლების საფუძველად მითითებული იქნა კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 13.07.04 №2/31-861 წერილი.

სააპელაციო პალატამ, სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის წერილით, დადგენილად ცნო, რომ „ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური დიაგნოსტიკა“ არის ლიცენზირებადი სამედიცინო საქმიანობა, რომლის უფლების მისაღებად გარდა ლაბორატორიის ხელმძღვანელისა, უნდა იყოს სერტიფიცირებული „ფარმაცევტ-ტოქსიკოლოგი“ ან „ლაბორატორიულ

საქმეში“ სერტიფიცირებული სპეციალისტი. მოსარჩელებმა 2001 წლის 6-7 დეკემბერს მონაწილეობა მიიღეს სასერტიფიკაციო გამოცდაში სპეციალობით „ლაბორატორიული მედიცინა“ და ვერ გადალახეს სასერტიფიკაციო ზღვარი. სააპელაციო პალატამ გამოიყენა შკკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი და ჩათვალა, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლებისას მოპასუხის მხრიდან კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, ვინაიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მოსარჩელებს არ გააჩნდათ სახელმწიფო სერტიფიკატი. რაც შეეხება აპელანტის მოთხოვნას ლ.ჯაგაშვილისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან დადგენილად ცნო, რომ მოპასუხის დავალიანება ლ.ჯაგაშვილის მიმართ შეადგენდა 1498 ლარს. ამასთან, მოპასუხემ ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას სარჩელი ცნო, რაც, სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილების საუძველია.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ.ბარბაქაძემ და ლ.ჯაგაშვილმა. კასატორები მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას სამუშაოზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. კანონი არ ავალდებულებს ქიმიკოს-ტოქსიკოლოგებს სასერტიფიკაციო გამოცდების გავლას, ეს ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ეწევიან სამედიცინო საქმიანობას – დიაგნოსტიკას. ნარკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ დასკვნას გასცემდა ექიმი – ნარკოლოგი. მათი საქმიანობა მხოლოდ ანალიზში ქიმიური ნივთიერების გამოკვლევა იყო, ამასთან მათ მიერ გაკეთებულ ანალიზს ხელის მოწერით ადასტურებდა ლაბორატორიის გამგე, ამდენად, ისინი არ მოქმედებდნენ დამოუკიდებლად.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლომ მათ განუსაზღვრა 10 – დღიანი ვადა მტკიცებულებების წარდგენისათვის, მაგრამ, როცა წარადგინეს ჯანდაცვის სამინისტროს წერილი, სადაც მითითებულია, თუ ვინ უნდა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები, ასევე, ცნობა იმის შესახებ, რომ არასამედიცინო განათლების მქონე ქიმიკოს-ტოქსიკოლოგებისათვის გამოცდები არ ჩატარებულა, სასამართლომ არ მიიღო აღნიშნული მტკიცებულებები.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა შკკ-ის 42² მუხლი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 154-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, არასამედიცინო განათლების მქონე სამედიცინო პერსონალს 2002 წლის 1 იანვრიდან ეკრძალებათ დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე.

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ კასატორები მუშაობდნენ შპს „რუსთავის ნარკოლოგიურ დისპანსერში“ ქიმიკოს-ტოქსიკოლოგებად. „ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური დიაგნოსტიკა“ არის ლიცენზირებადი სამედიცინო საქმიანობა. ასევე დადგენილია, რომ კასატორებმა 2001 წლის 6 და 7 დეკემბერს მონაწილეობა მიიღეს სასერტიფიკაციო გამოცდაში სპეციალობით „ლაბორატორიული მედიცინა“, მაგრამ ვერ გადალახეს სასერტიფიკაციო ზღვარი. ამდენად, მათ არ გააჩნიათ სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატი, რაც საფუძვლად დაედო მათ გათავისუფლებას.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა სასამართლოსათვის. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დამატებით და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას. კასატორები ვერ მიუთითებენ საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებაზე, რაც გამორიცხავდა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებებს.

შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია, ვადამდე მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

საკასაციო პალატა თვლის, ვინაიდან მოსარჩელებს არ გააჩნიათ სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატი, საშუაოდან მათი გათავისუფლებისას, მოპასუხეს კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია.

რაც შეეხება კასატორების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა შკკ-ის 42²-ე მუხლი, ვერ იქნება გაზიარებული. შკკ-ის 42²-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუშაკს მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე უნდა ეცნობოს ერთი თვით ადრე. მითითებული ნორმა ვრცელდება საწარმოს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, მუშაკთა რიცხვნობის ან შტატების შემცირების გამო მუშაკთა გათავისუფლებისას. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელების გათავისუფლებას საფუძვლად დაედო არა ზემოთ მითითებული გარემოებები, არამედ შკკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ბარბაქაძისა და ლ. ჯაგაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-368-713-05

1 ივნისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე მომხსენებელი),

ლ. გოჩელაშვილი,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორის 2002 წლის 12 ივლისის ბრძანებით, ამავე დისპანსერის რეგისტრატორი დ. კორძაძე, შტატების შემცირების გამო, 2002 წლის 1 აგვისტოდან გათავისუფლდა საშუაოდან.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა და იგი აღდგენილ იქნა შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ ადმინისტრატორის თანამდებობაზე.

შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორის 2003 წლის 7 სექტემბრის №6/02 ბრძანებით დ. ნაცვლიშვილ-კორძაძე განთავისუფლდა სამსახურიდან 7 თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

დ. ნაცვლიშვილ-კორძაძემ აღძრა სარჩელი ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოში და მოითხოვა „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ მერეგისტრატორის თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორმა იგი გაათავისუფლა სამსახურიდან შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნათა უგულბელებით. დარღვეულ იქნა აღნიშნული კანონის 34-ე მუხლი.

მოპასუხე შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორმა სარჩელი არ ცნო. მან მიიჩნია, რომ მოსარჩელე გაათავისუფლდა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის სარჩელი და იგი აღდგენილ იქნა შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ რეგისტრატორის თანამდებობაზე, ასევე, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი გაცდენილი დროის - 455 ლარის ოდენობით გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორმა და მოითხოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორის 2003 წლის 7 სექტემბრის №6/02 ბრძანებით დ. ნაცვლიშვილ-კორძაძე 2003 წლის 7 სექტემბრიდან გაათავისუფლდა სამსახურიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე 7 თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც საფუძველად დაედო დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის სამუშაოდან განთავისუფლებას, შეეხება მუშაკის სამუშაოზე გამოუცხადებლობას დროებითი შრომისუუნარობის გამო ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ როდესაც მოპასუხეს 2003 წლის 7 სექტემბრის №6/02 ბრძანებაში მოსარჩელე დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის განთავისუფლების მიზეზად მითითებულია ამ უკანასკნელის 7 თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობა. 2003 წლის 1 სექტემბერს, ანუ მოსარჩელის განთავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე, შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორმა გამოსცა №5/01 ბრძანება, რომლითაც რეგისტრატორის საშტატო ერთეული გაუქმებულ იქნა შესაბამისი დატვირთვის არარსებობის გამო და ფორმა №25-ის წარმოება დაევალა მედსტატისტიკოსს.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დ. ნაცვლიშვილ-კორძაძე თანამდებობიდან გაათავისუფლებული იყო სტრუქტურული ცვლილებების ან მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო, მოპასუხეს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის არა „დ“ ქვეპუნქტით, არამედ - „ა“ ქვეპუნქტით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არა აქვს გაშვებული საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთვიანი ვადა, რადგან სადავო ბრძანება მას არ ჩაბარებია.

სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის თანამდებობიდან განთავისუფლებისას დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე საპენსიო ასაკისაა და მისი მუშაობა სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც სამიმ ინფექციურ დაავადებებს მკურნალობენ, დაუშვებელია, კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ ეს არგუმენტი უსაფუძვლოა, რადგან მოსარჩელე სამუშაოდან, საპენსიო ასაკის გამო, არ დაუთხოვიათ.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორმა ზ.სანდომეძემ და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ დ. ნაცვლიშვილ-კორძაძე 2003 წლის 7 თებერვლიდან აღდგენილ იქნა „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერში და სიტყვიერად შესთავაზეს იმავე სამუშაოს შესრულება, იმავე ანაზღაურებით და იმავე შენობის მე-2 სართულზე. დ. ნაცვლიშვილ-კორძაძემ უარი განაცხადა აღნიშნული შეთავაზებაზე და ასევე აღდგენის შესახებ ბრძანების ჩაბარებაზე, ასევე - შრომითი კონტრაქტის გაფორმებაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია შრომის კონტრაქტი, რომელზედაც დაფიქსირებულია მისი უარი აღნიშნულ შეთავაზებაზე. კასატორი კანონიერად მიიჩნევს დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის სამუშაოდან გათავისუფლებას საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

კასატორი მიიჩნევს, რომ დ. ნაცვლიშვილ-კორძაძეს გაშვებული აქვს სასამართლოსათვის მიმართვის ვადა, რადგან მან ჩაიბარა განთავისუფლების შესახებ ბრძანება, მაგრამ არ მოაწერა ხელი, რაც დასტურდება აქტებით.

საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ საერთოდ არ არის გათვალისწინებული აღნიშნული საშტატო ერთეული. ასევე მოსარჩელე საპენსიო ასაკისაა, როდესაც ტუბერკულოზით დაავადების რისკ-ფაქტორი მატულობს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევას არა აქვს ადგილი; საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ დ. ნაცვლიშვილ-კორძაძე 2003 წლის 7 სექტემბრიდან გათავისუფლდა შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ რეგისტრატორის თანამდებობიდან ამავე დისპანსერის დირექტორის 2003 წლის 7 სექტემბრის №6/02 ბრძანებით.

მისი სამუშაოდან განთავისუფლებას საფუძველად დაედო, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 7 თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა აღნიშნული ნორმა და სწორად მიიჩნია უსაფუძველოდ სადავო ბრძანება დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

ამ ნორმის თანახმად, საწარმოს დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია, ვადადღე მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტა მუშაკის სამუშაოზე გამოუცხადებლობისას დროებითი შრომისუნარობის გამო ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მოცემული შვებულების ჩაუთვლელად; აღნიშნული ოთხთვიანი ვადა არ ვრცელდება შრომითი დასახიჩრებისა და პროფესიულ დაავადებათა დროს, აგრეთვე, იმ დაავადებებზე, რომლებზედაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ მკურნალობის უფრო ხანგრძლივი ვადაა დაწესებული.

განსახილველი ნორმის საფუძველზე ადმინისტრაციის ინიციატივით შეიძლება მუშაკთან სამუშაო ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ავადმყოფობის გამო, მუშაკმა დაკარგა შრომისუნარიანობა, რაც გახდა განუწყვეტლივ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მისი სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზეზი. ამდენად, ამ ნორმის თანახმად, მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების აუცილებელი პირობაა, ავადმყოფოფობის გამო, ოთხი თვის განმავლობაში სამუშაოს გაცდენა, გარდა ამავე ნორმით გათვალისწინებული შრომითი დასახიჩრებისა და პროფესიულ დაავადებათა დროს, აგრეთვე იმ დაავადებებზე, რომლებზედაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ მკურნალობის უფრო ხანგრძლივი ვადაა დაწესებული. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ამ ნორმით დადგენილი ავადმყოფობის გამო საგარანტიო ვადის გაშვებისას მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების აუცილებლობა უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში საწარმოს აუცილებლობასთან, შეწყვეტოს სამუშაო ხელშეკრულება (კონტრაქტი).

კასატორი უთითებს, რომ დ. ნაცვლიშვილი-კორძაძე სამუშაოზე არ ცხადდებოდა 7 თვის განმავლობაში, მაგრამ არ უთითებს და საქმეში არ არსებობს შრომისუნარობის დამადასტურებელი

მტკიცებულება, რაც წარმოადგენს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოდან განთავისუფლების ერთ-ერთ გარემოებას.

ამრიგად, იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ დ. ნაცვლიშვილ-კორძაძე აღდგენილ იქნა სამუშაოზე კასატორი ორგანიზაციის მიერ და ამის შესახებ მას ეცნობა კანონის მოთხოვნათა დაცვით, რის შემდეგ 7 თვის განმავლობაში იგი არ ცხადდებოდა სამუშაოზე, მისი სამუშაოდან განთავისუფლება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, უკანონოა. ამდენად, არ არსებობს მისი სამუშაოდან განთავისუფლების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად იმ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, სადაც არსებობს პროფკავშირი, დაუშვებელია ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოშლა პროფკავშირის თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერში“ არსებობს პროფკავშირი, ამდენად კასატორს არ ჰქონდა უფლება, გაეთავისუფლებინა სამუშაოდან მუშაკი პროფკავშირის თანხმობის გარეშე.

არ შეიძლება იყოს გაზიარებული კასატორის მოთხოვნა დ. ნაცვლიშვილ-კორძაძის სარჩელის ხანდაზმულად ცნობის შესახებ.

საქმეში არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ დ. ნაცვლიშვილ-კორძაძეს ჩაბარდა მისი სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანება, რითაც კასატორის მიერ უგულებელყოფილი იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა. საქმის საკასაციო წარმოების დროს დაუშვებელია მტკიცებულებების წარმოდგენა. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს, მათ შორის იღებს კასატორისაგან ამ მტკიცებულებებს, ესაა ისეთი შემთხვევა, როდესაც საკასაციო საჩივარი ემყარება საპროცესო ნორმების დარღვევებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებების მიმართ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში; მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ ემყარება საპროცესო ნორმების დარღვევებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა, დ. ნაცვლიშვილ-კორძაძეს არ ჩაბარებია ბრძანება მისი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ და, ამდენად, მას არა აქვს გაშვებული საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სასამართლოსადმი მიმართვის ერთთვიანი ვადა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, დ. ნაცვლიშვილ-კორძაძეს უნდა აუნზღაურდეს იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი 455 ლარის ოდენობით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს „№2 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის“ დირექტორ ზ. სანდოძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო პალატის განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-534-865-05

2 ივნისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
მ. ახალაძე (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ტარიელ ვაშაგაშვილმა სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ წინააღმდეგ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა, უვადო შრომის კონტრაქტის გაფორმება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და მოპასუხისათვის იურიდიული მომსახურების ხარჯების დაკისრება. მოსარჩელის მითითებით 2002 წლის 14 მაისიდან სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალური დირექტორის მ.ვარდიაშვილის 2002 წლის 14 მაისის №27-ე ბრძანებით დაინიშნა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სააბონენტო სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე სამი თვის ვადით, ყოველთვიური ხელფასით, 600 ლარი. მოსარჩელის განცხადებით, 2002 წლის 2 აგვისტოს გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება სამი თვით 2002 წლის 2 დეკემბრამდე, ხოლო შემდეგ 2003 წლის 2 სექტემბრამდე, რომელიც ასევე შეიცვალა ახალი ხელშეკრულებით და დაიღო 2003 წლის 4 თებერვალს 2003 წლის 2 სექტემბრამდე ვადით.

2003 წლის 7 აგვისტოს მას წერილობით ეცნობა, რომ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდებოდა 2003 წლის 2 სექტემბრიდან, ხოლო თანამდებობიდან კი გაანთავისუფლეს 2003 წლის 29 აგვისტოს №68-ე ბრძანებით შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, მოსარჩელის განმარტებით 2003 წლის 4 მარტს სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ადმინისტრაციას, ამავე საზოგადოების პროფკავშირულ ორგანიზაციასა და ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის აღმასრულებელ საბჭოს შორის გაფორმდა კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის მე-8 მუხლის მიხედვით, კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში არ დაიშვება „ადმინისტრაციის“ (დამპირავების) მიერ მუშა-მოსამსახურეების ვადიან საკონტრაქტო სისტემაზე გადაყვანა, ხოლო იქ, სადაც იძულებით იყვნენ გადაყვანილნი, ერთი თვის განმავლობაში აღდგეს უვადო ხელშეკრულება. ამავე მუხლის მიხედვით – ვადიანი შრომის ხელშეკრულებების გაფორმება დასაშვებია იყო მხოლოდ ახალ თანამშრომლებთან. სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ჩამოყალიბებიდან მუშაკებთან დაიღო მხოლოდ ვადიანი ხელშეკრულებები, უვადო ხელშეკრულება არავისთან არ დადებულა და შესაბამისად, კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში თანამშრომლებთან უნდა გაფორმებულიყო უვადო შრომითი კონტრაქტები. აღნიშნულის დასტურია ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის აღმასრულებელი საბჭოს, კოლექტიური ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე მხარის, პრეზიდიუმის 2003 წლის 15 აგვისტოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც, კოლექტიური ხელშეკრულების ამოქმედების დღიდან ყველა თანამშრომელი უვადო შრომის ხელშეკრულებაზე უნდა ყოფილიყო გადაყვანილი. „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმებების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით. კოლექტიური ხელშეკრულების ან შეთანხმების პირობების შესრულება აუცილებელია იმ საწარმოებისათვის, რომლებზეც იგი ვრცელდება და მხარეებისათვის, რომლებმაც დადეს კოლექტიური ხელშეკრულება; ადმინისტრაციამ შრომის ხელშეკრულება მოშალა 7 აგვისტოს ე.ი. შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. აღნიშნულ შემთხვევაში განთავისუფლება შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით უნდა მომხდარიყო. ადმინისტრაციის განთავისუფლების შესახებ ბრძანებაც არ ჩაუბარებია მოსარჩელისათვის.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის განთავისუფლებისას კომპანიას კანონი არ დაურღვევია, მოპასუხეს ფუნქციონირების დაწყების დღიდან, მათ შორის, კოლექტიური ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის გაფორმებული ჰქონდა მხოლოდ ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, შეთანხმების მე-8 მუხლი ითვალისწინებდა ერთი თვის ვადაში იმ მუშაკების უვადო ხელშეკრულებებზე გადაყვანას, რომლებიც იძულებით იქნენ გადაყვანილი ვადიან საკონტრაქტო სისტემებზე. ტარიელ ვაშაგაშვილი არ ყოფილა გადაყვანილი საკონტრაქტო სისტემაზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არასოდეს ყოფილა დანიშნული განუსაზღვრელი ვადით. მოსარჩელესთან გაფორმებული ხელშეკრულება დადებული იყო ორმხრივი ნების გამოვლენით შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ტარიელ ვაშაგაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ტარიელ ვაშაგაშვილმა სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მარტის განჩინებით ტარიელ ვაშაგაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ტ.ვაშაგაშვილთან თავიდანვე მოხდა ვადიანი კონტრაქტის გაფორმება, მხარეთა შორის არ მომხდარა განუსაზღვრელი ვადით ხელშეკრულების გაფორმება და შესაბამისად მისი გადაყვანა უვადო ხელშეკრულებიდან ვადიან კონტრაქტზე; სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გაუქმების საფუძველია კოლექტიური ხელშეკრულება. ვადიანი ხელშეკრულების დადება შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალ მუშაკებთან, ხოლო ტ.ვაშაგაშვილთან თავიდანვე გაფორმდა ვადიანი ხელშეკრულება და მისი გადაყვანა შემდეგში ვადიან ხელშეკრულებაზე არ მომხდარა.

ტარიელ ვაშაგაშვილმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საოლქო სასამართლოს განჩინებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით. არცერთი ძველი თანამშრომელი არ ყოფილა უვადოდ გადაყვანილი ვადიან კონტრაქტებზე, რადგან ორგანიზაცია თავიდანვე, დაარსების დღიდან მუშაკებთან აფორმებდა მხოლოდ ვადიან შრომით კონტრაქტებს და ასეთ კონტრაქტებზე ვერავინ იქნებოდა გადაყვანილი. კოლექტიური ხელშეკრულების მე-8 მუხლი გულისხმობს სწორედ ყველა ძველ თანამშრომელთან უვადო შრომითი კონტრაქტების გაფორმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ ჩანაწერს არანაირი აზრი არ ექნებოდა და კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ყველა ძველი თანამშრომელი უნდა გადაყვანილიყო უვადო შრომით კონტრაქტებზე, ხოლო ვადიანი კონტრაქტები გაფორმებულიყო ახლად მიღებულ თანამშრომლებთან; კოლექტიური ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის აღმასრულებელმა საბჭომ, კოლექტიური პრეზიდიუმის 2003 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით დააზუსტა მის მიერ კოლექტიური ხელშეკრულების ხელმოწერისას გამოვლენილი ნება, რომლის მიხედვითაც კოლექტიური ხელშეკრულების ამოქმედების დღიდან ყველა თანამშრომელი უვადო შრომის ხელშეკრულებაზე უნდა ყოფილიყო გადაყვანილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტის და 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის საკითხის შეფასებისას მოცემულ შემთხვევაში უნდა ემსჯელოს „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის, ასევე სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა“ და პროფკავშირებს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულების მე-8 მუხლის მოთხოვნებზე და გაერკვია, ხომ არ ამართლებდა აღნიშნული იურიდიულად მოსარჩელის მოთხოვნას. „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კოლექტიური ხელშეკრულება აწესრიგებს შრომით სოციალურ-ეკონომიკურ და პროფესიულ ურთიერთობებს დამსაქმებელსა და მუშაკებს შორის საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კოლექტიური ხელშეკრულების დებულებები ვრცელდება ყველა მუშაკზე, მიუხედავად პროფესიული კავშირის წევრობისა. ამ დებულების დაცვა სავალდებულოა, როგორც დამსაქმებლის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოსათვის, ასევე მუშაკთათვის, შეთანხმების დებულებები სავალდებულოა შეთანხმების ყველა ხელმოწერი მხარისათვის; „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ ადმინისტრაციას, ამავე საზოგადოების პროფორგანიზაციისა და საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირის აღმასრულებელ საბჭოს შორის 2003-2005 წლებისათვის დადებული კოლექტიური შეთანხმების მე-8 თავის პირველი წინადადების მიხედვით კოლექტიური ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში არ დაიშვებოდა ადმინისტრაციის (დამქირავებლის) მიერ მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა ვადიან საკონტრაქტო სისტემაზე, ხოლო იქ, სადაც იძულებით იყვნენ გადაყვანილნი, ერთი თვის განმავლობაში უნდა აღდგენილიყო უვალო ხელშეკრულებები, ამავე თავის მეორე წინადადების თანახმად, მოკლევადიანი შრომით ხელშეკრულებების გაფორმება დასაშვებია იყო მხოლოდ გამოსაცდელი ვადით ახლად მიღებულ თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კოლექტიური ხელშეკრულების მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ყველა თანამშრომელი, რომელიც კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების მომენტში დასაქმებული იყო საწარმოში უნდა გადაეყვანათ უვალო საკონტრაქტო ფორმაზე; მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება შეიძლებოდა მხოლოდ ახლად მიღებულ თანამშრომლებთან. კოლექტიური ხელშეკრულება მიზნად ისახავდა საწარმოში დასაქმებული თანამშრომლების ინტერესების დაცვას. გამომდინარე აღნიშნულიდან სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელოს, მოცემულ შემთხვევაში ვადიანი კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველზე მოსარჩელის განთავისუფლებით დარღვეული ჰქონდა თუ არა მოპასუხეს უვალო ხელშეკრულების გაფორმების კოლექტიური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აპელანტი ტ.ვაშაგაშვილი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა იმ საფუძველზე, რომ მისი სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნა არ არის ხანდაზმული, ვინაიდან განთავისუფლების ბრძანების ასლი არ ჩაბარებია. სააპელაციო სასამართლოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ამ საფუძველზე არ უმსჯელია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვება უპირობოდ არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლო იზიარებს რაიონული სასამართლოს მოსაზრებებს და საჭირო აღარ არის სააპელაციო საჩივრის ფარგლებში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივებზე მსჯელობა და დადგენილი დასკვნების გაზიარების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებზე მითითება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო მოკლებულია საშუალებას, თვით მიიღოს გადაწყვეტილება, თუ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევითაა დადგენილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე სრულყოფილად არ არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ტ. ვაშაგაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-507-826-04

17 ივნისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

სარჩელის საგანი: შრომითი ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით დადებულად ჩათვლა, განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2003 წლის 2 დეკემბერს კომპანია „სპი-კაპაგ-პეტროფაგ ინტერნიშენელ ლიმიტედსა“ და ვ. ცატუროვს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი თვით. ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ვ. ცატუროვს უნდა შეესრულებინა მძიმე ტექნიკის მძღოლ-ასესორის სამუშაო გარდაბანში. 2004 წლის მაისში ვ. ცატუროვმა სარჩელით მიმართა სასამართლოს კომპანიის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ, მიუხედავად ხელშეკრულების ძალაში შესვლისა, კომპანიის ბრალით მას არ მიეცა სამუშაოს შესრულების საშუალება. ამასთან, არც ხელშეკრულება შეწყვეტილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, დაევალოს მოპასუხე კომპანიას შრომითი ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით დადება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2003 წლის 2 დეკემბრიდან 2004 წლის 2 ივნისამდე – სულ 2257,92 ლარის ოდენობით და მორალური ზიანის ანაზღაურება – 10 000 ლარის ოდენობით.

მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება 1999 წლის 18 ნოემბრის საერთაშორისო ხელშეკრულების 18.2 მუხლის შესაბამისად, რომლითაც მათ უფლება ეძლეოდათ, შეერჩიათ და განესაზღვრათ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, რომელთა დაქირავებასაც აპირებდნენ პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებით. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, როგორც ეს ხდება მასშტაბური მშენებლობის წარმოების დროს, მოწვეულ იქნა ხალხი, ტარდებოდა ტრენინგები ცალკე კონტრაქტით, იმ მიზნით, რომ საჭიროების შემთხვევაში დაასაქმებდნენ სამუშაოთი და გადაუხდიდნენ გაწეული შრომის ანაზღაურებას გამოუმუშავებული საათების მიხედვით. მოსარჩელემ, მართალია, გაიარა ტრენინგები, მაგრამ მისი შრომა გამოყენებული არ ყოფილა, რადგან არ გაუყვანიათ სამუშაოზე. მოპასუხის მოსაზრებით, საათობრივი ანაზღაურება ნიშნავს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ შრომა, ამდენად, მოსარჩელე არ ყოფილა დაშვებული სამუშაოზე და არც ბრძანება გაფორმებულა მის მიღებაზე. შესაბამისად, განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა მოპასუხემ მიიჩნია უსაფუძვლოდ. რაც

შეეხება ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით. მოპასუხის განმარტებით, იგი სცილდება სასამართლოს უფლებას, რადგან კონტრაქტის ვადას განსაზღვრავენ მხარეები, ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ცატუროვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ცატუროვმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 მარტის განჩინებით ვ. ცატუროვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 1999 წლის 18 ნოემბრის საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2003 წლის 2 დეკემბერს მოპასუხე კომპანიასა და მოსარჩელეს შორის დაიდო ხელშეკრულება 1 თვის ვადით, მძიმე ტექნიკის მძლოლ-ასესორის თანამდებობაზე საათობრივი განაკვეთით – 2.24 ლარი საათში. ასევე გაფორმებულ იქნა მოსამზადებელ კურსებზე მონაწილეობის ხელშეკრულება. ვ. ცატუროვმა გაიარა მოსამზადებელი კურსი და კომპანიას მისცა მძლოლის მოწმობა. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ვ. ცატუროვი არ გამოუძახებიათ და ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე სამუშაო არ შეუსრულებია. დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით დადების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რადგან, შკკ-ს მე-19 მუხლის შესაბამისად, არც ფაქტობრივად ყოფილა დაშვებული სამუშაოზე და არც ადმინისტრაციის ბრძანება სამუშაოზე მიღების შესახებ არ გამოცემულა. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ ცნო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, რადგან, შკკ-ის 207-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე სამუშაოდან უკანონოდ არ დაუთხოვნიათ და არც დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაუყვანიათ. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვ. ცატუროვმა ვერ დაადასტურა მისი უფლებების ხელყოფა მოპასუხის მხრიდან.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ცატუროვმა, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებებს. არასწორად განმარტა შკკ-ის მე-19 და 207-ე მუხლები. ასევე, არასწორად დაადგინა, რომ სკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შრომითი უფლებები არ დარღვეულა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა მხარეების განმარტებები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით). ბრძანების (განკარგულების) გამოცხადების შესახებ მუშაკს ჩამოართმევენ ხელწერილს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შრომის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინაც, როცა ბრძანება ან განკარგულება არ იყო გაცემული, მაგრამ მუშაკი ფაქტობრივად დაშვებული იყო სამუშაოდ იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების უფლება აქვს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი, რომ ვ. ცატუროვსა და კომპანია „სპი-კაპაგ-პეტროფაგ-ინტერნეიშენელ ლიმიტედს“ შორის გაფორმებულ იქნა შრომითი ხელშეკრულება ერთი თვის ვადით, მაგრამ ვ. ცატუროვის სამუშაოზე მიღების შესახებ ადმინისტრაციას ბრძანება არ გამოუცია, იგი არც ფაქტობრივად ყოფილა დაშვებული სამუშაოზე. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ვ. ცატუროვს ანაზღაურება უნდა მიეღო გამოძევაზე საათების მიხედვით, მას დამქირავებლის დაკვეთით არანაირი სამუშაო არ შეუსრულებია.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სავალდებულოა სასამართლოსათვის, კასატორის მიერ არ ყოფილა წამოყენებული დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან, მან გაიარა მოსამზადებელი კურსი და მასზე გაიცა მძლოლის მოწმობა, ითვლება, რომ იგი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. მხარეებს შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება ერთი თვის ვადით, ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები,

მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არც ამოქმედებულა და არც შეწყვეტილა, ვინაიდან მხარეთა შორის, ხელშეკრულების ფორმალურად გაფორმების გარდა, ფაქტობრივი ურთიერთობა არ დაწყებულა. შესაბამისად, ვ. ცატუროვზე ვერ გავრცელდება შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი წესი ვადიანი შრომის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ითვალისწინებს სამუშაოზე მიღებაზე უარის თქმის შემთხვევებში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ხოლო, რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას, რომ მოპასუხემ შელახა მისი ღირსება, ასევე ვერ იქნება გაზიარებული, რადგან, სკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად, პირმა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირსების შემლახველი ცნობები იქნება გავრცელებული. ვ. ცატუროვის ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება მოპასუხის მხრიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, ასევე არ დასტურდება ვ. ცატუროვის სხეულის დაზიანების ფაქტი. შესაბამისად, ვ. ცატუროვის მოთხოვნას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე მართებულად ეთქვა უარი.

ამდენად, სააპელაციო პალატის განჩინების საფუძველად არ უღევს კანონის დარღვევა და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ვ. ცატუროვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 მარტის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პენსია

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-677-957-05

21 ივნისი, 2005 ქ.,თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ახალაძე

დავის საგანი: პენსიის გადაანგარიშება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

რ. კიკნაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „გრაცია“ მიმართ პენსიის გადაანგარიშების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე მოპასუხე საზოგადოებაში მუშაობდა მკერავ მუშად. 1973 წელს მიიღო საწარმოო ტრავმა, რის შედეგადაც 52%-ით დაკარგა პროფესიული შრომის უნარი. ერთი წლის შემდეგ საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიამ ცნო შრომის უნარდაკარგულად 40%-ით და დაუდგინა მე-2 ჯგუფის ინვალიდობა. 1986 წლიდან დაუდგინდა შრომის უნარის 40%-ით დაკარგვა მუდმივად და ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობა დაენიშნა 42,50 მანეთი. მხარის მითითებით, ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკა, ხოლო შემდეგ მისი სამართალმემკვიდრე სს „გრაცია“ სისტემატიურად არ უხდიდნენ კუთვნილ თანხას. საწარმოს ადმინისტრაციამ ასევე არ დააკმაყოფილა რ.კიკნაძის მოთხოვნა 1973 წლიდან 1998 წლამდე მისი კუთვნილი, თუმცა მიუღებელი, თანხის დაანგარიშების შესახებ და ცნობა გასცა მხოლოდ 1998 წლიდან 2003 წლამდე მიუღებელი

თანხების მოცულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. კიკნაძემ მოითხოვა, სასამართლოს მიერ მოპასუხე მხარისაგან 1973 წლიდან 1998 წლამდე მიუღებელ სარჩოზე ცნობის გამოთხოვა და ამ თანხის გადახდის დაკისრება მოპასუხისათვის. მხარემ ასევე მოითხოვა სს „გრადასათვის“ ერთდროულად 2750,16 ლარის გადახდის დაკისრება.

სს „გრადას“ სარჩელი ცნო მხოლოდ ნაწილობრივ და მიუთითა, რომ რ.კიკნაძეს 1986 წლის სექტემბრიდან მუდმივად დაუდგინდა შრომისუნარიის 40%-ით დაკარგვა და დაენიშნა საწარმოდან ყოველთვიურად მისაღებად ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობა – 42.50 მანეთი, რომლის 42.50 ლარით შეცვლა დაუშვებელია. მოპასუხის მტკიცებით, სს „გრადას“ რ.კიკნაძეს 1998 წლამდე ყოველთვიურად უხდიდა სარჩოს, ხოლო 1998-2003 წლებში, უხდიდა მხოლოდ იმ თვეში, როცა საწარმო ფუნქციონირებდა, აღნიშნულის შესაბამისად, გასცა კიდევაც ცნობა მოსარჩელეზე. რაც შეეხება 1973-1998 წლების პერიოდში გაუცემელი თანხების შესახებ ცნობას, მოპასუხის მითითებით, ვერ იქნა გაცემული, ვინაიდან, რომ აღნიშნული პერიოდის დოკუმენტაცია საწარმოს არ გააჩნია. სს „გრადას“ შესაგებლით აღიარა, რომ რ. კიკნაძეს არ მიუღია მისი კუთვნილი თანხა 1998 წლიდან, მაგრამ, ვინაიდან მან სარჩელი აღძრა მხოლოდ 2004 წლის 5 აპრილს, რ.კიკნაძის მოთხოვნა ხანდაზმულია. მას გაუცემელი თანხები ეკუთვნოდა მხოლოდ 2001 წლის 5 აპრილიდან. მოპასუხის მტკიცებით, ყოველთვიური სარჩო რ. კიკნაძეს უნდა განესაზღვროს სახელმწიფოში არსებული მინიმალური ხელფასიდან, 20 ლარიდან, რაც შეადგენს 8 ლარს. ასევე უნდა განისაზღვროს 2001 წლის აპრილიდან ერთჯერადად მისაღები თანხაც, იმ თანხის გამოკლებით, რაც მას უკვე მიღებული აქვს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 31 მაისს მიღებული გადაწყვეტილებით რ.კიკნაძის სარჩელი დაკმაყოფილა ნაწილობრივ და სს „გრადას“ რ. კიკნაძის სასარგებლოდ დააკისრა 1134 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სს „გრადას“ რ.კიკნაძის სასარგებლოდ დაეკისრა 2001 წლის 1 აპრილიდან 2005 წლის 1 აპრილამდე პერიოდისათვის ერთჯერადად სარჩოს სახით 876,20 ლარის, ხოლო 2005 წლის 1 აპრილიდან ყოველთვიური სარჩოს – 21,40 ლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ რ.კიკნაძის სასარჩელო მოთხოვნა, 1994 წლიდან მის სასარგებლოდ საწარმოსათვის სარჩოს დაკისრების ნაწილში, ხანდაზმულია. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლით და მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით, რომლითაც მხარეთა შორის მიმდინარე აღნიშნული დავა რეგულირდება, უკუქცევითი ძალა გათვალისწინებული არ არის, ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა სამი წელია. პალატის მითითებით, მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ რ.კიკნაძემ საწარმოო ტრავმა მიიღო ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკაში მკერავად მუშაობის დროს და მას საწარმო, შრომისუნარიის 40%-ის დაკარგვის გათვალისწინებით, ყოველთვიურად უხდიდა ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობას. მოსარჩელეს შრომის უნარი მუდმივად აქვს დაკარგული 40%-ით. ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკის სამართალმემკვიდრეა სს „გრადას“. №48 ბრძანებულების შესაბამისად, გასული პერიოდის მიუღებელი სარჩოს თანხის 1994 წლიდან გაცემა და მოთხოვნილი თანხის ოდენობის კანონიერება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. პალატის განმარტებით, მხარეთა შორის დავა ეხება რა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს, სასარჩელო მოთხოვნა 2001 წლის 25 მარტამდე პერიოდის მიმართ არ არის ხანდაზმული და, ზემოსხენებული ბრძანებულების მე-11 მუხლის თანახმად, უნდა დაკმაყოფილდეს, რ.კიკნაძეს ზიანი უნდა ანაზღაურდეს იმავე მუშაკის ბოლო სამი თვის სრულად ნამუშევარი, ფაქტობრივად მიღებული, საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი. რ.კიკნაძემ შრომის უნარი დაკარგა მუდმივად 40%-ით. მან 2001 წლის მარტიდან საწარმოდან მიიღო სარჩო 151 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა 1986 წელს მისთვის ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის სახით ყოველ თვე გასაცემი თანხის 42 მანეთისა და 50 კაპიკის შესატყვისად 42 ლარისა და 50 თეთრის მიჩნევის შესახებ. ასევე არ გაიზიარა სს „გრადას“ წარმომადგენლების მოსაზრება ყოველ თვეში გასაცემი სარჩოს სახელმწიფოში არსებულ მინიმალური ხელფასიდან, 20 ლარიდან, განსაზღვრის შესახებ. საშუალო ხელფასი განისაზღვრა 1998 წლის მარტის, აპრილისა და ივნისის ხელფასებიდან, რადგან მკერავი მუშის სრულად ნამუშევარი სხვა თვეების მონაცემები აღნიშნულზე უფრო უახლოეს პერიოდში, საწარმოს

არასრული დატვირთვის გამო, ვერ დადგინდა. პალატამ გაიზიარა სს „გრაციას“ წარმომადგენლების განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ივნისის ხელფასი – 85 ლარი მოიცავს მის წინა თვეებში არასრულად ნამუშევარი თვეების გარკვეულ ხელფასსაც და, შესაბამისად, შესაძლებელია შემცირდეს აღნიშნული აპრილში სრულად ნამუშევარ ხელფასის 62 ლარის ოდენობამდე. ეს გარემოება რ.კიკნაძეს სადავოდ არ გაუხდია. აღნიშნული წესით განსაზღვრული საშუალო ხელფასი შეადგენს 5349 ლარს, საიდანაც შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის 40%-ის გათვალისწინებით, ბრძანებულების მე-11 მუხლის თანახმად, ყოველთვიური სარჩო შეადგენს 21,40 ლარს, ხოლო 2001 წლის 1 აპრილიდან 2005 წლის აპრილამდე სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდის სარჩოს ოდენობა შეადგენს 1027.20 ლარს, რასაც გამოაკლდა აღნიშნულ პერიოდში უკვე მიღებული 151 ლარი და რ.კიკნაძის სასარგებლოდ ერთდროულად გადასახდელად სს „გრაცია“ დაეკისრა 876,20 ლარი, ხოლო 2005 წლის პირველი აპრილიდან ყოველთვიური სარჩო განისზღვრა 21,40 ლარით.

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება რ.კიკნაძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორმა მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებულ ზიანის ანაზღაურების წესების მე-12 მუხლზე და მიიჩნია, რომ მის მიერ მოთხოვნილი სარჩოს ოდენობა უნდა გადაანგარიშებულიყო არა სამ წელიწადზე, არამედ მის მიერ სარჩელში დაფიქსირებულ მთელ პერიოდზე, რადგან ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, სადავო ურთიერთობაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება და არ აქვს მნიშვნელობა, თუ როდის მიიღო პირმა დაზიანება. კასატორის მითითებით, 1986 წლის 42,5 საბჭოთა მანეთი და დღევანდელი 21,5 ლარი მსყიდველობითი უნარით ერთმანეთს არ შეესაბამება, ამიტომ მე-12 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩოს ოდენობა უნდა გამოეანგარიშებინა აშშ დოლართან მიმართებაში და გაერკვია, 1986 წელს რამდენ აშშ დოლარს შეადგენდა 42,5 მანეთი, რამდენ ლარს შეადგენს აშშ დოლარის შესაბამისი ოდენობა. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეისწავლა აღნიშნული საკითხი, ხოლო ექსპერტიზისათვის დაკარგა შეიდი თვე. კასატორის აზრით, სარჩოს გადაანგარიშებისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 სექტემბრის №443 ბრძანებულებით „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (მე-11 პუნქტი „გ“ და მე-12 პუნქტი). კასატორი ითხოვს საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მის სააპელაციო საჩივარში მოყვანილ გაანგარიშებათა მიხედვით, ყოველთვიური პენსიის 42,50 ლარის ოდენობით განსაზღვრას, 1994 წლიდან 2005 წლის აპრილამდე 5045 ლარის დაკისრებასა და 1998-2003 წლებში მიღებული თანხის გადაანგარიშებას, რადგან ამ პერიოდშიც უკანონოდ, არასწორი გადაანგარიშების საფუძველზე, სს „გრაცია“ მას უხდიდა მცირე თანხას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: რ.კიკნაძემ საწარმოო ტრავმა მიიღო ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკაში მკერავ მუშად მუშაობის დროს. აღნიშნულის გამო რ.კიკნაძეს საწარმო შრომისუნარის 40%-ის დაკარგვის გათვალისწინებით, ყოველთვიურად უხდიდა ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობას. მოსარჩელეს შრომის უნარი მუდმივად აქვს დაკარგული 40%-ით. ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკის სამართალმემკვიდრეა სს „გრაცია“. მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით საკასაციო საჩივარი დასაბუთებულ პრეტენზიას არ შეიცავს, რის გამოც იგი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილისა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა აღნიშნულ გარემოებებს, კერძოდ, სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მეთერთმეტე პუნქტის მიხედვით, სწორად გამოიანგარიშა რ.კიკნაძისათვის მისაცემი სარჩო იმავე თანრიგის მუშაკის ბოლო

სამი თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც რ.კიკნაძეს დაკარგული აქვს შრომისუნარიან ხარისხი.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სარჩოს ოდენობა უნდა გაანგარიშებულიყო 1994 წლიდან 2005 წლის აპრილამდე პერიოდზე. რ.კიკნაძემ სასამართლოს სარჩოს დაკისრების მოთხოვნით სარჩელით მიმართა 2004 წლის 25 მარტს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სავესებით სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლითაც ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილი კი უფლებამოსილს ხდის ვალდებულ პირს, ხანდაზმულობის ვადის გავლის გამო, უარი თქვას შესრულებაზე. ამდენად, სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ სარჩელის აღძვრიდან 3 წლის უკან დახვევით, 2001 წლის 25 მარტამდე, მიმართ დავა არ არის ხანდაზმული.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება სარჩოს არასწორად გაანგარიშების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების მიმართ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში, ან საქმის მასალებში. 2005 წლის 30 მარტის სასამართლო სხდომის ოქმით დადასტურებულია ის გარემოება, რომ რ.კიკნაძის წარმომადგენელმა მოითხოვა ყოველთვიური სარჩოს განსაზღვრა საშუალო ხელფასიდან 53,49 ლარიდან 40%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 21,40 ლარს. ამასთან, მიუთითა, რომ საშუალო ხელფასი განსაზღვრულიყო 1998 წლის მარტის, აპრილისა და ივნისის თვეების მიხედვით. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა მხარის წარმომადგენლის ეს განმარტება, საშუალო ხელფასის გაანგარიშება მოახდინა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მეთერთმეტე პუნქტით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მართებულად გადაწყვიტა სარჩოს ოდენობის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევის გარეშე და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. კიკნაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

№ ას-663-924-05

28 ივნისი, 2005 წ. ქთბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ახალაძე

დავის საგანი – ძირითად სარჩელში – სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, შეგებებულ სარჩელში – ნივთების დაბრუნება და თანხის ანაზღაურება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ზ. ზალიკაშვილმა სარჩელი აღძრა შპს „ჯეოსელის“ მიმართ სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების, შპს „ჯეოსელის“ გენერალური მენეჯერის 2004 წლის 15 ივლისისა და 27 ივლისის ბრძანებების გაუქმების და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე მოპასუხეზე იძულებითი განაცდურის ყოველთვიურად 1667 ლარის ოდენობით დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ზ. ზალიკაშვილი 2000 წლის 3 იანვრიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდა შპს „ჯეოსელში“. 2004 წლის მაისის ბოლოს შევბუღებაში გასვლამდე ერთი კვირით ადრე ზ. ზალიკაშვილმა განცხადებით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა კუთვნილი 34 დღის ფასიანი და თხუთმეტი დღის უხელფასო შვებულება 8 ივნისიდან 30 ივლისამდე. აღნიშნულ საკითხზე მოსარჩელე განცხადებით მიმართვამდე, ზეპირად შეუთანხმდა როგორც შპს „ჯეოსელის“ გენერალურ მენეჯერ ოსმან თურანს, ასევე თანამშრომელთა მომსახურების განყოფილების უფროს მაია მაჭავარიანს, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი. 2004 წლის 15 ივლისს მოსარჩელემ შეიტყო, რომ „ჯეოსელის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გამოეცხადა საყვადური შრომის კანონთა კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იმ მიზეზით, რომ კუთვნილი შვებულების დამთავრების შემდეგ არ ცხადდებოდა სამსახურში. 2004 წლის 27 ივლისის ბრძანებით კი სამსახურიდან გათავისუფლდა. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება მისთვის ოფიციალურად არავის ჩაუბარებია. ზ. ზალიკაშვილმა მიიჩნია, რომ მას საყვადური გამოეცხადეს და გაათავისუფლეს შრომის კანონთა კოდექსის ნორმების უხეში დარღვევით, რადგან 8 ივნისიდან 30 ივლისამდე იმყოფებოდა შვებულებაში.

შპს „ჯეოსელმა“ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა ზ. ზალიკაშვილისათვის დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით გამოყენებული სალაპარაკო დროის ღირებულების 8857,24 ლარის დაკისრება და ასევე საზოგადოების მიერ გაცემული მობილური ტელეფონის „ნოკია 8310, იუ-ბი-ეს ფლეშ დისკი 512 მგ“ და საზოგადოების საშვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით: ზ. ზალიკაშვილის უფასო სასაუბრო დრო შეადგენდა თვეში 400 ლარს. მან ბოროტად გამოიყენა მისთვის გადაცემული ნომერი, გადააჭარბა მისთვის დადგენილ უფასო საუბრის ლიმიტს და უსაფუძვლოდ ისარგებლა საზოგადოების მომსახურებით. ზ. ზალიკაშვილისათვის სრული მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების ვალდებულება დასტურდება შრომის ხელშეკრულების 8.2 მუხლით. ზ. ზალიკაშვილმა შრომითი ურთიერთობის დასრულების შედეგად დაკარგა უფლება, ჰქონოდა მისთვის საზოგადოების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების პროცესში გადაცემული საჭირო ნივთები – მობილური ტელეფონი „ნოკია 8310, იუ-ბი-ეს ფლეშ დისკი 512 მგ“, საზოგადოების საში და ვალდებული იყო, დაებრუნებინა ისინი. შპს „ჯეოსელმა“ მოითხოვა აღნიშნულ ნივთებზე ზ. ზალიკაშვილის მფლობელობის შეწყვეტა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ზალიკაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, იგი აღდგენილ იქნა შპს „ჯეოსელში“ მარკეტინგის განყოფილების სუპერვაიზერის თანამდებობაზე და შპს „ჯეოსელს“ დაეკისრა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 1667 ლარის ოდენობით. ასევე დაკმაყოფილდა შპს „ჯეოსელის“ სარჩელი, ზ. ზალიკაშვილს დაეკისრა დადგენილი ლიმიტის ზევით გამოყენებული სალაპარაკო დროის ღირებულების – 8857,24 ლარის ანაზღაურება და დაევალა საზოგადოების მიერ გადაცემული ნივთების დაბრუნება. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით ზ. ზალიკაშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „ჯეოსელს“ დაეკისრა მის სასარგებლოდ 266 ლარის გადახდა. ასევე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „ჯეოსელის“ სააპელაციო საჩივარი და ზ. ზალიკაშვილს დაეკისრა მობილური ტელეფონის „ნოკია 8310, იუ-ბი-ეს ფლეშ დისკი 512 მგ“ და საზოგადოების საშვის დაბრუნება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შრომის კანონთა კოდექსის 74-ე მუხლის, შპს „ჯეოსელის“ შიდა განაწესის 6.6 პუნქტისა და მ. მაჭავარიანის განმარტების თანახმად მოსარჩელე ზ. ზალიკაშვილის შვებულებაში გასვლა დადასტურებული უნდა ყოფილიყო მოსარჩელის

განცხადებაზე გენერალური მენეჯერის ხელმოწერით ან ბრძანებით, რაც არ არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში მოსარჩელე არ იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში. სასამართლომ არ გაიზიარა მ.მაჭავარიანის ჩვენება იმის თაობაზე, რომ ზ.ზალიკაშვილი უხელფასო შვებულებაში გასვლაზე შეუთანხმდა ძველ და ახალ ხელმძღვანელებს. მითითებული მოსაზრება სასამართლომ დააყრდნო მ.მაჭავარიანის იმავე ჩვენებას, რომლითაც დასტურდება, რომ ზ.ზალიკაშვილის განცხადებაზე ხელმძღვანელებს რეზოლუცია არ დაუდიათ. იმის გათვალისწინებით, რომ ზ.ზალიკაშვილის მიმართ საწარმოს ადმინისტრაციის მიერ 2003 წლის 9 ოქტომბერსა და 2004 წლის 15 ივლისს გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, საწარმოს ადმინისტრაცია უფლებამოსილი იყო, შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოსარჩელე გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან და ვადაძვე შეეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ზალიკაშვილისათვის არ ყოფილა დადგენილი სალაპარაკო დროის ლიმიტი. შპს „ჯეოსელის“ წარმომადგენელმა ვერ წარუდგინა სასამართლოს მტკიცებულება იმისა, რომ თვეში 400 ლარის ფარგლებში სალაპარაკო დროის ლიმიტის დაწესების თაობაზე ცნობილი იყო ზ.ზალიკაშვილისათვის, ასევე, სალაპარაკო დროის ლიმიტის რამდენჯერმე გადაჭარბებისას გატარებული იქნა რაიმე ღონისძიება 400 ლარის ზევით განარჯული თანხის ამოღების მიზნით. ლიმიტთან დაკავშირებით სასამართლომ არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნია ლ. დგებუაძის წერილი. სასამართლომ გაიზიარა ზ.ზალიკაშვილის განმარტება სალაპარაკო დროის ლიმიტის არარსებობის თაობაზე.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა შემდეგი საფუძვლებით:

ზ.ზალიკაშვილის მოსაზრებით, სასამართლო გადაწყვეტილება ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია. საოლქო სასამართლოს არ გამოუჩვენებია ის გარემოება, თუ რატომ არ არსებობს უხელფასო შვებულებაში გასვლის ან აღნიშნულ შვებულებაში გასვლაზე უარის თქმის ბრძანებები. საოლქო სასამართლოს არ უმსჯელია იმ გარემოებებზე, თუ საიდან უნდა წარედგინა შპს „ჯეოსელს“, კანონისა და შიდა განაწესის დარღვევის გამო, არარსებული ბრძანებები. სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა იმ გარემოებას, რომ შვებულების მოთხოვნის განცხადებას არ ადევს ხელმძღვანელის რეზოლუცია და ამიტომ ჩათვალა მუშაკის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილად. საოლქო სასამართლოს ასევე არ უმსჯელია იმ ფაქტზე, რომ შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია საწარმოს ვალდებულება – დისციპლინური სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს ჩამოართვას წერილობითი ახსნა-განმარტება, რაც შპს „ჯეოსელს“ არ შეუძრულებია. სასამართლომ არასწორად შეაფასა მ.მაჭავარიანის ჩვენება, რომლითაც დასტურდება, რომ ზ.ზალიკაშვილის ანაზღაურებად შვებულებას შეადგენდა 34 დღე და უხელფასო შვებულებაში გასვლის თაობაზე შეთანხმება არსებობდა ძველ და ახალ ხელმძღვანელობასთანაც.

შპს „ჯეოსელის“ საკასაციო საჩივარს საფუძვლად წარმოადგენს შემდეგი გარემოებები: საოლქო სასამართლოს მიერ დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა; ლიმიტის არსებობა დადასტურებულ იქნა სასაუბრო დროის აღრიცხვის განყოფილების ხელმძღვანელის – ლ. დგებუაძის წერილით. მცდარია სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზ.ზალიკაშვილმა არ იცოდა ლიმიტის შესახებ და მოპასუხეს არანაირი ღონისძიება არ განუხორციელებია თანხის ამოსაღებად. ამ უკანასკნელ გარემოებას დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ამასთან, აღნიშნულზე საწარმომ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თანხის; კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი; ზ.ზალიკაშვილს სრული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შრომის ხელშეკრულების 8.2. მუხლით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრებს, ვინაიდან საოლქო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ზ. ზალიკაშვილის უხელფასო შვებულებაში გასვლის შესახებ ბრძანება ან განცხადება გენერალური დირექტორის ხელმოწერით არ არსებობდა. ზ. ზალიკაშვილისათვის ცნობილი არ იყო თვეში 400 ლარის ოდენობით სალაპარაკო დროის ლიმიტის დაწესების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები ამგვარ პრეტენზიას არ შეიცავს, რის გამოც საკასაციო პალატა შემოსწავლულ ფაქტობრივ გარემოებებს დადგენილად მიიჩნევს და თვლის, რომ საოლქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, კერძოდ:

საოლქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას მართებულად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამის ნაწილით დაწესებულ კანონით განსაზღვრული გარკვეული სახის მტკიცებულებების არარსებობაზე. შრომის კანონთა კოდექსის 74-ე მუხლით, მუშა-მოსამსახურეებს უხელფასო შვებულება მიეცემათ ორგანიზაციის ან საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელის ნებართვით, რაც ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით). შპს „ჯეოსელის“ შიდა განაწესის 6.6 პუნქტის მიხედვით, უხელფასო შვებულების მიცემისას საჭიროა გენერალური მენეჯერის დასტური. აქედან გამომდინარე, პირის უხელფასო შვებულებაში ყოფნის ფაქტის დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ მითითებული კანონით განსაზღვრული მტკიცებულებით. დასტური იმისა, რომ ზ. ზალიკაშვილის განცხადება უხელფასო შვებულებაში გასვლის თაობაზე დაკმაყოფილდა გენერალური მენეჯერის თანხმობით ან ბრძანებით, არ არსებობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმე მ. მაჭავარიანის ჩვენება, რომლითაც დასტურდება მოსარჩელის უხელფასო შვებულებაში ყოფნის ფაქტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი ფაქტის დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წერილობითი მტკიცებულებით და მისი სხვა სახის მტკიცებულებით დადასტურება არ დაიშვება. ამასთან, მოწმე მ. მაჭავარიანი ჩვენებაში უთითებს, რომ ზ. ზალიკაშვილის განცხადებაზე რეზოლუცია არ ყოფილა დადებული, ხოლო მისი განმარტება უხელფასო შვებულებაზე ხელმძღვანელების ზეპირი თანხმობის თაობაზე საკმარის მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული ზემოთ მითითებული გარემოებების გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს საოლქო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო პერიოდში მოსარჩელე ზ. ზალიკაშვილი არ იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში, ამიტომ მისი გამოუცხადებლობა სამსახურში 2 ივლისიდან 2004 წლის 1 აგვისტომდე წარმოადგენს სამუშაოს გაცდენას არასაპატიო მიზეზით, რაც შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით უფლებამოსილს ხდის საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაციას ვადამდე მოითხოვოს მუშაკთან დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა.

უსაფუძვლოა კასატორ ზ. ზალიკაშვილის მითითება, რომ საოლქო სასამართლოს უნდა ემსჯელა შპს „ჯეოსელის“ მხრიდან შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევაზე. აღნიშნული ნორმა ადგენს საწარმოს ვალდებულებას, დისციპლინური სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს ჩამოართვას წერილობითი ახსნა-განმარტება. ამ საფუძვლით კასატორს სარჩელის დაკმაყოფილება არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია. საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს აღნიშნულ გარემოებაზე, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით,

საკასაციო სასამართლო იმჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების მიმართ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში.

ასევე დაუსაბუთებელია შპს „ჯეოსელის“ საკასაციო საჩივარი დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით გამოყენებული სალაპარაკო დროის ღირებულების დაკისრების საფუძვლიანობის თაობაზე. შპს „ჯეოსელის“ შიდა განაწესის 5.3.5 მუხლით ყოველი განყოფილების ხელმძღვანელი მხედველობაში იღებს რა მუშაკის სამუშაოს თავისებურებებს, აწესებს ლიმიტებს განყოფილების თანამშრომლების შ ნომრებისათვის. შესაბამისი წერილი თანამშრომლების ლიმიტებზე უნდა გადაეცეს თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას მომავალი საქმიანობისათვის. საოლქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ზ.ზალიკაშვილის მიერ ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი მტკიცებულება, ზ.ზალიკაშვილისათვის სალაპარაკო დროის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ, არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა, რომ მხოლოდ საწარმოს სასაუბრო დროის აღრიცხვის განყოფილების ხელმძღვანელის ლეკან დგებუადის წერილი ამ გარემოების დასადასტურებლად საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ შინაგანაწესი არ არის რა კანონი, შინაგანაწესით განსაზღვრული გარემოება შესაძლებელია სხვა მტკიცებულებითაც დამტკიცდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში ლ.დგებუადის წერილი საკმარის მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან აღნიშნულით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ამ წერილში მითითებული გარემოებების თაობაზე ცნობილი იყო ზ.ზალიკაშვილისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევის გარეშე და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. ზალიკაშვილისა და შპს „ჯეოსელის“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს ძალაში.

კასატორ შპს „ჯეოსელს“ სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს, ხოლო ზ. ზალიკაშვილი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-153-492-05

1 ივლისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ა.ჭალაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძველად მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1989 წლის 18 ივნისს, ზესტაფონის სადგურზე მატარებელში ასვლისას, ვაგონის გამცილებელმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც ჩავარდა მატარებლის ქვეშ და დაკარგა ორივე ქვედა კიდური. 1989 წლის 6 ოქტომბერს დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა გარეშე მომვლელის საჭიროებით. 2003 წლის აპრილში მოპასუხე ორგანიზაციას მიმართა დახმარებისათვის, რაზედაც უარი მიიღო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა 1989 წლიდან ყოველთვიურად სარჩოს – 95 ლარის გადახდა, გარეშე მომვლელისათვის – 114,8 ლარი, სამკურნალო მასაჟისათვის – 12,50 ლარი, სპეციალური სამედიცინო მომვლელისათვის – 40 ლარი, შესახვევი მასალისათვის – 22,50 ლარი, მედიკამენტებისათვის – 40,80 ლარი, დამატებითი კვებისათვის – 150 ლარი, ყოველწლიური ფიზიოთერაპიული მკურნალობისათვის – 872 ლარი, ორ წელიწადში ერთხელ ცვლით, ქვედა კიდურის თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული ახალი პროთეზისათვის საჭირო თანხა 1400 აშშ დოლარი, ყოველწლიურად სანატორიუმში მკურნალობისათვის – 1080 აშშ დოლარი, ოპერაციისათვის საჭირო თანხა – 2795,54 ლარი, ადვოკატის მომსახურების თანხა – 1500 ლარი და ამ თანხების „თიბისი ბანკში“ მის ანგარიშზე ჩარიცხვა.

შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ არ იყო სათანადო მოპასუხე, რადგან 1992 წლის ივნისში ერევნის განყოფილება გამოეყო ამიერკავკასიის რკინიგზას, ა. ჭალაშვილს კი ზიანი მიაყენა ერევნის განყოფილების მე-6 საგამცილებლო რეზერვის მატარებლის მოსკოვი-ერევნის გამცილებელმა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა. ჭალაშვილის სარჩელი და მოპასუხე ორგანიზაციას გადასახდელად დაეკისრა სარჩელში მითითებული თანხები 2003 წლის 4 ივლისიდან, ანუ სასამართლოსათვის მიმართვის დღიდან.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოში შპს „საქართველოს რკინიგზამ“ და მოითხოვა რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ა. ჭალაშვილისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რადგან შპს „საქართველოს რკინიგზა“ არ იყო სათანადო მოპასუხე და ასევე სარჩელი ხანდაზმული იყო ანუ მოპასუხეს დაკისრებული თანხის ოდენობა სადავოდ არ გაუხდია.

თავის მხრივ, ა. ჭალაშვილმა შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა 2004 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება 2003 წლის 4 ივლისიდან მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურებლად თანხის დაკისრების ნაწილში და მოითხოვა სარჩელში მითითებული თანხების 2000 წლიდან დაკისრება.

სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ა. ჭალაშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ა. ჭალაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

1. მოპასუხე შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაეკისრა ა. ჭალაშვილის სასარგებლოდ 2000 წლის მარტიდან დღემდე და შემდგომში მდგომარეობის შეცვლამდე:

ა) ყოველთვიური სარჩოს გადახდა 95 ლარის ოდენობით;

ბ) ყოველთვიურად გარეშე მომვლელისათვის საჭირო თანხის გადახდა 114,8 ლარის ოდენობით;

გ) ორ წელიწადში ერთხელ ცვლით ორივე ქვედა კიდურის თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული ახალი პროთეზისათვის საჭირო თანხის გადახდა 1400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

2. მასვე დაეკისრა ა. ჭალაშვილის სასარგებლოდ 2002 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე და შემდგომში მდგომარეობის შეცვლამდე;

ა) ყოველთვიურად სპეციალური სამედიცინო მომვლელისათვის საჭირო თანხის გადახდა 40 ლარის ოდენობით;

ბ) ყოველთვიურად სამკურნალო მასაჟისათვის საჭირო თანხის გადახდა 12,5 ლარის ოდენობით;

გ) ყოველთვიურად შესახვევი მასაჟისათვის საჭირო თანხის გადახდა 150 ლარის ოდენობით;

დ) ყოველთვიურად მედიკამენტებისათვის საჭირო თანხის გადახდა 40,8 ლარის ოდენობით;

ე) ყოველთვიურად დამატებითი კვებისათვის საჭირო თანხის გადახდა 150 ლარის ოდენობით;

ვ) ყოველწლიურად სანატორიუმში მკურნალობისათვის საჭირო თანხის გადახდა 1080 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;

ზ) ყოველწლიურად ფიზიოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო თანხის გადახდა 872 ლარის ოდენობით;

თ) ოპერაციისათვის საჭირო თანხის გადახდა 2795,54 ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ წარმოადგენს ამიერკავკასიის რკინიგზის უფლებამონაცვლეს და იგი მოვალეა, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. სააპელაციო პალატამ გამოიყენა სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მიიჩნია, რომ ბოლო სამი წლის პერიოდის სამკურნალო ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. კასატორის მოსაზრებით, ა. ჭალაშვილის მოთხოვნა ხანდაზმულია. მოპასუხეს არ აუღია ვალდებულება სარჩოს გადახდაზე და, შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რის გამოც მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, აღნიშნული კი სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წ. რედაქცია) 458-ე მუხლის თანახმად, ორგანიზაცია მოვალეა – აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაკის ბრალით, როცა ეს მუშაკი თავის შრომით (სამსახურებრივ) მოვალეობას ასრულებდა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ა. ჭალაშვილს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანი მიაყენა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკმა, რომლის მიმართაც 1984 წლის 17 ნოემბერს გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ასევე დადგენილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის ქონება განაწილდა საქართველოსა და სომხეთის რკინიგზებს შორის. 1993 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტი, ხოლო 1998 წლის 9 დეკემბრის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით კი საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ ქონების ბაზაზე დაფუძნდა შპს „საქართველოს რკინიგზა“, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის უფლებამონაცვლეა.

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

მოცემულ საქმეზე მოპასუხე სარჩელს არ ცნობდა იმ საფუძველით, რომ ა. ჭალაშვილის მოთხოვნა ხანდაზმულია. ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმეზე შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც, შეუძლებელია ხანდაზმულობაზე მსჯელობა. ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, მოცემული საქმე ხელახლა

განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს მოთხოვნის წარმოშობის მომენტი, ასევე დასადგენია, როდის შეიტყო მოსარჩელემ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ და მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საწარმოო ტრავმა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-662-928-05

6 ივლისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე მომხსენებელი),
ლ. გოჩელაშვილი,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ლ. სულთანისვილიმა 2002 წლის ნოემბერში სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა, შპს „ბურჯისათვის“ დაეკისროს მის სასარგებლოდ 8.368 ლარისა და ყოველთვიურად 2001 წლის 1 ნოემბრამდე (მდგომარეობის შეცვლამდე) 63 ლარის გადახდის დაკისრება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ იგი მუშაობდა რუსთავის პურკომბინატში მცხოვრად. 1983 წლის მაისში, სამუშაოს შესრულების დროს, მიიღო ტრავმა, რის გამოც 11 მაისიდან 18 ივლისამდე სტაციონარში მკურნალობდა. სარჩელში აღნიშნულია, რომ საწარმომ დროულად არ შეადგინა აქტი (ფორმა ნ-1) საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ და იგი მოგვიანებით, 1990 წლის ოქტომბერში, არასწორად იქნა შედგენილი. 1998 წლის 16 აპრილს გაიცა შრომის დაცვის მთავარი ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა, რომლის საფუძველზეც დაუდგინდა ინვალიდობის ჯგუფი და შრომის უნარის დაკარგვამ შეადგინა 75%, მოგვიანებით, სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის კომისიის მიერ 1990 წლის 20 ივლისიდან დადგინდა შრომის უნარის 70%-ით დაკარგვა მუდმივად.

ამდენად, მოსარჩელე თავის მოთხოვნის საფუძველად უთითებს ქ. რუსთავის პურკომბინატში მუშაობისას (ამჟამად – შპს „ბურჯი“) მიღებული ტრავმის შედეგად შრომის უნარის 70%-ით დაკარგვის ფაქტს.

შპს „ბურჯმა“ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. სულთანისვილის სარჩელი, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 1 ივლისის განჩინებით გაუქმდა ამ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სასამართლოს აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. სულთანშივილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. სულთანშივილის წარმომადგენელმა ელგუჯა სულთანშივილმა.

აპელანტმა მოითხოვა ამ საქმეზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ლ. სულთანშივილის სააპელაციო საჩივარი და ძალაში დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ ლ. სულთანშივილი მუშაობდა ქ. რუსთავის პურკომბინატში მცხოვრად.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქმეში წარმოდგენილი საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის შინაარსიდან ირკვევა, რომ 1983 წლის მაისში ლ. სულთანშივილმა, დილის ცვლაში მუშაობის პეროდში, ცოლდამყოფ მანქანაზე კიბის დაცურების შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც 1983 წლის 18 ივლისამდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. ფორმა ნ-1-ში მითითებულია, რომ უბედური შემთხვევა ლ. სულთანშივილის გაუფრთხილებლობით მოხდა.

სააპელაციო სასამართლო ასევე უთითებს, რომ ფორმა ნ-1 კანონით დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება დამქირავებლის – პურკომბინატის (ამჟერად შპს „ბურჯი“) ბრალი 1983 წლის მაისში ნ. სულთანშივილის მიერ სამუშაოს შესრულებისას მიღებული ტრავმაში და როგორც ფორმა ნ-1-ში არის აღნიშნული უბედური შემთხვევა თვით ლ. სულთანშივილის გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული და ამდენად, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

აღნიშნულ საქმეზე ერთ-ერთი მოსამართლის აზრით, ლ. სულთანშივილის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

კერძოდ, მოსამართლემ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, არასრულია და ამდენად, შეუძლებელია მისი საფუძვლიანობის შემოწმება. მოსამართლემ აღნიშნა, რომ იმ დროისათვის მოქმედი უბედური შემთხვევის გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ წესების მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აქტი უნდა შედგენილიყო შემთხვევიდან 24 საათში, რაც არ განხორციელებულა ადმინისტრაციის მხრიდან, რადგან, ამავე წესების 28-ე პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ხდებოდა იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა განიცადა ზიანი. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციამ თავი აარიდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი დოკუმენტის შედგენას. მიიჩნია, რომ 1990 წელს შედგენილი აქტი ვერ ასახავს 7 წლის წინ მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტს. მოსამართლემ ასევე მიიჩნია, რომ 1999 წლის 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესების პირველი მუხლი ერთმანეთისაგან გამიჯნავს საწარმოო ტრავმას, პროფესიულ დაავადებასა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მიყენებულ ზიანს. მე-2 მუხლის თანახმად, დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, აგრეთვე, საწარმოო ტრავმაზე.

აქედან გამომდინარე, მოსამართლემ მიიჩნია, რომ დამქირავებლის ბრალეულობის არსებობა საჭიროა სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისას და არა საწარმოო ტრავმის ან პროფესიული დაავადებისას.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. სულთანშივილის წარმომადგენელმა ელგუჯა სულთანშივილმა და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო პალატამ არ შეაფასა და უყურადღებოდ დატოვა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ მოპასუხე ორგანიზაციის ბრალზე აღნიშნულ ტრავმასთან დაკავშირებით. კასატორი უთითებს, რომ ნ-1 აქტის მე-15 გრაფაში უბედური შემთხვევის მიზეზში მითითებულია არა ლ. სულთანშივილის გაუფრთხილებლობა, არამედ „მისი გაუფრთხილებლობა“. ამ აქტით დასტურდება, რომ ლ. სულთანშივილს უბედური შემთხვევის გამო განმეორებითი ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა მხოლოდ 1976 წლის 2 სექტემბერს და შემდეგ საერთოდ არ

ჩაუტარდა, რაც შრომის დაცვის უხეში დარღვევაა. კასატორი ასევე აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტის მე-16 გრაფაში მითითებულია, რომ ყველა მცხოვრებს ჩაუტარდა განმეორებითი ინსტრუქტაჟი, არ არის მითითებული აქტის სავალდებულო რეკვიზიტები. კასატორი მიიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლი, რომლის თანახმად, საწარმოო ვალდებული იყო, შეექმნა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები, რაც არ უკეთებია.

კასატორი აღნიშნავს, 1983 წლის 11 მაისს მუშაობის დროს შეამჩნია, რომ ცომდამყოფი მანქანიდან წამოვიდა ნაკლები ცომი და ამ მიზეზის გასაგებად ავიდა ხვიმრაზე მიდგმულ კიბეზე მიზეზის შესამოწმებლად, საიდანაც გადმოვარდა და დაარტყა თავი.

საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ უბედური შემთხვევის შესახებ აქტი უნდა შედგენილიყო შემთხვევიდან 24 საათში, რაც ადმინისტრაციას არ განუხორციელებია. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 28 ივლისის №502 დადგენილების თანახმად, ვალდებულია, აუნაზღაუროს დაზარალებულს შრომის დასახიჩრების გამოწვეული ზარალი. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ამის საფუძველზე კასატორს დაუდგინდა ინვალიდობა და განესაზღვრა პროცენტი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკამყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებული დარღვევას არა აქვს ადგილი; საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ლ. სულთანისძვილი მუშაობდა ქ. რუსთავის პურკომბინატში მცხოვრებლად.

საქმეში წარმოდგენილი საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის შინაარსიდან ირკვევა, რომ 1983 წლის მაისში ლ. სულთანისძვილმა, დილის ცვლაში მუშაობის პეროდში, ცომდამყოფი მანქანაზე კიბის დაცურების შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც 1983 წლის 18 ივლისამდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. ფორმა ნ-1-ში მითითებულია, რომ უბედური შემთხვევა გამოიწვია ლ. სულთანისძვილის გაუფრთხილებლობამ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ფორმა ნ-1 კანონით დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება დამპირავების – პურკომბინატის (ამჟერად შპს „ბურჯი“) ბრალი 1983 წლის მაისში ნ. სულთანისძვილის მიერ სამუშაოს შესრულებისას მიღებული ტრავმაში და როგორც ფორმა ნ-1-ში არის აღნიშნული უბედური შემთხვევა თვით ლ. სულთანისძვილის გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული და ამდენად, მისი მოთხოვნის დაკამყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ უბედური შემთხვევის აქტის შედგენა უნდა ადასტურებდეს უბედური შემთხვევის ფაქტს, უბედური შემთხვევის კავშირს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზებთან.

1990 წლის 30 დეკემბერს შედგენილ აქტში, ფორმა ნ-1-ში აღწერილია 1983 წლის მაისში მომხდარი უბედური შემთხვევა, რაც დაკავშირებული იყო კასატორის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან. ამავე აქტის მე-15 პუნქტში მითითებულია, რომ უბედური შემთხვევის მიზეზია მისი გაუფრთხილებლობა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული უბედური შემთხვევა მოხდა კასატორის გაუფრთხილებლობით, ხოლო ადმინისტრაციას ამ შემთხვევის დადგენაში ბრალი არ მიუძღვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ უბედური შემთხვევა დადგა შპს „ბურჯის“ ბრალით.

კასატორი აღნიშნავს, რომ მას განმეორებითი ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა მხოლოდ 1976 წლის 2 სექტემბერს და შემდეგ არ ჩატარებია. ამის დასადასტურებლად იგი იშველიებს უბედური შემთხვევის შესახებ აქტის მე-12 პუნქტს. ამდენად, კასატორი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ მას ჩაუტარდა განმეორებითი ინსტრუქტაჟი 1976 წლის 2 სექტემბერს.

ამავე აქტის მე-16 პუნქტში მითითებულია, რომ ყველა მცხოვრებს ჩაუტარდა განმეორებითი ინსტრუქტაჟი. ამრიგად, უბედური შემთხვევის შესახებ

1990 წლის 30 დეკემბერს შედგენილი ფორმა ნ-1 აქტით დასტურდება, რომ კასატორს უტარდებოდა ინსტრუქტაჟი.

კასატორის აზრით, აღნიშნული აქტის მე-16 პუნქტში მითითებული აღნიშვნა განმეორებითი ინსტრუქტაჟის შესახებ არ შეიცავს სათანადო რეკვიზიტებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოება არ გამორიცხავს განმეორებითი ინსტრუქტაჟის არსებობის ფაქტს. უბედური შემთხვევის შესახებ შედგენილი აქტი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია, რომელიც არ გასაჩივრებულა კასატორის მიერ. ამდენად, ის გარემოება, რომ აღნიშნული აქტი შედგენილ იქნა უბედური შემთხვევიდან რამდენიმე წლის შემდეგ, არ გამორიცხავს მისი იურიდიული ძალას. კანონმდებლობით არ არის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა უბედური შემთხვევის შესახებ აქტის შედგენისათვის. ამავდროულად არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწარმოს მხრიდან დარღვეული იქნა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლი, რომლის თანახმად საწარმო ვალდებული იყო, შეექმნა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები. უბედური შემთხვევის შესახებ აქტით, რაც არ გასაჩივრებული კასატორის მიერ, დადგენილია, რომ უბედური შემთხვევა მოხდა კასატორის გაუფრთხილებლობით. აღნიშნულ აქტში არ არის მითითება იმის შესახებ, რომ უბედური შემთხვევა გამოწვეული იყო საწარმოს მიერ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების დარღვევის გამო.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაცია უარს ამბობს უბედური შემთხვევის შესახებ აქტის შედგენაზე ან დაზარალებული არ ეთანხმება აქტში უბედური შემთხვევის გარემოებათა აღწერას, დაზარალებულს შეუძლია, მიმართოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტს, რომლის დადგენილება აქტის შედგენის ან შინაარსის შესახებ სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის. ამრიგად, კასატორის მიერ ვერ დასტურდება საწარმოს მიერ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების დარღვევის ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს იმ დამქირავებელმა, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ უბედური შემთხვევის შესახებ 1990 წლის 30 დეკემბერს შედგენილი ფორმა ნ-1-ი აქტის თანახმად, უბედური შემთხვევა მოხდა კასატორის გაუფრთხილებლობით. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია და ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. სულთანისვილის წარმომადგენელ ელგუჯა სულთანისვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 მარტის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატა

შემაღვენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2004 წლის 20 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ფალავანდიშვილმა მოპასუხე სს „აზოტის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: 1997 წლის 9 ივნისიდან 2004 წლის აგვისტომდე პერიოდის მიუღებელი ხელფასის – 26000 ლარის ანაზღაურება; 2004 წლის აგვისტოდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით სს „აზოტის“ გენერალური დირექტორის 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანების აღსრულებამდე. მოსარჩელის მოთხოვნები შემდეგ გარემოებებს დაემყარა: 1996 წლის 5 აპრილიდან მუშაობდა სს „აზოტში“ (ყოფილ სს „ქიმკომბინატში“) მეორეული ლითონების, მასალებისა და ტექნოლოგიური ნარჩენების გადამამუშავებელ საამქროში ბუღალტრად. საამქრო წარმოადგენდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სტრუქტურულ ერთეულს და მასზე არ ვრცელდებოდა კომბინატში დადგენილი საშუალო ხელფასის ზღვარი. სს „ქიმკომბინატის“ 1997 წლის 9 ივნისის №388 ბრძანებით გაუქმდა აღნიშნული საამქრო და გამოთავისუფლებული მუშების შრომითი მოწყობა დადგინდა გაერთიანების სხვა საამქროებში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე. მოსარჩელე კვლავ ასრულებდა ბუღალტრის მოვალეობას. სს „აზოტის“ 1999 წლის 9 ივნისის №217 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რის შესახებაც შეიტყო 2002 წელს. 2002 წლის 13 დეკემბერს შრომის დავის კომისიამ განიხილა თ. ფალავანდიშვილის განცხადება და როგორც არაკანონიერად გათავისუფლებული, ადადგინა სამუშაოზე, ასევე, დაადგინა მისთვის ერთი წლის ხელფასის ანაზღაურება. შრომის დავის კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება არ შესრულებულა. 2004 წლის ივლისში მოსარჩელემ მიმართა სს „აზოტის“ დირექტორს 2002 წლის 13 დეკემბრის შრომის დავის კომისიის დადგენილების აღსრულების მოთხოვნით. სს „აზოტის“ გენერალური დირექტორის 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანებით მოსარჩელე აღდგენილ იქნა სამუშაოზე; ამავე ბრძანებით დადგინდა, რომ შრომის დავის კომისიის დადგენილების გამოტანიდან – 2002 წლის 13 დეკემბრიდან სამუშაოზე აღდგენამდე მოსარჩელეს ანაზღაურებოდა ხელფასი მისთვის საშტატო განრიგით დადგენილი თანამდებობრივი განაკვეთის მიხედვით, რომლითაც განსაზღვრული იყო ყოველთვიური სარგო – 55 ლარი. მოსარჩელე არ დაეთანხმა ბრძანებას იძულებითი განაცდურის ყოველთვიური ხელფასის 55 ლარის ოდენობით ანაზღაურების ნაწილში. იგი მიუთითებდა, რომ მისი საშუალო ხელფასი 1996-1997 წლებში შეადგენდა 300 ლარს, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისას, ამასთან, ანაზღაურება უნდა მომხდარიყო არა 2002 წლის 13 დეკემბრიდან, არამედ – 1997 წლის 9 ივნისიდან, საწარმოს ლიკვიდაციიდან, რაც 2004 წლის აგვისტომდე შეადგენდა 26100 ლარს. მოსარჩელე, ასევე, ყოველთვიურად 300 ლარის ანაზღაურებას მოითხოვდა სამუშაოზე აღდგენის შესახებ ბრძანების აღსრულებამდე.

მოპასუხემ – სს „აზოტმა“ სარჩელი არ ცნო და, თავის მხრივ, 2004 წლის 30 სექტემბერს შეგებებული სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე თ. ფალავანდიშვილის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოსარჩელის მიერ საამქროში მუშაობის პერიოდში მიღებული ხელფასიდან თვითნებურად ზედმეტად დარიცხული თანხის – 2722,7 ლარის უკან დაბრუნება. მოპასუხე მიუთითებდა, რომ მეორეული ლითონების, მასალებისა და ტექნოლოგიური ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს უფროსსა და სს „აზოტის“ გენერალურ დირექტორს შორის 1996 წლის 1 მაისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, საამქროს ინჟინერ-ტექნიკურ და მუშა პერსონალზე დასარიცხი ხელფასის ფონდი განისაზღვრებოდა საამქროს შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლის 40%-ით. 2004 წლის 3 სექტემბერს აღნიშნული საამქროს ყოფილი უფროსის მიერ სს „აზოტის“ მთავარი ბუღალტრის მოადგილისათვის მიღება-ჩაბარების აქტით წარდგენილი დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ საამქროში ბუღალტერი ხელფასების დარიცხვას

ახდენდა თვითნებურად, ფინანსური დისციპლინის, საამქროს დებულებისა და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოთხოვნათა დარღვევით. ხელფასის დარიცხვის უწყისებს არ ახლდა თვის შესრულებული სამუშაოდან გასანაწილებელი თანხების კოეფიციენტებით განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა როგორც ჯამური კოეფიციენტი, ისე – ერთეული კოეფიციენტის ღირებულება, რომელთა მეშვეობით უნდა გამოეყვანათ თითოეული სამუშაოს შემსრულებელზე დასარიცხი თანხა. ასევე, წარმოდგენილი სატაბელო ფურცლები არ იყო დადასტურებული პასუხისმგებელი პირის – საამქროს უფროსის ხელმოწერით, არ იყო შეთანხმებული სს „აზოტის“ შრომის ორგანიზაციისა და ხელფასების გამყოფილებასთან. გარდა ამისა, თ. ფალავანდიშვილის თვითნებური სარგო, სამუშაოზე მიღების ბრძანების თანახმად, შეადგენდა 55 ლარს და მას უფლება არ ჰქონდა, ესარგებლა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით დადგენილი, შესრულებული სამუშაოს შემოსავლის 40%-ის მიღების უფლებით. აღნიშნული უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ საამქროს ინჟინერ-ტექნიკურ და მუშა პერსონალზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებაში. არასწორი დარიცხვის შედეგად თ. ფალავანდიშვილს ყოველთვიურად ასაღები 55 ლარის ნაცვლად, საიდანაც ხელზე ასაღები თანხა 46 ლარს შეადგენდა, 1996 წლის აპრილში აღებული ჰქონდა 244,80 ლარი, მაისში – 308 ლარი, ივნისში – 338,80 ლარი, ივლისში – 292,60 ლარი, აგვისტოში – 331 ლარი, სექტემბერში – 338,80 ლარი, ოქტომბერში – 281,05 ლარი, ნოემბერში – 200,20 ლარი, დეკემბერში – 160,16 ლარი. 1997 წლის იანვარში აღებული ჰქონდა 175,33 ლარი, თებერვალში – 164 ლარი, მარტში – 164 ლარი, აპრილში – 160 ლარი, მაისში – 308 ლარი. სულ აღნიშნულ პერიოდში აღებული თანხა შეადგენდა 3366,74 ლარს, მაშინ როდესაც საშტატო განრიგის თანახმად მას სულ უნდა აეღო 644 ლარი. ამდენად, 2722,74 ლარი თ. ფალავანდიშვილს ზედმეტად ჰქონდა აღებული, რაც ექვემდებარებოდა დაბრუნებას.

2004 წლის 15 ოქტომბერს მოსარჩელემ დამატებითი სარჩელით მოითხოვა სს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის 2004 წლის 23 აგვისტოს №183 ბრძანების გაუქმება. აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად ჩაითვალა სს „აზოტის“ გენერალური დირექტორის 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანება და სს „აზოტის“ შრომითი დავის განმხილველი კომისიის 2002 წლის 13 დეკემბრის ოქმი. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 25² მუხლის თანახმად, სს „აზოტის“ ქონებას განკარგავდა და მართავდა რეაბილიტაციის მმართველი, ხოლო აღნიშნული ბრძანება გამოცემული იყო რეაბილიტაციის მმართველის გვერდის ავლით; ამასთან, ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ბრძანება სს „აზოტში“ შექმნილი შრომითი დავების განმხილველი კომისიის შექმნის თაობაზე, რაც ეჭვქვეშ აყენებდა ოქმის ხელმოწერ პირთა უფლებამოსილებას, მოთხოვნა განცხადების მიმართვის დღიდან უკვე ხანდაზმული იყო და არ ექვემდებარებოდა განხილვას, მით უმეტეს, თ. ფალავანდიშვილის სამუშაოზე აღდგენას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2002 წლის 13 ივლისს შრომის დავის განმხილველმა კომისიამ დააკმაყოფილა მისი განცხადება სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომელიც არ აღსრულდა. 2004 წლის ივლისში კვლავ მიმართა დირექტორს კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, რაზედაც მიღებულ იქნა 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანება სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელის მოსაზრებით, რეაბილიტაციის მმართველს არ ჰქონდა შრომის დავის განმხილველი კომისიის 2002 წლის 13 დეკემბრის ოქმის გაუქმების უფლებამოსილება, ვინაიდან 2002 წელი არ განეკუთვნებოდა მისი მოღვაწეობის სფეროს. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ მეორეული ლითონების, მასალებისა და ტექნოლოგიური ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო 1996 წლის 1 მაისს ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. აღნიშნული ვრცელდებოდა უშუალოდ მასზეც, ვინაიდან 1996 წლის 14 აგვისტოს №561 ბრძანების მე-3 პუნქტი აღდგენდა, რომ საამქროზე, როგორც სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სტრუქტურულ ერთეულზე, არ უნდა გავრცელებულიყო კომბინატის მასშტაბით დადგენილი საშუალო ხელფასის ზღვარი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ფალავანდიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სს „აზოტის“ 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანების მე-3 პუნქტში შეტანილ იქნა ცვლილება და მოსარჩელის სახელფასო ანაზღაურება განხორციელდა სს „აზოტის“ რიგითი ბუღალტრის საშტატო განრიგის თანამდებობრივი განაკვეთის შესაბამისად – 90 ლარის ოდენობით თვეში; სს „აზოტის“ დაეკისრა 5400 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; გაუქმდა სს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის 2004 წლის 23 აგვისტოს №183 ბრძანება; სს „აზოტის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ

მიიჩნია, რომ შრომის დავის კომისიის 2002 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ შეესაბამებოდა შრომის კანონთა კოდექსის 194-ე, 199-ე და 206-ე მუხლების მოთხოვნებს და მოსარჩელეს გაშვებული არ ჰქონდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, შრომის დავის განმხილველი კომისიის ოქმი შედგენილი იყო ოფიციალური პირების მიერ და არ შეიძლება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო მოპასუხის მითითება სს „აზოტში“ შრომის დავის განმხილველი კომისიის არარსებობის თაობაზე, მით უფრო, რომ მოპასუხე ორგანიზაციაში ასეთი ორგანო არსებობდა. შრომის კანონთა კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოპასუხემ დააყოვნა მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა 2002 წლის 13 დეკემბრიდან 2004 წლის 2 აგვისტომდე, ამიტომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა დაყოვნების დროისათვის ხელფასი დადგენილების გამოტანის დღიდან აღსრულების დღემდე. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ, მართალია, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 25² მუხლის თანახმად, რეაბილიტაციის მმართველი ახორციელებდა რეაბილიტაციის გეგმას, მართავდა და განკარგავდა მოვალის ქონებას, მაგრამ ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, მას შეეძლო, ამავე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული საფუძველების არსებობისას, სარჩელის შეტანით სადავო გაეხადა ვალაუვალი მოვალის იურიდიული ქმედება. ასეთს კი ადგილი არ ჰქონია, რის გამოც დამატებითი სარჩელი ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. რაც შეეხებოდა შეგებებულ სარჩელს, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სს „ქიმკომბინატის“ 1996 წლის 14 აგვისტოს №561 ბრძანებით დირექტორს საერთო საკითხებში დაევალა, რომ საამქროზე, როგორც სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სტრუქტურულ ერთეულზე, არ გაეგრძელებინა კომბინატის მამულებით დადგენილი საშუალო ხელფასის ზღვარი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ხელფასის გამოანგარიშებისას 1996 წლის 6 მარტის საშტატო განრიგი მხედველობაში არ უნდა ყოფილიყო მიღებული. სასამართლო ასევე აღნიშნავდა, რომ ბუღალტერი შედიოდა იმ ინჟინერ-ტექნიკურ და მუშა პერსონალში, რომელთა ხელფასის ფონდი 1996 წლის 1 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, განისაზღვრებოდა საამქროს შესრულებული სამუშაოს 40%-ით. ვინაიდან მხარეებს წარმოდგენილი არ ჰქონდათ მტკიცებულება საამქროს დღევანდელი ფუნქციონირებისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ამიტომ მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ყოველთვიური სარგო უნდა აღებულიყო სს „აზოტის“ მოქმედი საშტატო განრიგის მიხედვით. საწარმოში რიგითი ბუღალტრის თანამდებობრივი განაკვეთის – 90 ლარის ოდენობის შესახებ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე სასამართლომ 1999 წლის ივნისიდან მოსარჩელის მიუღებელი იძულებითი განაცდური განსაზღვრა 5400 ლარით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება განაცდურის ოდენობის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ფალავანდიშვილმა. იგი მოითხოვდა ხელფასის ანაზღაურებას ყოველთვიურად 300 ლარის, სულ – 24000 ლარის ოდენობით 1997-2004 წლების პერიოდისათვის. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა 1996 წლის 14 აგვისტოს №561 ბრძანება, რომლის თანახმად, საამქროზე, როგორც სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სტრუქტურულ ერთეულზე, არ უნდა გავრცელებულიყო კომბინატის მამულებით დადგენილი საშუალო ხელფასის ზღვარი. ამასთან, აპელანტი მიუთითებდა, რომ მას მოპასუხისაგან ანაზღაურებული ჰქონდა 1997-1999 წლების მიუღებელი ხელფასიდან – 6000 ლარიდან 2000 ლარი, რასაც თავის მოთხოვნაში ითვალისწინებდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა სს „აზოტმა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „აზოტისა“ და თ. ფალავანდიშვილის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება სს „აზოტის“ 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანების მე-3 პუნქტში ცვლილებების შეტანისა და 5400 ლარის დაკისრების ნაწილში, გაუქმდა სს „აზოტის“ 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანების მე-3 პუნქტი, სს „აზოტს“ დაეკისრა თ. ფალავანდიშვილის სასარგებლოდ 2145 ლარის გადახდა, ხოლო 2005 წლის მარტიდან სამუშაოზე აღდგენის შესახებ ბრძანების აღსრულებამდე – ყოველთვიურად 55 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თ. ფალავანდიშვილის მოსაზრება, რომ მას იძულებითი განაცდური უნდა ანაზღაურებოდა 300 ლარის ოდენობით 1997 წლის პირველი

ივლისიდან. სააპელაციო სასამართლო მიუთითებდა, რომ სს „აზოტის“ 1996 წლის 5 აპრილის №176კ ბრძანებით თ. ფალავანდიშვილი მიღებულ იქნა მეორეული ლითონების მასალებისა და ტექნოლოგიური ნარჩენების გადასამუშავებელ საამქროში ბუღალტრად, ამავე საამქროს 1996 წლის 16 მარტს დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით კი ბუღალტერის სახელფასო განაკვეთი შეადგენდა 55 ლარს. შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, რომელსაც დაეთანხმა თ. ფალავანდიშვილი და არ გაუსაჩივრებია და რომელსაც სავალდებულო ძალა ჰქონდა, სს „აზოტის“ სახელფასო სექტორს დაევალა თ. ფალავანდიშვილისათვის ერთი წლის საშუალო ხელფასის გადახდა საშტატო განრიგის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ადმინისტრაცია აყოვნებდა შრომითი დავის კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას, გადაწყვეტილების გამოტანიდან მის აღსრულებამდე, შრომის კანონთა კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა 55 ლარი ყოველთვიურად. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სს „აზოტის“ მოსაზრება, რომ მოსარჩელეს უნდა დაებრუნებინა კანონის დარღვევით მითვისებული 2722,74 ლარი საშტატო განრიგით დადგენილი ხელფასის ზევით, რადგან შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის ვადა შეადგენდა ერთ წელს მიყენებული ზიანის გამოძლევის დღიდან. აღნიშნულის შესახებ საწარმოს ადმინისტრაციისათვის ცნობილი იყო 1996-97 წლებში, რადგან გაზრდილი ხელფასი ფიქსირდებოდა უწყისებში, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში გასული იყო ზემოაღნიშნული ერთწლიანი ვადა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება შრომის დავის განმხილველი კომისიის ოქმის გაუქმების შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ შრომის დავის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება საწარმოს ადმინისტრაციას უნდა გაესაჩივრებინა შრომის კანონთა კოდექსის 201-ე მუხლის საფუძველზე, ამავე კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილება 2003 წლის 18 იანვარს უკვე ცნობილი იყო საწარმოს ყოფილი დირექტორის გ. გოგოლაძისათვის, რომელიც დაეთანხმა სადავო ოქმს და მისი აღსრულების მიზნით რეზოლუციაც კი გამოიტანა. ამდენად, შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილება მის გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირს არ ჰქონდა კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული არც გადაწყვეტილების უსწორობის და არც კომისიის არაუფლებამოსილების გამო, ამიტომ მისი გაუქმება დაუშვებელი იყო. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად კომისიის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა ჰქონდა, ამიტომ მისი აღსრულების მიზნით სწორად გამოიცა სს „აზოტის“ 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანება. შესაბამისად, არ არსებობდა აღნიშნული ბრძანებისა და შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და საქალაქო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა თ. ფალავანდიშვილის დამატებითი სასარჩელო მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა სს „აზოტმა“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორის მითითებით, როგორც შრომის დავის განმხილველი კომისიის სხდომის ოქმი, ასევე სს „აზოტის“ გენერალური დირექტორის 2004 წლის 2 აგვისტოს №161 ბრძანება, კანონის მოთხოვნათა დარღვევით იყო მიღებული. საწარმოში არ არსებობდა შრომის დავის განმხილველი კომისიის შექმნის ბრძანება, ასევე, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 25² მუხლის თანახმად, მოვალის ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება გააჩნდა რეაბილიტაციის მმართველს და არა გენერალურ დირექტორს. კასატორის განმარტებით, სს „აზოტს“ შეგებებული სარჩელი სასამართლოში შეტანილი ჰქონდა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის დაცვით, მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამოძლევის დღიდან 15 დღის ვადაში. კასატორი მიუთითებდა, რომ მეორეული ლითონებისა და მასალების გადამამუშავება-დამზადებისა და რეალიზაციის საამქრო, სადაც თ. ფალავანდიშვილი მუშაობდა, წარმოადგენდა სს „აზოტის“ სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სტრუქტურულ ერთეულს. საამქროს პერსონალზე ხელფასის განაწილება ხდებოდა არა სს „აზოტის“ მიერ, არამედ საამქროს ადმინისტრაციის მეშვეობით, საამქროს დებულების 3.3 პუნქტისა და სს „აზოტსა“ და საამქროს შორის გაფორმებული 1996 წლის 1 მაისის ხელშეკრულების 3.2 პუნქტის შესაბამისად, სს „აზოტის“ ცენტრალურ

ბულალტერიასთან შეუთანხმებლად, რის გამოც, ბუნებრივია, მისთვის ცნობილი ვერ იქნებოდა საამქროს უწყისებში თითოეულ ინჟინერ-ტექნიკურ და მუშა-მოსამსახურეზე დარიცხული ხელფასის რაოდენობა. სს „აზოტისათვის“ მხოლოდ 2004 წლის სექტემბრის თვეში გახდა ცნობილი საამქროში ფინანსური დისციპლინის დარღვევის შესახებ, როცა თ. ფალავანდიშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოსარჩელემ საქმეზე დასართავად წარადგინა საამქროს პერსონალის სახელფასო უწყისები, ტაბელები და სხვა დოკუმენტები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ფალავანდიშვილმაც, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება იძულებითი განაცდურის ნაწილში მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო არასწორად დაეყრდნო მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილ 1996 წლის 16 მარტის საშტატო განრიგს და 1996 წლის 5 აპრილის №170 ბრძანებას, მაშინ როდესაც საქმეში არსებული უწყისებიდან გარკვევით ჩანდა, რომ მისი საშუალო ხელფასი შეადგენდა თვეში 300 ლარს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „აზოტისა“ და თ. ფალავანდიშვილის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. ფალავანდიშვილი 1996 წლის 5 აპრილიდან მუშაობდა სს „ქიმიკომბინატის“ მეორეული ლითონების, მასალებისა და ტექნოლოგიური ნარჩენების გადამამუშავებელ საამქროში ბულალტრად. ამავე საამქროს 1996 წლის 16 მარტის საშტატო განრიგის თანახმად, ბულალტერის სახელფასო განაკვეთი შეადგენდა 55 ლარს. სს „ქიმიკომბინატის“ 1997 წლის 9 ივნისის №388 ბრძანებით გაუქმდა მეორეული ლითონების, მასალებისა და ტექნოლოგიური ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო და გამოთავისუფლებული მუშების შრომითი მოწყობა განისაზღვრა გაერთიანების სხვა საამქროებში ვაკანტურ ადგილებზე. მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სს „აზოტის“ 1999 წლის 9 ივნისის №217 ბრძანებით. სს „აზოტის“ შრომის დავის განმხილველი კომისიის 2002 წლის 13 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებით მოსარჩელის გათავისუფლება ცნობილ იქნა არაკანონიერად, მოსარჩელე აღდგენილ იქნა სამუშაოზე და აუნაზღაურდა ერთი წლის საშუალო ხელფასი საშტატო განრიგის მიხედვით, ყოველთვიურად 55 ლარის ოდენობით. შრომის დავის კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, თ. ფალავანდიშვილის მოთხოვნის საფუძველზე, სს „აზოტის“ გენერალურმა დირექტორმა 2004 წლის 2 აგვისტოს გამოსცა №161 ბრძანება, რომლის თანახმად, მოსარჩელე აღდგენილ იქნა სამუშაოზე და აუნაზღაურდა საშტატო განრიგით დადგენილი ხელფასი 55 ლარის ოდენობით, 2002 წლის 13 დეკემბრიდან სამუშაოზე აღდგენამდე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ არ არსებობს შრომის დავის კომისიის 2002 წლის 13 დეკემბრის ოქმის გაუქმების საფუძველი. აღნიშნული ოქმის გასაჩივრების წესი დადგენილია შრომის კანონთა კოდექსის 200-202-ე მუხლებით, რომელთა თანახმად, თუკი ადმინისტრაცია არ ეთანხმება შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილებას, მისი გასაჩივრება შეუძლია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირში ათი დღის განმავლობაში, ხოლო სასამართლოს შეუძლია მიმართოს ათი დღის ვადაში პროფკავშირის მიერ შრომის დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების მოთხოვნით, თუკი მიაჩნია, რომ პროფკავშირის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. მოცემულ შემთხვევაში სს „აზოტის“ სადავოდ არ გაუხდია შრომის დავის კომისიის 2002 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება 2004 წლის 23 აგვისტოს №183 ბრძანების გამოცემამდე, ხოლო აღნიშნული ბრძანება არ იყო შრომის დავის კომისიის სადავო გადაწყვეტილების თაობაზე შრომის კანონთა კოდექსის დადგენილი ზემოაღნიშნული წესით და ვადებში მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, დაუშვებელი იყო აღნიშნული ბრძანებით შრომის დავის კომისიის ოქმის ბათილად ცნობა.

შრომის კანონთა კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომის დავის განმხილველი ორგანოს მიერ

მიღებული გადაწყვეტილება ან დადგენილება უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. თუ ადმინისტრაციამ დააყოვნა ასეთი გადაწყვეტილების ან დადგენილების აღსრულება, მუშაკს დაყოვნების დროისათვის ეძლევა საშუალო ხელფასი ან ხელფასის სხვაობა გადაწყვეტილების ან დადგენილების გამოტანის დღიდან მისი აღსრულების დღემდე. მოცემულ შემთხვევაში სს „აზოტის“ ადმინისტრაციას შრომის დავის კომისიის 2002 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ არ აღსრულებია. მხოლოდ 2004 წლის 2 აგვისტოს გამოცემა №161 ბრძანება აღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად. საკასაციო სასამართლო იზიარებს სს „აზოტის“ მოსაზრებას, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 25² მუხლიდან გამომდინარე, ასეთი ბრძანება უნდა გამოეცა საწარმოს რეაბილიტაციის მმართველს და არა გენერალურ დირექტორს, ვინაიდან დაკავშირებული იყო ქონებრივი საკითხის გადაწყვეტასთან. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს გარემოება ვერ გახდება საწარმოს შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში მიღებული ბრძანების გაუქმების საფუძველი. შრომის კანონთა კოდექსის 208-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულო იყო აღსასრულებლად და რეაბილიტაციის მმართველს მოეთხოვებოდა, გამოეტანა ანალოგიური გადაწყვეტილება უკანონოდ გათავისუფლებული მუშაკის უფლებების აღსადგენად. ამიტომ არ არსებობს შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული ბრძანების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზეც, რომ მოსარჩელეს შრომის კანონთა კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებისათვის სწორად მიეცა ხელფასი დადგენილების გამოტანის დღიდან მისი აღსრულების დღემდე თვეში 55 ლარის ოდენობით. 1996 წლის 16 მარტის საშტატო განრიგის მიხედვით, საამქროს ბუღალტერის სახელფასო განაკვეთი შეადგენდა ყოველთვიურად 55 ლარს. შრომის დავის კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, რომლის აღსასრულებლადაც სადავო №161 ბრძანება გამოიცა, თ. ფალავანდიშვილს ხელფასი უნდა ანაზღაურებოდა საშტატო განრიგის მიხედვით, თვეში 55 ლარის ოდენობით. მოსარჩელეს შრომის დავის კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება სადავოდ არ გაუხდია, რის გამოც ამ ეტაპზე მისი პრეტენზია ხელფასის ოდენობის შესახებ საფუძველს მოკლებულია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ვინაიდან მოპასუხეს გაშვებული აქვს მუშაკის მიერ საწარმოსათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოსადმი მიმართვის ერთწლიანი ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს „აზოტის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თ. ფალავანდიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
 შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
 ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. ახალაძე

დავის საგანი – ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და ხელშეკრულების გაფორმება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ლ. ბინიაშვილმა და ნ. იობაშვილმა სარჩელი აღძრეს ქობილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციის“ მიმართ ბრძანების გაუქმებისა და სამუშაოზე აღდგენის გამო შემდეგი საფუძვლებით: ლ. ბინიაშვილი 1990 წლიდან, ხოლო ნ. იობაშვილი 2001 წლიდან მუშაობდნენ შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციაში“ მეან-გინეკოლოგის თანამდებობაზე. 1997 წლამდე ისინი მუშაობდნენ საშტატო ერთეულებზე დანიშვნის პრინციპით, შემდეგ კი გადავიდნენ სახელშეკრულებო სისტემაზე. 2003 წლის აპრილში შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო და დაინიშნა ახალი დირექტორი. სწორედ ამ დროდან დაიწყო გაუგებრობები, კერძოდ, სამუშაოზე დარჩენის სანაცვლოდ ისინი დირექტორის „სხვაგვარ პატივისცემას“ მოითხოვდნენ. შრომითი ხელშეკრულებები იღებოდა 6 თვის ვადით. ბოლო ხელშეკრულება გაფორმდა 2004 წლის 11 მაისს, ხოლო 2004 წლის 12 ოქტომბერს, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე, მოსარჩელები, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, გათავისუფლდნენ შრომის ნაყოფიერებისა და კვალიფიკაციის დონის გაუთვალისწინებლად. იმავე წლის 25 ოქტომბერს გაუქმდა ზემოაღნიშნული ბრძანება და მოსარჩელები აღდგენილ იქნენ სამუშაოზე შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, თუმცა პროფკავშირის თანხმობის გარეშე, 2004 წლის 12 ნოემბრის №31 ბრძანებით, ისინი კვლავ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, რითაც საზოგადოებამ დაარღვია შრომის კანონმდებლობა. გათავისუფლების შესახებ ბრძანებათა ასლების გაცემაზე შპს-ის დირექტორმა უარი განაცხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: სამუშაოდან ექიმები გათავისუფლდნენ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, შრომითი ხელშეკრულების მე-12 პუნქტის თანახმად. მოპასუხეთა ერთი თვით ადრე სამსახურიდან გათავისუფლებისას დამებულ იქნა არითმეტიკული შეცდომა. შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციის“ დირექტორის განმარტებით, თანამშრომელთა გათავისუფლების შესახებ იგი არ შეთანხმებია პროფკავშირს, რადგან მიიჩნია, რომ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მუშაკებს სამუშაოზე დარჩენის უპირატესობას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ქობილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა 2004 წლის 12 ნოემბრის №31 ბრძანება ლ. ბინიაშვილისა და ნ. იობაშვილის გათავისუფლების ნაწილში და ისინი აღდგენილ იქნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამდებობაზე ხელშეკრულებაში მითითებული ვადის ამოწურვამდე (ერთი თვით). შემდგომში შრომის ხელშეკრულების გაფორმებაზე ეთქვათ უარი უსაფუძვლობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება ლ. ბინიაშვილმა და ნ. იობაშვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 20 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ბინიაშვილი და ნ. იობაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდნენ შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციაში“ მეან-გინეკოლოგის თანამდებობებზე. 1997 წლიდან საზოგადოების თანამშრომლები და მათ შორის მოსარჩელებიც გადაყვანილ იქნენ სახელშეკრულებო სისტემაზე და მხარეთა შორის პერიოდულად იღებოდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები. ბოლო ვადიანი კონტრაქტი მოსარჩელებსა და შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციის“ შორის გაფორმდა 2004 წლის 11 მაისს და მათი მოქმედების ვადა განისაზღვრა 6 თვით. მოპასუხემ დაარღვია რა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება, 2004 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებით ლ.ბინიაშვილი და ნ.იობაშვილი, შრომითი კონტრაქტის ვადის გასვლის გამო, გათავისუფლდნენ თანამდებობებიდან. 2004 წლის 25 ოქტომბერს მოსარჩელები აღდგენილ იქნენ სამუშაოზე შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ხოლო 2004 წლის 12 ნოემბრის №31

ბრძანებით, ისინი კვლავ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულების პირობები სრულად არ შესრულდა, მოსარჩელებს სამუშაოზე აღდენის მოთხოვნის უფლება ჰქონდათ. სააპელაციო პალატამ საყურადღებოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციას“ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელეთა მოაზრებას იმის თაობაზე, რომ რადგანაც ისინი წლების მანძილზე კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალებებს, ადმინისტრაციას მათი უმუშევრად დატოვების უფლება არ ჰქონდა.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ.ბინიაშვილმა და ნ.იობაშვილმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით შემდეგი მოტივებით: კასატორების განმარტებით, დაირღვა მათი საპროცესო უფლებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის მე-6, მე-17, 36-ე და 164-ე მუხლები, ვინაიდან, კასატორები მაღალპროფესიულად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალებებს. ნ.იობაშვილს კი ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი. სასამართლოს ასევე უნდა გამოეყენებინა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, რადგან ლ.ბინიაშვილი რეპრესირებულად ცნობილი პირია. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, მე-5 მუხლები, არ მისცა რა მხარეებს პოზიციის დასაბუთების საშუალება და, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, არ გაარკვია საქმის გარემოებები. კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. მათი მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არ შეიძლებოდა, დავის საგანი გამხდარიყო შემდგომი შრომითი ხელშეკრულების საკითხი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და კასატორებს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენიათ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ლ. ბინიაშვილი და ნ. იობაშვილი მუშაობდნენ შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციაში“ მეან-გინეკოლოგის თანამდებობებზე. 1997 წლიდან საზოგადოების თანამშრომლები და მათ შორის მოსარჩელებიც გადაყვანილ იქნენ სახელშეკრულებო სისტემაზე. მხარეთა შორის პერიოდულად იდებოდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები. ბოლო ვადიანი კონტრაქტი მოსარჩელებსა და შპს „მე-8 ქალთა კონსულტაციას“ შორის გაფორმდა 2004 წლის 11 მაისს და მათი მოქმედების ვადა განისაზღვრა 6 თვით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საოლქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ზემოხსენებულ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დაადგინა რა, რომ მოდავე მხარეთა შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება ექვსი თვით, შრომის კანონთა კოდექსის მე-16 და მე-18 მუხლებზე დაყრდნობით კასატორთა მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარისათვის შრომითი ხელშეკრულებების გაგრძელების დავალდებულების თაობაზე, სწორად მიიჩნია უსაფუძვლოდ.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს მათი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უნდა გამოეყენებინა შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა აწესრიგებს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე დარჩენის უპირატეს უფლებებს საწარმოში მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირებისას. მოცემულ შემთხვევაში კასატორთა გათავისუფლება ამ საფუძვლით არ მომხდარა და, შესაბამისად, სასამართლო ამ ნორმით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე ვერ იმსჯელებდა. ამავე დასაბუთებით უსაფუძვლოა კასატორთა მოსაზრება „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის გამოყენების თაობაზე, რომლითაც სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება აქვთ რეპრესირებულად ცნობილ პირებს დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას.

ასევე უსაფუძვლოა კასატორთა მოსაზრება, რომ მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების მე-12 პუნქტით განსაზღვრული პირობის მიუხედავად, შრომის კანონთა მე-6 და მე-17 მუხლებით შპს-ის ადმინისტრაციას ხელშეკრულების შემდგომ გაგრძელებაზე უარის თქმის უფლება არ ჰქონდა. შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს რა შრომის ხელშეკრულების შინაარს და მხარეებს, იგი წარმოადგენს მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმებას სამუშაო პირობებთან, მათ შორის ვადასთან დაკავშირებით. ვადიანი შრომის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლითაც. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მხარეები ნებაყოფლობით შეთანხმდნენ რა განსაზღვრული ვადით შრომით ურთიერთობაზე, ამ ვადის გაგრძელების ვალდებულების დაკისრება კანონით განსაზღვრული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევის გარეშე და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ბინიაშვილისა და ნ. იობაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 20 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი.

კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდნენ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-814-1093-05

26 ივლისი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. ახალაძე (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2005 წლის 25 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა რ. აბაშიძემ მოპასუხე შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიმართ და მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა. მოსარჩელის განმარტებით, 1987 წლიდან მუშაობდა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში“ სხვადასხვა თანამდებობებზე, ბოლო ათი წლის განმავლობაში - ქარხნის მომარაგების განყოფილებაში უფროს ინჟინრად. 2002 წლის 12 დეკემბერს მოპასუხემ ყოველგვარი კანონის დარღვევით გამოსცა ბრძანება №28 „საწარმოს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის და შრომის პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, 2003 წლის 1 მარტიდან იგი გადაყვანილ იქნა დამხმარე მუშად და ხელფასად დაენიშნა 23 აშშ დოლარის

ეკვივალენტი ლარი. მოსარჩელის განმარტებით, დასახელებული ბრძანება მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი და გამოხატა უკმაყოფილება, რაზეც მოპასუხემ განუმარტა, რომ ეს იყო დროებითი ღონისძიება და ჰპირდებოდა წინანდელ სამუშაოზე აღდგენას. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრების გაშვებული ვადის საპატიოდ ჩათვლა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

მოპასუხე შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქარხანაში შექმნილმა რთულმა საფინანსო – ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა შტატების შემცირება და მუშა-მოსამსახურეები რომ სამსახურის გარეშე არ დარჩენილიყვნენ, ადმინისტრაცია იძულებული გახდა, მოეხდინა რეორგანიზაცია. მოსარჩელემ თავის დროზე არ გაასაჩივრა ხსენებული ბრძანება და მისი მოთხოვნა ხანდაზმულია;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. აბაშიძეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რ. აბაშიძემ.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით რ. აბაშიძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება და რ. აბაშიძეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტ რ. აბაშიძის მოსაზრება, რომ გასაჩივრებული ბრძანება მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი გახდა გვიან; სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელე თავისივე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებს, რომ, ბრძანებისადმი საწარმოს მუშაკების მიერ გამოხატული უკმაყოფილების გამო, 2003 წლის მარტში საქმეში ჩაერია ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი. ამავე განცხადებაში აღიარებს, რომ მან გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა გაუშვა და მოითხოვს გაშვებული ხანდაზმულობის ვადის საპატიოდ ჩათვლას.

მოსარჩელემ ვერ წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულება, რომ სხვა სამუშაოზე გადაყვანის თაობაზე პერსონალური გაფრთხილების შეტყობინებაზე იძულებით მოაწერა ხელი, დამხმარე მუშად მუშაობდა ორი წლის განმავლობაში, შეგუებული იყო შრომის ახალ პირობებს, ლეზულობდა ადრინდელ სამუშაო პირობებთან შედარებით ბევრად დაბალ ანაზღაურებას.

ის გარემოება, რომ ავადმყოფი მეუღლე ჰყავს და იგი ენდობოდა ადმინისტრაციის დაპირებებს, არ შეიძლება გახდეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საფუძველი.

რ. აბაშიძემ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა საწინააღმდეგოდ დაადგინა, რომ ხელი მოაწერა მოსალოდნელი გადაყვანის შესახებ. საქმეშია ადმინისტრაციის შეტყობინება, სადაც მისი ხელმოწერა არ არის. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა;

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილი. კერძოდ, მის მიერ გადაყვანილ სამუშაოზე გამოცხადება ჩათვალა თანხმობად და შეგუებად ახალ პირობებთან. იგი ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად არ გაფრთხილებულა ორი თვით ადრე სხვა სამუშაოზე მოსალოდნელი გადაყვანის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, სადაც საუბარია შრომითი დავის კომისიაზე მიმართვის სამთვიან ვადაზე. მოპასუხე ორგანიზაციაში ასეთი კომისია არ არის.

არ ჩაბარებია ბრძანება შრომის პირობების შეცვლის შესახებ, საიდანაც უნდა აითვალოს სასამართლოსათვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადა;

სასამართლომ დაარღვია საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის პრინციპი და უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე არამართო ხანდაზმულობის, არამედ უსაფუძვლობის მოტივითაც. ამ უკანასკნელზე რაიონულ სასამართლოს არ უმსჯელია და არც მას ჰქონია პრეტენზია აღნიშნულის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ ადმინისტრაციის მიერ 2002 წლის 12 დეკემბერს გამოცემულ იქნა ბრძანება №28 „სწარმოს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის და შრომის პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ“, რომლის საფუძველზეც მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი გადაყვანილ იქნა დამხმარე მუშის თანამდებობაზე. ქარხნის ადმინისტრაციის 2003 წლის 24 თებერვლის ბრძანებით რ. აბაშიძე, რომელიც მუშაობდა მომარაგების განყოფილების ინჟინრად, სხვა თანამშრომლებთან ერთად გადაყვანილ იქნა დამხმარე მუშად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ იგი არ ყოფილა გაფრთხილებული ორი თვით ადრე სხვა სამუშაოზე მოსალოდნელი გადაყვანის შესახებ და სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტების მიმართ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში. მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები;

საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე აცხადებს როცა მუშად გადაიყვანეს იძულებით მოაწერინეს ხელი გაბრთხილებაზე, მაგრამ მას არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა იძულებით ხელმოწერის ფაქტს (იხ. სხდომის ოქმი ს.ფ. 17). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, იძულებით ხელმოწერის დამადასტურებლად საკასაციო პალატა მხოლოდ მხარის განმარტებას ვერ მიიჩნევს.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომის დავის კომისიას სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ სასარჩელო განცხადება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ იქნა შეტანილი, აღნიშნული დასტურდება სასარჩელო განცხადებით, სადაც რ.აბაშიძე მოითხოვს გაშვებული ვადის საპატიოდ ჩათვლას. ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება, რომ მას ბრძანება სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ არ ჩაბარებია, ხოლო ხანდაზმულობის ვადა ბრძანების ჩაბარების შემდეგ უნდა აეთვალოს. შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბრძანების ჩაბარების დღიდან სასამართლოში მიმართვის ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ დათხოვნის საქმეებზე აითვლება, ხოლო, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე სხვა მათ შორის, სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იმ დღიდან აითვლება, როცა მუშაკმა გაიგო ან უნდა გაეგო მისი უფლებების დარღვევის შესახებ. ის გარემოება, რომ კასატორმა სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ შეიტყო 2003 წლის მარტში მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა, ე.ი. მას ამ პერიოდიდანვე უნდა შეეტყო მისი შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ. სარჩელი სასამართლოში სხვა სამუშაოზე გადაყვანის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით რ. აბაშიძემ 2005 წლის 25 იანვარს, ე.ი. თითქმის ერთი წლისა და 11 თვის შემდეგ შეიტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სარჩელი ხანდაზმულია და სააპელაციო სასამართლომ ამ საფუძველით სწორად უთხრა უარი მის დაკმაყოფილებაზე.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ სარჩელზე ხანდაზმულობის გარდა, უსაფუძველობითაც უთხრა უარი, დაარღვია საუარესოდ

შებენების დაუშვებლობის პრინციპი; საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რაკი სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია, მას შეეძლო, არ ემსჯელა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილებით „საუარესოდ შებენებას“ არ მომხდარა, ვინაიდან მას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. იგივე სამართლებრივი შედეგი მოჰყვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი ან საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის შესაბამისადაა მიღებული და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

რ. აბაშიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საწარმოო ტრავმა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-431-770-05

16 სექტემბერი, 2005წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2003 წლის 15 აგვისტოს ხაშურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს გენადი აგიაშვილმა და ჯუმბერ გუდაძემ მოპასუხეების – შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სალოკომოტივო დეპოსა და ხაშურის სავაგონო დეპოს მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: გ. აგიაშვილის სასარგებლოდ სარჩოს სახით ყოველთვიურად 360,14 ლარის გადახდა მუშაობის შეწყვეტის დღიდან, ასევე, ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს – 5537,16 ლარის გადახდა; ჯ. გუდაძის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა 324,8 ლარის ოდენობით, ასევე, ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს – 4872,48 ლარის გადახდა, შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელები შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში მუშაობდნენ ელმავლის მემანქანებად, იყვნენ მეორე კლასის მემანქანები შესაბამისად 15 წლისა და 13 წლის სტაჟით, რომელთა თანრიგის მემანქანის საშუალო ხელფასი დღეის მდგომარეობით შეადგენს 461,43 ლარს და 406,04

ლარს. 2001 წლის 5 მარტს ისინი ორი ელმავლით მართავდნენ ბენზინისა და ნავთის ცისტერნებით დატვირთული მატარებლის შემადგენლობას ბათუმის მიმართულებით. ხაშურის სადგურში ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის ვაგონის გამოსინჯველმა მატარებლის შემადგენლობას შეუმოწმა მუხრუჭების გამართულობა და გასცა დადებითი დასკვნა. მოსარჩელებმა ხაშურიდან გამოსვლის შემდეგ, სადგურ ლიხთან მოსინჯეს მატარებლის შემადგენლობის სამუხრუჭე სისტემის ეფექტიანობა ატმოსფერული წნევის გამოყენებით, მაგრამ სამუხრუჭე სისტემა არ დაემორჩილა და მატარებლის გაჩერება ვერ შეძლეს. მიუხედავად არაერთი ცდისა, რასაც თან ახლდა საშინელი შიში და ნერვიულობა, მოსარჩელებმა მატარებლის შემადგენლობა ვერ დაიმორჩილეს, შემადგენლობა მოძრაობდა 50კმ/სთ სიჩქარით, საბოლოოდ, მატარებლის გაჩერება მოხერხდა მხოლოდ სადგურ წიფის დამჭერ ჩიხში შესვლით. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მათ, თავიანთი პროფესიული ოსტატობისა და გამოცდილების წყალობით, თავიდან აიცილეს უბედური შემთხვევა განსაკუთრებით მძიმე შედეგებით, იმის გათვალისწინებით, რომ მატარებელს მიჰქონდა ფეთქებადსაშიში ნივთიერებები, თუმცა მიიღეს უმძიმესი ფსიქიკური ტრავმა. აღნიშნული შემთხვევის შემდგომ მოსარჩელებს დასჭირდათ მკურნალობა სურამის, თბილისის ასათიანის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, კახიანის სახელობის რკინიგზის ცენტრალურ კლინიკაში, დღემდე აწუხებთ მწვავე ნევროზი და იმყოფებიან ფსიქიატრის მეთვალყურეობის ქვეშ. შრომის საქსპერტო კომისიის დასკვნით, დაუდგინდათ შრომის უნარის დაკარგვა 80%-ით, მე-2 ჯგუფის ინვალიდობა და აეკრძალათ რკინიგზაზე მუშაობა. მოსარჩელეთა განცხადებით, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათ ზემოაღნიშნული ტრავმა მიიღეს საწარმოს ბრალით, რაც დასტურდებოდა საქმის მასალებით. 2001 წლის 5 მარტს მომხდარი საწარმოო შემთხვევა, რასაც მოჰყვა მათი ჯანმრთელობის შერყევა, შესწავლილ იქნა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ, მატარებლის მუხრუჭების ეფექტიანობის შემოწმებისას დადგინდა, რომ შემადგენლობის სხვადასხვა ადგილზე განლაგებული 15 ვაგონი არ იყო ჩართული სამუხრუჭე სისტემაში და წიფის სადგურის დამჭერ ჩიხში მატარებლის გასვლის მიზეზი იყო ვაგონებზე ავტოსამუხრუჭე მოწყობილობების არაეფექტიანი მუშაობა, რაზედაც შედგა სათანადო დასკვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-3, მე-11, მე-13, 52-ე მუხლების საფუძველზე.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით გ. აგიაშვილისა და ჯ. გუდაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მომხდარი საწარმოო შემთხვევა გამოწვეული იყო თვით მოსარჩელეთა ბრალით, რადგან მათ არ შეასრულეს მატარებლის დამუხრუჭებისა და გაჩერების წესების შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნები. უბედური შემთხვევა თავიდან იქნებოდა აცილებული, თუ მოსარჩელები დაიცავდნენ აღნიშნულ ინსტრუქციას და სწორად დამუხრუჭებდნენ, უყარათოდ არ დახარჯავდნენ სამუხრუჭე მაგისტრალში ჰაერის მარაგს, რაც გამორიცხავდა მოპასუხის ბრალეულობას და, შესაბამისად, პასუხისმგებლობას.

რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. აგიაშვილმა და ჯ. გუდაძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მათი სასარჩელო მოთხოვნების 50%-ით დაკმაყოფილება. აპელანტები მიუთითებდნენ, რომ მოცემულ შემთხვევაში ის იყო მათი და მოპასუხის შერეული ბრალი, საქმის მასალებით დასტურდებოდა მატარებლის სამუხრუჭე სისტემის გაუმართაობა მოპასუხის მიზეზით, რაც არ გამორიცხავდა მოპასუხის პასუხისმგებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტები მოპასუხის პასუხისმგებლობის შემცირებას 50%-ით ითხოვდნენ მათი ბრალის გათვალისწინებით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 10 ნოემბრის განჩინებით არასათანადო მოპასუხეები – ხაშურის სალოკომოტივო დეპო და ხაშურის სავაგონო დეპო შეიცვალნენ სათანადო მოპასუხით – შპს „საქართველოს რკინიგზით“.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით გ. აგიაშვილისა და ჯ. გუდაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. აგიაშვილისა და ჯ. გუდაძის სარჩელი დაკმაყოფილდა: შპს „საქართველოს რკინიგზას“ ჯ. გუდაძის სასარგებლოდ დაეკისრა 2003 წლის მაისიდან 2004 წლის დეკემბრის ჩათვლით ერთჯერადად 3085,9 ლარის, ხოლო 2005 წლის

იანვრიდან – ყოველთვიურად 162,41 ლარის გადახდა, გ. აგიაშვილის სასარგებლოდ 2003 წლის ივნისიდან 2004 წლის დეკემბრის ჩათვლით ერთჯერადად 3322,3 ლარის, ხოლო 2005 წლის იანვრიდან ყოველთვიურად 184,57 ლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები გ. აგიაშვილი და ჯ. გულაძე მუშაობდნენ შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში. 2001 წლის 5 მარტს ისინი მართავდნენ ელმავალს, რომელსაც მიჰყავდა ბენზინითა და ნავთით დატვირთული მატარებელი, შემადგენლობის სამუხრუჭე სისტემის არაეფექტური მოქმედების გამო მოსარჩელები იძულებული იყვნენ, შეეყვანათ მატარებელი წიფის დამჭერ ჩიხში. 2001 წლის 5 მარტს შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში შეადგინა წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტები, სადაც მიეთითა, რომ არ მუხრუჭდებოდა შემადგენლობის 15 ვაგონი, რამაც განაპირობა შემადგენლობის წიფის დამჭერ ჩიხში შესვლა. შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ აღნიშნულ ფაქტზე ჩატარებული შემოწმების შედეგად 2004 წლის 26 მარტს გამოიცა ბრძანება, რომელშიც მითითებული იყო, რომ არ მუხრუჭდებოდა მატარებლის შემადგენლობის სხვადასხვა ადგილას განლაგებული 15 ვაგონი, შემოწმებით დადგინდა, რომ 4 ვაგონზე მუხრუჭები არ მოქმედებდა, ხოლო 6 ვაგონზე სამუხრუჭე სისტემა ვერ უზრუნველყოფდა მუხრუჭების 10-წუთიან შეყვინებას, მიუხედავად ამისა, მუხრუჭების შესახებ გაცემული იყო ცნობა მათი გამართულობის შესახებ. იგივე დასტურდებოდა სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნითაც. გარდა ამისა, დასკვნაში დამატებით მითითებული იყო, რომ მომხდარის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუ სადგურ ხაშურის ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის ვაგონის გამსინჯველი გამოავლენდა ვაგონების მუხრუჭების გაუმართაობას, ცვლის ოსტატი გაუწევდა სათანადო კონტროლს და არ გაიცემოდა მუხრუჭების შესახებ ცნობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მატარებლის მოძრაობისას საავარიო სიტუაციის საშიშროება შეიქმნა როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის“, ისე – თვით მუშაკების ბრალით. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ მომხდარი შემთხვევის შედეგად შემანქანებმა გ. აგიაშვილმა და ჯ. გულაძემ მიიღეს ფსიქიკური ტრავმა, დგინდებოდა როგორც საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ აქტებით, ისე საქმეში წარმოდგენილი ხაშურის რაიონის სპეციალიზირებული ფსიქიატრიული ბიუროს აქტებით, რომელთა თანახმად, გ. აგიაშვილსა და ჯ. გულაძეს საწარმოო ტრავმის შედეგად შრომის უნარი დაკარგული ჰქონდათ 80%-ით. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3, მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა შემცირებულიყო 50%-ით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულების მხრიდან გაუფრთხილებლობაც. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მატარებლის შემადგენლობის სამუხრუჭე სისტემის გაუმართაობა არ იყო მიზეზობრივ კავშირში მომხდართან და თუ შემანქანები იმოქმედებდნენ ინსტრუქციის სრული დაცვით, ისინი ვერ შეამჩნევდნენ მუხრუჭების გაუმართაობას და, შესაბამისად, ტრავმასაც არ მიიღებდნენ. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად ადასტურებდა ორივე მხარის ბრალს მომხდარში, მიზეზობრივ კავშირს მათ ქმედებასა თუ უმოქმედობასა და შედეგს შორის, რის გამოც პასუხისმგებლობაც თანაბრად უნდა განაწილებულიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა საშუალო ხელფასების შესახებ საქმეში წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა გ. აგიაშვილის სასარგებლოდ 2003 წლის ივნისიდან, რა დროიდანაც მას შეუწყდა ხელფასის მიცემა, 2004 წლის დეკემბრის ჩათვლით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ერთჯერადად – 3322,3 ლარის, ხოლო 2005 წლის იანვრიდან ყოველთვიურად 184,57 ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა; ანალოგიურად, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა ჯ. გულაძის სასარგებლოდ 2003 წლის მაისიდან 2004 წლის დეკემბრის ჩათვლით ერთჯერადად 3085,9 ლარის, ხოლო 2005 წლის იანვრიდან ყოველთვიურად სარჩოს – 162,41 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს რკინიგზამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე სწორად არ იყო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამის გამო შეუძლებელი იყო გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რაც, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა. კასატორი მიუთითებდა, რომ მატარებლის შემადგენლობის დამჭერ ჩიხში შესვლა გამოიწვია მემანქანების მიერ „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მუხრუჭების ექსპლოატაციის ინსტრუქციის“ მე-7 თავის 7.5 პუნქტის უხეშმა დარღვევამ. აღნიშნული წესების მიხედვით, მემანქანე ვალდებული იყო, მატარებლით მსვლელობისას გაეინჯა ინსტრუქციით დადგენილ კმ/ნიშნულზე მუხრუჭების მუშაობა. შემოწმება ხდებოდა სიჩქარის 10 კმ/სთ-ით შემცირებით, რაც დატვირთული სატვირთო შემადგენლობისათვის 20-30 წამის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. თუ ამ დროის განმავლობაში მატარებელი არ დაუხრუჭდებოდა, მაშინ არ დაიშვებოდა მუხრუჭების აშვება დამუხრუჭების შემდეგ და დაუყოვნებლივ უნდა გატარებულიყო ყველა ღონისძიება მატარებლის გასაჩერებლად. კონკრეტულ შემთხვევაში საქმეზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მემანქანების მიერ პირველივე დამუხრუჭებისას სათანადო ეფექტი ვერ იქნა მიღებული, კერძოდ, 10კმ/სთ სიჩქარის შემცირებას 20-30 წამის ნაცვლად დასჭირდა 57,6 წამი, ამიტომ მოსარჩელებს უნდა მიეღოთ ყველა საჭირო ღონისძიება მატარებლის გასაჩერებლად, მათ კი დამუხრუჭების არაეფექტიანობის პირობებში განაგრძეს სვლა, სამუხრუჭე სისტემიდან ატმოსფერული წნევის უყარათო ხარჯვის შედეგად მუხრუჭების მაგისტრალში ჩატოვებს ინსტრუქციით დადგენილზე ნაკლები ატმოსფერული წნევა, რითაც დაარღვიეს „საქართველოს რკინიგზაზე ექსპლუატაციისას მატარებლების მუხრუჭებით უზრუნველყოფის შესახებ“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის 2001 წლის 22 აგვისტოს №132/6 ბრძანების მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ხაშური-ხესტაფონის მიმართულებით მატარებლის მსვლელობისას მუხრუჭების მაგისტრალში წნევა უნდა ყოფილიყო 6,2კგ/კვადრატულ სანტიმეტრზე. მართალია, მატარებლის კომისიური შემოწმების შედეგად დადგენილი იყო, რომ 10 ვაგონზე გაუმართავი იყო მუხრუჭები და სამუხრუჭე სისტემა ვერ უზრუნველყოფდა მუხრუჭების შეყოვნებას, მაგრამ ის გარემოება, რომ სავაგონო დეპოს მუშაკმა ვერ გამოავლინა ცალკეულ ვაგონებზე სამუხრუჭე სისტემის გაუმართაობა, არ იყო მატარებლის დამჭერ ჩიხში გასვლის მიზეზი. შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის 2001 წლის 22 აგვისტოს №132/6 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, სატვირთო მატარებლის წონის ყოველ 100 ტონაზე საჭირო იყო 33 ტონა უმცირესი სამუხრუჭე დაწოლა. მოცემულ შემთხვევაში 2858 ტონა მატარებელს სჭირდებოდა 943 ტონა სამუხრუჭე დაწოლა, რათა მომხდარიყო შემადგენლობის დროული დამუხრუჭება. ამავე ბრძანების მე-2 თავის მე-8 პუნქტის მიხედვით, თითოეულ ღერძზე საანგარიშო სამუხრუჭე დაწოლად მიჩნეული იყო 8,5 ტონა. მატარებელი შეადგენდა 152 ღერძს, რომელსაც ტექნიკურად გაუმართავი 10 ვაგონის ღერძთა რაოდენობის გამოკლებით დარჩებოდა 112 ტექნიკურად გამართული ღერძი. აღნიშნული 112 ღერძის სამუხრუჭე დაწოლა იქნებოდა 952 ტონა, რაც მოწმობდა იმას, რომ მატარებლის გაქცევა და დამჭერ გვირაბში შესვლა გამოიწვია არა ვაგონებზე მუხრუჭების არაეფექტურობამ, არამედ მემანქანების მიერ შემადგენლობის არასწორმა მართვამ. საქმეზე დანიშნულ ექსპერტიზას აღნიშნულ საკითხებზე პასუხი გაცემული არ ჰქონდა, რის გამოც შპს „საქართველოს რკინიგზამ“ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოითხოვა დამატებითი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა, თუმცა სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ აპელანტს შუამდგომლობა უნდა დაეყენებინა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვის სტადიაზე და იგი ხელს შეუშლიდა სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულ განხილვას. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული უარი უსაფუძვლო იყო, ვინაიდან შპს „საქართველოს რკინიგზა“, რომელიც ამავე სასამართლომ ჩააბა საქმეში როგორც სათანადო მოპასუხე, პირველი ინსტანციის სასამართლოში დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობას ვერ დააყენებდა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელები გ. აგიაშვილი და ჯ. გუდაძე, რომლებიც მუშაობდნენ შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში და 2001 წლის 5 მარტს მართავდნენ ბენზინითა და ნავთით დატვირთულ მატარებლის

შემაღვენლობას, იძულებული იყვნენ, შეეყვანათ მატარებელი წიფის დამჭერ ჩიხში სამუხრუჭე სისტემის არაეფექტური მოქმედების გამო; 2001 წლის 5 მარტს შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მიერ შედგა წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის აქტები, სადაც მიეთითა, რომ არ მუხრუჭებოდა შემაღვენლობის 15 ვაგონი, რამაც განაპირობა შემაღვენლობის წიფის დამჭერ ჩიხში შესვლა; შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ აღნიშნულ ფაქტზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოცემული 2004 წლის 26 მარტის ბრძანების თანახმად, მატარებლის შემაღვენლობის სხვადასხვა ადგილას განლაგებული 15 ვაგონი არ მუხრუჭებოდა, 4 ვაგონზე მუხრუჭები არ მოქმედებდა, ხოლო 6 ვაგონზე სამუხრუჭე სისტემა ვერ უზრუნველყოფდა მუხრუჭების 10-წუთიან შეყენებას; ასევე დადგენილია, რომ ხაშურის სადგურიდან შემაღვენლობის გამოსვლამდე ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის ვაგონის გამსინჯველის მიერ გაცემული იყო ცნობა მუხრუჭების გამართულობის შესახებ; მომხდარი საწარმოო ტრავმის შედეგად გ. აგიაშვილმა და ჯ. გუდაძემ დაკარგეს შრომის უნარი 80%-ით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მომხდარი საწარმოო შემთხვევის დადგომაში შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბრალის არსებობის შესახებ. ის გარემოება, რომ ფეთქებადსაშიში ნივთიერებებით დატვირთული მატარებლის შემაღვენლობა ვაგონების გამსინჯველმა სადგურიდან გაუშვა გაუმართავი სამუხრუჭე სისტემით, ხოლო მემანქანეები ინფორმირებული იყვნენ მუხრუჭების სრული გამართულობის შესახებ, უდავოდ ადასტურებს საწარმოს ბრალეულობას. საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მატარებლის შემაღვენლობის სამუხრუჭე სისტემის გაუმართაობასა და მომხდარ საწარმოო შემთხვევას შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ, რაც დადასტურებულია თავად მოპასუხის მიერ შედგენილი უბედური შემთხვევის აქტებით და მომხდარი შემთხვევის თაობაზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოცემული ბრძანებით.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელების მიერ მატარებლის დამუხრუჭების წესების ზედმიწევნით დაცვის შემთხვევაში გამოირიცხებოდა საწარმოო შემთხვევა და, შესაბამისად, არ არსებობს შპს „საქართველოს რკინიგზის“ პასუხისმგებლობის საფუძველი. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მე-3 მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ყოველთვიური სარჩოს გადახდით ზიანი უნდა აუნაზღაუროს დამქირავებელმა ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში. ამავე ბრძანებულების მე-6 მუხლის თანახმად, თუ დაზარალებულის გაუფრთხილებლობამ ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას, ზიანის ანაზღაურება შეიძლება შემცირდეს დაზარალებულის ბრალის ხარისხის შესაბამისად. ამდენად, ზიანის დადგომაში საწარმოს ბრალის არსებობა უკვე წარმოადგენს საწარმოს პასუხისმგებლობის საფუძველს, ხოლო თუკი საწარმოს ბრალის არსებობასთან ერთად დადასტურდება დაზარალებულის გაუფრთხილებელი მოქმედებაც, აღნიშნული იქნება შერეული პასუხისმგებლობის საფუძველი, რაც გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების შემცირებას და არა საწარმოს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. სწორედ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საწარმოო შემთხვევის დადგომაში მოსარჩელებსაც მიუძღოდათ ბრალი, რასაც სადავოდ არ ზდიდნენ მოსარჩელები, სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურება შეამცირა 50%-ით. შესაბამისად, გამოირიცხება საქმეზე დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია ორივე მხარის შერეული ბრალის არსებობა შემთხვევის დადგომაში და უსაფუძვლოა კასატორის მითითება საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასრულყოფილი გამოკვლევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მოსარჩელებისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

№ ას-1006-1254-05 27 სექტემბერი, 2005 წ. ქთბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ახალაძე,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი – სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2005 წლის 17 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ირაკლი ცივაძემ მოპასუხე შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის“ წინააღმდეგ ამავე საწარმოს დირექტორის ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

იგი თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებს, რომ 1996 წლის 5 ივნისიდან მუშაობდა ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში სხვადასხვა თანამდებობაზე. განთავისუფლებამდე სამი თვით ადრე დაინიშნა მთავარ ინჟინრად. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი დათხოვნა სამსახურიდან მოხდა შრომის კანონთა კოდექსის უხეში დარღვევით. კერძოდ, მისი სამუშაოდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად ადმინისტრაციას მითითებული აქვს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციის მხრიდან შრომის ხელშეკრულების მოშლას პროფკავშირების თანხმობის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობას ასეთი თანხმობა არ გააჩნია. მოსარჩელე ასევე მიიჩნევს, რომ მოპასუხემ მისი დათხოვნის შემთხვევაში უგულვებელყო შრომის კანონთა კოდექსის 42²-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის (რაც მისი სამუშაოდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად არის მიჩნეული) დროს საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ან სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ერთი თვით ადრე მაინც აცნობოს შრომითი მოწყობის ორგანოს მუშაკთა მასობრივი გათავისუფლების შესახებ მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით. რაც ნავსადგურის ადმინისტრაციის მიერ არ იქნა შესრულებული. მოსარჩელეს აზრით, საწარმოს რეორგანიზაციის პროცესი წარმართა კანონმდებლობის უხეში დარღვევით. შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში“ რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო ნავსადგურის ადმინისტრაციის 2004 წლის 22 ოქტომბრის №513ა ბრძანების საფუძველზე და დღემდე არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რა

სტრუქტურული ერთეულების ცვლილება უნდა განხორციელდეს ნავსადგურში და რა ოდენობით უნდა შემცირდეს მუშაკთა რიცხოვნება და შტატიები. ამასთან, გაურკვეველია, თუ რა ვადით გამოცხადდა საწარმოში რეორგანიზაცია მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მისი მთავარ ინჟინრად დაწინაურება განხორციელდა რეორგანიზაციის პროცესის დაწყებამდე სამი დღით ადრე, 2004 წლის 18 ოქტომბერს, ხოლო სამი თვის შემდეგ შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის“ 2005 წლის 4 თებერვლის №22/კ ბრძანებით გაუქმდა მთავარი ინჟინრის შტატი და იგი დაექვემდებარა სამუშაოდან გათავისუფლებას, მიუხედავად ნავსადგურში მუშაობის მრავალწლიანი სტაჟისა და კვალიფიკაციისა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე მოითხოვს შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 207-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის“ 2005 წლის 9 მარტის №20/კ ბრძანების გაუქმება და ადმინისტრაციის დავალებულიება მთავარი ინჟინრის შტატის აღდგენის თაობაზე, აგრეთვე მისი ამ თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან.

მოპასუხე შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის“ ხელმძღვანელმა სარჩელი არ სცნო და თავის შეპასუხებაში განმარტა, რომ მოსარჩელე ი. ცივაძის სამუშაოდან გათავისუფლება მოხდა კანონის დაცვით. კერძოდ, არ დარღვეულა შრომის კანონთა კოდექსის 42-ე მუხლის მეორე ნაწილი, რადგან საწარმოდან მუშაკები მასობრივად არ დაუთხოვიათ, ხოლო დასაქმების სახელმწიფო სამსახურს ეცნობა მუშაკის გათავისუფლების შესახებ კანონით დადგენილ 15 დღიან ვადაში. ამასთან, მიაჩნია, რომ არ დარღვეულა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან თავის დროზე თანხმობის მისაღებად მიმართეს ნავსადგურის პროფკავშირებს, რომელმაც გამოიჩინა ტენდენციურობა, მოიმიზეზა ი. ცივაძის ავადმყოფობა და საკითხი არ განიხილა დროულად. რის გამოც, მათ მიმართეს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის და თევზის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების კონფერენციას, რომელთანაც ნავსადგურის პროფკავშირი უწყებრივ დამოკიდებულებაშია და მიიღეს დადებით პასუხი ი. ცივაძის გათავისუფლების კანონიერების შესახებ, რის შემდეგაც გამოსცეს შესაბამისი ბრძანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ მათი მხრიდან კანონის ეს მოთხოვნაც არ დარღვეულა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ი. ცივაძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის“ დირექტორის 2005 წლის 9 მარტის ბრძანება ირაკლი ცივაძის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ და იგი აღდგენილ იქნა შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში“ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. მასვე აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური 2005 წლის 9 მარტიდან დღემდე მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. სარჩელს ეთქვა უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურმა“ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და სარჩელზე უარის თქმა. ი. ცივაძემ კი მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება განაცდურის ანაზღაურების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ 2005 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის“ სააპელაციო საჩივარი, დაკმაყოფილდა ი. ცივაძის სააპელაციო საჩივარი შეიცვალა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 აპრილის გასაჩივრებული გადაწყვეტილება განაცდურის ანაზღაურების ნაწილში. ი. ცივაძეს აუნაზღაურდა განაცდური 2005 წლის 9 მარტიდან სამუშაოზე აღდგენამდე, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა ი. ცივაძის სამსახურიდან განთავისუფლებისას არ დაიცვა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, მისი განთავისუფლება შეთანხმებული არ ყოფილა შესაბამის პროფკავშირებთან. ამავდროულად სასამართლომ მიიჩნია, რომ განაცდურის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო დათხოვნის დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა სააპელაციო გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა“ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ სასამართლომ პროფკავშირის გამგეობის სხდომაზე საკითხის განხილვა გააიგივა მუშაკის იმავდროულ განთავისუფლებასთან. კასატორის აზრით, პალატამ არ იმსჯელა პროფკავშირის უკანონო ქმედებაზე, რითაც შეილახა ნავსადგურის ადმინისტრაციის უფლებები და ინტერესები. კასატორი მიიჩნევს,

რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს და შესაბამისად პალატის გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, რაც გამოიხატა იმაში, რომ სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე აღდგენაზე ხოლო ი.ცივაძემ აღადგინეს არა მხოლოდ იმ თანამდებობაზე, რომელიც ეკავა მოსარჩელეს, არამედ მთელი განყოფილება, რომლის უფროსადაც მუშაობდა იგი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ი. ცივაძე მუშაობდა შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურში“ 1996 წლიდან სხვადასხვა თანამდებობებზე. 2004 წლის 18 ოქტომბრიდან განთავისუფლებამდე იგი მუშაობდა მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. აღნიშნული თანამდებობიდან განთავისუფლდა 2005 წლის 9 მარტის ბრძანებით საწარმოს რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის აზრს იმის თაობაზე, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა პროფკავშირის უკანონო ქმედებაზე. რადგან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს პროფკავშირის უკანონო ქმედება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხზე უფლება არ ჰქონდა ემსჯელა სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციას. ამ მოსაზრებას იზიარებს საკასაციო სასამართლოც, ხოლო იმ ორგანიზაციის პროფკავშირის, სადაც ი. ცივაძე მსახურობდა მის განთავისუფლებაზე თანხმობა არ განუცხადებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ ი.ცივაძე სამსახურიდან განთავისუფლდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა მთავარი ინჟინრის შტატის აღდგენის თაობაზე ამავე გადაწყვეტილებით კი ი.ცივაძე აღდგენილი იქნა მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი დარჩა უცვლელი პალატა მიიჩნევს რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელია რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ასეთ შემთხვევაში უნდა გაუქმდეს გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილშიც, რადგან განაცდურის ოდენობის ანაზღაურება კასატორს დაევა ი.ცივაძის სამსახურში აღდგენამდე. ასეთი სახის გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ შესაძლოა მიღებულ იქნეს, როდესაც ზემოთ მითითებული წინააღმდეგობის აღმოფხვრის შემდეგ შესაძლებელი იქნება ი.ცივაძის სამსახურში აღდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეძლება აუნაზღაურდეს განაცდური მისი განთავისუფლების უკანონოდ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მომენტამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში“ მთავარი ინჟინრის შტატი და იმსჯელოს ი.ცივაძის აღნიშნულ თანამდებობაზე აღდგენის მიზანშეწონილობაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების სააპელაციო პალატის 2005 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხელფასის ანაზღაურება

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ ას-945-1206-05

4 ოქტომბერი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**
შემაღვენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ახალაძე,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი – გასასვლელი დახმარებისა და საშუალო ხელფასის ანაზღაურება იმავე სასამართლოში

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 1 ივლისს საქართველოს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციასა და გ. ნაცვლიშვილს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა ყოველი სამუშაო დღისათვის 45 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2001 წლის 1 ივლისიდან 2004 წლის 31 აგვისტომდე.

2004 წლის 1 ივლისს გ. ნაცვლიშვილს ეცნობა, რომ ფინანსურ განყოფილებაში დაგეგმილი ძირეული რეორგანიზაციის გამო მასთან შრომითი ხელშეკრულება არ გაგრძელდებოდა. 2004 წლის 1 სექტემბრიდან იგი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2004 წლის 18 ოქტომბერს გ. ნაცვლიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის საფუძველზე მიეცათ გასასვლელი დახმარება და ორი თვის საშუალო ხელფასი, სულ – 2970 აშშ დოლარი.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ნაცვლიშვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა სამი თვის საშუალო ხელფასის გათვალისწინებით საკომპენსაციო თანხა – 2316,60 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი და ადვოკატის მომსახურების ხარჯები – 92,60 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველი და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, აპელანტის აზრით, გ. ნაცვლიშვილი განთავისუფლდა სამსახურიდან არა რეორგანიზაციის საფუძველზე, არამედ კონტრაქტის ვადის გასვლის გამო და შესაბამისად მის მიმართ არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ 2005 წლის 23 მაისის განჩინებით თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნაცვლიშვილი სამსახურიდან განთავისუფლდა რეორგანიზაციის გამო. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ დააფუძნა იმ გარემოებებზე, რომ 2004 წლის პირველ ივლისს გ. ნაცვლიშვილი გაფრთხილდა განყოფილებაში დაგეგმილი რეორგანიზაციის თაობაზე და ამასთან მის შრომის წიგნაკში განთავისუფლების საფუძველად მითითებულია რეორგანიზაცია.

სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა გ. ნაცვლიშვილის განთავისუფლების საფუძველს და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კასატორის აზრით, გ. ნაცვლიშვილთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა არა შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის, არამედ 30-ე მუხლის საფუძველზე, ამიტომ სასამართლოს მითითებული 42³ მუხლის ნაცვლად უნდა გამოეყენებინა 30-ე მუხლი.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ნაცვლიშვილი სამსახურიდან დათხოვნილ იქნა რეორგანიზაციის გამო. მოცემულ შემთხვევაში პალატა არ უთითებს შრომის კანონთა კოდექსის იმ ნორმას, რომლის საფუძველზეც მოხდა გ. ნაცვლიშვილის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის შესაბამისად რეორგანიზაციის გამო შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება 34-ე მუხლის საფუძველზე. როგორც ამ ნორმის შინაარსიდან ირკვევა, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია ვადამდე მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის ან მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო. აღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, რეორგანიზაციის დროს შესაძლებელია მოქმედი შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში კი გ. ნაცვლიშვილის ხელშეკრულების ვადა ამოწურული იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე ფაქტობრივი გარემოება არასწორადაა დადგენილი, ასევე არასწორადაა შეფასებული მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნული გარემოება კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა გამოკვლევა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს გ. ნაცვლიშვილის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 23 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინება

№ას-1004-1256-05

12 ოქტომბერი, 2005 წ. ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი – სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ჯ. ისრაელიანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანის“ მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1977 წლიდან მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში საქვაბე-სატურბინე საამქროს მემანქანედ. 2003 წლის 1 მარტს ადმინისტრაციამ მოსთხოვა დაეწერა განცხადება სხვა სამუშაოზე გადასვლის თაობაზე, რაზედაც მან უარი განაცხადა, რის შემდეგაც იგი გაათავისუფლეს სამუშაოდან. გათავისუფლების მიზეზად ადმინისტრაციამ დაასახელა ქარხნის რეორგანიზაცია, მაგრამ სინამდვილეში რეორგანიზაცია არ ჩატარებულა და დანარჩენი მუშაკები ჩვეულებრივად განაგრძობდნენ მუშაობას. ბრძანება გათავისუფლების შესახებ, ჯ.ისრაელიანს 2004 წლის 24 ოქტომბრამდე არ მიუღია, რის გამოც დროულად ვერ მიმართა სასამართლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა გაშვებული ვადის საპატიოდ ჩათვლა და სამუშაოზე აღდგენა, ხოლო სასამართლო სხდომაზე გაზარდა დავის საგანი და მოითხოვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაც.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს სარჩელის შეტანის ვადა, რადგან მას დროულად ჩაბარდა შრომის წიგნაკი და ბრძანება გათავისუფლების შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ.ისრაელიანმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება შეიცვალა და ჯ.ისრაელიანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის“ ადმინისტრაციის მიერ 2002 წლის 12 დეკემბერს გამოცემულ იქნა ბრძანება №28 „საწარმოს სამტატო განრიგში ცვლილებების შეტანის და შრომის პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ“, რომლის საფუძველზეც მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი გადაყვანილ იქნა დამხმარე მუშის თანამდებობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წლის 16 დეკემბერს №49 შეტყობინებით ქარხნის ადმინისტრაციამ მოსალოდნელი შრომის პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ შეატყობინა ჯ.ისრაელიანს და განუმარტა, რომ მას სთავაზობენ დამხმარე მუშის თანამდებობაზე გადასვლას თვეში 23 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურებით და თუ იგი თანახმა იქნებოდა შეთავაზებულ პირობებზე, 2003 წლის 20 თებერვლამდე წერილობითი განცხადებით უნდა დაედასტურებინა თავისი თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში 2003 წლის 1 მარტიდან უქმდებოდა მისი სამუშაო ადგილი და იგი გათავისუფლდებოდა დაკავებული თანამდებობიდან. ვინაიდან მოსარჩელემ თანხმობა არ განაცხადა სხვა სამუშაოზე გადასვლის შესახებ, ადმინისტრაციის 2003 წლის 28 თებერვლის ბრძანებით ჯ.ისრაელიანი, რომელიც მუშაობდა თბოელექტროცენტრალის საქვაბე-სატურბინე საამქროს მემანქანედ, 2003 წლის 1 მარტიდან, შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მიეცა გასასვლელი დახმარება ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბრძანება სამუშაოდან დათხოვნის შესახებ უკანონოა, რადგან შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შრომის არსებითი პირობების შეცვლისას სხვა სამუშაოზე გადაყვანა იმავე საწარმოში დასაშვებია მხოლოდ მუშის თუ მოსამსახურის თანხმობით. ამავე მუხლის მეხამე ნაწილის მიხედვით, შრომის არსებითი პირობების შეცვლისა და სხვათა შესახებ მუშაკებს უნდა აცნობონ არა უგვიანეს ერთი თვისა. მოცემულ შემთხვევაში კანონის ეს ნორმა არ დარღვეულა, იგი მხარეს სადავო არ გაუხდია. ამასთან, შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია საწარმოო აუცილებლობის ან სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო სხვა სამუშაოზე გადაყვანისას მუშაკის უარი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ გაუშვა კანონით დადგენილი ერთოვიანი ვადა და მისი მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელეს გათავისუფლების შესახებ ბრძანება ჩაბარდა თავის დროზე სასამართლოს არ მოეპოვება. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, რომ აპელანტის მიერ ბრძანების მიღების ფაქტი დასტურდება მათ მიერ პროფკავშირიდან გამოთხოვილი ჯ.ისრაელიანის განცხადებით, რომელსაც თან ერთვის გასაჩივრებული ბრძანების ასლი. მოსარჩელე უარყოფს სადავო ბრძანების მიღების ფაქტს, ხოლო განცხადების შინაარსიდან არ დასტურდება, რომ მას თან ერთვის გათავისუფლების შესახებ ბრძანება. უფრო მეტიც, პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანებიდან 2004 წლის 13 აგვისტოს ჯ.ისრაელიანისადმი ხსენებულ განცხადებაზე გაგზავნილ №48 პასუხში მითითებულია: „გაერთიანებაში შემოსულ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან წარმოდგენილი მასალებით თქვენი სამუშაოდან დათხოვნის საკითხი სადავოა.“ ამდენად, აღნიშნული დოკუმენტით დგინდება, რომ ბრძანების ასლი პროფკავშირებში თვით ქარხნის ადმინისტრაციის მიერ იქნა წარდგენილი და ის ფაქტი, რომ იგი აპელანტმა დაურთო თავის განცხადებას, არ დასტურდება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად უთხრა უარი აპელანტს სამუშაოზე აღდგენაზე უსაფუძვლობის მოტივით, მაგრამ პალატამ არ გაიზიარა უარის თქმა ხანდაზმულობის მოტივით და მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ.ისრაელიანმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ არ მისცა მას საშუალება, გასცნობოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სხდომაზე წარმოდგენილ ახალ მტკიცებულებებს, რითაც გამოავლინა განსახილველი საქმისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება.

ჯ.ისრაელიანს მიაჩნია, რომ 2005 წლის 31 მაისს სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეღო სასამართლო სხდომა და მიეცა მისთვის საშუალება გასცნობოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ახალ მტკიცებულებას იმისათვის, რომ მას გამოეთხოვა საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რითაც ჯ.ისრაელიანი შეძლებდა თავის უფლებების დაცვას.

საკასაციო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე და 30-ე მუხლები, კერძოდ, გვერდი აუარა იმ ფაქტს, რომ საწარმოში რეალურად რეორგანიზაცია არ მომხდარა და იგი გათავისუფლებულ იქნა არაკანონიერად.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის დარღვევის თაობაზე. აღნიშნული ნორმა არეგულირებს სასამართლოს მიერ მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვის წესს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარმოადგინა 2003 წლის 28 თებერვლის №12 კ ბრძანება ისრაელიანისა და სხვა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე. აღნიშნული ბრძანების ასლი ასევე ერთვის სარჩელს. ამდენად, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ ახალ მტკიცებულებად, რომლის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის საფუძველზე საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადადებულიყო.

პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას შრომის კანონთა კოდექსის 26-ე და 30-ე მუხლებთან დაკავშირებით. პალატა თვლის, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სასამართლომ სწორად გამოიყენა მითითებული ნორმა. კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლი არეგულირებს მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანის წესს, ხოლო ამავე კოდექსის 30-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით, შრომის კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველია საწარმოო აუცილებლობის ან, სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო, სხვა სამუშაოზე გადაყვანისას მუშაკის უარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დარღვევით). მოცემულ შემთხვევაში მხარეს დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დავას მისცა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლი და 30-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ჯ. ისრაელიანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხელფასის ანაზღაურება

განჩინება

№ ას-728-1012-05

20 ოქტომბერი, 2005 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2003 წლის 17 ივლისს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს გ. ქიმუცაძემ, კ. თოდუამ, დ. დევიძემ, ე. ავგაროზაშვილი-ალფაიძემ, ჯ. რეხვიაშვილმა, ე. მარიამიძემ, თ. თოფურამ მოპასუხე შპს „დღის“ მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხისათვის მიუღებელი სახელფასო დავალიანებისა და ჰონორარის თანხების ანაზღაურების დაკისრება შემდეგი ოდენობით: გ. ქიმუცაძეს – 1082 ლარი, კ. თოდუას – 577 ლარი, დ. დევიძეს – 1200 ლარი, ე. ავგაროზაშვილი-ალფაიძეს – 350 ლარი, ჯ. რეხვიაშვილის – 1420 ლარი, ე. მარიამიძეს – 535 ლარი, თ. თოფურას – 1200 ლარი. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მუშაობდნენ შპს „დღის“ მიერ დაფუძნებულ გაზეთ „ხვალინდელ დღეში“ ყურნალისტებად, გარდა ე. მარიამიძისა, რომელიც მუშაობდა ოპერატორად და ჯ. რეხვიაშვილისა, რომელიც მუშაობდა მთავარი რედაქტორის მოადგილედ. ისინი აღნიშნულ გაზეთში აქვეყნებდნენ სტატიებს იღებდნენ ხელფასსა და ჰონორარს. 2002 წლის სექტემბრიდან მოპასუხემ შეუწყვიტა ხელფასების გაცემა. ამ პერიოდიდან მოსარჩელე გ. ქიმუცაძე უხელფასოდ მუშაობდა 2002 წლის ნოემბრამდე და 2003 წლის მაისში, კ. თოდუა – 2002 წლის 1 დეკემბრამდე, დ. დევიძე – 2002 წლის ნოემბრის ჩათვლით და 2003 წლის მაისში, ე. ავგაროზაშვილი-ალფაიძე – 2002 წლის სექტემბერში, ჯ. რეხვიაშვილი – 2002 წლის 31 დეკემბრამდე და 2003 წლის მაის-ივნისში, ე.

მარიამიძე – 2002 წლის ნოემბრის ჩათვლით, თ. თოფურია – 2002 წლის ნოემბრის ჩათვლით, 2003 წლის მაისის ნახევარში. ამასთან, ე. ავგაროზაშვილი-ალფაიძის დავალიანების თანხაში შედიოდა 50 ლარი სტატიის გამოქვეყნებისათვის, დ. დევიდის დავალიანებაში – ჰონორარი 50 ლარი, თ. თოფურიას დავალიანების თანხაში – შვებულების თანხა და ჰონორარი 100 ლარი, გ. ქიმუცაძის დავალიანების თანხაში – ჰონორარი 150 ლარი. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ მოპასუხე არღვევდა მათ სოციალურ და შრომით უფლებებს და ითხოვდნენ სარჩელის დაკმაყოფილებას. მოსარჩელები ასევე მიუთითებდნენ, რომ მათ შპს „დღესთან“ წერილობითი შრომის ხელშეკრულებები გაფორმებული არ ჰქონიათ, თუმცა 2002 წლის სექტემბრის ნახევარამდე და 2003 წლის იანვარ-მარტის თვეების ხელფასი აღებული ჰქონდათ უწყისზე ხელმოწერით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მოსარჩელები არ ყოფილან გაზეთის თანამშრომლები.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ხვალინდელ დღეს“ დაეკისრა შემდეგი თანხების გადახდა: კ. თოდუას სასარგებლოდ 577 ლარი, დ. დევიდის სასარგებლოდ – 1200 ლარის, ე. მარიამიძის სასარგებლოდ – 535 ლარის, ე. ავგაროზაშვილი-ალფაიძის სასარგებლოდ – 350 ლარის, თ. თოფურიას სასარგებლოდ – 1200 ლარის, გ. ქიმუცაძის სასარგებლოდ – 1082 ლარის, ჯ. რეხვიაშვილის სასარგებლოდ – 1420 ლარი. რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ მოპასუხის მიერ გამოცემულ გაზეთ „ხვალინდელ დღეში“. მართალია, მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა, მაგრამ შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად შრომის ხელშეკრულება დადებული ითვლებოდა მაშინაც, როცა ბრძანება ან განკარგულება არ იყო გამოცემული, მაგრამ მუშაკი ფაქტობრივად დაშვებული იყო სამუშაოდ იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების უფლება ჰქონდა. მოსარჩელეთა მუშაობის ფაქტს შპს „დღეს“ მიერ გამოცემულ გაზეთ „ხვალინდელ დღეში“ ადასტურებდა მოპასუხის მიერ გაცემული კორესპონდენტის საბუთები, გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები და გაზეთის ნომრებზე მთავარი რედაქტორის მოადგილის ვინაობის აღნიშვნა, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე უარს აცხადებდა გაზეთ „ხვალინდელ დღეში“ მოსარჩელეთა მუშაობაზე. რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელებს ათავისუფლებდა სახელფასო უწყისების სასამართლოში მტკიცებულების სახით წარმოდგენის ტვირთისაგან, ვინაიდან მიუხედავად სასამართლოს დავალებისა, აღნიშნული უწყისები მოპასუხე მხარეს არ წარმოდგენია, ხოლო წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელები უდავოდ მუშაობდნენ მოპასუხესთან.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „დღემ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტი მიუთითებდა, რომ გადაწყვეტილებით თანხის ანაზღაურება დაეკისრა შპს „ხვალინდელ დღეს“, მაშინ როდესაც მოპასუხე იყო შპს „დღე“. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია გაზეთ „ხვალინდელ დღეში“ მოსარჩელების მუშაობის ფაქტი, რადგან მათ ჰქონდათ ჟურნალისტის მოწმობები, ამ გაზეთში გამოქვეყნებული იყო მათი სტატიები და მოწმებმაც დაადასტურეს მოსარჩელეთა მუშაობის ფაქტი, სინამდვილეში კი მოწმეთა ჩვენებები ვერ ადასტურებდა ამ ფაქტს. აპელანტი ასევე მიუთითებდა, რომ მათ სასამართლოში წარადგინეს სახელფასო უწყისები, მაგრამ სასამართლომ არ მიიღო, რადგან მათში მოსარჩელები არ ფიგურირებდნენ, ხოლო უწყისები, რომლებშიც მოსარჩელებიც იქნებოდნენ, უბრალოდ არ არსებობდა, რადგან მოსარჩელები არ ყოფილან გაზეთის თანამშრომლები, ისინი მხოლოდ თანამშრომლობდნენ გაზეთთან და ყოველი სტატიისათვის იღებდნენ ჰონორარს. აღნიშნული კი გამორიცხავდა შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის გამოყენებას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შპს „დღეს“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იზიარებდა რაიონული სასამართლოს მიერ შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებას, მაგრამ განმარტავდა, რომ შრომის კონტრაქტი იყო შეთანხმება ორგანიზაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე კისრულობდა გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულებას, ხოლო მეორე მხარე – მუშაკისათვის იმ ოდენობით ხელფასის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც შრომის ხელშეკრულებით

იყო გათვალისწინებული, შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად. მართალია, შეიძლება, რომ შრომის კონტრაქტის არსებობის გარეშე მუშაკი ფაქტიურად ყოფილიყო დაშვებული სამუშაოზე, მაგრამ დავის არსებობისას სასამართლო ვერ დაეყრდნობოდა მხოლოდ მხარის განმარტებას ხელფასის ანაზღაურებისა და მისი ოდენობის შესახებ. შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება დადგენილი იყო შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით, შრომის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით. თუ ადმინისტრაცია ჩათვლიდა საჭიროდ, შეიძლება გამოყენებულიყო სატარიფო სისტემა. რა სახის შეთანხმება არსებობდა მხარეთა შორის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ, სასამართლოსათვის უცნობი იყო. მოსარჩელემ ვერ წარადგინა შრომის კონტრაქტი, მოპასუხის მიერ წარმოდგენილ უწყისებებში მოსარჩელეთა გვარები არ იყო მითითებული. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სახელფასო დავალიანება და მისი ოდენობა იყო ის გარემოება, რომელიც, კანონის თანახმად, უნდა დადასტურებულიყო გარკვეული სახის მტკიცებულებებით და ვერ დადასტურდებოდა მხოლოდ მხარეთა განმარტებებითა და მოწმეთა ჩვენებებით. ამიტომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად განაწილდა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის. მოსარჩელებმა ვერ დაამტკიცეს ის გარემოება, რომ მოპასუხე ორგანიზაციას გააჩნდა მათ მიმართ რაიმე სახის დავალიანება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი, რომ ისინი წარმოდგენდნენ მოპასუხე ორგანიზაციის თანამშრომლებს შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების გარეშე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მათი ხელფასები მოპასუხის დავალიანებას არ წარმოადგენდა, რაც ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი. საქმეში წარდგენილი იყო მათ მიერ მოპასუხისათვის გაგზავნილი წერილების ასლები და საფოსტო ქვითრები, რომლებითაც მოპასუხეს სთხოვდნენ მისაღები ხელფასების დაანგარიშებას, რაზეც მოპასუხემ პასუხი არ გასცა. ამიტომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეს მოსთხოვა მოსარჩელეთა სახელფასო უწყისების წარმოდგენა, რაც მოპასუხემ არ შეასრულა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელებს დააკისრა მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება, რათა განესაზღვრა ხელფასის ოდენობა, ისე, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მოუთხოვია მოპასუხე მხარისათვის. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლი, რომლის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელები გაათავისუფლა სახელფასო უწყისების წარდგენის ვალდებულებისაგან. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილ უწყისებებში მოსარჩელეთა გვარები არ იყო მითითებული, მაშინ როდესაც მოპასუხეს საოლქო სასამართლოში უწყისები არ წარუდგენია. უწყისები წარდგენილ იქნა რაიონულ სასამართლოში, მაგრამ არა იმ პერიოდის, რომელსაც მოსარჩელები ითხოვდნენ, არამედ 2004 წლის და ისიც არა ყურნალისტთა, არამედ შპს-ის თანამდებობის პირთა. კასატორთა მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელფასო დავალიანება და მისი ოდენობა კანონის თანახმად უნდა დადასტურებულიყო გარკვეული სახის მტკიცებულებებით და იგი ვერ დადასტურდებოდა მხოლოდ მხარეთა განმარტებებითა და მოწმეთა ჩვენებით. კასატორები ასევე აღნიშნავდნენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ განაწილდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მტკიცების ტვირთი არასწორად, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მოთხოვნა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად თვლის, რომ უნდა გაუქმდეს გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ყოველმხრივ და სრულად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება საქმის გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია, რომ შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შრომის ხელშეკრულების არსებობის გარეშე მუშაკი ფაქტობრივად დაშვებული ყოფილიყო სამუშაოზე, მაგრამ არ გამოარკვია, მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა თუ არა ადგილი აღნიშნულ გარემოებას თითოეულ მოსარჩელესთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ გაზეთის რიგ ნომრებზე მთავარი რედაქტორის მოადგილედ მითითებულია მოსარჩელე ჯ. რეხვიაშვილი, რიგ მოსარჩელებზე მოპასუხის მიერ გაცემულია გაზეთის კორესპონდენტობის დამადასტურებელი მოწმობა, გაზეთში გამოქვეყნებულია მოსარჩელეთა სტატიები. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯევლია, ადასტურებდა თუ არა აღნიშნული მოპასუხის მიერ სამუშაოზე მოსარჩელეთა ფაქტობრივ დაშვებას მიუხედავად წერილობითი შრომის ხელშეკრულების არსებობისა, შესაბამისად, ხომ არ დასტურდებოდა შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობა მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის, რაც შრომის კანონთა კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად საწარმოს ავალდებულებდა, ხოლო მუშაკს უფლებას აძლევდა, მოეთხოვა სათანადო ანაზღაურება სამუშაოს ოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ამდენად, საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყვნენ თუ არა მოსარჩელები წერილობითი შრომის ხელშეკრულების გარეშე დაშვებული სამუშაოზე და, შესაბამისად, რომელი მოსარჩელე – რა თანამდებობაზე. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, მოსარჩელები, რომლებიც კორესპონდენტებად მუშაობდნენ, მხოლოდ პერიოდულად თანამშრომლობდნენ გაზეთთან, თუ ითვლებოდნენ მის მუშაკებად. თუკი სამუშაოზე დაშვება დადგინდება, სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს შესაბამისი თანამდებობისათვის მოპასუხის მიერ დადგენილი სახელფასო განაკვეთი და გამოარკვიოს, აქვს თუ არა მოპასუხეს მოსარჩელეთათვის ანაზღაურებული აღნიშნული ხელფასი. სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს საშვებულებო თანხისა და პონორარის ანაზღაურების მოთხოვნების საფუძვლიანობა, დაადგინოს, თუ რომელ სტატიებზე ითხოვენ პონორარს მოსარჩელები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 412-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-395-735-05

18 ნოემბერი, 2005წ. ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: მარჩენლის დაკარგვის გამო სარჩოს დანიშვნა.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 9 იანვარს ფოთის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ხ. ნაბეშვილი მოპასუხე ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის და არასრულწლოვანი შვილებისათვის ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა. მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვდა შემდეგი საფუძვლებით: მისი მეუღლე ა. ზარქუა 1997 წლიდან მუშაობდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში დოკერ-მექანიზატორად, რა დროსაც უხდებოდა ალუმინის ოქსიდის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა. 2002 წლის 29 აგვისტოს იგი უეცრად გახდა ცუდად, შეეკრა სუნთქვა და იმავე დღესვე გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ ა. ზარქუას ექსპერიმენტული გვამიდან აღებული შინაგანი ორგანოების, კერძოდ, ფილტვების სასამართლო-ქიმიური გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა ალუმინის ოქსიდი. მარტვილის რაიონის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნით დადგინდა ა. ზარქუას სიკვდილის მიზეზი – მის ორგანიზმში ალუმინის ოქსიდის არსებობა. მოსარჩელის მითითებით, მან მიმართა ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელობას, რათა მისი შვილებისათვის კანონის შესაბამისად დაენიშნათ ყოველთვიური სარჩო მეუღლის გარდაცვალების დღიდან, მაგრამ მოპასუხე თავს არიდებდა ამ საკითხის კანონიერად გადაწყვეტას. მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებაზე.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 35-36-ე მუხლებისა და 39-ე მუხლის საფუძველზე მან მოითხოვა ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება გარდაცვლილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით და ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა. ვინაიდან ა. ზარქუას საშუალო ხელფასი შეადგენდა 331,22 ლარს, მოსარჩელემ მოითხოვა ერთჯერადი დახმარების სახით 39 746 ლარის ანაზღაურება, ასევე, მისთვის და არასრულწლოვანი შვილებისათვის მოპასუხის მიერ 2002 წლის 29 აგვისტოდან ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა 331,22 ლარის ოდენობით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით ხ. ზარქუას სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ფოთის საზღვაო ნავსადგურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა გარდაცვლილი ა. ზარქუას 10 წლის სამსახურებრივი სარგო ერთჯერადი დახმარების სახით, რაც შეადგენდა 39 746 ლარს; მოპასუხეს მოსარჩელისა და მისი შვილების – დ. და ა. ზარქუების სასარგებლოდ ასევე დაეკისრა ა. ზარქუას გარდაცვალების დღიდან, 2002 წლის 29 აგვისტოდან, ყოველთვიური სარჩოს სახით თითოეულზე 82 ლარისა და 25 თეთრის, სულ – 248,25 ლარის გადახდა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ზარქუას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, რამაც სასიკვდილო შედეგი გამოიწვია, გამოწვეული იყო ფოთის საზღვაო ნავსადგურის ბრალეულობით, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის წესებისა და ნორმების მოთხოვნათა არასათანადო შესრულებით. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციას ეკისრებოდა მუშათა და მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟის ვალდებულება უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ. მართალია, ა. ზარქუას ნავსადგურის შესაბამისი სამსახურის მიერ სამუშაოზე მიღებისას ჩაუტარდა ტექნიკური უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟი, მაგრამ არ ჩატარებია ინსტრუქტაჟი ალუმინის ოქსიდისა და ამავე კატეგორიის ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების თაობაზე. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 36-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზიანი უნდა ანაზღაურებოდეს გარდაცვლილის მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებს, რაც გარდაცვლილის ხელფასის გათვალისწინებით მთლიანობაში შეადგენდა 248.25 ლარს. სასამართლომ ასევე საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 39 746 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან ზემოაღნიშნული ბრძანებულების 39-ე მუხლის მიხედვით, შრომის მოვალეობის

შესრულებასთან დაკავშირებით მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლეოდა ერთჯერადი დახმარება გარდაცვლილის 10 წლის სამსახურებრივი სარგოს ოდენობით, რაც მოცემულ შემთხვევაში 39 746 ლარს შეადგენდა.

საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფოთის საზღვაო ნავსადგურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტი არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას ნავსადგურის ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონთა კოდექსის 143-ე მუხლის დარღვევის თაობაზე. აპელანტის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე წარდგენილ იქნა ალუმინის ოქსიდის გადატვირთვის განაწესი- დავალება, რაც ადასტურებდა, რომ ა. ზარქუას გავლილი ჰქონდა შრომის დაცვის ინსტრუქტაჟი. გარდა ამისა, არსებობდა სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ყურნალი, რომელშიც რეგისტრირებული იყო ყოველკვარტალურად მუშების მიერ ინსტრუქტაჟის გავლა. შრომის კანონთა კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, მინდობილი სამუშაოსათვის ვარგისიანობის განსაზღვრისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით მუშაკის სამედიცინო შემოწმება სავალდებულო იყო სამუშაოზე მიღების წინ, ხოლო შემდეგ – პერიოდულად. ა. ზარქუა ნავსადგურში მუშაობდა 1998 წლის 15 ივნისიდან. სამედიცინო შემოწმება გავლილი ჰქონდა 1998 წლის 20 იანვარს. 1999 წლის 3 ნოემბერს მან ასევე გაიარა სამედიცინო შემოწმება ფოთის ტუბერკულოზის დისპანსერში. 2000-2001 წლებში ნავსადგურის მუშებს ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება კარდეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებთან. ა. ზარქუას გვამის ექსპერტიზა განხორციელდა ექსპერტ ვახოკიას მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით, სასამართლოს ბრძანების გარეშე, რასაც არ დასწრებიან ნავსადგურის წარმომადგენლები.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 28 თებერვლის განჩინებით შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ა. ზარქუა, რომელიც მუშაობდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში, გარდაიცვალა 2002 წლის 29 აგვისტოს, სამსახურიდან შინ დაბრუნების შემდეგ; სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის აქტით ა. ზარქუას ექსპერტიზის გვამიდან აღებულ შინაგან ორგანოებში, კერძოდ, ფილტვებში სასამართლო-ქიმიური გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა ალუმინის ოქსიდი. ამავე აქტში მიეთითა, რომ სიკვდილის მიზეზის დასადგენად საჭირო იყო კომისიური ექსპერტიზა მთავარ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში; სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2004 წლის 20 ოქტომბრის დასკვნით, ა. ზარქუას ექსპერტიზის გვამიდან აღებულ მასალაში სასამართლო-ქიმიური გამოკვლევით ფილტვის ქსოვილში აღმოჩენილ იქნა ალუმინის ოქსიდი, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ა. ზარქუას სიკვდილის მიზეზი უნდა ყოფილიყო მოწამვლის შედეგად განვითარებული სუნთქვის ცენტრის დამბლა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რაც დასტურდებოდა მის ორგანიზმში ალუმინის ოქსიდის აღმოჩენით; ა. ზარქუას დარჩა მეუღლე ხ. ზაბეიშვილი-ზარქუა და ორი არასრულწლოვანი შვილი – ა. ზარქუა, დაბადებული 1998 წელს და დ. ზარქუა, დაბადებული 2000 წელს; ა. ზარქუას საშუალო ხელფასი შედგენდა 331,22 ლარს. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა. ზარქუას გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენდა სუნთქვის ცენტრის გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რაც გამოწვეული იყო ალუმინის ოქსიდის ფილტვებში გავლის შედეგად. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 35-36-ე მუხლების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე პირებს წარმოადგენდნენ გარდაცვლილის მეუღლე და მცირეწლოვან შვილები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უბედური შემთხვევის დადგომაში აპელანტს მიუძღოდა ბრალი, ვინაიდან, მართალია, ა. ზარქუას სამუშაოზე მიღებისას ჩაუტარდა ტექნიკური უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟი, მაგრამ არ ჩატარებია ინსტრუქტაჟი ალუმინის ოქსიდისა და იმავე კატეგორიის ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების შესახებ. რაც შეეხებოდა აპელანტის მიერ მითითებულ ე.წ. განაწეს-დავალებას, იგი ეხებოდა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მოცულობას. აპელანტი ვერ ადასტურებდა მის მიერ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების, შრომის დაცვის წესების, ნორმების მოთხოვნათა შესრულებას.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურმა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა. საქმის მასალებში წარდგენილი იყო ალუმინის ოქსიდის გადატვირთვის განაწესი-დავალება, რაც ადასტურებდა, რომ ა. ზარქუას გავლილი ჰქონდა შრომის დაცვის ინსტრუქტაჟი. გარდა ამისა, არსებობდა სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალი, რომელშიც რეგისტრირებული იყო ყოველკვარტალურად მუშების მიერ ინსტრუქტაჟის გავლა. შრომის კანონთა კოდექსის 151-ე მუხლით, მინდობილი სამუშაოსათვის ვარგისიანობის განსაზღვრისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით მუშაკთა სამედიცინო შემოწმება სავალდებულო იყო სამუშაოზე მიღების წინ, ხოლო შემდეგ – პერიოდულად. ა. ზარქუა ნავსადგურში მუშაობდა 1998 წლის 15 ივნისიდან. მან გაიარა სამედიცინო შემოწმება ჯერ 1998 წლის 20 იანვარს, შემდეგ – 1999 წლის 3 ნოემბერს – ფოთის ტუბერკულოზის დისპანსერში. 2000-2001 წლებში ნავსადგურის მუშებს ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება კარდოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებთან. ა. ზარქუას გვამის ექსპერტიზა განხორციელდა ექსპერტ გახოკიას მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით, სასამართლოს ბრძანების გარეშე, რასაც არ დასწრებიან ნავსადგურის წარმომადგენლები.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი შემდეგი გარემოებები: ა. ზარქუა მუშაობდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში, სადაც უხდებოდა ალუმინის ოქსიდის გადმოტვირთვა; იგი მოულოდნელად გარდაიცვალა 2002 წლის 29 აგვისტოს, სამსახურიდან შინ დაბრუნების შემდეგ; სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის აქტის თანახმად, ა. ზარქუას ექსპერტიზებული გვამიდან აღებულ შინაგან ორგანოებში, ფილტვებში, სასამართლო-ქიმიური გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა ალუმინის ოქსიდი. ამავე აქტში მიეთითა, რომ სიკვდილის მიზეზის დასადგენად საჭირო იყო კომისიური ექსპერტიზა მთავარ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში; სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2004 წლის 20 ოქტომბრის დასკვნით, ა. ზარქუას ექსპერტიზებული გვამიდან აღებულ მასალაში სასამართლო-ქიმიური გამოკვლევით ფილტვის ქსოვილში აღმოჩნდა ალუმინის ოქსიდი; იმავე დასკვნით, ა. ზარქუას სიკვდილის მიზეზი უნდა ყოფილიყო მოწამვლის შედეგად განვითარებული სუნთქვის ცენტრის დამბლა და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რაც დასტურდებოდა მის ორგანიზმში ალუმინის ოქსიდის აღმოჩენით.

შრომის კანონთა კოდექსის 139-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას. ამავე კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციას ეკისრება მუშათა და მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სხვა წესების შესახებ. ამავე კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ სპეციალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი. ამავე კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მინდობილი სამუშაოსათვის ვარგისიანობის განსაზღვრისა და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა სამუშაოზე მიღებისას წინასწარ, ხოლო შემდგომ – პერიოდულად.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, ა. ზარქუას სამუშაოზე მიღებისას ჩაუტარდა ტექნიკური უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟი, მაგრამ არ

ჩატარებია ალუმინის ოქსიდისა და იმავე კატეგორიის საფრთხესაში ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი. კასატორი ვერ ადასტურებს, რომ ა. ზარქუას გავლილი ჰქონდა აღნიშნული სამუშაოების ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და რომ მხოლოდ შესავალი ინსტრუქტაჟის გავლა საკმარისი იყო საფრთხესაში ტვირთებზე მუშაკის დასაშვებად. რაც შეეხება ალუმინის ოქსიდის გადატვირთვის ე.წ. განაწეს-დავალებას, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ იგი წარმოადგენს მუშაკის მიერ ალუმინის ოქსიდის გადმოტვირთვის კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად მიღების მტკიცებულებას და ვერ ჩაითვლება აღნიშნული კატეგორიის ტვირთის გადატვირთვაზე ინსტრუქტაჟის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტად. კასატორმა ვერ დაადასტურა ვერც საფრთხესაში ტვირთის გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულებამდე ა. ზარქუას მიერ სპეციალური ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების მიღება. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ა. ზარქუას გავლილი ჰქონდა სამედიცინო შემოწმება და იყო ჯანმრთელი, რასაც ამტკიცებს კასატორი, აღნიშნული მიუთითებს, რომ არსებობდა მიზეზი, რამაც მოულოდნელად გამოიწვია სრულიად ჯანმრთელი მუშაკის გარდაცვალება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე საქმის მასალების ერთიანობაში შემოწმება, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა, ერთობლიობაში ქმნის იმ გარემოების დამადასტურებელ რწმენას, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ა. ზარქუას გარდაცვალებასა და მის მიერ ალუმინის ოქსიდის გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელებასთან, ხოლო საწარმომ არ უზრუნველყო შრომის უსაფრთხოების წესების სათანადო დაცვა, რაც მისი მხრიდან საფრთხის თავიდან აცილების საფუძველი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ შრომითი მოვალეობის შესრულების შედეგად გარდაცვლილი ა. ზარქუას მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილებისათვის ყოველთვიური სარჩოს დანიშვნა და ერთჯერადი დახმარების მიცემა შეესაბამება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 35-36-ე, 39-ე მუხლების მოთხოვნებს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 28 თებერვლის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1027-1288-05

1 დეკემბერი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ლ. გოჩელაშვილი (მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2004 წლის 12 სექტემბერს თ. დარჩიამ სარჩელი ადრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორ დ.ჩანტლაძის მიმართ სადეკრეტო შვებულებიდან სამუშაოზე დაბრუნების თაობაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1990 წლიდან მუშაობდა ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების ექიმ-ლაბორანტის თანამდებობაზე. 2001 წლის 22 ოქტომბერს გავიდა სადეკრეტო შვებულებაში, ხოლო 2001 წლის 25 ოქტომბერს შეეძინა ქალიშვილი. მოსარჩელემ 2004 წლის 16 ნოემბერს განცხადებით მიმართა შპს „ოზურგეთის ცენტრალურ-კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორ დავით ჩანტლაძეს სადეკრეტო შვებულებიდან დაბრუნების თაობაზე, რაზედაც მოპასუხემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 154-ე მუხლის თანახმად, „სამედიცინო პერსონალს ეკრძალება დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება სპეციალისტის სერტიფიკატის გარეშე.“

მოსარჩელემ განაცხადა, რომ დაირღვა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ აკრძალულია სამუშაოზე მიღებისას ქალებისათვის უარის თქმა და მოითხოვა მისი სადეკრეტო შვებულებიდან სამუშაოზე დაბრუნება.

სასამართლოში სარჩელის განხილვამდე თ.დარჩია შპს „ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორ დ.ჩანტლაძის 2004 წლის 24 დეკემბრის №16 ბრძანებით დაბრუნებულ იქნა სადეკრეტო შვებულებიდან, ხოლო 27 დეკემბერს №17 ბრძანებით შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ შეცვალა დავის საგანი და საფუძველი და მოითხოვა შპს „ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ ადმინისტრაციის 2004 წლის 27 დეკემბრის №17 ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა სახელმწიფო სერტიფიკატის მიღებამდე და განაცდურის ანაზღაურება თვეში 22 ლარის ოდენობით.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით თ. დარჩიას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა შპს „ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორის 2004 წლის 24 დეკემბრის №17 ბრძანება თ. დარჩიასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მოსარჩელე აღდგენილ იქნა სამუშაოზე შპს „ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ რეანიმაციის განყოფილების ექიმ-ლაბორანტის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი 2004 წლის 24 დეკემბრიდან გადაწყვეტილების გამოტანის დღემდე თვეში საშუალოდ 22 ლარის ოდენობით; თ. დარჩიას უარი ეთქვა სერტიფიკატის მოპოვებამდე სამუშაოზე აღდგენის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო შპს „ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ ადმინისტრაციას დაევალა სახელმწიფო სერტიფიკატის არმქონე სამედიცინო პერსონალის განთავისუფლებისას შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების უზრუნველყოფა და დაწესებული გარანტიების სრული დაცვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე მხარემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თ.დარჩიას წარმომადგენელმა გ. დარჩიამ სააპელაციო საჩივარი არ ცნო და შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც თ.დარჩიას უარი ეთქვა სერტიფიკატის მოპოვებამდე სამუშაოზე აღდგენაზე.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორ დავით ჩანტლაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო თ.დარჩიასა და მისი წარმომადგენელ გ.დარჩიას შეგებებული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ.დარჩიას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თ. დარჩია სადეკრეტო შვებულებაში 2001 წლის ოქტომბერში გავიდა შპს „ოზურგეთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ რეანიმაციის განყოფილების ექიმ-ლაბორანტის თანამდებობიდან, შვილი შეეძინა იმავე წლის 24 დეკემბერს, ხოლო სადეკრეტო შვებულებიდან დაბრუნებაზე, 2004 წლის 17 ნოემბერს, უარი ეთქვა, იმ მოტივით, რომ არ გააჩნდა სპეციალისტის სათანადო სერტიფიკატი. მას შემდეგ, რაც თ.დარჩიამ მიმართა სასამართლოს სარჩელით შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლით, სამი წლის ასაკამდე ბავშვების

დედებისათვის მინიჭებული უფლების მის მიმართ დარღვევის თაობაზე, იგი 2004 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №16-ით შევბუღებიდან სამუშაოზე დაუშვეს, ხოლო იმავე წლის 27 დეკემბერს ბრძანება №17-ით გაათავისუფლეს სამუშაოდან იმ საფუძველით, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 154-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, არასამედიცინო განათლების მქონე სამედიცინო პერსონალს, 2002 წლის პირველი იანვრიდან აეკრძალა დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება სპეციალური სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე.

შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საწარმოს ადმინისტრაციას შეუძლია ვადაძლე შეწყვიტოს მასთან შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი).

სასამართლომ მიუთითა, რომ თ.დარჩიას სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ დაშვებული ბრძანება №17-ის მიღება, აპელანტის მხარის მტკიცებით, კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა და კანონიერი იყო. სპეციალური სამედიცინო სერტიფიკატის მიღების აუცილებლობა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია მაგრამ ჩათვალა, რომ თ.დარჩია სამუშაოზე უნდა აღედგინათ აღნიშნული სერტიფიკატის მოპოვებამდე, რაც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ თ.დარჩია სამუშაოდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ წინასწარ უნდა გაფრთხილებულიყო. შრომის კანონთა კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ მუშაკს წინასწარ ეცნობება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოდან განთავისუფლება გამოწვეულია საწარმოს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირებით. რაც შეეხება ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ამავე კანონით განსაზღვრულ დროში ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას, აღნიშნულის შესახებ მუშაკის წინასწარ გაფრთხილებას შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თ.დარჩიას სამუშაოდან განთავისუფლება წინასწარ იყო შეთანხმებული პროფკავშირთან აღნიშნული და, შესაბამისად, მისი დამადასტურებელი ოქმი შედგენილი იყო მთელი რიგი ხარვეზებით, მაგრამ მოპასუხე მხარემ მისი ბათილად ცნობის მოთხოვნა სასარჩელო წესით არ დააყენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ თ. დარჩიას სასარჩელო მოთხოვნა – სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ დაშვებული ბრძანების ბათილად ცნობის, სპეციალური სერტიფიკატის მოპოვებამდე მისი აღდგენისა და გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოდ მიიჩნია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ თ.დარჩიას წარმომადგენელმა სასამართლოს მთავარ სხდომაზე შეცვალა სარჩელის საგანი და საფუძველი, თანაც ზეპირსიტყვიერად და სასამართლოს აღნიშნული სარჩელი უნდა ეცნო დაუშვებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ვინაიდან მოპასუხე მხარე ასეთი ცვლილებების თანახმა არ იყო. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოპასუხე მხარის მიერ სარჩელის დასაშვებობა სადავო გახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ.დარჩიამ და მისმა წარმომადგენელმა გ.დარჩიამ და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ გამოიკვლია და შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. თ.დარჩიამ აღნიშნა, რომ იგი უკანონოდ იყო განთავისუფლებული სამუშაოდან, რადგან იგი ერთი თვით ადრე არ იყო გაფრთხილებული სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ და საქმეში არ არსებობს შეტყობინება მისი ხელმოწერით, რითაც დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის 42²-ე მუხლი.

საკასაციო საჩივრის ავტორების აზრით, მართალია, „ჯანდაცვის შესახებ“ კანონის 154-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე სამედიცინო საქმიანობის უარყოფას, მაგრამ მოსარჩელისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სერტიფიკატი ვერ აიღო, კერძოდ, სადეკრეტო შევბუღებაში ყოფნის პერიოდში და შევბუღებიდან დაბრუნების შემდეგ გამოცდა არ დანიშნულა.

კასატორებმა მიუთითეს, რომ 2005 წლის 30 ივნისს თ.დარჩიამ ჩააბარა სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა და ამჟამად აქვს სერტიფიკატი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თ.დარჩიამ და მისმა წარმომადგენელმა გ.დარჩიამ მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, საკასაციო საჩივრის საფუძვლებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი და თვლის, რომ თ. დარჩიას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, ხოლო ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილით, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონდარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 42²-ე მუხლი და მიუთითა, რომ თ.დარჩიას სამუშაოდან განთავისუფლება კანონიერია, იგი არ უნდა გაეფრთხილებინათ სამუშაოდან მოსალოდნელი განთავისუფლების თაობაზე, რადგან აღნიშნული ნორმის თანახმად, მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ მუშაკს წინასწარ ეცნობება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოდან განთავისუფლება გამოწვეულია საწარმოს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, მუშაკთა რიცხვნების ან შტატების შემცირებით. აღნიშნული ნორმა არეგულირებს მუშაკის განთავისუფლების საფუძველსა და წესს. პალატა მიუთითებს, რომ ამ ნორმის ასეთი ინტერპრეტაცია არასწორია, რადგან 42²-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ უნდა ეცნობოს მუშაკს პერსონალურად ორი თვით ადრე მაინც. აღნიშნული შეტყობინება მუშაკმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით. ეს მუხლი არ ითვალისწინებს სხვა რაიმე დათქმას, რომელიც საშუალებას იძლეოდა ნორმის ისეთი განმარტებისა, როგორც მას სააპელაციო სასამართლოს მისცა. ამდგარი განმარტება შეესაბამება ამავე მუხლის მეორე ნაწილს, რომელიც არეგულირებს მუშაკთა მასობრივი განთავისუფლების წესს საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დროს. ამ ნორმის თანახმად, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის დროს საწარმოს დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ან სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ორი თვით ადრე მაინც აცნობოს შრომით მოწყობის ორგანოს მუშაკთა მასობრივი განთავისუფლების შესახებ, მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მითითებით. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოსარჩელე სამუშაოდან განთავისუფლეს მოპასუხე ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია და იგი უნდა გაუქმდეს. საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს შრომის კანონთა კოდექსის 42²-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თ.დარჩიას 2 თვით ადრე ეცნობა თუ არა მოსალოდნელი განთავისუფლების თაობაზე კანონით დადგენილი წესით. ამასთან, სასამართლომ შეამოწმოს მხარეს წარდგენილი აქვს თუ არა გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

თ. დარჩიას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ ას-1307-1547-05

26 დეკემბერი, 2005 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, თანხის ანაზღაურება.

ა ღ წ ე რ ი ლ ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

პ. როყვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმართ აღრინდელ სამუშაოზე აღდგენის, გაუცემელი მეცამეტე თვის ხელფასის – 356 ლარისა და განაცდურის – 1424 ლარის დაკისრების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: 2002 წლის 2 იანვარს მოსარჩელემ მუშაობა დაიწყო ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურში მარკეტინგის განყოფილებაში და ხელფასის სახით დაენიშნა 356 ლარი. ექვსი თვის შემდეგ იგი აყვანილ იქნა შეთავსებით ნახევარ განაკვეთზე ინგლისური ენის თარჯიმნად 178 ლარი ხელფასით, ხოლო ნავსადგურის ნავმისადგომების ტენდერთან დაკავშირებით – ნავსადგურის ექსპერტად უხელფასოდ, რადგან მესამე ხელფასის დანიშვნა არ შეიძლებოდა. 2004 წლის ნოემბერში გაცემულ იქნა ბრძანება ნავსადგურის რეორგანიზაცია-რესტრუქტურისაციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მუშა-მოსამსახურეთა მოსალოდნელ შემცირებას. 2004 წლის ნოემბრის ბოლოს ჩატარდა კანკურსი ანალიტიკოსის, კოორდინატორისა და ჟურნალისტის თანამდებობაზე. პ. როყვას თხოვნა, დაეშვათ იგი კონკურსზე ანალიტიკოსის თანამდებობის დასაკავებლად, არ დაკმაყოფილდა. 2005 წლის 1 იანვრის ბრძანების საფუძველზე გაუქმდა მოსარჩელის სამუშაო ადგილი – ინგლისური ენის თარჯიმნის თანამდებობა, ხოლო 2005 წლის 7 თებერვალს მთლიანად გაუქმდა მარკეტინგის განყოფილება. პ. როყვა დარჩა მხოლოდ ექსპერტის თანამდებობაზე, რომელზედაც, მოთხოვნის მიუხედავად, ხელფასი არ ერიცხებოდა. შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს ეკუთვნოდა სამუშაოზე უპირატესი დარჩენის უფლება, ამასთან, დაწესებულებაში გარანტირებული უნდა ჰქონოდა სამუშაო ადგილი. 2005 წლის 26 თებერვალს გაუქმებული მარკეტინგის სამსახურის ბაზაზე ჩატარდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პ. როყვამაც, მაგრამ მაღალი ქულების მიუხედავად, არაადეკვატური შეკითხვების გამო, არ იქნა აყვანილი თანამდებობაზე. მოსარჩელის მოსაზრებით, პ. როყვას სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ფოთის ნავსადგურის მხრიდან მის მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება და ტენდენციური განწყობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: პ. როყვა მიღებულ იქნა სამუშაოზე ნავსადგურის მარკეტინგის განყოფილებაში დროებით წამყვან სპეციალისტად. 2002 წლის 12 ივლისის 285/კ ბრძანებით იგი დატოვებულ იქნა მარკეტინგის განყოფილებაში განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 სექტემბრის №419 ბრძანებულებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ფოთის საზღვაო ნავსადგურის კერძო სამართლის იურიდიულ პირად რეორგანიზებასთან დაკავშირებით, ნავსადგურის უფროსის 2004 წლის 5 ოქტომბრის №387/ს-46 ბრძანებითა და შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის თანახმად, ნავსადგურის თანამშრომლები, მათ შორის, მოსარჩელეც გაფრთხილებულ იქნენ სამსახურიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ. შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ გენერალური დირექტორის 2005 წლის 7 თებერვლის №51/კ ბრძანებით ნავსადგურის მარკეტინგის განყოფილების გაუქმებასთან დაკავშირებით, შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მარკეტინგის განყოფილების თანამშრომლები გათავისუფლდნენ სამუშაოდან. აღნიშნულ ბრძანებას გაეცნო პ. როყვა, რაც ხელმოწერით იქნა დადასტურებული. 2005 წლის 4 თებერვლის №40-ს/46 ბრძანებით დაინიშნა კომერციულ სამსახურში მარკეტინგის სპეციალისტის შესარჩევი

კომისია. მართალია, მოსარჩელემ მონაწილეობა მიიღო კონკურსში, მაგრამ საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულად გამოაცხადა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირი. მოპასუხის მოსაზრებით, პ. როყვას მიერ გაშვებულ იქნა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლოსადმი მიმართვის ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა. ფოთის საზღვაო ნავსადგურის გენერალური დირექტორის ბრძანებით ნავსადგურის მუშაკებს 2005 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით დაურიგდათ პრემიალური თანხა და არა მე-13 თვის ხელფასი. პ. როყვა კი ამ პერიოდში ნავსადგურში არ მუშაობდა. პ. როყვას მოსაზრება, მის მიმართ ნავსადგურის ხელმძღვანელობის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან პ. როყვა 2005 წლის 10 მაისიდან შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნა დამცავი მოლის რეაბილიტაციის პროექტის კოორდინატორის თანამდებობაზე და დაენიშნა ხელფასი 452 ლარის ოდენობით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა შპს „ფოთის ნავსადგურის“ უფროსის 2005 წლის 7 თებერვლის №51/კ ბრძანება პ. როყვას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. მოსარჩელე დაუყოვნებლივ იქნა აღდგენილი იქნა ნავსადგურის მარკეტინგის სპეციალისტის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა 2004 წლის პრემია ერთი თვის ხელფასის – 356 ლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და პ. როყვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ ფოთის საზღვაო ნავსადგურის გენერალური დირექტორის 2005 წლის 7 თებერვლის ბრძანებას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ამავე დღესვე გაეცნო პ. როყვა, რაც დადასტურებულ იქნა ბრძანების დედანზე მისი ხელმოწერით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის ბრძანების გაცნობის მომენტიდან იყო ცნობილი მისი შრომითი უფლებების დარღვევისა და სამუშაოდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. აღნიშნული გარემოების მტკიცებულებას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ პ. როყვამ 26 თებერვალს მონაწილეობა მიიღო კადრების შერჩევის კონკურსში თავის ყოფილ საშტატო ადგილზე. პ. როყვას მიერ დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა პ. როყვამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: პ. როყვამ დაუყოვნებლივ არ მოითხოვა 2005 წლის 7 თებერვლის ბრძანება, ვინაიდან იცოდა, რომ მარკეტინგის განყოფილების ბაზაზე შემოღებულ იქნა მარკეტინგის სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული კომერციულ სამსახურში და იმედი ჰქონდა რომ, შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად შესთავაზებდნენ ერთ-ერთ საშტატო ერთეულს. მან მხოლოდ მას შემდეგ მიმართა ნავსადგურის ადმინისტრაციას ბრძანების წერილობითი ფორმით გადაცემის თაობაზე, როცა დარწმუნდა, რომ მიღებული არ იყო ხსენებულ საშტატო ერთეულზე. კასატორის მოსაზრებით, არასწორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადის გასვლის შესახებ, რადგან შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით ერთთვიანი ვადა დგება ბრძანების ჩაბარებიდან. კასატორის მოსაზრებით, მას უფლება ჰქონდა 3 თვის ვადაში მიემართა როგორც შრომის დაცვის კომისიისადმი, ასევე, სასამართლოსათვის. პ. როყვას განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამება მოპასუხის მითითება იმის შესახებ, რომ იგი აყვანილ იქნა სამუშაო ადგილზე კონტრაქტის საფუძველზე. კასატორი სამსახურში მიღებულ იქნა დამოუკიდებელი განცხადებით ადრინდელი სამსახურიდან გათავისუფლებიდან სამი თვის შემდეგ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სწორად გამოიყენა სამართლის ნორმები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ამ სახის პრეტენზია კასატორს არ წარმოუდგენია, სააპელაციო სასამართლომ კი მოცემულ საქმეზე დადგინებულად ცნო შემდეგი:

ფოთის საზღვაო ნავსადგურის გენერალური დირექტორის 2005 წლის 7 თებერვლის ბრძანებას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ იმავე დღესვე გაეცნო პ. როყვა, რაც დადასტურებულ იქნა ბრძანების დედანზე მისი ხელმოწერით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებას და მიუთითა შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის საფუძველზე მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს დათხოვნის საქმეთა გამო დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. ამდენად, პ. როყვა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებას გაეცნო რა 2005 წლის 7 თებერვალს, ამ დღიდან მისთვის ცნობილი იყო სამუშაოდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ და იგი ვალდებული იყო, კანონით დადგენილ ვადაში მიემართა სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მას შრომის დავის გადასაწყვეტად მიმართვის ვადა უნდა აეთვალოს ბრძანების ჩაბარების დღიდან, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლით დადგენილი დათხოვნის ბრძანების ჩაბარების სავალდებულოება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მუშაკმა სამუშაოდან დათხოვნის ფაქტთან ერთად უნდა იცოდეს სამუშაოდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. პ. როყვასთან მიმართებაში კანონის ეს მოთხოვნები არ დარღვეულა და სასამართლომ მისი სასარჩელო მოთხოვნა მართებულად არ დააკმაყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დაცვითაა გამოტანილი და მისი გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

პ. როყვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ა ქ ი ე ბ ე ლ ი

შრომის სამართალი

- ზიანის ანაზღაურება
- კრების ოქმის ბათილობა
- მორალური ზიანის ანაზღაურება
- მუშაობის უფლების აღდგენა
- პენსია
- სამსახურში აღდგენა, განაცდურის (ხელფასის) ანაზღაურება
- სარჩო
- საწარმოო ტრავმა
- შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება
- ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება